

ორბანო კართული ეროვნული კოლიტიკისა და კულტურისა

შინაარსი

1. ევროპა თუ აზია	ბ. ფრონელი
2. დიდი სტილის ამბები	ი. გუჩუნი
3. სიმბოლიზმი საქართველოში	ლემბიონერი თამაზი
4. გიორგი წერეთელი	ი. მანუკაშვილი
5. ქართული სკოლის ფუძემდებელი	გილა გელაშვილი
6. გულს (ლეჟი)	ბ. შარდიაშვილი
7. ზაფხულის დამე (ლეჟი)	ბ. ბ-ძი
8. დღე განჩინების (ლეჟი)	ბ. ბ-ძი
9. ცხრა ძმა ხერხეულიძე (ლეჟი)	გიორგი ლოლუა
10. ნეტავ "შემდლოს (ლეჟი)	ბ. შარდიაშვილი
11. "დონ-კიხოტი" და "ვ. ტყაოსანი"	რ. ბაბუშვილი
12. თეიმურაზ პირველი	ბ. მარგველაშვილი
13. ეროვნული ერთობის საფუძვლები	ბ. ნოზაძე
14. საქართველოს მორიგი საკითხები	ბ. შურუაძე
15. ანიმუს იმპერანდი	ბ. მარდანი
16. ბაჯადო (რომანი)	სტივანი ქასრაძე

№ 10 / 11

ივლისი

ბერლინი

1914



ე ვ რ ო პ ა თ უ ა ზ ი ა

ხშირად დასმულა კითხვა იმის შესახებ, თუ რომელ კონტინენტს ეკუთვნის კავკასიის ყელი — ევროპას თუ აზიას, ან ვის ეკუთვნიან კავკასიელები — ევროპელებს თუ აზიელებს?

კავკასიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გარშემო ჯერ კიდევ ანტიკური გეოგრაფების ცნობებშიაც ერთგვარ ბუნდოვანებას აქვს ადგილი. ზოგი ევროპასა და აზიას შორის საზღვრად მდინარე დონს (ტანეს) ასახელებს, ზოგი კი კავკასიის მთაგრეხილს, ხოლო ზოგი დედამიწის ამ ორი ნაწილის საზღვრად მდინარე რიონს (ფაზისს) სთვლის. რუსი გეოგრაფები კავკასიას საკუთრივ ევროპის კონტინენტს მიაკუთვნებენ, დასავლეთ-ევროპიელი და გერმანელი გეოგრაფები განიხილავენ მანჩის ხაზს. უფრო ხშირად კი დიდი კავკასიის მთაგრეხილს როგორც საზღვრის ხაზს ევროპასა და აზიას შორის. უკანასკნელი განმარტებიდან ქართველებისათვის ერთი კურონული დასკვნა გამომდინარეობს: ასეთი განსაზღვრის შედეგად გამოდის თითქოს ყაზბეგის მიდამოებში მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობა და ხევსურთა შტოს ერთი ნაწილი (პირიქითელი ანუ ზემო-ხევსურეთის მოსახლეობა) „ევროპელები“ არიან, ხოლო თბილელი და ქუთათური ქართველები კი — „აზიელები“.

როცა ჩვენ ვკითხვლობთ. — ევროპა თუ აზია? — ამაზე მარტო გეოგრაფიული პასუხით ვერ დავკმაყოფილდებით. გეოგრაფებმა უნდა გადასწყვიტონ ეს საკითხი გეოლოგიის, ლანდშაფტის თავისებურებათა, კავკასიის მცენარეულობისა და ცხოველების სამყაროთა ხანგრძლივი შესწავლის ნიადაგზე, ხოლო ეს არც ისე იოლია. ჩვენ აქ ამ კითხვას კულტურული, პოლიტიკური და სამეურნეო თვალსაზრისით ვაყენებთ — და აქ არსებითად პასუხის გაცემა ადვილი და უბრალოა.

სრულიად გარკვეულად ისახებიან სამეურნეო ურთიერთობანი. სამეურნეო თვალსაზრისით, კავკასია აშკარად ეკუთვნის ევროპულ სივრცეს. კავკასიის ნედლეული, უპირველეს ყოვლისა, ნავთი და მარგანეცი ისე როგორც ბამბა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმები, სანამ აქვე ამ ქვეყანაში გადაამუშავებული ან გამოყენებული არ იქნება, მხოლოდ და მხოლოდ ევროპის რუსეთში ან ევროპის ქვეყნებში უნდა იქნეს გატანილი.

კავკასია წარმოადგენს ფართოდ გაშლილ სამეურნეო ორგანიზმს და: „... მთელ ამ სისტემას აქვს ამის გამო გეოგრაფიული სწრაფვა ევროპისაკენ, ევროპის სრული ორიენტაცია. მისი ჩაკეტვა აზიაში, რასაც საბჭოთა რუსეთი ნამდვილად ანხორციელებს, შეუძლებელია; მას არ შეუძლია გეოპოლიტიკის დაუდგრომელი სწრაფვის შეცვლა და ახლად მოწყობილი ევროპაც კავკასიის ქსელში ჰპოვებს თავის ერთერთ სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანიზმს, რომელთანაც მას სურს თავისი სტრუქტურის ყველა არტერიებითა და ვენებით შესისხლხორცება“ (სერგოი გრადენიგე: კავკასია, საბჭოთა კავშირის აქილესის ქუსლი. ტომპო, გერმანული თარგმანი. № 51. რომი, 3-17 სექტ. 1942 წ.)

კავკასიის ხალხები, უმეტეს ნაწილად, იმ უძველესი კავკასიელი ხალხებისაგან წარმოსდგებიან, რომლებსაც უკვე უხსოვარი დროიდან ეჭირათ ახლანდელი საბინადრო ადგილები. ამ ხალხებმა, უპირველეს ყოვლისა, დააჩინეს ამ მხარეს თავისი კულტურული და პოლიტიკური კვალი.

ქართველები რიცხვობრივად ყველაზე მეტნი არიან უძველეს კავკასიელ ხალხთა შორის და მათ შეუძლიათ

თვალწინ გადავიშალონ ათასწლოვანი კულტურა, უძველესი სახელმწიფოებრივობა და საკუთარი ისტორიული მწერლობა, რომელიც ფართოდ გვირკევეს ამ ხალხის განვითარებას.

ის, რაც საქართველოზე ვთქვით, ცოტად თუ ბევრად კავკასიის სხვა ხალხებზეც ვრცელდება, რომლებიც მათთან სისხლითა და კულტურით ახლო ნათესავნი არიან. ახლა გავარკვიოთ რა ადგილი უჭირავთ ქართველებს ევროპიელთა სამყაროში?

ევროპის კულტურის წყაროდ ჰელადაა მიჩნეული. აქ აშკარად ვხვდებით ჩვენ პირველად იმ ცივილიზაციის ყველა ფორმებს, რომელსაც უფრო გვიან ევროპიული უწოდეს და ევროპულად მიიჩნიეს. თანამედროვე ევროპიული ხელოვნებისა და მეცნიერების თითქმის ყოველი დარგი თავის გამოხატულებას ძველ საბერძნეთში ჰპოვებს: არქიტექტურა, პოეზია და ფილოსოფია, ევროპის სახელმწიფოებრივობა და სამართლის მკოდნეობა, ბოლოს და ბოლოს საწყისი ჰელადისაგან ლებულობენ.

ბერძნული კულტურით არის გასხვივონებული მთელი შემდეგ დროინდელი მსოფლიო. რომმა მიიღო ბერძნული მემკვიდრეობა, ნაწილობრივ გარდაქმნა იგი და მას შემდგომი განვითარება მისცა. კულტურულად და პოლიტიკურად ევროპის ცნება რომაელთა ეპოქაში რომის იმპერიის საზღვრებს ემთხვეოდა.

შუა-საუკუნეებში გერმანელთა სახელმწიფო და ბიზანტია არიან ბოლოს და ბოლოს საერთო ევროპიული მისიის, მისი კულტურისა და ძლიერების ფაქტორთა მატარებელი, თუმცა ეს სახელმწიფოები თავისი არსით ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავდებოდნენ.

განვიხილოთ მოკლედ საქართველოს, როგორც კავკასიის მოწინავე ქვეყნის მდგომარეობა და ადგილი ანტიკურ და საშუალო საუკუნოების ევროპის არეში. ამ ქვეყნის რუკის ერთი თვალის გადავლება გვიჩვენებს, რომ საქართველო ცოტა უფრო დაშორებულია საბერძნეთისაგან, ვიდრე შუა ევროპა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იგი საბერძნეთთან უფრო ადვილსაველია გზით, სანაოსნო გზით, იყო დაკავშირებული. ფაქტორად ძველი საქართველო (კოლხეთი და ივერია) ვაცილებით უფრო ადრე ეზიარენ ჰელადის კულტურას, ვიდრე შუა და ჩრდილო ევროპა, ისინი მათზე ვაცილებით უფრო ადრე მოექცნენ ანტიკური ქვეყნის პორიზონტისა და ცხოვრების არეში. საქართველოს ურთიერთობა საბერძნეთთან ძლიერ ძველია და იგი შეიცავს ჰომიროსის წინა-დროინდელ ხანასაც. ჰელადის ორი უშესანიშნავესი მითოსი — არგონავტებისა და პრომეთეს შესახებ, აკავშირებს საბერძნეთსა და საქართველოს. მრავალ მკვლევართა ცნობით, მარტო ეს ორი ბერძნული მითოსი კი არა, არამედ მთელი რიგი სხვა ბერძნული თქმულებებისა კავკასიისთან არის დაკავშირებული.

ისტორიულად დადასტურებული ბერძნულ-ქართული ურთიერთ-დამოკიდებულება ახლა საყოველთაოდ ცნობილია. უკვე მე-7 საუკუნეში ქრ. წინ აღმოცენდნენ და აყვავდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე ბერძნული კოლონიები.

უფრო გვიან რომმა საბერძნეთისაგან მემკვიდრეობად მიიღო ურთიერთობა შავი ზღვის ნაპირთან და მან განავრცელა თავისი პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო გავლენა აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოზეც. ამის შემდეგ საუკუნეთა გასწვრივ არა მარტო დასავლეთ საქართველოს (კოლხიდის), არამედ აღმოსავლეთ



საქართველოს (იბერიის) მეფეებიც, მეგობრები და მოკავშირენი არიან რომის იმპერატორებისა.

მე-4 საუკუნეში ქრისტეს შემდეგ მიიღო საქართველომ ქრისტიანობა და ამით მკიდრო კავშირი დაამყარა მაშინდელი ევროპის სულიერ სამყაროსთან.

საქართველოს შემდგომ განვითარებაზე ძლიერ გავლენას ახდენს აღმოსავლეთი რომი (ბიზანტია). ქართველი მეფეები ნათესაობრივ დამოკიდებულებაში არიან ბიზანტიის იმპერატორებთან და ისინი მათგან უმაღლეს ბიზანტიურ ტიტულს ღებულობენ.

საშუალო საუკუნეებში ალმაველობის ხანაში უკვე დაიწყო ბიზანტიური სახელმწიფოს დაქვეითება. ამ დროს ქართველმა მეფეებმა წარმატებით სცადეს განემტკიცებინათ თავისი საკუთარი მდგომარეობა პოლიტიკურად. მე-10 — 13-ტე საუკუნეებში მათ შექმნეს ძლიერი ქართულ-კავკასიური სახელმწიფო. ამ დროის უდიდესი მეფე დავით აღმაშენებელი — მაშინდელ ევროპაში კარგად ცნობილი იყო. ძველთქმულებები მოგვითხრობენ ჩვენ ამ მეფეზე. როგორც უახლესმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, იოვანე პრესბიტერის (ანუ იოვანე ბერის) თქმულება, რომელიც დასავლეთ ევროპის მწერალთა ფანტაზიას დიდ ხანს ამოძრავებდა, ამ ქართველი მეფის შესანიშნავი ფიგურის გარშემო შექმნილა.

შემდეგ, მეფე — გიორგი მე-4, ლაშა, — შვილი დიდებული თამარ მეფისა, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპიელ ჯვაროსანთა შორის. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ჯვაროსნები მისგან მოელოდნენ გასაჭირიდან ხსნას.

მე-13 საუკუნის ნახევრიდან საქართველოს სამეფო ძლიერ დახარალებდა მონგოლთა შემოსევის გამო და მან მალე დაჰკარგა თავისი ძლიერება.

1453 წელს ბიზანტიამ ოსმალთა შემოსევა განიცადა. იმ საბედისწერო დღეებში, რომლებმაც შემდგომ საუკუნეთა განმავლობაში აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე ხანგრძლივი გავლენა იქონიეს, უკანასკნელი გმირი იმპერატორის კონსტანტინე მე-9 პალეოლოგის მხარეზე (მისი ვაჟი დანიშნული იყო ქართველი მეფის ასულზე), სახლვარ ფლოტში ბიზანტიელების ქვეშევრდომთა გარდა, სხვა ევროპიელი ხალხებიც — იტალიელები, ესპანელები, ევროპელები და სხვ. იბრძოდნენ.

ბიზანტიის დაცემით ხანგრძლივ დაირღვა ის დამაკავშირებელი ძაფები, რომლითაც საქართველო ევროპასთან იყო გადამებული. მაგრამ ბიზანტიის დამხობის შემდეგაც-კი, როცა ევროპასა და საქართველოს შორის კარები უზარმაზარი ურდულით დაიკეტა, ქართველები შეგნებულად თუ შეუგნებლად ერთგულნი დარჩნენ ევროპიული მისიის. ის დაუსრულებელი ომები, რომლებსაც ბატარა საქართველო სელჯუკებთან, მონგოლებთან, სპარსელებთან და ოსმალელებთან აწარმოებდა, და რომლებმაც ჩვენი ქვეყანა სისხლისგან დასცალეს, მხოლოდ სარწმუნოებრივი ხასიათის ომები კი არ იყვნენ, არამედ ომები საკუთარი კულტურისა და ღირსების დასაცავად მისგან სრულიად განსხვავებული მსოფლიოს წინააღმდეგ.

არსებობს უამრავი საბუთი, რომელიც მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ეძიებდა ქართველობა ბიზანტიის დამხობის შემდეგ ევროპის ხალხებთან გაწყვეტილი კავშირის აღდგენას, ევროპასთან მიკედლებას. ამის დამადასტურებელია, მაგალითად, საქართველოს მეფის კონსტანტინე წერილი ესპანეთის დედოფლის იზაბელასადმი, რომელმაც ქართველი მეფე ულოცავს დედოფალს იმ გამარჯვებას, რაიც მან მავრებზე (არაბებზე) მოიპოვა მათი განდევნით დასავლეთ ევროპის მიწაწყლიდან. იგი წინადადებას აძლევს ესპანეთის დედოფალს ერთად გადასდგან საერთო მტრის წინააღმდეგ პოლიტიკური და მილიტარული ნაბიჯები. ქართველი მეფეები შემდეგაც აგზავნიდნენ ევროპაში თავის ელჩებს თხოვნით, რათა ევრო-

პიელ ბრძანებლებს ერთი საერთო პოლიტიკა ეწარმოებინათ მტრის წინააღმდეგ.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგები და ადვილი წარმოსადგენია, თუ რატომ მოხდა მე-19 საუკუნეში ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებით საქართველოს დაკავშირება რუსეთთან. ქართველი მეფეები მაშინ ახლად დაფუძნებულ პეტერბურგის იმპერიაში ხედავდნენ ევროპის ნაწილს და რუსეთთან ერთად სვლით იმედოვნებდნენ, რომ საერთო მტრის შემოტევას ერთად წინააღმდეგობდნენ.

ამ დროიდან მოყოლებული აღარ გაწყვეტილა მეტად კავშირი ჩვენი ქვეყნისა ევროპასთან. ეს კავშირი ნაწილობრივ რუსეთის საშუალებით, ნაწილობრივ ევროპის ქვეყნებსა და საქართველოს შორის უშუალოდ ხორციელდებოდა. ევროპიული სულის მე-18 საუკუნის უმძლავრესმა დინებამ შთაბერა საქართველოს ხელახალი კულტურული სიცოცხლე; ხელოვნების, მეცნიერებისა და მეურნეობის ყველა დარგში აქ ამ დროის განმავლობაში ბევრი ღირს შესანიშნავი რამ შეიქმნა.

ამ განვითარებას ჯერჯერობით ბოლო მოუღო ბოლშევიზმმა, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპის მთელი სტრუქტურა ძირფესვიანად შესცვალა და რომელმაც რუსეთის დასავლეთ ევროპისებურად განვითარებას, რაც პეტერბურგმა დაიწყო, ბოლო მოუღო. ამ მხრივ სატანტო ქალაქის გადატანას მოსკოვში არა მარტო სტრატეგიული, არამედ სიმბოლიური მნიშვნელობაც აქვს.

ჩვენ საუბარი გვქონდა საქართველოზე საბერძნეთის, რომისა და ბიზანტიის კულტურული და პოლიტიკური გავლენის შესახებ. არსებითად არის ჯიღვე ერთი ქვეყანა, რომელმაც უეჭველად ქართულ განვითარებაზე როგორც პოზიტივური ისე ნეგატივური ზეგავლენა იქონია. ეს არის ირანი. ირანისა და მისი კულტურის ისტორია განსაკუთრებით თავის ადრინდელ ხანაში ნათლად გვიჩვენებს, რომ ირანელთა კულტურა ყველა თავისი გამოხატულებით, თავისი სახელმწიფო წყობით, თავისი რელიგიით, მითოლოგიითა და ხელოვნებით ევროპიულ მექვიდრობას შეადგენს, რაც აგრეთვე გასაგებია, რადგან ძველი ირანელიც არიოელ ხალხთა ოჯახს ეკუთვნის, რომელთა უძველესი სამშობლო, როგორც ჩვენ დღეს ვიცით, ევროპის არემია მოძებნილი. ამრიგად, ქართველები ირანელების მხრივაც, როგორადაც უცნაურად ეს არ უნდა ბგერდეს, არა მარტო „აზიურს“, არამედ აგრეთვე „ევროპულ“ გავლენას განიცდიან.

ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვიდანაც სჩანს, რომ ქართველები ევროპის ხალხთა ოჯახს ეკუთვნიან. შეიძლება ვიმეგმ ამ მტკიცებას ის დაუპირისპიროს, რომ უძველეს დროში, და შუა საუკუნეებში ბერძნულ-რომაული გავლენის სფეროს ბევრი ისეთი ხალხი ეკუთვნოდა, რომლებიც დღეს აშკარად სრულიადაც აღარ ჩაითვლებიან ევროპიულ ხალხებათ, როგორც, მაგალითად, ჩრდილოაფრიკისა და ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების ხალხები. მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნების, რომლებიც წინეთ ევროპის სფეროს ეკუთვნოდნენ, და საქართველოს შორის დიდი განსხვავებაა. პირველთა შორის უეცრად მოხდა ღრმა ცვლილება ჩვენი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნიდან. ეს სივრცე დაფარეს სხვა ხალხებმა, რომლებმაც სავსებით გარდაქმნეს მთელი მოსახლეობის სტრუქტურა. საქართველოში-კი ერთსა დაიმავე მიწაზე ერთი და იგივე ხალხი სცხოვრობს, ისე, როგორც ამ ორი ათასი წლის წინათ ცხოვრობდა, თავისი ევროპის კულტურასთან შეზავებული კულტურით. ამრიგად, ვხედავთ, რომ პასუხი კითხვაზე — ევროპა თუ აზია. — ქართველობისათვის აშკარად ჯერის, როგორც „ევროპა“.

მაგრამ უკანასკნელ საუკუნეში იმ ქვეყნებშია-კი, რომლებმაც სხვანაირი ვითარება განვლო ვიდრე საქართველომ და რომელნიც, ექვს გარეშეა, აზიურად იყვნენ მიჩნეულნი, ჩვენ ერთგვარ დიდ გარდატეხას იგმნევეთ. თანამედროვე თურქეთმა არა მარტო გარეგნულად გამოიცი-



ვალა თავისი აღმოსავლური სამოსელი: სწრაფი ნაბიჯით წინ წასული გავერობილება საუკეთესოდ ადასტურებს, რომ ეს ქვეყანა წინათ მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული ანტიურ ევროპასთან (საბერძნეთთან და რომთან).

ქართველებსა და ნამდვილ კავკასიელთა გარდა, კავკასიაში სხვა ხალხებიც სცხოვრობენ, რომლებიც ნაწილობრივ უკვე ათას წელზე მეტი ხნის წინათ აქ არიან შემოხიზნულნი, როგორც, მაგალითად, სომხები. დანარჩენები კი, მაგალითად, ნოღაელნი, ყალმუხები, რუსები, უკრაინელები, და სხვები უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში მოსულან. თვითეული ამ ხალხისათვის ჩვენი კითხვა — ევროპა თუ აზია — უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ რა სისხლიდან არიან ისინი წარმოშობილნი და რომელ კულტურის არეს მიეკუთვნებიან. მათთვის, რასაკვირველია, სიტყვები „ევროპული“ და „აზიური“ არ ნიშნავს ერთგვარ შეფასებას, არ გამოხატავს ამ ხალხების სრულხარისხოვნებას თუ ნაკლებხარისხოვნებას, არამედ ამ ერთა გარკვეულ ოჯახისადმი კუთვნილებას არკვევენ.

უძველესი დროიდან ცნობილია, რომ კავკასია სხვადასხვა ხალხების მიერ იყო დასახლებული. მაგრამ შეცდომა იქნება ამის გამო ვილაპარაკოთ „კავკასიის ხალხთა აღრევასზე“, რადგან ეს ხალხები ერთმანეთში არ გათქვეფილან. მაგალითად, როგორც დადასტურებულია, 2000 მეტი წელია, რაც ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ ქართველები და სომხები. ამ ხნის განმავლობაში მათ არც-კი გამოუჩენიათ რაიმე მიდრეკილება ერთმანეთში აღრევისა. კავკასიის ხალხთა შინაგან განკერძოებულობას და მათ ნიშანდობლივ თვისებათა დაცვას, ზოგიერთ შინაგან მი-

ზეზებს გარდა, ქვეყნის ლანდშაფტის სხვადასხვაობაც უწყობდა ხელს.

უძველესი დროიდან კავკასია ხდია ევროპასა და აზიას შორის. ამის გამო უცხოელ მხახველს, რომელიც აქ სხვადასხვა ხალხთა შორის დაჰყოფს, კავკასია ხან ნამეტნავად ევროპიულად, ხან ნამეტნავად აზიურად მოეჩვენება, თუმცა საერთოდ, კულტურისა და ცხოვრების ხასიათის მიხედვით, მის ევროპასთან უფრო მეტ კავშირს შენიშნავს.

კავკასიის გასაგებად მეტად საინტერესო პარალელს პირენეის ნახევარ-კუნძული წარმოადგენს. იგი დედამიწის ორი ნაწილის ისეთივე დამაკავშირებელი ხდია, როგორც კავკასია, რომელზედაც წინა-ისტორიულ და ისტორიულ ხანებში ხალხთა გადასახლება ხდებოდა ევროპაში და ევროპიდან. მიუხედავად იმისა, რომ პირენეის ანუ იბერიის ნახევარ-კუნძული გეოგრაფიულად ევროპას ეკუთვნის, მცენარეულობისა და კულტურის თვალსაზრისით იგი ჩრდილო აფრიკულ ქვეყანას უფრო წააგავს. როგორც კავკასიის ყელზე, რომელიც გეოპოლიტიკურად ევროპის კუთვნილებას შეადგენს, წინააზიის გავლენა სწახს, ისევე იბერიის ნახევარ-კუნძულზე ჩრდილოეთი აფრიკის გავლენაა.

გერმანიისა და ევროპის დღევანდელ ცხარე ბრძოლაში ევროპიული კულტურისა და მისი ცხოვრების ფორმების უდიდესი მტრის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ, უკვე გარკვეულია თვითეული შეგნებული ქართველის და კავკასიელის ადგილი. იგი პარობადებულია არა მარტო მშობლიური ერის მდიდარი ისტორიული წარსულით, არამედ მისი შინაგანი სულიერი მიდრეკილებითაც.

გ. ფრონელი

გისეი გამკაცრებულ

დიდი სტილის ამბები

დღევანდელი მთლიანი „გლობალური“ ომი, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, 1914—18 წ. ომის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს.

მაშინ გამარჯვებულმა მხარემ, ბევრი ისეთი სადავო ჭვანგები ჩაურთო საზავო, პირობებს, განსაკუთრებით ევროპის საქმეთა დალაგების გეგმაში, რაც ახალ ომს არა თუ შესაძლებელს, არამედ აუცილებლად და გარდუვალად ხდიდა. მაშინდელ საფრანგეთს, როგორც დასავლეთის ცივილიზაციის და კულტურის ერთ მნიშვნელოვან მშენებელს და ევროპის საქმეთა წარმართვაში პასუხისმგებელს წევრს, უთუოდ ბრალი ედებოდა ამ სადავო ჭვანგების ჩალაგებაში, მაგრამ ინგლისი და ამერიკა, მაინც მთავარი მონაწილე და პასუხისმგებელი არიან ამ საქმეში.

1914—18 წ. ომმა ამას გარდა ორი მეტად მძიმე და ძნელად დასაძლევ სტატიკური დაუტოვა კაცობრიობას. ერთი რუსული ჭირი, რუსული კომუნისმის სახით. მეორე კრიზისები ყველგან და ყველაფერში: აზროვნებაში, ფსიქოლოგიაში, ეკონომიკაში, პოლიტიკაში.

და იმ პირველი ომის შედეგთა ამ რაულმა შენაერთმა და აქედან შექმნილმა მიზეზების მთელმა რიგმა მოუშადა და ნიადავი დღევანდელ ომს. მართალია დღევანდელი ომის საარსებო სივრცის მოპოვების და მიჯნების გადაწყვეის ნიშნის ქვეშ დაიწყო, მაგრამ ეს უკანასკნელი აღნიშნული მიზეზების რთული აგებულების საერთო კვანძშია შექსოვილი.

თუ გლობუსის აქეთა მხარეს შეგხედავთ (მეორე მხარეს შორეულ აღმოსავლეთის ხაზით ნამდვილი ეროვნულ განმანათლებლებელი ომი სწარმოებს იაპონიის მეთაურობით) მდგომარეობა შემდეგნაირად იხსნება.

გერმანიის მეთაურობით ევროპა იბრძვის თავის გადაჩენის, მისი კულტურის და ცივილიზაციის დაცვისთვის.

დასავლეთისთვის და საზოგადოთ მთელი კულტურული კაცობრიობისთვის ეს უდიდესი მნიშვნელობის საკითხია. ეს ის ცივილიზაცია და კულტურა საუკუნოების მანძილზე მსოფლიოს ტონსა და მიმართულებას რომ აძლევდა.

მართალია ამ ვებერთელა კულტურასა და ცივილიზაციას, რომელიც დასავლეთის სახელს ატარებს ადრინდელი პარალელები ჩვენში, საქართველოში ჰქონდა, მაგრამ მისი გამმართველი და დამპირავი გეგმები, მაინც დასავლეთია. დასავლეთისათვის ამ კულტურისა და ცივილიზაციის გადარჩენა არა მარტო ღირსების საკითხია, არამედ ყოფნა არ ყოფნის, დაღუპვისა თუ გადარჩენის, სიკვდილისა თუ სიცოცხლისა.

ნამდვილად რა ძალაა ევროპის დამორჩილება, დამონება და გადაყლაპვა რომ სწადია? — ეს ბრძანდება რუსეთი, დღეს საბჭოთა წითელ ქურქში მოკავშირე, რომლის კაცთმოყვარე და ჰუმანიური სახე ამერიკის ვაჭრების რესპუბლიკის პრეზიდენტს, ფრანკლინ როზეველტს ასე უღმერთოდ აღელვებს.

გასაკვირი არაა, რომ ამერიკა, ეს მდიდარი ქვეყანა, ქვეყანა ვაჭრების, ბედის მაძიებელთა, სხვადასხვა მიზეზებით და მიზეზებით გარდახვეწილ, შემთხვევით თავმოყრილ ხალხთა რესპუბლიკა, რუსეთს მხარში ამოუდგავა. იქ ხომ ყველაფერი დოლარით იზომება და დოლარის ადღს სხვა გზა არ შეეძლო მოენახა.

საკვირველია ინგლისი. მართალია, გეოგრაფიულად იგი მოცილებულია ევროპის ხმელეთს, მაგრამ მთელი თავისი არსებით, სასიცოცხლო ინტერესებით, კულტურით, ცივილიზაციით, ისტორიით, ევროპასთან განუწყურებლად შეკავშირებულია.



იმდენად ძლიერია ეს შემთავსებელი ძაფები, რომ ევროპის გარეშე მისი არსებობა არამც თუ გაუმართლებელი, შეუძლებელიც იქნებოდა.

ინგლისი გაჰყვა ევროსტურ ზრახვებს. ბატონობის შენარჩუნების მიზნით, რუსეთთან გადაბმით ცდილობს თავის გადარჩენას. მაგრამ დიდი კითხვით ნიშანი უკვე დასმულია კარგა ხანია და სდგას მაგრად: გადაირჩენს კი თავს ინგლისი?

იგი ცეცხლითა და მახვილით ებრძვის დღეს იმ ვებერთელა კულტურისა და ცივილიზაციის აკვანს, რომლის შექმნაში მასაც დიდი წილი მიუძღვის.

დასავლეთში არ წყდება ევროპის ბედი. ევროპის ბედი უნდა გადაწყდეს აღმოსავლეთის ველზე.

ინგლისი და ამერიკა ასუსტებს ევროპას, შესაძლებლობას აძლევს რუსეთს შეისვენოს, უკანასკნელი ძალები მოიკრიბოს ევროპაში შემოსასვლელად.

თუ ტამბოვისა და სარატოვის გლეხი, ჩაიდანით ზურგზე, ევროპაში შემოიჭრა და აქ „წესრიგის“ დამყარებას შეუდგა, ეს ნიშნავს ევროპის განადგურებას, მის სიკვდილს, საუკუნოებით შექმნილ კულტურისა და ცივილიზაციის გაჩანაფებას, მოსპობას და რუსული მონობის გაბატონებას.

ხოლო თუ ევროპამ გაიმარჯვა, ეს ნიშნავს დასავლეთის კულტურისა და ცივილიზაციის გადარჩენას და ამავე დროს რუსული მონობის მოსპობას.

ან ევროპამ უნდა გაიმარჯვოს, ან რუსეთმა, მესამე შესაძლებლობა გამორიცხულია, როგორც ამას ამ 50 წ. წინ რუსი ისტორიკოსი ლეონტიევი ვარაუდობდა: მომავალ მსოფლიო ხანძარში რუსეთიც და ევროპაც ერთად უნდა დაიღუპოსო.

ილია მურომეცის ქვეყანა, კარგა ხანია რაც დასავლეთში იქტირება გადმოსახტომად.

ჯერ კიდევ 1914—18 წ. ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთი ომში ჩაითრია ოქროს დიდი სესხით და შემდეგ იმ დაპირებით, რომ კონსტანტინეპოლს მიაერთებდა უსაზღვრო ველების იმპერატორს და ზედ ბალკანეთსაც უთავაზებდა. თუ ეს ვაბერილი გაუმართლებელი სურვილი არა, სხვა მიზეზი არა ჰქონდა მაშინ რუსეთს ომში ჩარეულობა.

ამოდენა ტერიტორია ხელში გეკავოს მოუვლელად და დაუმუშავებლად, როგორც რუსეთის ყოფილი იმპერია იყო და კიდევ სხვის წავლევჯას ფიქრობდე, მართლა რომ ლეთის წყრომაა.

ნამდვილად კი ინგლისი და საფრანგეთი, როგორც შემდეგ გამოირკვა ყასითად პირდებოდნენ რუსეთს ამ დიდ და გემრიელ ლუკმას.

თუმცა შემდეგი ამბები სხვანაირად დატრიალდა და რუსეთს თავისი ჭირი გაუჩნდა — კომუნისმი. ამ აღრევის დროს ბევრი სანაპირო ქვეყნები ჩამოსცილდა მას. პატარა მამაც და გმირ ფინეთიდან მოყოლებული კარპატებამდე და მთელი ამიერკავკასია: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი. მართალია ინგლისის დახმარებით რუსეთი სამი წლის შემდეგ ხელმოკრედ შემოიჭრა ამიერკავკასიაში, მაგრამ ევროპიდან იგი მაინც საკმაოდ მირეკილი დარჩა.

ყველას კარგად ახსოვს დღევანდელი ომის დაწყების წინ რუსეთის „კატმოყვარე“ და „მშვიდობიანი“ სახე. როგორ უმიზეზოდ დაესხა თავს პატარა ფინეთს. გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების, ბალტიის სახელმწიფოების თვალდახუჭული გადაყლაპვის შემდეგ, როგორი მაღიანი ნერწყვით უთვალთვალებდა ევროპის ომს.

კრემლის ბატონების ანგარიში იყო მარტივი: გერმანია და ინგლის-საფრანგეთი ერთმანეთს თავ-პირს დაამტკრევენ. ამის შედეგად ან რევოლუტია მოხდებოდა აქ, ან და გაადვილდებოდა იარაღით შემოსვლა.

ჯულაშვილი საერთო ანგარიშში იმასაც კარგად ვარაუდობდა, რომ დასავლეთის კომუნისტური პარტიები საკმაოდ ხელს შეუწყობდნენ ევროპის კომპანიის ჩატარებაში.

მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი ამბავი კრემლის ბატონისათვის, ევროპის ომი ერთ წელში გათავდა და გერმანია მიუბრუნდა თავისა და ევროპის ნამდვილ მტერს — რუსეთს.

რას წარმოადგენს რუსეთი და რა მოაქვს მას?

ჯერ ერთი, რუსეთი არც აზიაა და არც ევროპა. იგი ევრაზიაა.

მართალია რუსეთი აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან თანაბარი სიხარბით სესხულობდა კულტურის მიღწევებს, მაგრამ იგი დარჩა დღევანდლამდე თავის თავთან, თავის ნამდვილ სახეობასთან, თავის მონადურ ბუნებასთან.

დასავლეთიდან მის ჭაობიან, ამორფულს სხეულს, არაფერი შეერგო, ხოლო აღმოსავლეთიდან მხოლოდ მონადური, მონღოლური სახელმწიფოებრივი წყობის ფორმები შეისისხლნორცა.

რუსეთის ეროვნულად ჩამოყალიბების და გამოკვეთის პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. არ კმარა ენა, ტერიტორია და სახელმწიფო გქონდეს. საჭიროა მკვეთრი ეროვნული ცნობიერი ცხოვრება და საკუთარი სულიერი კულტურის დიდი მარაგი გაგაჩნდეს. ეგ მარაგი უნდა წარმოადგენდეს იმ დულაბს, რაც ეროვნულ სხეულს ერთ განუწყვეთელ ერთეულად აყალიბებს, გარკვეულ გეოგრაფიულ ფარგალში. რუსეთს არც ეს ცნობიერი ცხოვრება გააჩნია და არც ეს ფარგალი.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს რუსეთის 25—30 წ. უკანასკნელი ისტორია. ეს ისტორია საყვარელი ვინელებით, უცნაურობით, სისხლით, ადამიანისათვის ელემენტალური უფლებების აყრით, ოჯახის დანგრევით, ადამიანის სულის დაკვლით, აზროვნების მოკვლით, ერების დაპყრობით და მსოფლიო ბატონობისთვის ბრძოლაში გეგმებით.

ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ რუსეთმა ევროპის შიგნიდან ასაფეთქებლად ამ 25 წ. მანძილზე მილიარდები დახარჯა. შორეულ აღმოსავლეთისა, ჩინეთსა და ინდოეთის მიმართაც არ იყო გულგრილი, ხოლო ისპანიის სამოქალაქო ომში ჩაჰყო ხელი დიად და აშკარად.

აი ეს რუსეთი სარგებლობს დღეს შემთხვევით, 25 წ. განმავლობაში ნაშენები გეგმა გაანაღდოს, ინგლის-ამერიკის დახმარებით ევროპაში შემობრძანდეს.

თუ რუსეთი ევროპაში შემოიჭრა, ამით დაიწყება ახალი მონობის ერა მთელი დასავლეთის ისტორიაში. ინგლისი რომ ოინბაზობით თავს ვერ გადაირჩენს, — ეს ცხადია, ხოლო რა დემართება ამერიკის ვაჭრების რესპუბლიკას ამას უკვე მნიშვნელობა არავისთვის აღარ აქვს.

რა მოაქვს რუსეთს, რომ ევროპა ასე თავგამოდებით ებრძვის? იმაზე მეტს რუსეთი ევრაჟის ვერაფერს მისცემს, რაც მას თვითონ გააჩნია.

ეს არის პიროვნული, საზოგადოებრივი და ეროვნული თავისუფლების აბსოლუტური მოსპობა. საკუთრების გაუქმება ყოველგვარ უძრავ-მოძრავ ქონებაზე. ყველა „მეგობარ“ ერების სახალხო მეურნეობის კრემლის საერთო გეგმაზე დაქვემდებარება. ადამიანის გარდაქმნა ისე, რომ მას არც საკუთარი და საზოგადოთ არც არავითარი აზრი არ გააჩნდეს, რადგან დამტკიცებულია უკვე რომ, უაზრო ადამიანი გენერალურ ხაზს ერთგულად მისდევს. რევოლუციონური სინიდიის მიხედვით კოლექტიური სიკვდილის დაკანონება. სიკვდილით დასჯილ ადამიანთა ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ მათ მადლობა გამოუცხადონ ხელისუფლებას უმაღლესი სასჯელისათვის. რადგან ამით მან შეიძლება სიკვდილს გადაარჩინოს შვი-



ლი, დედა, მამა, ცოლი ან სხვა რომელიმე ახლო ნათესავი; ხოლო ამ ნათესავებმა პრესის საშუალებით ან საჯარო კრებაზე სიხარული უნდა გამოსთქვან იმის გამო, რომ მისი ძმა თუ მამა დახვრიტეს ან უვადოთ ციხეში გადაასახლეს.

„მეგობარ“ რესპუბლიკის ყველა მწერალმა და პოეტმა ჩეკის რეკეტის მიხედვით უნდა სწეროს მხატვრული ნაწარმოები. არცერთი მწერალი ან პოეტი ისე არ უნდა დაეარდეს, რომ ერთი ოციოდე ნიჭიერი ხობტა არ დაუწეროს ამნ. ჯულაშვილს.

ყოველგვარი სარწმუნოების აკრძალვა მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ ომის პირობებში ყველა სარწმუნოების აღიარება ხალხის კეთილდღეობის წარმატებად. მიტროპოლიტიდან, კათალიკოსიდან, მუფტიდან მილოცვისა და კურთხევის მიღება. ჩვენ შეგვიძლია კიდევ ბევრი რამ დავასახელოთ, მაგრამ ესეც საკმარისია.

ეს არის რუსული კომუნისმი. ამერიკელებისა და ინგლისელებისათვის ყოველივე ეს შეიძლება შესანიშნავი იყოს, მაგრამ ევროპისათვის და საზოგადოთ კულტურული ერისთვის საშინელება იქნებოდა.

აი რატომ ებრძვის ევროპა გერმანიის მეთაურობით რუსეთს და ყველა მათ, ვინც რუსულ კომუნისმს გვერდში უდგას.

აი რატომ არის რომ ქართველი მოხალისე ლეგიონები ევროპას ამოუდგენენ იარაღით ხელში.

დღევანდელი ომი არაა მხოლოდ საზღვრების გადაწვევად მოწყვეტის ამბავი. აქ საქმე გვაქვს დიდ სოციალურ, ეკონომიურ და მორალურ ღირებულებების დაპირისპირებასთან.

ამ დიდი სტილის ამბების ვითარებაში ქართველობას გარკვეული პოზიცია აქვს არჩეული. ეს პოზიცია ნაკარნახევია მხოლოდ და მხოლოდ ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

რუსეთი საუკუნეზე მეტია დაუძინებელ და მოსისხლე მტრად გადაექცა საქართველოს. მისი დამარცხება ჩვენთვის, ჩვენი ყოფნაარყოფნის საკითხთან არის დაკავშირებული.

ის ვინც რუსეთს ებრძვის, ჩვენ მისი ერთგული მოკავშირე ვართ და ვიქნებით ბოლომდე. ამ შემთხვევაში ჩვენთვის არავითარ იდეოლოგიას და დოქტრინას არა აქვს მნიშვნელობა.

საქართველო 2.000 წელია არსებობს და ბრძოლით მთარღვევს გზას ისტორიის დიდ შარა-გზაზე. ლა თუ ჩვენ, ჩვენს მიწა-წყალს შევრჩით და ჩვენმა მიწა-წყალმა ჩვენ შეგვიჩინა, ეს მხოლოდ იმიტომ რომ მკვირივი ეროვნული სხეული და მაგარი ხერხემალი გავვაჩნდა.

ერთ რამეში ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რაც არ უნდა მოხდეს დღევანდელ მსოფლიოს ხანძარს არ შეიძლება გადაურჩეს რუსული კომუნისმი, რომლის სახელი იმაზე უფრო სამარცხვინო დარჩება ისტორიაში, ვიდრე იყო მონობა.

ი. გურული

ს ი მ ბ ო ლ ი შ მ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა სიბრძნე, სიმღიღრე, სიუხუცე, სიყმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, მძლევა მებრძოლთა მძლეობა ვისცა ეს სრულად არა სჭირს აკლია მიჯნურთ ზნეობა“ *) რუსთაველი

შემომქმედი, მკვლევარი (დიდი იქნება იგი, თუ პატარა) მიჯნურსა ჰვავს.

მართალია, „თვალად სიტურფე“ არა ჰმართებს კალმოსანს, მაგრამ ყველა სხვა თვისებანი „მიჯნურთ ზნეობიდან“ მისთვის ისევე აუცილებელია, როგორც რუსთაველის მიჯნურობისათვის; უპირველესად კი სიბრძნე და მოცალეობა.

მე არც სიბრძნე „შვირს“, არც მოცალეობა და თუ მაინც კალამი ამიღია, ისევე იმ სიღულტურის დაუსრულებლობის შიშით, რომელმაც ეს სიკეთენი გამოგვარიდა...

როგორც დიდი არ უნდა იყოს სურვილი, როცა არც ერთი საჭირო ტექსტი ხელთ არა გვაქვს, როცა მესსიერებაც შეღახულია სამი წლის მანძილზე განვლილ საშინელებათა ნაკვალევით, ძნელია რაიმე ღირებულად შექმნა. ამიტომაც წინამდებარე ნაწერი ნაკვლევის უფლებას არ იტოვებს და მოგონებისებურ ფრაგმენტებს ემსგავსება.

მართო იმედი, რომ დასაბუთებას თუ არა, გულში ნადების თქმას მაინც შევძლებ, მაძლევეს სითამამეს, ვწერო.

ბოდიშის მოსახდელად კი კიდევ ერთს მოგახსენებთ: „სიყვარულმა მათქმევიწინა, თორემ ჩვენ ვინ, ლექსი ვინა.“

1.

ქართული პოეზიის გოლიათებმა: ილიამ, აკაკიმ და ვაჟამ — ისეთის ძლიერებით დაიჭუნეს თავის დროზე, რომ თუმცა მათი შემოქმედებითი ზენიტი მე-19 საუკუნეშია, მაინც ჩვენი საუკუნის პირველი 15 წელიც მათი პოეტური ბატონობის წლები იყო. მრავალი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი შემომქმედი ამ პერიოდისა ისე შთაინთქნენ სამ მომხიბვლელ ნაკადად მომდინარე პოეზიის ტალღებში, რომ პატარა კუნძულებად მოსჩანან ისეთი პოეტური პოტენციისა და ტალანტის მქონენიც კი, როგორც გრ. აბაშიძე და მ. გურიელია.

*) ამონაწერები ყველგან ზეპირია და შეცთობათაგან დაუზღვეველი. ხაზგასმა ყველგან ჩემია.

ასე ყოფილა მუდამ: მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები შთანთქავენ ხოლმე თანამედროვეთ, ხშირად უფროს და უმცროს თაობებსაც. მაგრამ როგორი დიდებული და აზავებულნიც არ უნდა იყოს შემოქმედებითი მდინარება, იგი წყალგამყოფს წააწყდება მაინც. ერთი ასეთი წყალგამყოფი ქართულ ლიტერატურაში 1910-სა და 20 წლებს შუა უნდა ვეძიოთ. კერძოდ 1915-16 წლებში გარკვეულად იჩინა თავი ახალმა მიმდინარეობებმა; აქედან იწყება ე. წ. უახლესი ქართული ლიტერატურა, რომლის დასასრული მიჯნა ჯერხნობით არა სჩანს.

მართალია, საბჭოეთი შეეცადა ხელოვნური წყალგამყოფი შეექმნა — ჯებირებად აღმართა ათასი დაბრკოლებანი, რომელთა დანიშნულებაც მხატვრული ლიტერატურის მდინარებათა ნაძალადევი შეცვლა იყო, — მაგრამ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალას თავისი გააქვს, ხელოვნებაში იგი უძლურია. ჯებირი მდინარეს დროებით შეაჩერებს, მაგრამ ვერ შეცვლის კი. მდინარე ან გვერდზე გაუსხლტდება, ან თავს გადაეგლება, ანაც თვით ჯებირში გამოიჭონვის და თავის გზას კი გააგრძელებს. იქნებ ამიღვრეს კიდევ ამ წვალებაში. ჯებირის ნახლეჩი რომ გამოიყოლოს, მაგრამ მალე დაიწმინდება ისევე და წავა თავისი გზით.

უახლოვსი ქართული ლიტერატურის საწყისი წლები დაემთხვა რთულ პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებს. ეს იყო პერიოდი ათასი — იზმებისა. დედამიწა სამშობიარო სარეცელზე იყო გაკრული და უჩვეულოდ ბორგავდა (არც თუ უბრალოდ: ასეთი საშინელი ტყუბი არასოდეს უშვია მას!). შესაბამისად მხატვრული შემოქმედებაც ამ პერიოდის იმდენად მრავალფეროვნია, რომ ძნელია რომელიმე ერთი პრინციპით მისი განხილვა. ერთში ვართ მხოლოდ ღრმად დარწმუნებული, — მიუხედავად მრავალი დაკნინებულისა (პროლეტარული მწერლობა), ავადმყოფურისა (ფუტურისმი) და უფრო გვიან-სამარცხვინოსი (საბჭოთა მენობტენი), — ამ პერიოდმა მოგვცა ისე-



თი მომხიბვლელი მწვერვალები, ცალკე პოეტური პიროვნებებისა თუ სკოლების სახით (გრიშაშვილი, გალაკტიონი, რობაქიძე და „ცისფერი ყანწილები“, „არიფონის“ ჯგუფი და კონსტანტინე გამსახურდია), რომ უსათუოდ ღრმა კვალს დასტოვებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ამ მრავალფეროვნებაში მკაფიოდ გამოირჩევა გარკვეული ლიტერატურული მიმართულება — სიმბოლიზმი. იგია ყველაზე მძლავრი მოძრაობა ამ პერიოდის საერთოდ პოეზიაში გაბატონებული.

ამაოდ უკეთესობიდან ქართველ სიმბოლისტებს სიმბოლიზმის დრომოქმულობაზე, პოეზია მარად ძველია და მარად ახალი. ასე, ძველი სიხალე შეიტანეს მათ ქართულ პოეზიაში. მათ სათანადო ნიადაგი ჰქონდათ უთუოდ და მკვიდრადაც, მოიკიდეს ფეხი.

2.

მთავარი წარმომადგენლები ქართული სიმბოლიზმისა არიან გ. ტაბიძე და „ცისფერ ყანწილთა“ ძმობა გრ. რობაქიძის მეთაურობით.

გალაკტიონ ტაბიძე ერთი უდიდესი ფიგურათაგანია უახლოეს ქართულ პოეზიაში.

არასოდეს ასეთის სიმსუბუქით და დამატორობელი მუსიკალობით არ აუღერებულა ქართული ჩანგი. მიუხედავად სეველის უსაზღვროებისა და ცრემლებისა, —

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ისმის ყოველ სტრიქონში. განუთმეორებელი სიმარტივეთ და სილამაზით აგებს იგი ლექსს. მისივე ლექსები ამართლებენ სიტყვებს ლექსიდან „პოემა ვეფხისა“:

„ბევრჯელ იცვალა დრო და ბუნება,
ისარი გულზე ვის არა სოდეს.
იყო მრავალი ვანადგურება,
ლექსთა სიკვდილი კი არასოდეს“...

მაინც: თუმცა გამონაკლისს გარდა მის პოეზიაში ვერ შეხვდებით ღრმა ვაზარებებს, გრანდიოზულ თემებს, — თავისის მსუბუქი ყოვლის შემცველობით, სინატიფით და ძნიად სახილველი სიღრმით, უკვდავებს იჩემებენ მისი ლექსები.

„გულო, ოცნებას მალავ.
ცაო, ლურჯდება ზოლი.
ვაჟი: დაიცა ქალავ.
ქალი: დაგიბრმეს თოლი.
შორით ბრუნდება წყალი,
ნისლი იცრება მთაში;
არა, ჩურჩულებს ქალი.
კარგი, ამშვიდებს ვაჟი,
გულო, ოცნებას მალავ.
ცაო, ლურჯდება ზოლი.
ისევ: დაიცა ქალავ,
ისევ: დაგიბრმეს თოლი“.

აქ ტკბილი მუსიკით და ყალმის მსუბუქი თამაშითაა დახატული მარადი სურათი ქალგაყიანისა. რამდენად მეტია იღუმალეობა, რამდენადაც უფრო დაფარულია აზრი თქმითა შორის, — იმდენად უფრო ადვილად მიდის იგი გრძნობიერებამდის, ოღონდ მეტის სიძლიერით უსათუოდ.

ლექსი თავისებური რამაა და მკითხველს გარკვეულ ოსტატობასთან ერთად გრძნობის მექანიკა მოეთხოვება. მოვიყვანოთ თუნდაც ეს ნაწყვეტი:

„ვადაფრენას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს;
გაანათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს.
ასე მიდის ეს ზამთარი
წუწკი, დაუღვეარი.“

ასე ჰკივის საზანდარი
ლაშქების მთეგარი“...

ამ სტრიქონებს შეუძლია გაუგებარი უქმყოფილება და მხურვალე ალტაცებაც გამოიწვიონ სხვადასხვა მკითხველში.

ვინც გალაკტიონის, საერთოდ სიმბოლისტური, ლექსის მანიშნებელ იღუმალეობას ჩასწვდომია, მხოლოდ ის დამეთანხმება, რომ ქუთაისზე უფრო ლამაზად ჯერ არავის უთქვამს, ვიდრე:

„წყალტუბოდან ქუთაისში მიმავლო ქარო!
თუ მაისის ქუთაისმა გკითხოს: ვინა ხარო?
უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ
არ უთხრა კი — ვისი.
თვითონ იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი“.

მის ცრემლებით, სავე პოეზიაზე, წამებისა და იღუმალეობის თეთრ ლაშქებზე, ცისფერისადმი, უცნაურისადმი, ქარტახილებისადმი ლტოლვაზე, გულის მომკვლელ ამოძახილზე,

„რისთვის გამზარდა დედამა,
რისთვის მეტყუდა ნანასა“.

აკვითინებულ სტრიქონებზე:

„ათოვდა ზამთრის ბაღებს.
ცა იყო უპირქუბო.
მიჰქონდათ ისევ კუბო,
ათოვდა ზამთრის ბაღებს“...

ხანაც ანაზღიფულად გამომკრთალ ღიმილზე (წინააღმდეგობა პირველი ნიშანია სიმბოლიზმისა), ცისარტყელასავით რომ გამოჩნდება და ბარათაშვილისეულ მერანს მოაგვლევებს მაშინ პოეტი, — აქ სიტყვას არ ვავაგრძელებთ. პოეტის მტერ მოყვარეთაგან ბევრი რამ თქმულა თავის დროზე, დამკვიდრებულა წლების მანძილზე და ახლა შორეთიდან, ამ პირობებში, როგორი დიდიც არ უნდა იყოს სიყვარული, ძნელია შეეჭიდო შემცდარს, ანაც შეჰმატო მართებულს.

კვერს დაეუკრავდი მხოლოდ პოეტს: მართალი იყო იგი, როცა ამბობდა:

„ვიცან გალაკტიონ შენი აკტეონი“...
(ლექსიდან; „როცა აკტეონი“...)

საბჭოებმა მოინდომა გალაკტიონის გასაბჭოება. ყველაზე მაგრად ხელი ჩასჭიდეს ლექსებს ოქტომბრის დღეებზე, მაგრამ იგი აქაც სიმბოლისტია.

მას იტაცებდა არა ოქტომბრის იდეები, არამედ მსოფლიო ნგრევის გრანდიოზული ორკესტრი, საშინელებათა ქარტახილი.

ასევე უმართებულა, მისი შემოქმედების ორ პერიოდად დაყოფა. მთელი გასაბჭოების შემდგომი შემოქმედება პოეტისა ან ვაგრძელება ერთხელვე აუღერებელი ჩანგისა, ანაც შემოქმედებითს სიკვდილს უფრო მოასწავებს, ვიდრე ახალ პერიოდს მის შემოქმედებაში.

ამ აზრისათვის ერთგვარი ნათელის მოსაფენად, ზედმეტი არ იქნებოდა, მკითხველისათვის მოგვეთხოვო ერთი შემთხვევის შესახებ, რომელიც მჭერმეტყველოურად უჩვენებს, თუ როგორ იქმნებოდნენ ხშირად „ახალი“ ლექსები. მე მქონდა შემთხვევა დაბეჭდვამდის გაცნობილი გალაკტიონის ორ ლექსს.

მომყავს ნაწყვეტი:

„ამწვანებული მდელი, აყვავებული მთები
ჩემო ლექსებო ძველო, გქონდათ არწივის ფრთები,
რუსთაველი და — მშვიდი? დამშვიდება და-ვაჟა?
აწმყოს დიდება დიდი, და დღეს მომავალს ვაჟა!“...



„მთავორების ზემოდ,
მყინვარებთან ახლო
აგაშენე, ჩემო
მშვენიერო სახლო“.

„მზრუნველებმა“ ამ სტრიქონებში საშიში აზრი დაი-
ნახეს, ლენინის ორდენისანი პოეტისათვის შეუფერებელი
და... სწორედ დიდის ამბით ჩატარებულ იუბილეს დღეს
ასეთის შესწორებით იქმნენ დაბეჭდილი:

ამწყანებული მდელიო, აყვავებული მთები.
ჩემო ლექსებო, მუდამ გქონდეთ არწივის ფრთები“.
„მთავორების ზემოდ,
მყინვარებთან ახლო
არ გაშენებ, ჩემო
მშვენიერო სახლო“...

პირველი შესწორებით მოისპო პოეტის გულწრფელი
აღიარება, რომ მისი ძველი ლექსები იყვნენ არწივის
ფრთიანნი, — ეს ხომ ახალი — საბჭოთა ლექსების თავი-
სებური უარყოფა გამოდიოდა. არ დართეს ნება...

რომ აქ მართლაც შესწორებასთან გვაქვს საქმე, იქიდა-
ნაც სჩანს, რომ ლექსის პირვანდელი აღნაგობა დარღვეუ-
ლია; დაუკვირდით შინაგან რითმებს: **მდელიო — ძველო —**
შვიდი — დიდი პირვანდელ წყობაში და შესწორების
შემდეგ: მდელიო — მუდამ!... ვინ გაჰბედავს, რომ გალაკ-
ტიონს მიაწეროს ეს რითმები, გალაკტიონს, რომლის
პოეზიაშიც მუსიკა იყო უპირველეს ყოვლისა.

მეორე შესწორება, უფრო მსუბუქის ხელისმოსმით გა-
კეთებული (რადაც ორი ასოს ჩამატებით), სულ ერთიანად
ცვლის ლექსის აზრს.

პოეტი ამბობდა, რომ მისი მშვენიერი სახლი მას აუშე-
ნებია მთავორების ზემოდ, მყინვარებთან. ცხადია, მშვე-
ნიერ სასახლედ, გულისხმობს თავის პოეზიას, რომელიც
მართლაც საზოგადოებიდან განდგომილებაში — მყინვა-
რებთან იქმნებოდა.

აქედან: უარყოფა იმისა, რაც „ბარში“ **ააშენებინეს.**

შესწორების შედეგი ნათელია — ისე მკაფიოდ განხსე-
ვდებიან **აგაშენე და არ გაშენებ.**

მაინც აქაც წარმოიშვა ერთგვარი შეუსაბამობა: თუ
პოეტს განზრახული ჰქონდა თავისი მშვენიერი სახლის
ადგილსამყოფელობა მკითხველისათვის გაცნო, რა თქმა
უნდა, იგი პირდაპირ ამ ადგილს დაასახელებდა, ხოლო
იმისი აღნიშვნა თუ სად არ ააშენებს, არაფერი საქირო
იყო.

არ ვიცი ეს შესწორებანი პოეტთან შეთანხმებით მოხდა
თუ არა, ამას არსებითად არცა აქვს მნიშვნელობა. ლექსე-
ბის პირვანდელი ტექსტი კი საკუთარის თვალთ წამიკით-
ხავს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში.

მე სწორედ ლექსების იმ აზრმა აღმაფრთოვანა, რომე-
ლიც შემდეგ გადასწორეს; იქვე გავიზებირე ისინი და,
როცა მეორე თუ მესამე დღეს გაზეთის ახალი ნომერი გა-
დავთავალიერე; გაწბილებული დავჩინი. მიტომაც დამამახ-
სოვრდა სათანადო ადგილები.

ფეიქრობ, ნათელი უნდა იყოს, თუ როგორ ქმნიდნენ
მეორე პერიოდს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში.

3.

ქართული სიმბოლიზმის, როგორც ლიტერატურული
სკოლის უშუალო გამოვლენას „ციხფერი ყანწელები“
წარმოადგენენ. მაინც და არა გ. ტაბიძე.

„ციხფერი ყანწელები“ გარკვეული პროგრამით, მანი-
ფესტებით და დეკლარაციებით მოველინენ ქართველ
მკითხველს, რითაც გარკვეული შფოთი და ხმაური გა-
მოიწვიეს თავიდანვე.

სულის ჩამდგმელი და მამამთავარი ამ მოძრაობისა გახ-
ლდათ **გრინგოლ რობაქიძე.**

„იგი ქურუმი მზისა, ნამდვილი ქურუმი!“ ამბობდა
რობაქიძეზე ჩვენი დიდი ხელოვანი კოტე მარჯანიშვილი.

თუ გალაკტიონი დაუოკებელი მუსიკის პოეტია, რო-
ბაქიძის ლექსების მუსიკალური მდინარება ოსტატი დი-
რიჟორის მკაცრი ხელითაა დამორჩილებული, რაიც უწ-
ვეულო მომზიბველობას აღწევს თავის მხრივ.

მკვეთრი თქმები; სამკაულები, რომლებიც უძვირფასე-
სი მძიმე ლითონების შთაბეჭდილებას სტოვენენ; დახვე-
წილი, მკვიდრად ჩამოსხმული სტრიქონები, უაღრესად
ლაკონური ენა.

სონეტს ქართულ პოეზიაში რობაქიძემ მოუპოვა მოქა-
ლაქეობრივობა.

ქართულ ლექსს თუ ქალს შევადარებთ — არასოდეს
მას არ ცმია უფრო მდიდარი კაბა. გრიშაშვილიო იტყვის
ვინმე, მაგრამ თუ გრიშაშვილისეული ლექსები ახალი
ქალიშვილობის მსუბუქსა და ფერადოვან სამოსშია გახ-
ვეული, — რობაქიძისეული კაბა — ატლასი დინჯი ფე-
რებითა და ძვირფასი თვალებითაა შემკული, ბაგრატიონ-
თა სადედოფლო სამოსის დარად. ძნელად თუ შეხვდებით
სხვაგან სიტყვათა იღუმალების ასეთ შეგრძნებას. აქ სიტ-
ყვა ბატონობს ყოველზე.

რობაქიძის შემოქმედებას ვერ დაჰყოფთ პოეზიად, პრო-
ზად, დრამატურგიად. მისი ლექსები თუ „გველის პერან-
გი“, „ლონდა“ თუ „მალშტრემ“, „ლამარა“ თუ ის, რაც აქ
უცხოეთში დაწერილია ერთი მთლიანია, განუყოფელი.
ერთი დიადი იღუმალემა ჯადოქარის ყალბით დაჭატუ-
ლი. ყველგან იგივე პოეტური სიძლიერე, ყველგან იგი ენა
განმაცვიფრებელი, თავისებური ენა რობაქიძისა.

მაინც ამ მთლიანობაში გამოირჩევიან ისეთი თვალშეუ-
წყდენელი მწვერვალები, როგორც „ლამარა“ და „გვე-
ლის პერანგი“.

მარტო ეს ორი ნაწარმოები საკმარისი იყო, ბრწყინვა-
ლე ადგილის მოსაპოებლად ქართული პოეზიის პარნასზე.
კადნიერება იქნებოდა ჩემის მხრივ, რომ ამ პატარა წე-
რილში ამ დიდებულ ნაწარმოებთა შესახებ მსჯელობა
დამეწყო.

აღვნიშნავ მხოლოდ, რომ განსაკუთრებით ახლა უფრო
ძვირფასია ქართველი მკითხველისათვის პოეტის გრძნეუ-
ლი დიფირამბები ქართული სისხლისა და რასის შესახებ.

სისხლი მომდინარე შორეულ წინაპართა ძარღვებიდან,
სისხლი გაქვდნითილი მშობლიური მიწის სურნელებით
აღსავსეა იღუმალებით, თავისთავადი ძალით სისხლი პირ-
ველი ნიშნისა რასისა. სისხლი აბორგებს არჩიბალდ მე-
კემს, უცხოდ აგრძნობინებს თავს სხვა რასის ხალხთა შო-
რის.

**სისხლი, პირველსარისხოვანი ქართული ციხფერი სის-
ხლი უხმობს მას საქართველოსკენ.**

ქ. მარჯანიშვილმა „ციხფერ ყანწელ“ პოეტებს მზის
მოგვები უწოდა, გრ. რობაქიძეს კი ქეშმირიტი ქურუმი
მზისა. ვიმეორებ რა ამ სიტყვებს, თანაც ვბედავ აღვნიშ-
ნო, რომ ზღვარსაც ვბედავ მე რობაქიძესა და დანარჩენ
„ციხფერ ყანწელთა“ შორის: გარდა იმისა, რომ მისი პოე-
ტური პიროვნება უფრო ადრე ჩამოყალიბდა; იგი თითქოს
არ ეტყევა იმ ფორმულაში, რომელიც „ციხფერ ყანწელთა“
სკოლამ მისი მეთაურობით შეიმუშავა, იგი უფრო მრავ-
ალმხრივია და მყინვარის სილიადით ამართული ცალკე
დგას უახლოეს ქართულ პოეზიაში.

საბჭოთა ძალმომრეობას ზვიადი უტეხობით შეხვდა შე-
სანიშნავი პოეტი და პიროვნება. წლების მანძილზე დარჩა
იგი საბჭოთა გარემოცვაში; როგორც პოეზიის ბატონი,
თავისი გაუზზარავის პოეტური ხმით. მერმე კი გერმანიას
შეაფარა თავი: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა
მამაცისაგან“ —ო.

ჩემი თაობის პოეზიის მოყვარულთ, რომლებიც პოეტის
უცხოეთში წასვლის შემდეგ დაკაცდით, არ გვქონდა სა-

შუალეზა სისრულით დავმტკბარიყავით მისი ქმნილებებით. მართალია, ვეძებდით მას, ოფიციალურად აკრძალულს, საოჯახო წიგნთსაცავებში და ძველ ჟურნალებში, მაგრამ ეს მაინც არ იყო საკმარისი.

4.

„მკვარტლით საესეა ჩემი წილი ჩვენი ყანწების“...

პოეტური უშუალობით გამოირჩევა ტიცინ ტაბიძე თავის მოძმეებში.

სწორედ უშუალობა უმთავრესი მადლია პოეტისათვის და ვისაც იგი მიჰმადლებია ბრწყინავს უსამკაულოდაც, ფერადოვანია უფერებოდაც. მისი ლექსები არ გამოირჩევიან გარეგნულად, ვერც გალაკტიონის მუსიკალობას, ვერც რობაქიძის დიდებულებას, ვერ გაუწევინ ისინი მეტოქეობას. ზოგჯერ გიკვირთ კიდევ: შეხედავ ლექსს — არ ვარგა, დაუდევრად დაწერილი, წაიკითხავ, — არ ვაიწყებდა, სულში ჩავიდებრება და სადღაც იდუმალ სიმს ისე ძალუმად შეგიტოკებს, რომ ვაოგნებული რჩები. პოეტურ უშუალობაშია ის საიდუმლო, რომელიც ტიცინს ხდის ასე საყვარელ პოეტად.

თვით პოეტს მოვესმინოთ:

„მე დავბადე აპრილის თვეში, გაშლილ ატმების ყვავილებიდან. მაწვიმს სითერთე და წვიმის თქეში ცრემლი მგონია ჩემ თვალებიდან...
... მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს. ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს...
... იტყვიან ჩემზე: იყო საწყალი, ორბირის ფმანზე გაზრდილი ბიჭი; ლექსები იყო მისი საძალი, არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი...
... გაივლის წლები, და მე მოვკვდები, ამ ლექსს რომ დავწერ, ესეც დარჩება, ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს მეყოფა გამოსარჩლებად“...

მე არ მინდა კომენტარიებით დავამძიმო ეს ლოცვად აღვლენილი, სულიდან მონახეთქი სიტყვები. ყოველი მისი სიტყვა გრძნობითაა სულდამული. იგი ხალასი გრძნობის პოეტია.

მისი პოეზია სიმბოლიზმის ნამდვილი კაბადონია: ღვიწრო, მანტანი, დანეღა ურია, ეროტიზმი, ქლექი, წინააღმდეგობათა სიყვარული, სწრაფვა შორეთისაკენ — ქალდეა, მსუბუქი მისტიციზმი, თვითმკვლელობა — აი, უმთავრესი თემები პოეტისა.

„მტკვარი ახლოა და მე უნდა თავი დავიხრჩო“...

ამბობს ერთგან.

სხეგან, ალბათ თავისთავზე გაჯავრებული, რომ არ დაიხრჩო მაინც, ისევე იმეორებს:

„მტკვარი ცივია, და ცივ მტკვარში უნდა დავიხრჩო“...

რათა უფრო მკაცრად დაისაჯოს უკვე ცივ მტკვარში. ბოლოს კიდევ ერთხელ ეფიცება თამუნია წერეთელს, რომ უსათუოდ დაიხრჩობს თავს და თანაც ასე ლამაზად ამბეიდებს:

„მე ყაჩაღებმა მომკლეს არავგზე, შენ ჩემს სიკვდილში არ გიძევს ბრალი“.

ყოველივეს კი ასეთი დებულებით ამართლებს:

„მეარღნებესა და პოეტებს თვითმკვლელობაც ეპატიებათ“...

ეს ბავშური თამაში სიკვდილის პრობლემასთან ზოგს სასაცილოდ მოეჩვენება, მაგრამ სწორედ ეგ უდარდელი დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლისადმი არის ერთი წინააღმდეგობათაგანი, ასე დამახასიათებელი სიმბოლიზმისათვის.

უკიდურესმა ბოჰემურობამ პოეტი დადაიზმამდის მიიყვანა. მაგონდება ორი ნაწყვეტი „დადაისტური მადრიგალებიდან“:

ნეტავ მე ისე მიყვარდეს პოეზია, როგორც დედაჩემს საკუთარი მეწველი ძროხა“, „მე ვარ ლოთი დაითუ ამას დავუმატებთ, რომ სიზარმაცის

ნამდვილი ღმერთი ვარ, ჩემზე ეროვნული პოეტი არ ყოფილა საქართველოში“...

დარბაისელი მკითხველი გვისაყვედურებს უთუოდ: ჯერ პოეტს დაუშავებია, რომ ასეთი რამ დაუწერია, მაგრამ აქ რა მოსატანი იყო-ო, მე კიდევ ვანზრახ ვავისხენე ეს ადგილები, რადგან ეს თავაწყვეტილობა და უარყოფა საზოგადოებრივი ტონისა, ვარკვევით და ხმამალა თქმული, თავისებური პროტესტი იყო ოფიციალური, იმ შემთხვევაში საბჭოთა, საზოგადოებრივობისადმი...

საბჭოთა პერიოდში ტ. ტაბიძე მანამ განაგრძობდა ძველი გზით სიარულს, სანამ პრესის კარები საესებით არ დაიხურა ძველებურისათვის.

მერმე კი იწყება ცნობილი ჯამბაზობა. როგორც წესი — უნდა დაწერო რამე გასაბჭოებულო, რომ უღმობელთა გული მოიგო და შენთვის ძვირფასი ორიოდე ლექსი გააპარო. ასეთ წვალებაში ან ღუმელში გადიოდნენ წლები. მიუხედავად მრავალი გაკეთებული საბჭოური ლექსისა, პოეტის სიტყვები:

„ტიციან მქვიან, ვრჩები ტიცინად ლექსით და ყანწით ყველას მიტანით“ —

დღესაც ძალუმად ჟღერებს.

საბჭოთა კრიტიკაც ხედავდა ამას და საყვედურობდა: „ცისფერი ყანწლები“ არა ერთხელი დეკლარაციის მიუხედავად, ისევე ძველ გზაზე რჩებიანო“. ამისი საუკეთესო დადასტურება და თავისი ბედის უქნაური წინასწარგრძნობაა ლექსი „სერგეი ესენინ“.

„ცოდვია ამ ლექსს საფლავში გატან“ —

გულდაწყვეტილად ამბობს პოეტი და აცხადებს:

„ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში ჩვენი თავებიც სადმე ვავორდეს, ყველამ იცოდეს: რომ პოეტებში ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!“

უფრო ქვევით:

„ჩვენ ახლა სხვა დრო წამოგვეწია ჩვენიც ალბათ სადმე ჩავგაძალოებენო“

როცა გოეთეს სიტყვებს ვიგონებ: პოეტი დიდ ბავშვსა ჰგავსო, — გულში ვამართლებ, მუდამ ტიცინ ტაბიძე მიდვას თვალთწინ.

ოქროყანა უყვარდა მას. სიცხიან დღეებში თბილისის მუხუთულ ჰაერს გაერიდებოდა და ოქროყანას ესტუმრებოდა „ოქროყანის ოქროპირის“ დამწერი. ხეთა ჩრდილებში მწვანე მოლზე ნებივრობდა პოეზიაზე ფიქრებში გართული. და როცა საღამო ჟამს რუსთაველის გამზირზე ჩამოვილიდა თეთრ, წინ გასახსნელ ხალათს მწვანე ლაქები აჩნდა მოლისაგან და დაჰმუჭვნილი იყო უცნაურად.

სალილეზე უსათუოდ ყვავილით, ნელა მოაბიჯებდა იგი და ღიმილი ჰქონდა მას არაჩვეულებრივი, ღიმილი გულუბრყვილო ბავშვისა.

შინსახკომის ჯურღმულებმა მიიბარეს უშუალო პოეტის სათუთი სული...

5.

„მთვრალი პაოლო ხაშის ქვაბში კეპკას ხარშავდა“

ტ. ტაბიძე

ბაოლო იაშვილი სტიქიურობის პოეტია, წვრილმან განცდებს მის ლექსებში ვერ იპოვით, ვერც რთულ გააზრებებს. მისი ლექსი მოდის ნიაღვარივით, მსუბუქათ, უდარდელად. ერთი სტამბის მუშა მოგვითხრობს, რომ მეტი წილი ლექსებისა სტამბაშივეა დაწერილი, თუ ტიცინსი დაბეჭდვას მაინც უცდიდა, მისთვის ლექსი ძვირფასია



მხოლოდ დაწერამდის და თუ შუბლი გაცივდა როგორმე, სპობს ლექსს. — ეს იცოდნენ მეგობრებმა და დარაჯობდნენო.

თანაც ულექსოდ არ შეუძლია. ამიტომაც ამბობს ასე მძლავრად:

„გაგიუება სჯობს თუ გათავდა ლექსის მადანი“.

ბოჰემა ბუნებაა მისი.

იგი თამადა იყო მუდამ „ცისფერ ყანწელთა ძმობაში“. ყველა ეს უცნაურობა არ უშლიდა პოეტს, მაინც ღირსეული წვლილი მიეტანა ქართული სიმბოლიზმის პარანასზე. თანდაყოლილი ჯავარი ამშვენებდა მის ლექსებს.

მისი ლექსალობის სტიქიურობა ერთხელ კიდევ გამოჩნდა პუშკინის თარგმნისას. თარგმანს მუდამ შეეტყობა ხოლმე ნაწვალები, ნაოფლარი. პაოლოს თარგმანზე ვერ იტყვივით ამას. ორიგინალის სილალითა და სიმსუბუქით მოდის ლექსი.

„ხალხთა ნაციონალური შემოქმედებისადმი საბჭოთა მზრუნველობას“ ემსხვერპლა ბოჰემის დიდი რაინდი.

პოეტმა თავად მოიყვანა სისრულეში უეჭველი გენაჩენი (ბერიას ცნობილი სიტყვების შემდეგ).

6.

დაისების პოეტი იყო ვალერიან გაფრინდაშვილი, მართლაც რომ სიმბოლიური დაისებისა: სიგიჟე, ჭლექი, სიმახინჯე, სიყალბე, შავი მისტიციზმი — აი პოეტის მიერ არჩეული ორბიტი.

„ოფელია, ჰამლეტი, აშორდია, უ. ჩხეიძე, გრიშა აბაშიძე, მოუსვენარი ორეული — აი, მისი პოეზიის გმირები.

ორეული სარკეში, ორეული ოთახის ბნელ კუთხეში, ორეული საკუთარ სულში — სტანჯავს, მოსვენებას არ აძლევს პოეტს.

არცერთ ქართველ სიმბოლისტს არ შეუქმნია უცნაურ სახეთა ისეთი მკვიდრი სამყარო, როგორც გაფრინდაშვილს. იგი ბნელ მეტყველების ოსტატია უბადლო, — მან შექმნა გარკვეული სტილი ქართულ პოეზიაში. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სონეტის განმტკიცებაში, ვერც იგი აცდა უწყალო ხვედრს, მასაც ათქმევინეს ლექსები საბჭოთა სამოთხეზე.

ბედის მწარე დაცინვა იყო, როცა ლოგინად ჩავარდნილ პოეტს საპატიო ნიშნის ორდენი მისცეს.

დიდხანს არ ალოდინა თავის დროზე ისეთის სიძლიერით ნანატრმა სიგიჟემ. თითქოს მისმა პოეზიამ გამართლება ჰპოვა სიგიჟეში.

7.

ძმობის ყველაზე უმცროსი წარმომადგენელი გ. ლეონიძეა. მიუხედავად ამისა ლეონიძემ შესწორა საკუთარი პოეტური ხმა გამოიმუშავებია. თანაც ემჩნეოდა თავიდანვე, ახლოს იყო „ამ ქვეყნიურობასთან“. იაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ორივე ფეხით იდგა მიწაზე“.

იგი ლექსის ფორმით უფრო იყო დავალებული სიმბოლიზმისაგან. მოგაგონებთ რამოდენიმე სტრიქონს შესანიშნავი ლექსიდან „ნინოწმინდა“.

„ნინოწმინდა, პალატები მეფეთა,
გალაენებში ჯამი აქაფებული.
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ, ვეფხი დაქალღებული,
სახანდარმა ღამე ააცახცახა.
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა.
ცა ატმებით მსხმოიარე ჩახჩახა
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა“...

მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ სტრიქონების ავტორმა შემდეგში გააკეთა პოემა სტალინზე. მართალია, ერთბაშად არც იგი მისულა საბჭოეთთან. იგიც შეეცადა მუზეუმებში ჩაკეტილიყო, მაგრამ თუ გაფრინდაშვილს საბედისწერო დაცინვასავით დაჰკიდეს ორდენი, მან დაიმსახურა;

ამაზე მშვენივრად მეტყველებს ერთი ანონიმური ტაეპი:

„ათასად კაცი დაფასდა,
ასი ათასად რომანი,
ასის ნახევრად — გიორგის
გაძრომა გამოძრომანი!“

ეს მოსწრებული ეპიგრამა ელვისებურად გავრცელდა თბილისში, როცა ლეო ქიჩელის „გვადი ბიგვას“ პირველი ხარისხის სტალინური პრემია — 100000 მანეთი მიაკუთვნეს, ხოლო გიორგი ლეონიძეს „ასის ნახევარი“ — 50000 მან.

თბილისთან, პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში, სასაფლაოზე მოხეტიალეს შეაჩერებს ერთი სამარე.

სამარის თავთან ამართულ მარმარილოს დაფაზე შეამჩნევს იგი მეოცნებე ჭაბუკის დამატყვევებელ სახეს, უსაზღვრო ლაჟვარდებს რომ გასცქერის ცისკენ მიმართული თვალებით. და არაჩვეულებრივის მოლოდინში იქვე წაიკითხავს მართლაც უცნაურ სიტყვებს:

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა“...

ესაა და ეს. მეტი არაფერი წერია და არც საჭიროა. პოეზიის მოყვარული თავად წაიჭურჩულეს ტერენტი გრანელის ჟრუჟანტელის მომგვრელ სახელს, გულის ტკივილით მოიგონებს ამ ნაადრევად დაღუპულ გონებასა და სიცოცხლეს. იგი ქართული სიმბოლიზმის უმცროს თაობას წარმოადგენს.

აღბათ არ ცვდები, როცა მისი პოეზია მე წარმომიდგება გალაკტიონის მუსიკალობისა და ტიცინის უშუალოდ შიგნით. ორი ტაბიძის მემკვიდრედ.

უხანო იყო მისი შემოქმედება. — უწყალოდ შესწყვიტა იგი ჯერ სულიერმა დაავადებამ და მალე სიკვდილმა. მაგრამ ის, რაც მოასწრო, ლექსების სამიოდე წიგნი მან რომ დაგვიტოვა, დარჩება ქართულ პოეზიაში, როგორც დიადი დაუსრულებლობა.

პროლეტარულმა „კეთილშობილებამ“ ჭკუიდან შეშლილი პოეტიც არ დაინდო; ზიზლით ვიგონებ მაშაშვილის საცოდავ დაცინვას „პირდაუბანელი გრანელის ცრემლებზე“.

სიცოცხლეშივე გაქირდული პოეტის ცხედარი უჭირისუფლოდ არ დარჩა მაინც. გრანელისებური წვიმა სკრიდა, როცა „სულიდან საფლავების“ დამწერს სასაფლაოსაკენ მიაცილებდნენ ქართული მწერლობის შეფიხიანი რაინდი კონსტანტინე გამსახურდია და ხუთიოდე გულშემმატკივარი.

აუსრულდა მოწამეს ნატვრა:

„ირგვლივ საფლავებია და ზევიდან ფიქრები.
მახრჩობს მელახქოლია და ცისფერი სიშორე
რა ვქნა, ასე შგონია, ბედნიერი ვიქნები,
სადმე ახლო თბილისთან თუ სამარე ვიშოვე“...

8.

ბევრმა გულმართალმა და გულუბრყვილო ქართველმა მკითხველმა დიდი ხანია ხელი ჩაიჭნია იმ ქართველ სიმბოლისტებზე, რომლებიც, ერთის მხრივ რომაქიძისა და მეორეს მხრივ გრანელისაგან განსხვავებით, საბჭოეთს შერჩნენ და, ასე ვთქვათ, „საბჭოური ლექსები“ შექმნეს.

ერთის შეხედვით, ეს ხელის ჩაქნევა სამართლიანად მოგეგვენებათ. მართლაც და რა უნდა გვეთქმოდეს, როცა ტაბიძები, იაშვილი, ლეონიძე და თვით გაფრინდაშვილიც, — ეს კამერული ლირიკის მისტიური პოეტი, — წერდნენ „ლექსებს — ამონაწერებს გაზეთებიდან“.

არსად, არასოდეს ყოფილა სხვა ქვეყანა, სადაც ისე დაშორებულნი ყოფილიყვნენ ადამიანები ურთიერთისაგან, როგორც საბჭოეთში, ისე შეკუმშული და სულის ცხრაკლიტულში ჩაკეტილი თავისუფალი აზრი, როგორც საბჭოეთში, ისე დამცირებული ადამიანის პიროვნება, როგორც ამ უმაგალითო ქვეყანაში.



ვისაც რაიმე შემთხვევის წყალობით არა სცნობია ის უცნაური ჯამბაზობა, რაც მწერლის მაგიდიდან სტამბამდის ხდებოდა ხოლო, ის იდუმალი მახვილი, მწერლის მაგიდას მუჭარით რომ დასცქეროდა, ვერ ვაიგებს შემოქმედებითი მუშაობის მოწამებრივ ხასიათს საბჭოთა „სამოთხემ“ რომ შექმნა.

ვისაც როგორმე შემთხვევამ არ ასწავლა უცნაურად ძნელი კითხვა სტრიქონებში ჩამალული აზრისა, საზეიმოში მოციმციმე ცრემლისა, ქებათა-ქებაში ძაგებისა, გარჩევა ხარკისა და ხალასი ნათხზისა, — მართლაც იმ გულღებრყვილო მკითხველის მხარეზე დარჩება.

კეთილშობილი დუმილით — წამოიძახებს ვინმე — მოიგონეთ პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილიდან“: შეყვარებულ ჭაბუკს შეურაცხოფს გულღვარძლიანი მეტოქე. — სატრფოსადმი მიძღვნილი ლექსის გაკიცხვით, — თანაც ბოროტი ხითხითით ეუბნება: ვიცი, ჩემთან მოიბრუნებ ისევ, როგორც კი ახალ ლექსს დაწერ, როგორაც პოეტს მკითხველი სჭირდება.

ასეთივე ბოროტი იყო ხითხითი საბჭოეთისა და საბელისწერო ამ პოეტთა იძულება. მსგავსადვე დუელი იყო მულამ შედეგი.

და დუელი იყო მიზეზი იაშვილის თვითმკვლელობისა, ტიცინის დაღუპვისა, გალაქტიონის შემოქმედებითი სიკვდილისა და, იქნებ გადაჭარბებული არ იყო, გაფრინდაშვილის გაგიჟებისაც.

რა ვუყოთ, თუ გამუდმებულმა დუელმა ფარის ხმარება ასწავლა მათ. სამაგიეროდ მახვილიც ხშირად გამოჩნდებოდა ფარიდან და ზოგჯერ ისე მოხერხებულად, რომ ძველი იყო დანახვა.

დაუეკვირდეთ ტიცინ ტაბიძის ამ სტრიქონებს: „ვღვავარ დაფასთან და ვშლი ჩემს ლექსებს, ცარციით კი არა — სისხლით რომ ვწერდი. ძველო ქვეყანამ გიკოცნე ფესვებს, ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი“.

მე ასე გავშიფრავდი მათ: ვღვავარ დაფასთან და თითქო ვშლი ჩემს ძველ ლექსებს, მაგრამ ისინი სისხლით დაწერილან და არც წარიშლებიან. ძველო ქვეყანავ გიკოცნი ფესვებს — ვამბობ გულით, ხოლო რადგანაც იძულებულს მხდიან, სისხლით დაწერილს ცარციით მივაწერდი: ახალ ცხოვრების ვარ ალავერდიო, სიტყვით: მთელი კუჭუ-მალულობით.

შეგხედოთ ახლა ასეთივე თვალთ გალაქტიონის სტრიქონებს:

„ამწვანებული მდელო, აყვავებული მთები. ჩემო ლექსებო ძველო, გქონდათ არწივის ფრთები“ რუსთაველი და—მშვიდი? დამშვიდება და—ვაჟა? აწმყოს—დიდება დიდი და დღეს მომავალს—ვაშა!

ასეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ფრთებ შეკვეცილი პოეტი სიყვარულით იგონებს არწივის ფრთიან თავის ძველ ლექსებს, ლალ სანაგარდოს: აყვავებულ მთებს, მწვანე მდელოს; რუსთაველისა და ვაჟას მჩქეფარე, დაუმშვიდებელ პოეზიას და შეეცრად, თითქო რაღაც წამოაგონდაო, ნერვიულად, უადგილოდ დასძენს: აწმყოს — დიდება დიდი და დღეს მომავალს — ვაშა!

მაგონდება, თვითონ პოეტი: როცა პირველად ნახავთ, გულს დაგაკლდებათ, არა ჰგავს იგი თავის ლექსებს, მაგრამ ნახავ მეორედ, მესამედ და იცვლება პირველი გრძნობა; ალბათ მისივე პოეზიის შარავანდედი ამ მგონიერებს მის ბრინჯაოსფერი სახეს, მუქი წაბლისფერი უზრუნველად გადავარცხნილი თმით, შავი მეტყველი თვალებით, რომელთაც ეტყობათ მეტი ცეცხლი ჰქონიათ ადრე. საუბრობს იგი ხელის ხმით, ან ყურს უგდებს მოსაუბრეს და შეეცრად, თითქო ელექტრომ დაჰკრაო — ორკაპი ნაოჭი გამოკრთება ტუჩის კუთხიდან, ერთი ნიკაპისაკენ, მეორე ყვრიმალისაკენ გაიბრუნს და მაშინ შეკრთება ოღნავ მთელი სხეული პოეტისა.

ამ ნერვიო ვაკერომაშას ჰგავს ზემოდმოყვანილი ტაეპის მე-4 სტრიქონი. სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნი-

შნი, არ ვაგვაჩნია საჭირო მასალა, თორემ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა.

ასეთის თვალსაზრისით მეორე პერიოდი ქართველი სიმბოლისტების შემოქმედებაში არ არსებობს. არის მხოლოდ პერიოდი ძალმომრეობით შელახული და უმეტეს შემთხვევაში ამ პერიოდის ცალკე ნაწარმოებია გასაშიფრავი, დასაყოფი ორ ნაწილად: იმად, რისი თქმაც უნდოდა პოეტს და იმად, რაც იძულებით თქვა. სხვა შემთხვევაში დასახარისხებელია მართლა დაწერილ და გაკეთებულ ლექსებად.

თვით ლონიძეც კი, რომელმაც მისი მოძმეების იდუმალი შემკვიდრებისაგან ზემოდმოყვანილი ეპიგრამა დაიმსახურა, როგორც პოეტი, ნინოწმინდის გალავნებში დარჩება ავთანდილის ცვრიანი მწვადით და რძე ჩამდგარი სტრიქონებით.

მე არ მსურს, ვინმე დავარწმუნო, რომ ჩვენი პოეტები ყველაფერში ცამდის მართალნი იყენენ. უთუოდ ბევრი რამ დარჩება, ამ საბჭოთა პერიოდიდან, როგორც წარუხოცელი ლაქა.

მაგრამ, ვანა, კოშკი უჩრდილოთ იქნება? ვანა, ჩვენს ძველებს კოშკის სიმაღლე კოშკისავე ჩრდილით არ უზომიათ?

ვანებოთ თავი ჩრდილებს და თავად კოშკს შევხედოთ დასასრულ:

„მთავორების ზემოდ მყინვარებთან ახლო ავაშენე ჩემო მშვენიერო სახლო“ (გალაქტიონი)

ქართველი სიმბოლისტების შემოქმედება მშვენიერი სასახლეა პოეზიისა, ქართული ლექსის ბრწყინვალე ოსტატების მიერ აშენებული. თავს შეეკავებ მათი შემოქმედებითი თემების, იდეებისა და სახეების გარჩევისაგან. ვიცი, ბევრი მექნება სადავო მკითხველთან თავად სიმბოლისტები ხომ ფართო წრეებისთვის არ წერდნენ. ისინი პოეზიას პირამიდას ადარებდნენ, რომლის წვეროზეც ერთეულებს, უკეთეს შემთხვევაში ერთს მიიჩნევდნენ და შესაბამისად მკითხველადაც ერთიეულებს იგულვებდნენ.

აღენიშნავ მხოლოდ, რომ ამ განდგომილებას ხელი არ შეუშლია მათთვის, უდიდესი როლი ეთამაშნათ ქართული მხატვრული სიტყვის ისტორიაში, ქართული ლექსის უაღრესად მაღალ საფეხურზე აყვანაში, მეტადრე ფორმის, ოსტატობის თვალსაზრისით. ვინც ლექსის დამატობელ სილამაზეს იცნობს და ქართული ლექსის განვითარებისათვის ყურადღება მიუქცევია, ვგონებ უყოყმანოდ დამეთანხმოს.

სიმბოლისტებმა ცხოველმყოფელი გავლენა იქონიეს ყოველ თავის თანამედროვეზე ყველა „იზმიდან“. თვით უსულგულო პროლეტარული მწერლობაც კი ერთგვარად გამოიჯეკა სიმბოლიზმთან ბრძოლაში; გადმოიღო რა მისგან პოეტური ოსტატობის ხერხები და უსულგულარე აზრები და დამახინჯებული გრძნობები შემოსა შედარებით გამართული ლექსის ფორმაში. ამიტომაც საბჭოთა მწერლობაც უკანასკნელი წლებისა უკვე აღარ ჰგავდა თავის ფუძემდებელს — სანდრო ელსს. უკვე თვითვე დასცინოდნენ ეულის და მისთანათა უნიჭო და ულამაზო ლექსებს. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ისეთ სიმაღლემდის იყო აყვანილი ქართული ლექსის ფორმა, ისეთის ელვარებით ბრწყინავდა ქართული სიმბოლისტური პოეზია.

ცალკე ყურადღების ღირსია ახალგაზრდა ქართველი პოეტების საკითხი, პირველი მსოფლიო ომის ან რევოლუციის წლებში დაბადებულ, საბჭოეთში აღზრდილ ახალგაზრდებისა. ისინი საბჭოთა პოეზიის უყოყმანო მიმდერლები უნდა ყოველიყვნენ, საბჭოეთს რომ მათთვის სულიერი საზრდო მიეცა.



სინამდვილეში კი, მათი უკეთესი ნაწილი, სიმბოლიზმის პირდაპირი გავლენის ქვეშ აღიზარდა და იღუპა მის მემკვიდრეობას ცდილობს.

საბჭოთა კრიტიკა არა ერთხელ შეუშფოთებია სიმბოლიზმის მძლავრ ნაკადს ახალგაზრდა საბჭოთა პოეზიაში. ამ მხრივ მეტ ინტერესს იწვევს ახალგაზრდათა დაუბეჭდავი ლექსები. ლექსები რომელთა დაბეჭვედაც არ შეიძლებოდა „აზრის და სიტყვის თავისუფლების“ ქვეყანაში.

მეტად განსაზღვრული იყო ასეთი ლექსების მკითხველთა წრე. წლობით ურთიერთობისა და ნდობის შემდეგ სიფრთხილით შერჩეული. მოგესხენებათ, პოეტებს უშუალოდისა გამო ხშირად პლაკატობთ სიფრთხილის გრძობა, ამგვარად არა ერთი და ორი გამხდარა გაუფრთხილებლობის მსხვერპლი.

ბევრი გულგატეხილობას და უმიზნობას გადაჰყვა. ალკოჰოლმა, ან თანდაყოლილი ნიჭის სხვა მიმართულებით წარმართვამაც იმსხვერპლა მრავალი.

მატრო მე ათამდის ხელნაწერი წიგნი მინახავს* და ხუთ „ქერქვეშელ“ მგოსანს ვიცნობდი. რამდენი იქნებოდა, რომელთაც ჩემი თვალი და ხელი ვერ მისწვდა.

მე სრულიად შემთხვევით მოგვხვდი, დიდი ხნის მარტო სულობის შემდეგ. ჯგუფში პოეზიით მთვრალი ჭაბუკებისა. ჯგუფში, რომელიც პოეზიაში, ღვინოში და ბოჰემაში ეძებდა პასუხს ათასგვარ გულისტკივილზე ასე უსამართლოდ რომ მოახვია ჩვენი ყრმობისა და ჭაბუკობის წლების უწყალო დრომ. ჩვენ თბილისში გვექონდა პატარა ლათინური უბანი და სიცოცხლით აღსავსე სკეპტიკობით იყო დასახლებული იგი. ყველაფერზე ცუდია, როცა ჯანსაღ ხელში, ნათელ გონებაში, ახალგაზრდა სხეულში დაიბუდებს სკეპტიციზმი, თორემ ავადმყოფურსა და ხანდაზმულ არსებაში იგი ბუნებრივია და არცაა საშიშელი.

მაგრამ ძნელი იყო თუნდაც ასეთი ვიწრო ჯგუფის არსებობაც. ამან შეუშალა ხელი, უფრო ნაყოფიერი და გავრცელებული ყოფილიყო ეს საიდუმლო შემოქმედება.

შემოქმედს მუდამაც ჰქონია საქმე წინააღმდეგობასთან, საფრთხესთან, შიშთან, იშვიათად მჯდარა მუზა ბედნიერების ტახტზე, ეკლიანი იყო მულამ პოეტის ვზა, დაბრკოლებებთან ბრძოლაში იჭედებოდა ყოველთვის ქეშმარიტი, მაგრამ პოეტის სინიდისის, მის წმიდათაწმიდას, მის შემოქმედებით მუშაობის პროტესტ — ისე უნამუსოდ არსად მოქცევიან, როგორც საბჭოთა კავშირში...

მომავალი გახსნის მრავალ უცნობ ლექსს და რამდენიმე უცნობ გვარს ჩვენი თაობის ქართველი პოეტისა. მაშინ ცხადი გახდება, რომ ამ დაძალული პოეზიის წინამძღვარი სიმბოლიზმი იყო უმთავრესად.

მტკნარი სიცრუეა ზოგიერთის მტკიცება, თითქოს სიმბოლიზმი შემოიტანეს საქართველოში, როგორც უცხოური რამ საქონელი და გაქრა ისევე, ოფიციალურად აკრძალვისთანავე. რომ არაფერი ითქვას მის ბუნდოვან ძირებზე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, მისი შემოქმედებითი სიცოცხლე არ მომკვდარა.

ამ მკრთალი მიმოხილვიდანაც სჩანს, რომ საბჭოეთმა შესძლო მხოლოდ უხეში ზემოქმედება მის ფიზიკურ არსებობაზე (პოეზიასაც აქვს თავისი ფიზიკური და სულიერი მხარე), სული კი ამ ლიტერატურული მიმართულებისა ცოცხლობს.

სხვა რომ არა იყოს რა, ეს საშინელებათა წლები, ქექა ქუხილით რომ თავს დაგვეცდომია, ეს არ გავგონილი ვათელვა საუკუნეების მანძილზე შემუშავებული მორალურ და გონებრივ ღირებულებათა, ეს არ ნახული შემუსვრა კულტურული კაცობრიობის ნაჭირნახულებისა, ეს მსოფლიო მასშტაბის ვაქხანალია, რომელშიაც გვიხდება ცხოვრება, თავისებური გამართლება სიმბოლიზმის ფილოსოფიური კონცეპციისა და ერთგვარი საწინდარი მისი შემდგომი მხატვრული სრულყოფისა, რადგანაც პოეზია, თუნდ სიმბოლისტური, ცხოვრების სარკეა მაინც.

ქართულ სიმბოლიზმს არ დაჰგვიანებია, არც ხელოვნურად შექმნილია.

იგი ბრწყინვალე და აუცილებელი რგოლი იყო ქართული პოეზიის ჯაჭვში — და კიდევ მრავალ ფერებს შეჰმატებს მას.

ლევონერი თამაზი.



ბელონი. ქართველი მომღერალთა გუნდი



გიორგი წერეთელი

გ. წერეთელი მესამოცე წლების ერთი შესანიშნავი და საყურადღებო პიროვნებაა. მისი მოღვაწეობის და აზროვნების შესწავლა არა მარტო მრავალ მხრივ საინტერესოა, არამედ სავალდებულო ჩვენი თაობისათვის, რადგან ბევრი რამ იმ მტკიცეული საკითხებისა, რაც მის დროს იდგა, დღესაც დაახლოებით იმავე სიმწვავეით და სიცხოველით სდგას ქართული სინამდვილის წინაშე.

მე-60 წ. მოღვაწენი, ანუ თერგდალეულები, როგორც მათ მამები ეძახდნენ, იყვნენ რუსეთში სწავლა-დამთავრებული ის ახალგაზრდები, რომელნიც გაჩანაგებულ და დარბიულ ქართულ სინამდვილეში უჩვეულო ალტკინებით და დიდი ენერჯით შემოიჭრნენ და შეეცადნენ გაემართებინათ რუსეთის მიერ გადაჭრილი სულიერი კულტურის და ნივთიერი განვითარების სასიცოცხლო ძარღვები.

მე-19 საუკუნის მანძილზე მე-60 წლები, ერთგვარ უღელტეხილად მოსჩანს. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო აღორძინების ხანა, მაგრამ ეს იყო უდავოდ ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი.

ამ დროს ძველი თაობის ერთი ნაწილი გარუსების გზაზე იყო დამდგარი, საზოგადოებრივი ცხოვრება დარღვეული და მოშვებული, და ამ ერთფეროვან ატმოსფეროში, მოსჩანდა მხოლოდ ჩვენი ქონდრის კაცების გულშემოღონებელი ფუსფუსი. ახალი თაობა პირველი გამოსვლისთანავე შეაშფოთა ამ გარემოებამ. და აქ მოხდა ძველი და ახალი თაობის მწვავე დატაკება.

„თერგდალეულები“ ერთი სტილისა და ერთი ყალიბისანი იყვნენ, რომელთაც ბევრი რამ საერთო ჰქონდათ იდეებისა და აზროვნების სფეროში. ეს არ იყო პარტია, მაგრამ ეს იყო დიდი ეროვნული ძვრების მოსახლენად მოწოდებული ხალხი. როცა აკვირდებით მე-60 წ. მოღვაწეებს, ასე გგონიათ, თითქო ისინი წმინდანები, ზეკაცები იყვნენ, თავის ნებით ქართულ სამსხვერპლოზე შეწირულნი.

გიორგი წერეთელი მოღვაწეთა ამ გუნდს ეკუთვნის სისხლით, ხორციით, სტილით, ტემპერამენტით.

გიორგი წერეთლის მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო, ისევე როგორც მისი ამხანაგებისა. რედაქტორი, პუბლიცისტი, რომანისტი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, ბუნებისმეტყველი, საზოგადო მოღვაწე. ბუნებრივად ისმის საკითხი — რატომ ყველაფერს ეკიდებოდა ეს ხალხი და მასთან ერთად გ. წერეთელიც? იმიტომ, რომ ძალები ცოტა იყო და ჩვენი ცხოვრება, ყველა ამ საკითხებს, აქტიურად აყენებდა დღის წესრიგში და ჩვენ გვაკვირვებს ის უზარმაზარი ენერჯია, შრომისმოყვარეობა, დიდი ნიჭი და საქმისადმი სიყვარული, რომელიც ახასიათებენ ამ დროინდელ მოღვაწეებს და მასთან ერთად გიორგი წერეთელს მთელ ამ მრავალფეროვან მუშაობაში.

ის დრო, როცა გიორგი წერეთელი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, წარმოადგენს ისეთ ხანას, როცა ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობას ახალი სცვლიდა. მიდიოდა ფეოდალიზმის ნარჩენები, ხოლო მის ადგილს სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი იკავებდა.

ერის ცხოვრებაში ასეთი ცვლილება ფრიად საფულისხმოა, თუ ერთი დამოუკიდებელი და თავის თავის პატრონია, მაგრამ ჩვენ ხომ კოლონიალურ მდგომარეობაში ვიყავით მაშინ მოქცეული და რამდენად ეს ახალი ურთიერთობა დამპყრობელი ძალის კარხანით მოდიოდა, ამდენად მას აკლდა, ყველაფერი ის, რაც ამგვარ ცვლილებას, ეროვნულ ხასიათსა, იერს, ძალასა და შემოქმედებას აძლევს.

ეროვნული ძალების ფეხზე დაყენება, კულტურული მუშაობის გაჩაღება, ახალ მდგომარეობასთან, ახალი სოციალ-პოლიტიკური იდეების დადგენა — ერთი სიტყვით ხალხის-სამსახური შეადგენს გიორგი წერეთლის აზროვნების, მოქმედების და მოღვაწეობის მთავარ ხაზს. როგორც ყველა მესამოციანეს, გიორგი წერეთელსაც, მთელ ამ მუშაობაში ერთი გამოსავალი წერტილი ჰქონდა — ეროვნული. და ყველა საკითხი, ამის მიხედვით, ამ ასპექტში ისახებოდა. კიდევ მეტი, იგი იყო ერთი პირველთაგანი, რომელიც არამც თუ ფიქრობდა, არამედ ბედავდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას და მუშაობას. ამ ფაქტის ნათელსაყურად საკმარისია გავიხსენოთ ის ნაბიჯები, რომელიც მან გადასდგა 1877 წ. და 1885 წ. იმ მიზნით, რომ პოლიტიკური კავშირი გაემა ევროპის სახელმწიფოებთან.

როგორც საბუთებიდან ირკვევა 1885 წ. გ. წერეთელმა თავის მეგობრებთან ერთად შემორანდუმით მიჰმართა მაშინდელი დიდ ბრიტანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გლადსტონს და სთხოვდა დახმარება აღმოეჩინა საქართველოსათვის, დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე ის პოზიცია, რომელიც მას ეკავა კავკასიის საკითხში. კავკასიის ერთი მთლიანობა, გიორგი წერეთელს აუცილებელ წინაწარ პირობად მიჩნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად და შეინდგ მის დასამარებლად.

1874 წ. თენგვაში მოწვეულ ამიერ-კავკასიის მოღვაწეთა კონგრესზე, გ. წერეთელი იცავს იმ აზრს, რომ საქიროა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენა და სახელმწიფო წყობის აგება მტკიცე ფედერატიულ საფუძველზე.

1879 წ. იგი სწერდა: „ჩვენ, საქართველოს ხალხს და იმათს დაწინაურებულ კაცებს დღეს ბაიარაზე უნდა გვეწეროს: ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა. სამივე ერის (სომხების, ქართველების, თათრების) ერთად ზრუნვა; ძმური კავშირი და საერთო ძალით იმ შინაური კულის გასწორება, რომელიც ასე აჩერებს ჩვენს კეთილმდგომარეობის გზაზე წინ წასვლას. ეს სამი ერი, დღეს კავკასიის აქეთა მხარეში მკვიდრი მოსახლენი არიან, ერთმანეთის დახმარებით აშენდებიან. ერთმანეთის მტრობით კი დაიქცევიან.“ (გაზ. „დროება“.)

ქართველ-სომეხთა დამოკიდებულების გამწვავების დროს, იგი მუდამ შერიგებისა და მორიგების გზას ადგა. ამის გამო, მას ბევრი საყვედური შეხვდა ჩვენი პატრიოტებისაგან და ზედმეტ სახელად გეურქ აღასაც კი ეძახდნენ.

ახლო წარსულის ამბებმა დაგვიმტკიცა, თუ რამდენად შორს მხედველი და მართალი იგი გიორგი წერეთელი, როცა მსოფლიო ომის და რევოლუციის შემდეგ, კავკასიის ერებს შემთხვევა მიეცათ ერთმანეთს დახმარებოდნენ და საერთო ძალით წინ აღდგომოდნენ საგარეო ძალას, ჩვენ დაეინახეთ თუ როგორ აღასრულეს ეს მათ.

როცა აკვირდებით გიორგი წერეთლის მოღვაწეობას, ასე გგონია, თითქო იგი ვერავის ვერ ეგუება, განკერძოებულად სდგას. იგი ადრე დასცილდა ი. ჭავჭავაძის ჯუფს. ნ. ნიკოლაძესთანაც ვერ მოახერხა თანამშრომლობა და ბოლოს მესამე დასის მფარველობა დაიწყო. ეს ფაქტები გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას ჰქვინის, თითქო წერეთელი მოკლებული იყო გამართულ და გარკვეულ ხაზს აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს წარმოდგენა მცდარია. ნამდვილად იგი იყო გარკვეული შეხედულებების ადამიანი, და ამ შეხედულებებისათვის ერთხელაც არ უღალატნია.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავეცნოთ, რა ნაირ სიმბრტყეზე აყენებდა გიორგი წერეთელი ეროვნულ საკითხს, როგორ სთვლიდა საუკეთესოდ მისი გადაჭრის აუცილებლობას. ამ საკითხის გამოსარკვევად საკმარისია მხოლოდ ერთი კერძო წერილი მოვიყვანოთ, რომელიც წარმოად-

გვს. როცა აკვირდებით გიორგი წერეთლის მოღვაწეობას, ასე გგონია, თითქო იგი ვერავის ვერ ეგუება, განკერძოებულად სდგას. იგი ადრე დასცილდა ი. ჭავჭავაძის ჯუფს. ნ. ნიკოლაძესთანაც ვერ მოახერხა თანამშრომლობა და ბოლოს მესამე დასის მფარველობა დაიწყო. ეს ფაქტები გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას ჰქვინის, თითქო წერეთელი მოკლებული იყო გამართულ და გარკვეულ ხაზს აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს წარმოდგენა მცდარია. ნამდვილად იგი იყო გარკვეული შეხედულებების ადამიანი, და ამ შეხედულებებისათვის ერთხელაც არ უღალატნია.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავეცნოთ, რა ნაირ სიმბრტყეზე აყენებდა გიორგი წერეთელი ეროვნულ საკითხს, როგორ სთვლიდა საუკეთესოდ მისი გადაჭრის აუცილებლობას. ამ საკითხის გამოსარკვევად საკმარისია მხოლოდ ერთი კერძო წერილი მოვიყვანოთ, რომელიც წარმოად-

გვს. როცა აკვირდებით გიორგი წერეთლის მოღვაწეობას, ასე გგონია, თითქო იგი ვერავის ვერ ეგუება, განკერძოებულად სდგას. იგი ადრე დასცილდა ი. ჭავჭავაძის ჯუფს. ნ. ნიკოლაძესთანაც ვერ მოახერხა თანამშრომლობა და ბოლოს მესამე დასის მფარველობა დაიწყო. ეს ფაქტები გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას ჰქვინის, თითქო წერეთელი მოკლებული იყო გამართულ და გარკვეულ ხაზს აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს წარმოდგენა მცდარია. ნამდვილად იგი იყო გარკვეული შეხედულებების ადამიანი, და ამ შეხედულებებისათვის ერთხელაც არ უღალატნია.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავეცნოთ, რა ნაირ სიმბრტყეზე აყენებდა გიორგი წერეთელი ეროვნულ საკითხს, როგორ სთვლიდა საუკეთესოდ მისი გადაჭრის აუცილებლობას. ამ საკითხის გამოსარკვევად საკმარისია მხოლოდ ერთი კერძო წერილი მოვიყვანოთ, რომელიც წარმოად-



გენს მთელი მისი აზროვნება და მოღვაწეობის გასალღეს.

4 მარტს, 1894 წ. იგი ეგ. ნინოშვილს სწერდა:

„თქვენი წინა წერილის პასუხი მინდოდა მომეწერა პრინციპიალურად, და ეს პრინციპი პრაქტიკულ ცხოვრებაში როგორ უნდა დავიცვათ. საქმე იმაშია, რომ გერმანიის სოციალისტები, მანამდის ძმები არიან ფრანკლებს და მთელი ქვეყნის, სანამდისინ მათ ეროვნულ პიროვნებას, მათ ენას, მათ ისტორიას, მათ კულტურას, არავინ შეეხება.

„ჩვენ თუ ჩვენს დაჩაგრულ მდგომარეობას არ მივუქცევთ ყურადღებას, და ვიყვირეთ საქართველოსა და რუსეთს შუა საზღვარი არ უნდა იყოს, ქართველი და რუსი ერთიანად, ძალმომრეობაზე, დამდგარი რუსები ისარგებლებენ ამ შემთხვევით და გვეტყვიან, როგორც ახლა კიდევ გვეუბნებიან: თქვენ ადგილთ და ციმბირში გადასახლდით, იქ ბევრი ადგილებია და ფართედ იცხოვრებთო... რას მიქვიან ეროვნება. რა საჭიროა ქართველობა, თქვენც რუსები, ჩვენც რუსები, მხოლოდ თანასწორად გავინაწილოთ ადგილმამული: ასე რომ იმ სოციალურ პრინციპს რომ გვეყვით, როგორც თქვენ მიბრძანებთ, რუსები ჩვენს ადგილ-მამულს დაგვატოვებენ და თითონ მოიკალათებენ ზედ, პრინციპისამებრ ხმის უმეტესობისა, ჩვენ ოთხმოცი მილიონი ვართ და თქვენ ორი მილიონი ხართო, ორი კაცი ოთხმოცის გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოსო... მაშინ რა ვქნათ? აი ამის გამო, ჩვენ ნუ ვუმტყუნებთ სოციალურ პრინციპს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს სოციალური პრინციპი არ გადაიქცევა ჩვენსავე დასაკლავ დაწათ.

„ჩვენს ბედში მყოფი ხალხი, ორივე ხელებით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ცხოვრებას, ჩვენს ქართველობას და ამასთანავე, ჩვენს ქვეყანაში ვავრცელებდეთ სოციალური იდეებს, რომ წოდებითი და შემქმნებითი უთანასწორობა რამენაირად მოვსპოთ. რუსეთთან ძმობის გამოცხადება მანამდე შეუძლებელია, სანამდის მის მთავრობას ბრქველებში ვყავართ გამოკლული და რუსის ხალხიც იმას ცდილობს, რომ თავის მთავრობის ძალდონით, ჩვენ წავგართვას, უხსოვარ დროიდან, ჩვენი კულტურული მიწა-წყალი, თბილი ჰაერი და მშვენიერი ბუნება, და თითონ დაიჭიროს.

„ამ გარემოების ძალით, ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალ-სოციალისტები მანამდისინ, სანამდის ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორც ჩვენა ვართ, არ განთავისუფლდებიან სხვა უფრო ძლიერი ნაციის მონობიდან.

„ჩვენ რომ ბოლგარიის, ან გერმანიის, ან იტალიის, ან რუსეთის მდგომარეობაში ვიყოთ პოლიტიკურად, ე. ი. სრული განთავისუფლებული ვიყოთ, მაშინ დიხსაც გავშლიდით კოსმოპოლიტურ ბაიარას, და მთელი ქვეყანას თანასწორ უფლების მქონე ძმებად ვაღიარებდით... მაგრამ დღეს რომ პოლიტიკური მონობაში ვართ გამოკლული, კოსმოპოლიტური სოციალური პრინციპი ყელში დანას გაგვიყრის და ჩვენს ლეშზე რუსის ხალხი გაიძღვს მუცელს“.

აქ მოყვანილ აზრებს განმარტება არ სჭირდება. იგი საკმაოდ ნათელია. ეს არ იყო მხოლოდ ფიქრი გიორგი წერეთლის, არამედ ურყევი რწმენა, რომელიც ამოძრავებდა მას მთელ მის საქმიანობასა, მოქმედებასა და საზოგადო მოღვაწეობაში, უნდა აღინიშნოს, იგი ლოლიკური სისწორით მოჰყვებოდა ამ ხაზს და არ ყოფილა შემთხვევა, აქედან გადაეხვიოს ან უკან დაეხიოს.

გიორგი წერეთელი იყო ჩვენში კაპიტალიზმის განვითარების მომხრე, მაგრამ ამავე დროს იგი წინააღმდეგი იყო რუსული კაპიტალის შემოსვლისა და დამკვიდრების. იგი გამოდიოდა იმ ანგარიშიდან, რომ რუსული კაპიტალის კოლონიალური პოლიტიკა გზებს უკრავდა და ავიწროებდა ქართული ეროვნული კაპიტალის ზრდასა და გან-

ვითარებას. მას უფრო მისაღებად მიაჩნდა ევროპული კაპიტალის შემოსვლა ჩვენში და დარწმუნებული იყო ეს უკანასკნელი უკეთ შეუწყობდა ხელს ეროვნულ მრეწველობას და ვაჭრობის განვითარებას.

ბევრს ჰგონია, გიორგი წერეთელი კაპიტალიზმის იდეოლოგი იყო. — ეს არაა სწორი. იგი ანგარიშს უწყევდა ამ ახალ შემოჭრილ სამეურნეო ძალას და გამოდიოდა მხოლოდ იმ მოსაზრებიდან, თუ რამდენად ეს ძალა ხელის შემწყობია, წამბიძგებელი ეროვნული ღირებულებებისა და დოგმათის შექმნაში.

იგი გრძნობდა, რომ კაპიტალისტური ურთიერთობა, არც ისე უმწიკვლოა და იდეალური, როგორც სხვებს წარმოედგინა, მაგრამ კარგად ჰქონდა შეთვისებული სოციალური ცხოვრების განვითარების კანონი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი წერეთელი 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“ სწერდა:

„რადგანაც კაცის გონიერებას მოსდგამს, მუდამ სისრულე, არაოდეს არც ხალხის ცხოვრება არ დარჩება მუდამ ერთ და იმავე მდგომარეობაში. აღიძვრის თუ არა ცხოვრებაში იმდენი ძალა, რომ საკმაო იქნება ახალ საშუალების მოსაპოვებლად და ძველი ფორმის გადასავდებად, იმავე წამს ცხოვრების წინსვლელობაც დაიძვრის და ატყდება გამწარებული ბრძოლა ძველ წყობილების და ახალ მოთხოვნილების შუა“.

აქედან ნათლად სჩანს ის დებულება, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება არ შეიძლება გაიყინოს ერთ წერტილზე, რომ განსაზღვრულ ხანაში იბადება საჭიროებანი, ახალი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის. ვისაც სიცოცხლის უნარი გააჩნია, იგი ვალდებულია, ყოველგვარი ღონისძიება მიიღოს მის დასამკვიდრებლად.

მხოლოდ ამ მოსაზრებიდან გამოდიოდა გიორგი წერეთელი, როცა 1873 წ. „კრებულში“ სწერდა:

„თუ გვინდა თავიდან ავიცილინოთ სხვა ქვეყნის ეკონომიური მონობა და ექსპლუატაცია, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მათ იმავე იარაღით, როგორათაც ის გვიპირებს ჩვენ დაპყრობას. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, სწავლა-განათლებლისა და მეცნიერების გავრცელება. ტექნიკის გაუმჯობესება — არის ის საშუალებანი, რომლითაც უნდა შეიარაღდეს ქართველი ხალხი და დაიცვას თავი უცხო კაპიტალის შემოტევისაგან. — მით უფრო ღრმად გვმართებს მოსაზრება, რომ როგორმე უეცრად მივარდნილს ღვარს ჩვენი საერთო სახლ-კარის საძირკველი არ გამოვითრევიანოთ; ისეთი ქვეთკირის კედელით შევიზღუდოთ თავი, რომ მაგარი ბურჯები ჰქონდეს, არ აგვატოვებდეს თავი ქვეყნის მორევში არ ჩავგვიტანოს. — ამისთანა მკვიდრი კედელი ამჟამად უნდა იყოს ფულის გაჩენა ჩვენში, რომ ყოველ კაცს ახალი საქმის დაწყებისათვის ხელი მოეცაღებოდეს“.

მეორე წერილში ამ აზრს უფრო ანვითარებს:

„აწ, რა რკინის გზა გაიხსნა, იმან მიუთითა საქართველოს ვაჭარს ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: აი შენი დედა ქალაქი, და საქართველოს ბურჯი გარეშე ხალხს ჩაუგდია ხელში. შენ ეს აქამდის არ იცოდი და რომ გცოდნოდა მაინც, აქამდის ვერას ვაარიგებდი, აწ მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარეზზედ. ეხლა იქ არის ბურთი და მოედანი. დაიწყეთ ტფილისის სავაჭრო ბაზარში მიწოლა და ვაჭრობა. ისევ თქვენ დაირჩინეთ. სამუდამოდ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიც დაღუპულია“.

ასე სწერდა გიორგი წერეთელი ვაჭრობა-მრეწველობის და ეროვნული კაპიტალის განვითარების აუცილებლობის შესახებ. მისი ეკონომიური პროგრამა უაღრესად პროგრესიულია და შეფარდებული ჩვენი ეროვნული და საზოგადოებრივი განვითარების სასიცოცხლო ინტერესებთან, თავის დაცვის და თავის გადარჩენის საკითხთან.

გიორგი წერეთელი კარგად იყო გაცნობილი დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული ცხოვრების ვითარებასთან და იცოდა, რომ კაპიტალისტური წყობილება მოსახლეობის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით გლეხობას, ვაჭრობელების გზაზე აყენებს, ეს გარემოება ძალზე აწუხებდა გიორგი წერეთელს, როგორც დიდ მორალისტს. იგი ეძებდა ფორმებს, რომ ამ ახალ სოციალ-დემოკრატიულ ურთიერთობას ჰუმანიური სახე მიეღო. ამ ძიების დროს, ჯონ სტიუარტ მილის გავლენით, მან შეიმუშავა კაპიტალისტური განვითარების კოლექტიური ფორმა. მას სურდა, კაპიტალისტურ განვითარებას ჩვენში, მიეღო მშვიდობიანი ხასიათი. მისი აზრით ასეთი კაპიტალიზმი ავტომატურად პრაქტიკულად ჩაიკვეთება და შესძლებს გააერთიანოს ჩვენი საზოგადოების ყოველი ცოცხალი ძალა.

ჩვენ სრულიად არ შევძლებართ იმის განსჯაში, რამდენად სწორია ეს შეხედულება და უდგება თუ არა საზოგადოთ კაპიტალიზმის განვითარების ბუნებას; ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, როგორი იყო გიორგი წერეთლის შეხედულება ამ საკითხში.

უფრო თვალსაჩინოდ რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იყო გიორგი წერეთლის სამოღვაწეო პროგრამა და იდეურ-პოლიტიკური შეხედულება, მოვიყვანოთ თვით მის მიერ განსაზღვრულ დებულებებს, რაც მან წამოაყენა კიბა აბაშიძესთან კამათის დროს 1897 წ. „კვალში“.

იგი სწერდა:

„1). ხელოვნურ ან სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში მან (ახალმა ჯგუფმა) დაარსა ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი.

2). პოლიტიკო-ეკონომიურ შეხედულებაში ის ემხრობოდა უფრო პოლიტიკო-ეკონომისტის მილის თეორიას, მაგრამ ცხოვრებაში, ეს პროგრესიულ-დემოკრატიული დასი ბურჟუაზიისა და მუშა ხალხს შორის გამწვავებულ ბრძოლის დროს უფრო იმ თეორიას ადგა, რომ სახელმწიფო კანონმდებლობითი ძალა, უნდა შეერიოს ამ ბრძოლაში მუშათა კლასის სასარგებლოდ, რომ ალაგვოს ძალმომრეობა ბურჟუაზიისაო.

3). საზოგადოებრივ წყობილების განვითარებაში ეს დასი უარს ყოფდა, როგორც თავად-აზნაურობას, ისე დაბალი ხალხის განკერძოებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიაც თანასწორი უფლებებით შედიოდა ყველა წოდება, არც ერთსაკენ სასწორს არ ხრიდა, ხოლო დემოკრატიული, წოდებათა განურჩევლად, საზოგადო წესწყობილება მიიხინდა ასეთი ერის შესაფერად.

4). საკრედიტო დაწესებულებათა შორის, ის ეწინააღმდეგებოდა თავად-აზნაურობის საადგილმამულო ბანკის დაარსებას. ამის მაგივრად ის ურჩევდა მოკლე-ვადიანი სამრეწველო ბანკების დაარსებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და საქალაქო სამრეწველო კრედიტი; და ერთი ამ გვარი ბანკი კიდევ დაარსა იმ დროს ტფილისში წვრილ მოვაჭრეებისათვის“.

ამ დებულებებში ნათლად მოცემულია ჩვენი ინტელიგენციის პროგრესიული შეხედულებანი, და დიდათ შეცდება ის, ვინც იფიქრებს, რომ, გიორგი წერეთელი, რომელიც ამ შემთხვევაში საუკეთესო წარმომადგენელია, პროგრესიულად მოაზროვნე ინტელიგენციის, კაპიტალისტების და ბურჟუაზიის ინტერესების დამცველად გამოდიოდა. არა, გიორგი წერეთელი, როგორც დიდი მორალისტი და რაციონალისტი, მხოლოდ ერთი მთავარი კუთხით სინჯავდა მოვლენებს. რა გამოადგება და რა სასარგებლო მთელი ერის, მისი ყოველი ცოცხალი, მოძრავი ნაწილისათვის, რა გააღონიერებს და გააჯანსაღებს მას. მის გაგებაში თავადი, გლეხი, მუშა, ვაჭარი, სხვა და სხვა

ელემენტებია ერთ და იმავე სხეულის, ერთი მთლიანი ორგანიზმის — ერის. იგი უარყოფით თვისებებს ერთნაირი მიუღმამლობით ხედავდა, როგორც მაღალ ისე დაბალი წრის ფენებში. ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს იძლევა მისი მხატვრული შემოქმედება, სადაც მთელი თავისებურებით მოსჩანს ამ დიდი რეალისტის, და როგორც თავის თავს ეძახდა, შეუფერავი მხატვარის მსოფლგაგება.

გ. წერეთლის ეროვნული იდეოლოგიის საფუძვლებს, რომელიც შემუშავებულია 50-60. წლის წინ, ზოგადათ, საერთო ხაზებში და საკითხების არსებით გაგებაში 1914-18. წ. ომის შემდეგ დასავლეთში შემუშავებული ეროვნული იდეოლოგიის საფუძვლები მიაგავს, უახლოვდება.

სრულიად ზედმეტია იმაზე ფიქრი, თითქო საქართველოს ამ მხრივ რაიმე გავლენის მოხდენა შეეძლო დასავლეთზე. არა—დასავლეთისთვის ბევრი ვასაგები მიხეზების გამო სრულიად უცნობია ქართული აზროვნების ეს ტენზილი, მაგრამ საქართველოსთვის, მისი კულტურისათვის, უაღრესად საყურადღებოა თავისთავად ეს ფაქტი.

როცა დასავლეთმა სოციალიზმის კოსმოპოლიტური დოქტრინა შეჰქმნა, ამის შემდეგ საქართველო სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებას ამუშავებს, შეხედულებას, რომელიც ეყრდნობა, ქართულ-კავკასიურ პირობებს, საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს და დაფუძნებულია ეროვნული კულტურისა და ისტორიული წარსულის ძირებზე.

მართალია, ჩვენ ამ ხაზის გამართვა საქირო სიმაგრით ვერ მოვახერხებთ. 1900 წ. მოყოლებული ჩვენ დროებით ვადმოგვეფარა დასავლეთის კოსმოპოლიტური ტალღა, რომელმაც რუსეთზე იორღით ვადმოარა. რუსეთმა დასავლეთის უნიჭო ბაძვით ხელით შეუწყო ამ ტალღის ჩვენში შემოგორებას. ეს არის მარქსიზმი, გერმანული თუ რუსული თარგმანის მიხედვით შემოსული, ქართველმა სექტანტებმა და ნილილისტებმა ბრმად რომ გულზე ჩამოიკიდეს და ქვეყანა შესძრეს მთელი 40 წლის მანძილზე.

ამ ქარის მოტანილ ამბებს ქარივე წაიღებს ისევ, თუ ჩვენ საქმარის სიმაგრეს ვამოვიჩენთ და თუ ამ სიმაგრის განადღებისთვის ოდნავ ხელსაყრელი პირობები გვექნება.

ქართული 60—80—90 წლების ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება და სოციალური იდეები, რომელმაც პირობა თავისი დასაბუთება ი. ქაეჭავაძის, გ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და შემდეგ ნაწილობრივ არჩილ ჯორჯაძის ნააზრევში, არის ის ნიადაგი, რომელზედაც ჩვენ უნდა ვავამარდეთ. ეს არის ქართული აზროვნების და კულტურული მემკვიდრეობის დიდი, სალი და ჯანსაღი ხრტილი, საიდანაც ახალი დროის შესატყვისი აზროვნების ძირები უნდა გამოვლინდეს.

1914-18 წლის ომის შემდეგ დასავლეთში იწყება მობრუნება სოციალ-პოლიტიკური აზროვნების სფეროში, ხდება ძირითადი გადაფასება ყველა იმ ღირებულებების, რაც მთელი მე-19 საუკუნის გასწვრივ მუშავდებოდა.

აქ ამ საკითხის გაღრმავება უადგილოა, თუმცა იგი მეტად საყურადღებო და საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენს.

ქართული 60—80—90 წწ. შემუშავებული იდეები განსხვავდება 1914-18 წ. შემდეგ დასავლეთში დამუშავებულ იდეათა სისტემიდან. დასავლეთში სხვა საფუძვლები, სხვა დასაბუთება მიეცა მას, უკიდურესობათა მწვერვალებით და, რაც მთავარია, განადღების სხვანაირი დასავლეთური გაგებით. მაგრამ დასავლეთს არასოდეს არ უთქვამს, რომ მისი ეროვნული იდეოლოგია საექსპორტო საქონელს წარმოადგენს.



ქ ა რ თ უ ლ ი ს კ ო ლ ი ს ფ უ ძ ე მ დ ე ბ ე ლ ი

ეროვნული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

იაკობ გოგებაშვილი

1840 — 1912.

მესამოცე წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელთ გვერდს უმშვენებს იაკობ გოგებაშვილი — ქართველი ერის დიდი კულტურულ-პოეტენციალური ძალა. მისი 50 წლის პედაგოგიურ-პუბლიცისტური მოღვაწეობა ღირსეულ შეფასებას მოითხოვს, — შეფასებას ეროვნულ-კულტურულს, მეცნიერულს.

დღევანდელ დაბორკილ ვითარებაში, ჩვენ ამას მოკლებული ვართ, მაგრამ ი. გოგებაშვილის ღვაწლის დაახლოვებით განხილვას მაინც ვკისრულობთ.

ი. გოგებაშვილი ჩვენს ერს იმ ხანაში მოველინა, როცა რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველო სრულ პოლიტიკურ და კულტურულ რბევას განიცდიდა. ქვეყნის დაპყრობისთანავე რუსის მთავრობა მძიმე რუსიფიკატული გეგმის განხორციელებას შეუდგა; ყოველ დაწესებულებაში მშობლიური ენის მაგივრად — ხალხისათვის გაუგებარი რუსული ენა გაბატონდა. ადგილობრივ პირობებსა და თავისებურებას არავითარ ყურადღებას აქცევდნენ. რუსულ უცხო ენაზე სწარმოებს სამართალი. ბეგარით დატვირთული გლეხობა ბატონყმობის უღელ-ქვეშ კენდის. ასეთ დროს, ცხადია, ქართველი ერის თავდაცვის ინსტიქტს, მოწოდებული ძალის წინააღმდეგ პროტესტანტული სახე უნდა მიეღო, და აი, მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის მიჯნაზე ბნელითის წინააღმდეგ განთიადმა ოდნავ მაინც ამოანათა. დ. ქონქაძემ, ლ. არდაზიანმა, გ. ერისთავმა, მდაბიო ხალხის ქირი და ვაება მხატვრულ ლიტერატურაში ასახეს. რომანტიზმი რეალიზმმა შესცვალა. ქართული ენა ხალხურ ენას დაუახლოვდა. იწყება 60-წლების მოღვაწეთა საქვეყნო სარბიელზე აქტიური გამოხველა, ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, რომლის ერთერთ შებაირალეთ თავიდანვე ი. გოგებაშვილიც გამოიღო.

იაკობ გოგებაშვილის გამოსვლა პრაქტიკულ მოღვაწეობით იწყება. სასულიერო აკადემიაში განათლება მიღებული, იგი პირველათ თბილისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობს, საიდანაც დათხოვნილი იქნა მოწაფეებში ლიბერალური აზრების გავრცელებისათვის. სამშობლოს სიყვარულით შემოსილი იაკობი სამსახურის გარედასახლობა განათლების საქმეს გაორკეცებული ენერგიით ემსახურება. იმ დროს ჩვენში ენის წესიერად შედგენილი სახელმძღვანელო, არ არსებობდა. გოგებაშვილმა ამას მაშინვე განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო. შეადგინა და გამოსცა პირველი საკითხავი წიგნი, შემდეგ 1869 წელს, — „ბუნების კარი“, ხოლო 1875 წელს — „დედა-ენა“, — ეს ჩვენი სახალხო სკოლის პირველი სულიერი საზრდო. ამათ გარდა: — „ოკორა“, — „კონა“, „ხომლი“, და „კუნწული“. ამასთან რუსული სახელმძღვანელოები ქართული სკოლებისათვის: — „რუსსკოე სლოვო“, — პირველი და მეორე ნაწილი. მეთოდური მასწავლებელთათვის, „დედა-ნი“ და სხვანი. იაკობ გოგებაშვილის ნიჭიერ კალამს ეკუთვნის ბევრი საისტორიო, საბელეტრისტო ნაწარმოები: „რანი ვიყავით გუშინ?“, „ასპინძის ომი“, „იავნანამ რა ქმნა“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“. „საარაკო თავადასავალი ტახტის მემკვიდრისა“, „ხატის მიზეზი“, — „პრავდა ო ტიფლისე“ და სხვანი, — თავის ნაწერებში ავტორი უღვიძებს მკითხველს სამშობლოს

სიყვარულის გრძნობას და აშუქებს მის გულს მაღალ ზნეობრივ შეგნებისათვის.

იაკობ გოგებაშვილი ერთი დამაარსებელთაგანია ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომლის გამეგობის წევრად 20 წლის განმავლობაში დარჩა. ენერგიული მონაწილეობა მიიღო მანვე წინამძღვარიანთ-კარისა და სათავად-აზნაურო სკოლების დაარსებაში. იგი ცნობილია, როგორც პუბლიცისტი. იაკობი სწერდა სხვადასხვა საკითხებზე, კულტურულზე და პოლიტიკურზე — ქართულად და რუსულათაც. მისი პედაგოგიური და პუბლიცისტურ თხზულებათა პირველი ტომი 475 გვ. დიდის ფორმატისა 1910 წელს გამოიცა, სადაც ის თავგამოდებით იცავს ქართულ სკოლას, ქართულ ენას, ქართულ ისტორიას, ქართულ კულტურას — ქართველი ერის ყოველ გვარ სოციალურ, პოლიტიკურ და ეროვნულ საჭიროებებს... გარდაიცვალა 1912 წელს.

ქართული სახალხო განათლება, ეროვნული სკოლის და ენის საშუალებით — ქვაკუთხედი გოგებაშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური პრინციპის. სახალხო განათლება არის საშუალება ერის გონებრივი, ზნეობრივი და ქონებრივი განვითარების, შეგნებულ შრომის ნაყოფიერების, საერო სიმდიდრის გაფართოების: —

— „მთელს დედამიწის ზურგზე ვერ მოსძებნით ისეთ კუთხეს — ამბობს ი. გოგებაშვილი, — სადაც ხალხს იმაზე მეტი მომეტებული სწავლის სურვილი ჰქონდეს, როგორც საქართველოში. რუსს ისე არ უყვარს თავისი სანატრელი „გოდკა“, გერმანელს — ლული, ფრანგს — მამანაიური, იტალიელს — ოპერა, ინგლისელს — ბიგ-შტეკი, ოსმალებს — ყავა — და ჩინელს — ბანგი, როგორც ქართველთ სწყურიათ სწავლა... მაგრამ უბედურება ხალხის და ერის სწორეთ ის არის, რომ ჩვენი სკოლა მოკლებულია საღს პედაგოგიურ სისტემას, რაც ხელს უწყობს გადაგვარებას, ჰბადებს სიძულვილს, ჰკლავს სიყვარულს“. (გ-ს ნაწ. 45 გვ.)

დაკარგულია ქართველი ერის სხეული, მაგრამ იგი არ სცხრება და იბრძვის თავგამოდებით დამპყრობელ რუსთა წინააღმდეგ. ვის არ ახსოვს ჩვენს ცხოვრებაში გამეფებული რუს-მოხელეების თარეში. იანოვსკ-ლევიცკი-ვისტორგოვების რუსიფიკაციული პოლიტიკა და იერიშები: ქართული ენა მათ მიერ აბუჩათ იყო აგდებული, პირველ-დაწყებით სკოლებში ლევიცკის მუნჯური მეთოდი გამეფდება, ვისტორგოვმა ქართულ სკოლებში თარგმნითი მეთოდი აკრძალა, და მოითხოვა — „ბუნების კარისა“ და „დედა-ენის“, აკრძალვა. გიმნაზიებში ქართული ენა აბუჩად აიგდეს, და მოსწავლისათვის არა სავალდებულოთ აქციეს. ქართველი პედაგოგები დაამცირეს საშუალო სასწავლებლებში და მათი ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნა აკრძალეს. რუსი მასწავლებლების განწესება იწყეს ქართულ სკოლებში, სადაც ბავშმა და ხალხმა ერთი სიტყვაც რუსული არ იციან. მოხდა აკრძალვა ქართულ წერა-კითხვის სკოლებისა საქართველოში. —

ასეთ რუსიფიკაციულ პოლიტიკის შედეგად შემცირდა ქართველ მოსწავლეთა რიცხვი საშუალო სასწავლებლებში, 1904 წელს მაგ., რუს მოსწავლეთა რიცხვი ამიერ კავკასიის საშუალო სასწავლებლებში 2600 აღწევდა სომხებისა — 1900, ქართველებისა კი 1300. ამავე დროს რუსეთის მოსახლეობა ჯარებითურთ 200,000,

სომხების — 900,000, ქართველების, — 1,500,000 აღწევდა.

რა არის, მაშ, ქართველ მოსწავლეთა სიმცირის მიზეზი? — კითხვობს ი. გოგებაშვილი — შესაძლოა უნიჭონი არიან ქართველები და ცუდად სწავლობენ? პირიქით, იმ დროის სტატისტიკა გვიჩვენებს შემდეგს: 1904 წ. მოსწავლეთა წარმატება სასწავლებლებში: — რუსთათვის — 87%, ქართველების 81%, სომხების — 80%, მაშ, რა არის მიზეზი ქართველ მოსწავლეთა სიმცირის? სწავლის ფულის დიდი გადასახადი, რაც ღარიბ ქართველობას არ შეეძლო, და ცოტა სტიპენდიები ქართველთათვის. ქუთაისის და თბილისის ქართულ გიმნაზიებში სასტიკი გამოცდები და, ამგვარათ, კურსდამთავრებულ ქართველ მოსწავლეთა შევიწროება. დევნა ქართული პრესის, რომელიც ხმას აღიმალლებდა ჩვენი ეროვნულ თუ სოციალურ მოთხოვნათა დასაცველად, მაგ., აკრძალვა ი. გოგებაშვილის სტატიებისა საბეგრელოს და სვანეთის სკოლებში ქართული ენის გაუქმების წინააღმდეგ; აგრეთვე მისივე წერილის აკრძალვა — ლევიცის მუხჯური მეთოდის წინააღმდეგ. (გ-ს ნაწ. 521.)

1903 წელს კავკასიის სამოსწ. მზრუნველის ცირკულიარი თავნეტურათ აცხადებს: სახალხო სკოლებში უმთავრესად სწავლება რუსულ ენაზე სწარმოებს (92%), ხოლო სკოლები, სადაც სწავლა მხოლოდ დედა-ენაზე სწარმოებს, არ არსებობს...

„სახალხო სკოლა არის სკოლა დედა ენისა“ — ამბობს დიდი პედაგოგი კომენსკი. „განმანათლებელი მნიშვნელობა ჩვენი სკოლისა, მოითხოვს სწავლებას დედა ენაზე“, დასძენს გოგებაშვილი. — დედა-ენა სულის სკოლის, მით უნდა საზრდობდეს, მით უნდა ვითარდებოდეს“ — ამასვე ამტკიცებს რუსი — პედაგოგი უმინსკი. მაგრამ მშობლიური ენის განდევნა ანუ შევიწროება სკოლებში — სკოლის სასიკვდილო სენია ვარდაუელი; ასეთი სკოლა ბავშვებისათვის საპყრობილეა. სამშობლო ლექსი მას გულს არ უხალისებს. ღვიძლი ანდაზები და ზღაპრები მის გულს არ ხვდება, არ ავარჯიშებს, არ ასხამს ფრთებს.

„ენა, ლიტერატურა, არის უმდიდრესი საღარო, რომელშიაც ჩვენი ერის მრავალ თაობას ძვირფას განძივით შეუტნახავს საუკეთესო ნაწარმოები ხალხის გონების და უმაღლესი გრძნობები გულისა! ჩვენი ერის ტერიტორიის და ლიტერატურის შესწავლით, ყოველი ქართველი მოსწავლე გულით და სულით შეითვისებდა თავის ერს და შეიქმნებოდა მისი ჭეშმარიტი სულიერი შვილი! სამშობლო ენის, სამშობლო ქვეყნის და ლიტერატურის შესწავლას ყოველ სასწავლებელში დათმობილი უნდა ჰქონდეს უპირველესი ადგილი. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა — საქართველო, გამოკლებულია ყველა დამოუკიდებელ, თავისუფალ ქვეყნების რიცხვიდან“. (გ-ს ნაწ. 14 გვ.)

ასე განაგრძობს ბრძოლას გოგებაშვილი რუსების მიერ დაპყრობილ საქართველოში. იგი გადაჭრით მოითხოვს ქართული ენის კათედრას სასულიერო სემინარიებში, აგრეთვე ქართულ ენაზე საკვირაო სკოლების, სახალხო უნივერსიტეტების, ბიბლიოთეკების და სამეურნეო სკოლების გაერთიანებას ქართულ სოფლებსა და ქალაქებში. გოგებაშვილი სწერს წინამძღვარიანთ სკოლის პროგრამას, სადაც ნ წლის განმავლობაში — ყველა საგნების სწავლება სამშობლო ენაზე სწარმოებს და ამასვე უმატებს:

— „დედა ენას ბავში არ სწავლობს, როგორც უბრალო ნიშნებს და სიტყვებს, ის სწოვს სულიერ საზრდოს დედა-ენის მკვებავ ძუძუდან, იგი უხსნის მას ხალხის რწმენას და მის პოეზიას ისე, როგორც ვერც ერთი ესტეტიკოსი ვერ აუხსნიდა, იგი ისეთ ნათელს ჰფენს მის მსჯელობას და ფილოსოფიურ შეხედულებას, რასაც ვერც ერთი ფილოსოფოსი ვერ მოჰპოვებდა“ (გ-ს ნაწ. 109 გვ.)

ასეთია ეროვნული სკოლის სიკეთე და დანიშნულება. „ერი უმაღლესი მცნებაა!“ ამბობს გამოჩენილი გერმანელი პედაგოგი პარნიში: „პატრონობს ხალხი კარგ სკოლას? მაშინ, ცხადია, ის პირველი ერია“. (გერმანული პედაგოგების ისტორია — ა. შიორი).

საქართველოს მრავალ საუკუნის განმავლობაში მარად იბრძოდა და დღესაც დაპყრობის ხანაში, ბრძოლას განაგრძობს ეროვნული მეობის, დამოუკიდებელი ერის და სკოლის აღსადგენად.

საშინლათ დაცემული და დაზარალებული შოტლანდია, ეროვნულმა სახალხო სკოლამ ფენზე წამოაყენა და განათლებულ მეზობლებზე ბევრად მალა ასწია — ჭკუთ, ზნეობით, სიმდიდრით.

ეროვნული, დამოუკიდებელი სკოლა ჩვენში უფრო მეტათ აღამალლებს ჩვენს ხალხს, რომელიც აუარებელმა ტანჯვა-წამებამ ვერ დასცა და გული ვერ აუტრუვა მხნეობაზე და გამრჯელობაზე.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკა უაღრესად ეროვნულია, მეცნიერული. ეს არის მისი უდიდესი დამსახურება ქართული ეროვნული სკოლის წინაშე. მისი ქართული სახელმძღვანელო „დედა-ენა“ „ბუნების კარი“, მისი რუსული „რუსკოე სლოვო“ და ქართული მეთოდები — დამყარებულნი არიან ღრმა პედაგოგიურ-მეცნიერულ საფუძვლებზე, მასალა ქართულ ცხოვრებიდან ამოღებულია და მკაცრ სისტემით დალაგებულ-დამუშავებული, წერა-კითხვის სწავლება ხმოვან მეთოდით წარმოებული, რაც გოგებაშვილის მიერ ქართულ სკოლაში პირველათ იქნა შემოღებული, წინააღმდეგ ძველი სილამუზური მეთოდის — ევროპის მეცნიერულ პედაგოგიკის მიხედვით; მოგვყავს ქართული ენის და ლიტერატურის კარგათ მცოდნე არტურ ლაისტის აზრი გოგებაშვილზე: „გოგებაშვილის პედაგოგიკა, სახელმძღვანელოები თამამად შეიძლება შევადაროთ განათლებულ ერთა საუკეთესო პედაგოგიურ სახელმძღვანელოებს!“

ღლიდან საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისა იაკობ გოგებაშვილის ძახილი იყო: შექმნა ქართული მიმართულების, ქართული სამოქმედო გეგმის და პროგრამის, მით უმეტეს ერისთვის, რომლის ბრძოლა არსებობისთვის მეტად გაძნელებული იყო დაპყრობისა და დამონების გამო.

„აქვს ჩვენს ერს პროგრამა თუ არა? არსებობს ქართული გეგმა მოქმედებისა, თუ ჩვენი ცხოვრების გზა ბინდ-ბუნდით არის მოცული?“ — კითხვობს გოგებაშვილი და უპასუხებს. — „დაიხ, ქართველობას აქვს განსაზღვრული მიმართულება, გადაჭრილი სიმბოლო პოლიტიკური რწმენისა. რასში მდგომარეობს ეს სიმბოლო? საქართველოს პოლიტიკური მომავალი!... საქართველო მონობას განიცდის; განაგრძობს გოგებაშვილი. — „მონობა ორგვარია: წოდებათა შორის და ხალხთა შორის! საშინელია ბატონ-ყმობა ხალხთა შორის, ე. ი. ერთი ერის დაპყრობა მეორესაგან, ერს ყველაზე მეტად აბრკოლებს მონობა, რომელიც ერთ მხარეს მხეცად ხდის, მეორეს ნივთად. ბატონი ირყვნება, მხეცდება, მონა მიწასთან სწორდება, პროგრესი სრულიად ისპობა!“ (გ-ს ნაწ. 288 გვ.)

მაშ, როგორი უნდა იყოს საქართველოს პოლიტიკური მომავალი?

აქ გოგებაშვილი იძლევა თავისებურ პასუხს, რა თქმა უნდა იმ დროისა და გარემოების მიხედვით, რაშიაც მაშინ, დაპყრობილი საქართველო იმყოფებოდა. ის მოითხოვს, ცხადია, საქართველოს აშკარა დამოუკიდებლობას და განაგრძობს: „წავიდა ხანა პაწია სამეფოების, დაღა ხანა დიდი ფედერაციების და შეერთებული შტატების!“ (გ-ს ნაწ. 634 გვ.) — გოგებაშვილი ვერ მიღის სეპარატიზმამდე მაგრამ, ცხადია, პოლიტიკური ავტონომიის მომხრეა.

„მეორე მუხლი ქართული პოლიტიკური სიმბოლოსი, — განაგრძობს გოგებაშვილი, არის შემდეგი: გაფურჩქნეთ, აყვავეთ და გააძლიერეთ ყველა თქვენი ეროვნული ძალები. ჩვეუკვირდით ამ მუხლს. უნდა გავჯეროდეს, რომ საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს: ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო! — მშობლიური ტერიტორია, მიწა-წყალი, მარტო ნივთიერი ფაქტორი არ განლავს, იგი ამასთანავე ცოცხალი სულიერი არსებაა: წართვით ერს მიწა-წყალი; მისი ტერიტორია და იგი დაკარგავს არა მხოლოდ ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ ისტორიულ სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს!“ (გ-ს ნაწ. 365 გვ.).

მესამე ბურჯი ჩვენი ეროვნული ალორძინებისა განლავს სამშობლო ენა: ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. საშინელ მდგომარეობაში ვარდება ერი, როდესაც მის ენას პატივი და უფლება აქვს აყრილი, და მას რიგიანად ვეღარ სწავლობს სკოლებში. ამ შემთხვევაში სუსტდება ღვიძლი ენა. სუსტი ენა ჰბადებს სუსტ აზრს, სუსტ გრძობას, სუსტ ხასიათს და ერის ცხოვრებაში დგება ის უბედური ხანა, რომელსაც ერთმა რუსმა მწერალმა „პერიოდ მერზოსტი ი ზაპუსტენია“ უწოდა. ამ უბედურ ხანას თავის სასარგებლოდ იყენებენ მტრები და ნახევრად დამუხჯებულ, დაქვეითებულ ხალხს ხელიდან აცლიან მიწა-წყალს, დოვლას და ყოველ ეროვნულ საუხჯეს (გ-ს ნაწ. 366 გვ.).

მეთხუთსე ბურჯი ერის წარმატებისა არის სკოლა, სახალხო განათლება. რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლესობით სკოლები, ყოველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ცვლილება. ერი გამდიდრებულია ცოდნით, ამდიდრებულია ზნეობით, აღვისილა დოვლათით. მთელი ევროპის ისტორია უტყუარია საბუთია ამისა. საქართველოში კი ხანია სახალხო სკოლები, მაგრამ ჩვენში დღევანდელი სკოლები თითქმის უნაყოფო გამოდგა. ჩვენებური დღევანდელი სკოლა არამც თუ ცოდნას არა ჰფენს ერში, ზნეობას არ აუკეთესებს, დანაშაულობას არ ამცირებს, არამედ რიგიან წერა-კითხვასაც ვერ ასწავლის, ვერც ქართულ ენაზე და ვერც რუსულადაც. გოგებაშვილი განმარტავს: ჩვენმა სკოლამ ყველაფერი ანაცვალა რუსული ენის სწავლებას და ამასაც ვერ მიაღწია. მთავარი მიზეზი ამისა დაპყრობა და გარუსების პოლიტიკაა, რაც საგსებით ამხინჯებს საღ პედაგოგიურ პრინციპებს. სკოლა მოითხოვს, — განაგრძობს გოგებაშვილი, კეთილ პედაგოგიურ პრინციპებზე მოწყობას. ამისათვის საჭიროა შემდეგი გეგმის დამყარება ქართულ სკოლებში. 1) კურსი უნდა განდეს 4 წლიანი 2) როგორც ყველა ერში, სწავლება ყველა საგნებისა უნდა ხდებოდეს დედა ენაზე 3) რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც სავანი მე-2 წლიდან, სწავლა სწარმოებდეს უფასოდ. პანსიონებში ქართველებს დაეთმოს მეტი ადგილი. ახალი საშვალო და სპეციალური სასწავლებლები უნდა დაარსდეს ქალაქს გარედაც, სოფლებში და დაბებში; როგორც ეს შემოღებულია დაწინაურებულ ქვეყნებში“. (გ-ს ნაწ. 368 გვ.).

იაკობ გოგებაშვილი ერთერთ დიდ როლს ეროვნულ განათლებაში ქართულ ეკლესიას ანიჭებს. „ქართული ეკლესია დაჩაგრულია“ ამბობს გოგებაშვილი და ქართველი ერის წარმატებისთვის — მოითხოვს ავტონომიურ ქართულ ეკლესიას და სამშობლო ენაზე საღვთო სჯულის სწავლებას (გ-ს ნაწ. 368 გვ.).

გოგებაშვილი ერის საეკლესიო თვლიდა იმ გარემოებას, რომ „ბატონყმობა 1864 წელს გაუქმებული, დღემდის ფაქტიურად არსებობს, საწყალი, ჩვენებური გლეხები დღესაც მოვალენი არიან მემამულეებს მოსავლის მე-4-დი აძლიონ, რაც მათ აუტანელ გაჭირვებაში ამყოფებთ“. იგი სასტიკათ ილაშქრებს იმ რუსიფიკატულ

პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო საქართველოს დაქსახვა-დანაწილება და მისი არარაობათ ქცევა. „უკვე გაიძახიან სიტყვით და ბეჭედითაც, ამბობს გოგებაშვილი, რომ თუმცა, მთიელებს, ფშაველებს მეგრელებს, სვანებს, რად უნდა ვასწავლოთ სავანები ქართულ ენაზე და ქართული წიგნი, როდესაც იგინი ითვლებიან ცალკე ხალხებათ და თავისი საკუთარი ენა აქვთ, განცალკევებული ქართული ენიდანო, მაგრამ არც ეს პროვინციალური ენებია სახმარებელი, რადგან ამ ენებზე არ არსებობს არც წერა-კითხვა, არც ლიტერატურა და არც წირვა-ლოცვაო“.

— „მამ გაუმარჯოს მუნჯურ მეთოდს ყველა სავანების სწავლებისას სკოლაში და შემდეგ ეკლესიაშიც“ დასძენს ირონიულათ გოგებაშვილი (გ-ს ნაწ. 382 გვ.).

გოგებაშვილის უდიდესი იდეოლოგიაა თავისუფალი საქართველო, რისთვისაც ის იბრძვის, რამდენათაც ეს ბრძოლა მაშინდელ პირობებში შეიძლებოდა. უცხო ქვეყნების ისტორიული მაგალითები გვიმტკიცებს, თუ რას ნიშნავს ერის პოლიტიკურ-სოციალური თავისუფლება. ის სწერს ირლანდიაზე:

„ირლანდიის ისტორიაში განიჩევა 2 დიდი პერიოდი. პირველია ირლანდიის დამოუკიდებელი ხანა, მეორე კი ხანა დაპყრობისა; სანამ ირლანდიას ჰქონდა დამოუკიდებელი არსებობა, მისი ერის ცხოვრება ისე ყვავოდა, როგორც მისი ლალანა კუნძული, მაგრამ, როცა სამ ირლანდიის ოდენა ინგლისი მას თავს დაესხა და დამორჩილა, მისი ბედი უკუღმა დატრიალდა. ამ დამორჩილების უღელმა შეაჩერა აღმადრენა და თავისუფალი განვითარება ირლანდიის ერის გენიისა. ერი თავისუფალია და ძლიერი, თუ მისი ეკონომიური მდგომარეობა არის ძლიერი. და აი, ყველაზე მეტი ბოროტება ინგლისმა, დაპყრობის გარდა, ირლანდიას მით მიაყენა, რომ ჩამოართვა ირლანდიის გლეხობას მთელი დედულ-მამული და დაუსაკუთრა თავის ლორდებს, მებატონეებს. ხალხი ვალატაკდა, შემცირდა. ბევრმა გლეხმა დასტოვა ირლანდია და გადასახლდა ამერიკაში ლუკმა პურისთვის. 10 მილიონიანი ირლანდია 4 მილიონამდე შემცირდა“.

ამგვარი საშინელება სუფევდა საქართველოშიც. ვეება რუსეთმა დაიპყრო პატარა საქართველო, ჩამოართვა ქართველ გლეხებს მიწები და გადასცა დამპყრობელ რუს ბატონს. საკუთარ მიწა-წყალს მოკლებული ქართველი ხალხი ღატაკდება და მცირდება, ფიზიკურ განადგურებას განიცდის. და გოგებაშვილი აღტაცებულია გლადსტონის ერთის ბილითა, რომლითაც ირლანდიის გლეხობას უბრუნდება საკუთრებად თავისი მიწა-წყალი — და ასე მსჯელობს.

„საკუთარებას მოკლებული მშრომელი ხალხი მთელი დღე შრომობს, მაგრამ უმეტესი ნაწილი მისი შრომის ნაყოფის ჩადის მიწისა და ქარხნის მეპატრონეთა ჯიბეებში, ერთ მხარეს ლუპავს სილატაკე და გადამეტებული შრომა, მეორეს ცუდაობა და სიმდიდრე“ — და გლადსტონიც ამ სოციალურ რეფორმაში ხედავდა ირლანდიის ერის ბედნიერებას“. (გ-ს ნაწ. 75 გვ.).

ენება რა ჩვენს ვინაობას, გოგებაშვილი კითხულობს: ვინ არის პატრიოტი? „პატრიოტია ის, — უპასუხებს თვითონვე, — ვისაც სიცოცხლის უმთავრეს სავნათ გაუხდია მშობელი ქვეყნის ბედნიერება... ვისაც მთლად დაპარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც მამულის ზრუნვისათვის არ მოუხმარია, ვინც ბედნიერია ერის ბედნიერებით, უბედურია სამშობლოს უბედურობით — და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე (გ-ს ნაწ. 22 გვ.).

— „ახალი საქართველო, რომელიც არის სავანი ჩვენი პატრიოტული ნატურისა, მიქცეული უნდა იქმნას არა უკან, აზიისაკენ არამედ წინ, ევროპისაკენ. დასავლეთიდან უნდა სვას მან განათლება, მეცნიერება“. (გ-ს ნაწ. 24 გვ.).



„მხოლოდ ეს არ კმარა, საჭიროა ზრუნვა, ერის სოციალურ წარმატებაზე, მის ეკონომიურ განმტკიცებაზე, რადგან ეკონომიური აყვავება ქვეყნისა ხდება მეურვეველ ბურჟუაზიის ეროვნული აღორძინების. ეს ორი ბოძი ხალხის ცხოვრების — ეროვნული და სოციალური, ერთმანეთს უკავშირდება, და მათი დაცვა-კვება, გაყრა არას დროს ხეირს არ დააყრის არც კერძო პირს, არც საზოგადოებას“. — (გ-ს ნაწ. 40 გვ.). — ებრძვის რუსების ჩამოსახლებას საქართველოში და უღმობელ ფაქტებით ააშკარავებს ამგვარ უსამართლობას.

— „რუსეთის ერთ კვადრატ მილზე, ამბობს გოგებაშვილი, სცხოვრობს 500 სული, მაშინ, როცა საქართველოს იმავე სივრცეზე 1000 სული სცხოვრობს“. მოკყავს ცნობები „კვალის“ თანამშრომელ მარშალის წერილიდან „მეურნე და მეურნეობა“, რომელიც ცხადყოფს ქართველ მეურნე გლეხთა დიდ შევიწროებას. „ქუთაისის გუბერნიაში ერთ კომლ მცხოვრებზე მხოლოდ 2,27 დესიატინა მიწა მოდის, მაშინ, როცა კავკასიის სტატისტიკით, მთავრობის ანგარიშებით, მოსახლე გლეხს არა ნაკლებ 10 დესიატინა მიწის უნდა ჰქონოდა, რომ ოჯახის დაკმაყოფილება, რამოდენიმედი მაინც შესძლებოდა“ (გ-ს. ნაწ. 415 გვ.).

გოგებაშვილი არ სტოვებს უყურადღებოდ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთს მხარეს. ის გამოთქვამს მწუხარებას, რომ ბევრი ქართველი, დროთა ვაგების მიხედვით, „უცხოეთში მოღვაწეობს, როცა დაცემული სამშობლო მტრის უღლის ქვეშ ნადგურდება“.

ასეთია დღევანდელი ბედიც დაპყრობილ-ქართველ ერისა. ქართული კულტურა, ქართული ლიტერატურა, თუმცა ღარიბი არ არის, მაგრამ მაინც უღაბნოს მომცდარ ყანას ემსგავსება. ქართული მეცნიერება, რომელიც მხო-

ლოდ ჩასახულია, შეიძლება დედის მუცელში გაწყალდეს.

„რა მიზეზი ამბდაბლეს ჩვენში სამშობლო ლიტერატურის მოძრაობას? — კითხულობდა თავის დროზე გოგებაშვილი — ქართველი ერის უნიჭობა? არა, მიუხედავად მრავალ წელთა განმავლობაში მტრისაგან ჩვენი შევიწროებისა, ქართველმა ერმა დაიცვა სამშობლო ტერიტორია, ენა, კულტურა! ამ დაცვისათვის საკმარისი არ იყო ვაჟკაცი მარჯვენა, ელვარე ხმალი, ბასრი ხანჯალი, ამაზე უფრო საჭირო იყო გამჭირაბი ჭკა, შორს გამჭვრეტი გონება. რამ აუძლურა მამ ახალი საქართველო? ნუთუ იმ მდგომარეობამ, რომელშიაც იგი მე-19 საუკუნის დამდეგს ჩავარდა?“ 120 წლის განუწყვეტელმა მონობამ, ვუბასუხებთ ჩვენ. იმავე მდგომარეობას განიცდის დღესაც ქართველი ერი დაპყრობილი წითელი რუსებისაგან!...

ჩვენ განვიხილეთ რამოდენიმედი მაინც, გოგებაშვილის მოღვაწეობა! მოკლეა ეს განხილვა, იმ ვრცელ მოღვაწეობასთან შედარებით, რომელსაც გოგებაშვილი 50 წლის მანძილზე აწარმოებდა! ერთი იყო ეროვნული მხარე მოღვაწეობის, რომელსაც იგი თავის მრავალ პუბლიცისტურ ნაწერებში, რუს დამპყრობელთა წინააღმდეგ, ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს სწირავდა, მეორეა — პედაგოგიური მხარე, რომლითაც იგი ქართველი ერის აღზრდა-განათლებისთვის იბრძოდა!..

იაკობ გოგებაშვილი ითვლება ჩვენი ეროვნული სკოლის მამათმთავარად, მის შემქნელად და ქართულ ეროვნულ-მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლად: იგი დიდი ეროვნული მოღვაწე იყო, რომლის დროშაზე წარუშლელი ასოებით სწერია: „თავისუფალი საქართველო!“ —

გელა გელაზანი

გ უ ლ ს . . .

გ. შაორისპირელი.

გულო, რად ჰკრთი, რატომ უფოთავ, ჩადექ საგულეს, ვიცი: დარდი და ცრემლები წილად გარგუნეს, მაგრამ, გულო, უნდა გასძლო, ბედი ასეა!.. ამ ცხოვრების ჯამ-ფილა გესლით ხავსეა.

ვიცი: გტყორცნეს მწვე ისარი, სისხლი გადინეს და მკერდიდან ამოღება მოგიწადინეს, მაგრამ მტერმა ვერ დაგძლია! — შერჩა ნადველი, თვით ნსკვალა სასიკვდილოთ ბოროტ-მზრახველი.

დრო გაივლის მწუხარება მოგემატება, შეიძლება მარტო დარჩე, როგორც ხატება, ჩამოგშორდეს ტოლსწორები, ამხანაგები — ეს ცხოვრება თურმე ასე არის ნაგები.

დარჩე მარტო, დარჩე ობლად, დარჩე ეული, მკერდ-საკანში, ვით ტუსალი გამომწყვდეული, არ ვინ გაჩნდეს მოიმედე, მსახობელი და სიკვდილის უამს მოზარე, დამტირებელი.

მაგრამ, გულო!.. მაშინ გმართებს გულსა გულობა, მაშინ უნდა დამანახო შენ დიდ-სულობა, რომ მტერმაც კი გაკვირვებით სიქვას: „ეს რა ვნახე, გული იყო, გულად მოკვდა, გულად დავმარხე“.

გულო, ჩემო, ჩვენი ფიცი და აღტქმულობა, რა კნ ერთხელ სიკისკასით ბავეს გამოსცდა,

დე, ბოლომდე მივიტანოთ, უყოთ სრულობა და სულ-წმიდათ დავიჭიროთ ერთან გამოცდა.

იქნებ, გულო, ნაწამებმა იგრძნო სიამე და სულ სხვაგვარ შეიცვალოს აწმყოს სიავე: მტერს დაუსხლტეს კლანქებდნ ჩვენი მამული, იგრძნოს შვება და კვლავ აღსდგეს დიდ-მეწამული!

მაშინ, გულო!.. აღბათ სხვაგვარ იწყებ ძვერასა, აღტყინებით შემოსძახებ მძლე სიმღერასა, სამშობლოსკენ გაფრინდება ვით შევარდენი, რომ მამულსა მიაფრქვიო ია-ვარდებო.

ეჰ, კარგია, გულო ჩემო, ტკბილი ოცნება... მაგრამ რაც ვთქვი, რომ აღსრულდეს ნუ გეოცება, ღმერთი არნს სულგრძელი და ყოვლად მოწყალე, იგი ერთხელ ჩვენც მოგვხედავს, მოგვაპყრობს თვალებს.

ეგებ ჩვენ მას ვერ მოვესწროთ, მაგრამ არ წახდე, და მტრისათვის სახაცილო აროდეს გახდე. ხომ გითხარი: სწორედ მაშინ გმართებს გულობა, მაშინ უნდა დამანახო შენ დიდ-სულობა.

მაშ, ვავსწიოთ, წინ!.. უშიშრად!.. მტერს არ დავნებდეთ, ერთად, გულო!.. სიმამაცით ბოროტს ვავნებდეთ. რა ვუყოთ, რომ მწუხარება წილად გვარგუნეს, მშვიდათ.. მშვიდათ იგუგუნე, გულო, საგულეს.

შ ა ფ ხ უ ლ ი ს ღ ა მ ე

ბ. ბ — ძე

ბაკში ნახირი იცოხნის მადით...
მძინარე მწყენის გაისმის ბოდვა,
ჭალა ტყის პირად ნიაჟი დადის
ქილხა ხევების სანაპიროდან.

კოდის წყაროში ჩასულა მთვარე —
ხავერდის მსგავსი ოქროს მურებთ.
ჩიტი ნიბლია ნარზე მძინარე...
ციცინათლები და ღამურები.

თაველ აურალი ლონქოშო უანა,
კაკლის ხეები, ფიცრული ოდა.

მთვარის ნათელზე ხის ჯვრები სჩანან
სოფლის მღუმარე სასაფლაოდან.

მდინარის გმინვა... დაბმული ტიკი...
ძველი საჯვარე... წმინდა ხატები...
გათიბულ ველში ზვინები თივის: —
წარსულ ეპოქის გოლიათები.

ხან ორლობებს გაჰყვება მგელი,
ხან კი მტისხარის ნაპირს სილიანს.
და იწვის როგორც სიწმარე ძველი
სოფლის სიწმინდე და ილილია.

ღ ღ ე გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ი ს

ფოსფორი... ცეცხლი... და ქუხილი გადაუღები...
მაგნიზიუმით გაუღენთილი რუხი ღლეები.
დრტვინავენ ტყეში ასწლოვანი ძველი მუხები
და თავებს ჰხრიან ბომბთა შიშით ალვის ხეები.

მივსდევ სახეებს ჯერ არ ნახულს, ჯერ არ განაგონს —
თავზე დაქვევით გვემუქრება გუმბათი ცისა...
ვინ გადურჩება, ვინ გაუძლებს აწ რისხვას ღვთისას, —
ღღესა აქვს ბრძოლა გადამწყვეტი ლომსა და დრაკონს.

გროვდება ფიქრი: — ვით მღვრეული ღრუბელი ცაზე,
ცის ფარდას გაჰყვით მთელვარე მახვილი ხმლისა.
და პლანეტები ეცემიან ბებერ მიწაზე —
ვით ქარისაგან დარხეული ნაყოფი სხლისა.

ფოსფორი ცეცხლით ჩამობნელდა ცის კაბადონი
ღღე განჩინების... ღღე სასტიკი ამარგადონის.

ც ხ რ ა ძ მ ა ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე

გიორგი ლოლუა

მიღეწილი თორები, მუწარადი, აბჯარი,
ქართლის მიწა ქართველთა სისხლით ვერა ძლებოდა;
სამშობლოს დამცველები; მისთვის ნამაგდარი
ცხრა ძმა ხერხეულიძე სიკვდილს ერკინებოდა.

თითო ცხრა ღღეს იბრძოდა, ცხრა ქრილობა სტკიოდა,
ცხრა მკლავის მოქნევისას მტერი იულიტებოდა,
ღღევივით იბრძოდნენ, სისხლი ღვარად სდიოდათ...
ქართლის მიწა ქართველთა სისხლით ვერა ძლებოდა.

როს სამშობლოს ველებზე გაირინდა ღუმლილი,
მტერი გაწყდა. ვაჟაკნი რვალს და ფოლადს ჰფერავ-
დნენ,

მიწამ ხარბმა დაიცხრო ვეშაპური წყურვილი
ხერხეულიძის სახლში ქალნი შავებს ჰყერავდნენ.

ცხრა ძმის ლალა-გამზრდელი, ფეხზედ ადგა ჭალარა,
გადაჰკოცნის ცხრა ვაჟაკს, ცხრა ადლი აქვთ მკერდია,
ეტყვის: თქვენ მასახელეთ არ ვიტყვებ, ალარა,
შურგში მტერის მახვილი არც ერთს არ მოჰხვედრია.

და ვინ მოსთვლის რამდენი დაიხოცა სახელი,
საქართველოს რამდენმა ანაცვალა სახელწ
მამულს მტკიცედ იცავდნენ გოლიათნი სხეულით
ამ ვაჟაკთა ლაშქარის ვინ იქნება დამთვლელი.

როცა მათ გავისხენებ, ვგრძნობ საკუთარ სხეულზე
ურჟოლა როგორ გამივლის, მაჯა დამიგუბდება...
ცხრა ღღევი ბუმბერაზი, ცხრა ძმა ხერხეულიძე,
მამულისშვილთა ლაშქარს წინ სარღლად მიუძღვება.

ნ ე ტ ა ვ შ ე მ ე ძ ლ ო ს

ბ. შაორისპირალი.

ნეტავ იმას, ვისაც შესწევს ნიჭი წერისა
და გულის დარღვა ჩააქარგავს ლექსთა ღენაში,
მე უმადური გამოვედი ბედისწერისა:
არ ვარ მგოსანი, გაწაფული აღმაფრენაში.

ნეტავ შემეძლოს, როცა სევდა შემომაწვება,
ვიპურო კალამი და ის სევდა ზედ დავახვიო,
ან, როს ასული შემომხვდება წითელ-ღაწვება,
ლექსად შევმღერო და ტრფობისა აღში გავხვიო.

რა ვქნა, მგოსნობას თვით ბუნება მიჰმადლებს კაცსა,
და არა ყველას, ძლიერ მცირეს: ათასში ერთსა,
მე თუ არ მერგო და ვერ ავცდი ამ სასჯელს მკაცრსა,
უნდა დავმშვიდდე და ასეც არს, ვმორჩილებ ღმერთსა!

მაგრამ უნდა ვსთქვა მე სიმაართლე და აღსარება:
ეს მადლი ღვთისგან ნაბოძები დიდი განძია,
მისი ხელმძნელი ზეციურ ძალს ენარნარება
და ძე მიწისა, მის მსგავსთაგან კაცად-კაცია.

ვაწვალებ თავსა მგოსნობაში, მაგრამ მგოსანწ,
ვამბობ გულწინად ჩემგან იგი არ წარმოსდგება
ისე, ვით სპილო არ იქნება ჩიტი ფრთოსანი
და მშრალ ქვიშისგან მუწარადი ჩამოიხსმება.

თურმე ობლობა და სულისა განმარტოება
აამეტყველებს კაცსა მუნჯსა და ენა-ბრგვილსა.
ამად მეც ასრე შემემთხვა და ამაოზა
დაემორჩილა მარტოდ-მყოფის ნება-სურვილსა...



„დონკიხოტი“ და „ვეფხის ტყაოსანი“

მსოფლიო შემოქმედებით ლიტერატურაში, ძირითადი ჰანგები — ხშირია — მეორდება; არც ხელოვანთა შექმნილი ფორმებია დაუღვევლი. დაუსრულებელი და დაუსრეტელი მხოლოდ თვით ადამიანის რთული ბუნებაა, რომლის „გული, გონება და სული“; ფიზიკურ არსებასთან ათასი სახით შეზავებული, — წყაროა ზემთაგონების, დასაბამი ორიგინალობისა.

ამ თვალსაზრისით, ბ-ნ მიხაკო წერეთლის, ქართველებისათვის აღმოჩენილი „გილაგამეშიანი“,*) არა მარტო თავისთავად უკვდავი ლიტერატურული ნაწარმოებია, გასაოცარი საფუძველიცაა მთელი მსოფლიო ლიტერატურის ძირითადი ჰანგებისათვის. დაწყებული ინდოეთის, სპარსეთის, არაბეთისა, ეგვიპტეს, საბერძნეთის თუ სხვა ქვეყნების**) ძველი ლეგენდა-მითოლოგიიდან და გათავებული თანამედროვე ევროპისა თუ აზიის ქმნილებათა მოტივებამდე.

ხუღარას ვიტყვი იმაზედ, რომ მთელი ქართული მითოლოგია — ზღაპრები, საგმირო ამბები, „ვეფხის ტყაოსანი“ და მომდევნო ეპოქების ქმნილებანი დღემდე, — უხილავი და ეხლა იქნება სახილველი ძაფებითაც იყოს გადაბმული ამ ფრიად ნიჭიერ ნაწარმოებთან.

ამ სიღრმეთა მკვლევარი არა ვარ, მაგრამ ასეთი შესავალით მინდოდა შემსუბუქება მწარე აბებისა იმ სათუთ ქართველებისათვის, ვინც ჩემს, — ქვემოთ ნარკვევში — დაინახავს მკრეხელობას, ეროვნული თავმოყვარეობისა და ჩვენი სახარება — „ვეფხის ტყაოსნის“ წინააღმდეგ.

ამ ახალი საბუთის გარდა, მინდა მოვავაზოთ ის ძველი, გაცვეთილიც, არისტოტელი ჰენიალურ ბერძნულ ტრალიდებზედაც რომ იმ აზრისა იყო, ვითომ ფაბულა, შინაარსი კი არა ჰქმნის ნაწარმოების სიდიადეს, არამედ გამოხატულებანი, რითაც ავტორი აღწევს ზედმოქმედებას ადამიანზე.

თუ აღნიშნულ გეზით შევხედავთ საკითხს, საწყენი არ უნდა იყოს უცნაური მსგავსებანი, „დონკიხოტისა“ და „ვეფხის ტყაოსანის“, შემქმნელთ ისე რომ ახლოვებს, თითქო ერთი ავტორის ნაწარმოები თუ არა, — როგორც შედეგრი და პაროდია, — ერთი წყაროდან მინც მომდინარეობდნენ.

ვინც ამ ორ ნაწარმოებს კარგად არ იცნობს, გაეციენება თავიდანვე, თითქო მეორე „დონკიხოტს“ კითხულობდეს, მაგრამ:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვით მარგალიტი ობოლი ხელი-ხელთ საგომანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ, — საქმე ვქმენ საჭოჭმანები...“

შოთა რუსთაველი რომ ამბობს თავისებური, მკვეთრად ლამაზი ენით*), — ნახეთ როგორა ჰგავს თავისი ლიტერატურული ხერხით, ოთხი საუკუნის შემდეგ ხმარებულ ხერხს დონ მიგუელ სერვანტეს დე საავედრასაგან თავისი „დონკიხოტისათვის“.

„ესე ამბავი არაბული, ტოლედოში ყოფნისას ნაპოენი ვილაც ბიჭისა და ვაჭრის ხელიდან-ხელში გადაცემის დროს, ისანურად ვათარგმნინე და წარმოვიდგებათ, როგორც სიდ ჰამედ ბენ-ენგელის დაუწერია“-ო და სხ.**)

*) დაწერილი 3.000 წლ. წინად ქრისტეს დაბადებამდე.

**) ებრაელთა დაბადება — ბიბლიისაც.

*) თანახმად მისივე პრინციპისა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“-ო.

**) მაშინ როდესაც სერვანტესს უფრო გრძლად და უწინოდა აქვს ეს ხერხი ნახმარი, ვიდრე მე მომყავს, მიუხედავად იმისა, რომ იმავე პრინციპს აღიარებს.

გარეგან სალიტერატურო ხერხების მსგავსება, სხვათაშორის, იმაშიცაა, რომ ორთავე ნაწარმოები დაყოფილია თავებად და ყველა თავსა აქვს სათაური, გამოთქმის მანერით მსგავსი ურთი-ერთისა კი არა მარტო, — ერთმანეთისაც.

ვთქვათ, თავი მე-25: „წასვლა აეთანდილისგან მეორედ გაპარვით და ტარიელის შეყრა“ — „ვ. ტ.“ და თავი მე-7: „De la segunda salida de nuestro buen caballero Don Quijote de la Mancha“ — „დ. კ.“

ან „ვ. ტ.“ თავი XXI — „შეროდინის საუბარი აეთანდილისგან ოდეს გაიპარა“. და „დ. კ.“ ა. X — „De los graciosos razonamientos que pasaron entre Don Quijote y Sancho Panca su escudero“ და სხ.

აგრეთვე ხერხი სათაურების გადაბმისა; „აქა ამბავი...“ სრულიად წააგავს: „Que trata“ ან „Donde-queñta“ და სხ. და სხვ.

ასეთი გარეგნული მსგავსება, აუარებელია და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ „დონკიხოტი“ აქრელებულია ლექსებით და ბევრგან პროზაც თითქმის, გაღეჭილია, რომ იუსტინე აბულაძეს ჰიპოტეზით პირვანდელი ვარიანტები „ვეფხის ტყაოსნისა“ მხოლოდ ნახევრად იყო გაღეჭილი, — რაც ძალიან ადვილად დასაშვებია, — სრულიად საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს ჩემგან მოყვანილი გარეგნული მსგავსებანიც, უცნაურობის საკითხის დასაყენებლად.

მაგრამ ყველაფერი ზემონათქვამი სულ არაფერია იმ სულიერ მსგავსებასთან და, რაც უფრო საგულისხმოა, ის აღმოჩნდა სული, რომელიც ორივე ნაწარმოებში ტრიალებს, მიუხედავად საუკუნეებისა და დიდი მანძილისა ორივე ივერიის შორის.

არავითარი ნიშანი არ არსებობს, სერვანტეს დე საავედრას სცნობოდეს შოთა დე რუსთაველს „ვეფხის ტყაოსანი“ და უკულმა დებულება ხომ სულაც ვერ იარსებებს და სად უნდა ვეძიოთ მას ძირი ასეთი მსგავსებისა?

იქნებ უფრო ღრმად, უფრო შორს ისტორიულ ან ისტორიის წინა ფესვებთან, როცა აღმოსავლეთიც და დასავლეთიც იკვებებოდა, წყურვილს იკლავდა სულიერებისას ქალღმერთთა და სუმიერთა წყაროებთან, გილაგამე-მემ-ენკიდეს ემბაზთან? ან უახლოეს არაბულ არდადეგების ლიტერატურაში, რომლის დასაბამიც იმავე წყაროებიდან მომდინარეობს?

სრულიად უკვებნელად შეუძლიან იმამყოს ქართველმა ერმა, რომ მსოფლიოში არ მოაპოვება ისეთი სრული სილამაზისა, ფსიქოლოგიური სიღრმისა, ცხოველ-მყოფელი ფილოსოფიით გაქვნილი და გასაოცარი აღნაგობის ლიტერატურული ნაწარმოები, როგორიც არის „ვეფხის ტყაოსანი“. და ტყუილად კი არ ადარებს პროფ. კარსტი გოტიურ ტაძარის არქიტექტორულ, სიმეტრიულ შენობას, ზეცამდე აზიდულს ხუროთმოძღვრული საჭრეთელითა. იქნება ჩვენი, ქართული, გემოვნების მიხედვით უფრო ბუნებრივი ყოფილიყო შედარება „ორი ზღვის შუა მდებარე, ...ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ მხარე“-სთან, საცა კავკასიონის მთაგრენილივით მუდამ ქალწული თოვლით მორთული მწვერვალებია ლიტერატურული სიმალღეებისა. მაგრამ კარსტის შედარებაც რომ მივიღოთ, „დონკიხოტი“ კარგ სახლთან მიკოწიწებული ცრავალი მინაშენით არის გართულებული და გაუწოებული, როგორც შენობა, მაგრამ ისე კი ჰგავს „ვეფხის ტყაოსანს“, როგორც პაროდია, ან სარჩული საპირესა. ხომ გინახავთ ხალიჩა ან ორხოული ქსოვილი: რაც პირზე ბევრია ლამაზი ფერები და სურათები, — უკულმა პირზე ნაკლებია და სხვა არის, თუმცა ჯამი ფერებისა ერთი და იგივეა, სურათებისა თუ არა.



თავიდანვე რომ ამოეწუროთ საზოგადო შედარებანი, ერთსაც (ზოგიყვან მხოლოდ: ყველამ იცით რა არის კალიდოსკოპი, რომლის სიღრმეში ერთი და იგივე ნაჭრებ-ნატუნებდსგან სდგება ვასაოკრად სხვა და სხვანაირი ლამაზი სურათი, როცა ოდნავ მოატრიალებ ღერძზედა. სწორედ ასეა „დონკინოტსა“ და „ვეფხის ტყაოსანი“ რომ შეადარებთ გულდასმით: ელემენტები სრულიად ერთნაირია და მთლიან სურათებს კი მივიღებთ სულ სხვადასხვანაირს.

ორივე პოემაში ლაპარაკია სხვა და სხვანაირ სიყვარულზე; მეგობრობა-დამობაზე; პოეზია-ლექსთა წყობაზე; მეფეთა სამსახურ-ერთგულობაზე; ბრძოლაზე მტრებთან, ქაჯებთან, დევებთან, მხეცებთან, მეკობრეებთან და სხ. ორივე ნაწარმოების გმირები ერთნაირი გაბედულობით გადალახავენ დაბრკოლებათ და ესწრაფიან ქალის უწმინდეს სიყვარულს, რომლის დაბრკოლებას სიგიჟემდე მიჰყავს განმცდელნი მისნი.

ორგანვე: ვერედ-წოდებული „შაკვიანი“ ხალხი, ე. წ. „ხელის“ (გიჟის) გავლენას არა მარტო განიცდის, ემორჩილება კიდევ, მათაც ედებათ ეს სენი, აპყვილიან ბოლომდე, რადგან გიჟებისათვის არის დაწერილი ორივე პოემა, მათ სადიდებლად; მათკენაა სიმპატია ავტორებისა.

ორივე საესეა აფორიზმებით, ანდაზებით, სენტენციებით, გლოსებით „მაგარი“ სიტყვებით და სხ.

მაგრამ რამდენად ზედმიწევნითაა შოთას ყოველი სიტყვა, ლექსიდან ერთი ასო ვერ ამოიგდების და რამდენად ტლანქია „დონ-კინოტის“ გრძელ-გრძელი მიმოხვრანის ენისა თუ ლექსის!

მსგავსებათა შესადარებელი ელემენტები იმდენია, — ერთ წერილში კი არა, ერთ ტომში არ დაეტევა, ამიტომ მხოლოდ რამდენიმეს, დამახასიათებელს მოვიყვან.

ზემოდ უკვე მოგახსენეთ ორივე ნაწარმოების ლიტერატურული ხერხის ერთსა-და-იგივეობაზე: 1. „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ და „ესე ამბავი არაბული, ნათარგმნი ისპანურად“-ო,

თუმცა მთელი ამბავი „დონ-კინოტისა“ სწარმოებს და შემოფარვლულია ვიწროდ, ისპანიის ერთი კუთხით, და, მთელი შინაარსი „ვეფხის ტყაოსანი“-სა, მისი სული, — საქართველოს მიდამოებში ტრიალებს, მიუხედავად თითქმის უსაზღვრო გეოგრაფიული სამყაროსი; —

2. რეალური გეოგრაფიული ადგილები, როგორც არის ინდოეთი, არაბეთი, ეგვიპტე, ხვარაზმ-სპარსეთი, ოსმალეთი, ხატაეთ-ჩინეთი და სხ. ისევე იხსენიან ორგანვე (სხვა და სხვა ზომის მნიშვნელოვანობით, რასაკვირველია), როგორც ფანტასტიური, არ არსებული ქვეყნებიც.

ვთქვით, გულანშარო ან მულაზანზარი „ვ-ტ-ში“ „ან ტექერა, ტაპრობანა*), მალინდრანია, მეონა“ და სხ. — „დონკინოტში“; იმ განსხვავებით, რომ გულანშარო ნიშნავს ყვავილოვან ქვეყანას მულაზანზარი — ფრინველთა მდელს. პოეზია!

და ანტექერა, მეონა-უწმაწურს, შარდის ტბას, — სასაცილო სიტლანქისათვის, ანუ უკეთ, ტლანქი ხუმრობისათვის.

3. დევებთან ბრძოლა, ქაჯების თილისმები „ვ-ტ“-ში მხოლოდ ამბავა და ფატმანი უხსნის ავთანდილს, რომ ქაჯებიც ადამიანები არიანო:

(ხანა 1103) „ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,

კაცნი გომხებისა მცოდნენი, ზედან დახელოვნებულნი,

ყოველთა კაცთა მანებნი, იგი ვერვისგან ვნებულნი, მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრძალნი, დაწბილებულნი“.

ასე რეალისტურად არიან წარმოდგენილნი ქაჯებიც კი, მაშინ როდესაც დონ-კინოტში სასაცილო მდგომარეობას ისა ჰქმნის, რომ არა მარტო ნამდვილი ქაჯების (ანშანტერ) თილისმები ელანდება მუდამ „დონ-კინოტს“, — ხშირად რეალურ ადამიანთა მოქმედებაც — თილისმად ეჩვენება:

ტარიელი მხოლოდ მოგვითხრობს დევებთან ბრძოლას და თვით პოემაში ეს ბრძოლა მოქმედებად არ არის გამოყვანილი. — საწყალი „დონკინოტის“ შეუზოვარი ბრძოლები კი სწორედ დევებთან სწარმოებს, რა უყოთ რომ სერვანტესი სასაცილო მდგომარეობაში აყენებს დონ-კინოტს, — სასაცილო მდგომარეობაში ჩვენთვის, გარეშე შეთავის, თორემ შინაგანნი განცდით დონ-კინოტი ტარიელზე ნაკლები რაინდი არ არის გაბედულობით, როცა შეებრძოლება ქარის წისქვილებს ან ღვინით საესე რუმბებსა: სიგიჟის გამო ის ნომ დარწმუნებულია, რომ ბოროტ დევებსა ხოცავს?! (ამ მხრივ „დ. კ.“ უახლოვდება უფრო აღმოსავლურ საგმირო ამბებს, როგორც „ამირან-დარეჯანიანი“, „როსტომიანი“ და სხ.).

მერე განა ბოროტ ადამიანებთან ისეთივე კეთილშობილური აღტყინებით არ იბრძვის „დ. კ.“, როგორც ავთანდილი ან ტარიელი? ავთანდილის ბრძოლა საზღვაო მეკობრეებთან უფრო ზღაპრულიც არის, ვიდრე აგრეთვე საზღვაო მეკობრეებთან ბრძოლა დონკინოტისა; და ტარიელის ომი — ხატაელებთან, ისეთის პოეტურის აგზნებით და სამხედრო ხელოვნების ცოდნით გადმოცემული რუსთაველისგან. ვანა ნაკლები ღირსების მომცემია დონკინოტისათვის ბრძოლა ცხვრის ორ ფარასთან, რომელნიც მან წარმოიდგინა მტრების ორ ლაშქარად? დრამა ერთისა და სასაცილო მდგომარეობა მეორისა — არ ასუსტებს სულისკვეთების ერთსა და იგივეობას.

ხანა 359. „შუბი, ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუხარადის დასარქმელად,

... ერთსა წაწვედი უტევანსა, წაგვრძელი და წავე გრძელად...

„360 „კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მხესა,

შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, — ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!“

„361 ... „ვიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,

კაცი კაცსა შემოვსტყორცნე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი,

კაცი. ჩემგან განატყორცნი, ბრუნავს ვითა ტანა-ჯორი...“

და ასეთივე გაშმაგებით იბრძვის დონ-კინოტიც, როცა ცხვრის ფარისაგან აყენებული მტერი, რომ ქართაგან აყენებულად მიიღო, „შუბი, ხმალი, მუხარადი მოიმარჯვა და დაერია „ვითა ქორი გნოლის ჯოგსა“.

მართალია, მეცხვარეებმა ქვებით კბილები და გვერდები ჩაუმტვრიეს; დონ-კინოტი, როგორც ხშირად, ბრძოლიდან დამარცხებული გამოდის, მაგრამ ეს, — სხვათა თვალში სასაცილო მდგომარეობა, — ხელს არ უშლის განაგრძოს რაინდობა და სამსახური საყვარელი ქალისა და მალაღი მიზნებისათვის. ამ მხრივ, მუდამ გამარჯვებულ ავთანდილ-ტარიელზედაც კი მალლა სდგას, რომელთათვისაც ამდენ დამარცხებას, შეიძლება გული გაეტეხნა.

ეგებ წვრილმანია, მაგრამ დამახასიათებელი, რომ, როგორც ტარიელსა აქვს ნაპოვნი შელოცვილი ხმალი, ყოველნაირ აზრის და ფოლადის მჭრელი, ისევე ნაპოვნი აქვს უძლეველი ხმალი დონკინოტსაც, აზგრი-

*) „ტაპრობანა“, — კუნძულ ცელონის ძველი სახელი, — გეაგონებს ფრიდონის სამფლობელოს „ვ-ტ-ში“, ნახსენებს უსახელოდ, საცა ტარიელი და დონკინოტი ერთნაირად ერევიან — სხვათა დავაში.



სა და ფოლადის მჭრელიც, მტრისაც „მკერდამდის გასა-
პობელად“ — ერთნაირად.

აგრედვე, თუ ტარიელის ტაიჭი საუკეთესო ცხენია
ქვეყანაზედა, დონკიხოტის მჭლე „როსინანტი“-ც უფრო
მერანია... მის წარმოდგენასა და სიტყვაში. საზოგადო-
თაც მკვეხარობა ორივესათვის ერთნაირად დამახა-
სიათებელია და თუ ტარიელი ამბობს „ვით კატასა ვხოც-
დი ლომსა“-ო და ერთხელ, ავთანდილის დაბრუნებას
რომ ელოდა, ნამდვილადაც ხვდება ვეფხვსა და ლომსა,
რომლებთან ბრძოლა ისეთი დრამატული სილამაზითა
აქვს გადმოცემული შოთას, ლომი და ვეფხვი ჯერ, რომ,
(ხანა 789-792-მდე):

„პირველ ამოდ ილალობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს;
თვითო ტოტი ერთმან-ერთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ
დაპრიდნეს;

გამოპრიდნა ვეფხვმან გული დედათამცა გამოპრიდნეს
ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამწვიდნეს.
ლომსა დაუფემე საქმარი, ვარქვი: „არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარელსა რად აწყენ, ფუ მავა მამაცობასა!“
ხრმალ-გამოწვილი მიუხე, მივეც ლახვართა სობასა,
თავსა გადაეკარ, მოცაგკალ დავხსენ სოფლისა.

ხმალი გავტყორცე, გარდვიქერ, ვეფხვი შევიპყარ
ხელითა,
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა
ცხელითა.

მიღრინვიდა და მაწყენდა ბრკალითა სისხლის მღვრე-
ლითა.

ველარ გაუძელ, ივცა მოვკალ გულითა ხელითა.
რაზომსაცა ვამწვიდებდი, ვეფხვი ვერა დავამწვიდე,
გავგულისდი, მოვიქნევე, ვკარ მიწასა, დაგწყვიდე;
მომეგონა ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე“.

ასეთია ტარიელი სიტყვასა და საქმეში.
ასეთია დონ-კიხოტიც:

„აბა მითხარი, ჩემო სანჩო პანჩო, გინახავს ქვეყანაზე
ჩემისთანა გულადი რაინდი? სადმე წაგაკითხავს ისტო-
რიაში ჩემისთანა გაბედული ყოფილიყოს თავდაცვისას?
ჩემისთანა შეუპოვარი შეტევაში? ჩემისთანა ყოჩალი დარ
ტყმაში? ჩემისთანა სწრაფი — მტრის დამარცხებაში?“

მხოლოდ სერვანტესი ამ კვენას იუმორით აქარწყლებს
და სანჩოს ათქმევინებს: „სიმართლე ვსთქვა, ისტორიები
არასოდეს წამიკითხავს, რაკი წერა-კითხვა არ ვიცი და
თქვენზე თავხედი ბატონი (სიტყვა „პარდი“ ორასროგა-
ნია: გაბედული და თავხედიც) არ შემხვედრია“-ო. ეს
კვენაზე და სინამდვილეში დონკიხოტსაცა ხვდება ლო-
მები, ბრძოლაშიაც იწვევს კარ-გალებულ გალიდინ... და
მისი ბრალი არ არის, რომ სერვანტესის პოემა — სატი-
რა არის რაინდობაზე და ლომებმა, შებრძოლების მა-
გიერ, — დამთქნარეს და ზურგი შეუბრუნეს (სერვან-
ტესი უარესადაც ამბობს) და ამით სასაცილო მდგომ-
არეობაში ჩაადგინა ვაჟაკურად განწყობილი ჩვენი რაინ-
დი, მუდამ და ყველგან ტარიელივით „უშიშარი და უებ-
რო“. ამ ნამდვილი ამბის შედეგად, სრული უფლება მიე-
ცა დონკიხოტს „ლომთა მბრძოლი რაინდი“-ს სახელი
მიეთვისებინა, „მწუხარე სახის რაინდი“-ს მაგიერ, რო-
გორც ტარიელს „ვეფხვის ტყაოსანი“.

ასეთ „ეპიზოდურ“ მსგავსებათა რიგითაც, თუ ითქმის
ასე, სავსეა „გ. ტ.“ და „დ. კ.“ და მხოლოდ ერთსაც მო-
ვიყვან, რადგან თვით „ვეფხვის ტყაოსან“შიაც იგი გადმო-
ცემულია როგორც სახუმარო ანექდოტი და „დონ-
კიხოტ“-ში, როგორც სასაცილო მოქმედება.

როდესაც ავთანდილმა დაიყოლია სხვადასხვა ხერ-
ხით, — ეამბნა ტარიელის ვინაობა — თავდადასავალი, —
ასმათი ეუბნება:

(ხანა 188) „აწ რაცა ვითხრა, თუ ამა საქმესა დამ-
მორჩილდები,
რასაცა ეძებ, მიხვდები უცილოდ, არ ასცილდები,

თუ არ მომისმენ, ვერ ჰპოებ, რაზომცა ცრემლსა
ჰმილდები“.

(b. 189) ყმამან უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰვავსო არა
სხვასა, —
ორნი კაცნი მოდიოდეს, სადაური სადმე გზასა;
უქანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჰასა,
ზედ მიადგა, ჩაჰყოდა, ტირს, იხახის ვაგლან-ვა-სა
ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა მომიცილდე,
წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო თუცა ამოგზიდე“.
მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუჟვირდა მეტად კიდე,
შემოჰყვილა: „არ გელოდდე, სად გაგექცე, სად
წავიდე?!“-ო.

ერთ დღეს დონკიხოტს დაეკარგა სანჩო-პანჩო, წავიდა
საძებრად და სადმე გზასა შემოესმა ღრიალი ხაროდან; ზედ
მიადგა, ეგრე უთხრა: ამხანაგო იყავ მანდა, მომიცადე,
წავალ თოკთა მოსახმელადო და სხ.

სანჩოსაც, ვირიანად გადავარდნილს სადლაც ნანგრე-
ვებში, — გაეცინა და გაუჟვირდებო: „არ გელოდე, სად გა-
გექცე, სად წავიდეო“. მაგრამ თავისთავადაც სასაცილო
ამბავი და მათი დიალოგი, სერვანტესმა უფრო გაამახსა-
რავა, რადგან დონკიხოტმა სანამ თოკები მოიტანა, სანჩო
უქვე ამომძვრალიყო თითონ.

განსხვავება „ვეფხვის ტყაოსნის“ ანექდოტურ გმირე-
ბისაგან მხოლოდ იმაშია, რომ დონკიხოტის ნამდვილი
გმირები პროზით ლაპარაკობენ, შოთას ნაკვეთი ლექსის
მაგიერ.

მრავალ ეპიზოდის მსგავსებას ემატება ორივე პოემის
გაქვნილობა აფორიზმებით, მაქსიმებით, ანდაზებით
და, რაც უფრო საკვირველია, ხშირად არა მარტო იმავე
აზრისა და მნიშვნელობის, არამედ სიტყვა-სიტყვითაც.

რასაკვირველია, შოთასებური სილამაზით, მკვეთრო-
ბით და ლაკონიურობით არაა თარგმნილი, მაგალითად
(ხანა 957), „კოკასა შიგან რაცა სღვას, იგივე წარმოსდინ-
დების“,

ან „მსავესი მსგავსსა შობს...“, მაგრამ,
„ყველა სულიერი წარმოშობს თავის მსგავსსა“-ო,
დონკიხოტის პირველსავე გვერდზე ნათქვამი — სწორედ
იგივე აზრია.

ან ვინ იტყვის, რამე შეედრებოდეს: „რასაცა გასცემ
შენია, რაც არა დაკარგულია“, მაგრამ ასევე მსჯელობს
დონკიხოტი, როცა ადარებს „ოქროს ხანას“ ჩვენ დროე-
ბასაო და დასძენს: მაშინ შენი და ჩემი არ განირ-
ჩეოდაო.

(ხანა 18) „ვარდთა და ნეხეთა*) ვინადგან მზე სწორად
მოეფინების,

დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების
უხვი ახსნილსა დაბაბს, იგი თეთი ების ვინ ნების...“,
ასწავლის მეფე როსტევან თინათინს და ჩვენ ვიცით,
როგორის სიუხვით გასცემს ქალი თავის საჭურჭლეს,
და გასაოცარი არ არის განა, რომ დონკიხოტიც ამასვე
ქადაგებს და ასეთი სილამაზით არა, მაგრამ თითქმის
იმავე სიტყვებით ალაპარაკებს სერვანტესი:

(გვ. 129 ფრანგ. თარგმ.)
„Le Dieu est si misericordieux qu'il fait lui son
soleil sur les bons et les méchants et tomba pluie
sur le juste et l'injuste“.

(ღმერთი იმდენად მწყალობელია, თავის მზეს სწო-
რად მოაფენს კარგთაც და ავთაცაო...).

ასეთი მსგავსებანიც აუარებელია აფორიზმებსა და
აზროვნობის მიმართულებაში, ანდაზებში, — და „ლეკვი
ლომისა სწორია, ქუ იყოს თუნდა ხვადია“-ც — კი

*) განსვენებული ზურაბ ავალიშვილის ცნობით:
„ნეხვი“ ნიშნავდა ცულ-სუნთან მინდვრის ყვავილს, რაც
უფრო უხვდება რუსთაველის პოეზიას და პოემის ამ ად-
გილსა.



პოულობს თავის ანარეკლს ისპანურ პოემაშია, როცა დონკიხოტი ლაპარაკობს მარსელის სიყვარულზედა. რამდენიმე პირდაპირი სიტყვა-სიტყობაც კი არის:

ავთანდილის: „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს ვაჟაც-სა შამაცისავან“.

იმეორებს სანჩო-პანჩოც (ეს „გონიერი“ ავთანდილი, ხელი დონკიხოტისა):

(გვ. 127 ფრ. თარ.)

„Se retirar n'est pas fuirz, et attendre n'est pas sagesse quand le peril surpasse l'esperance et les forces“ — ასე გრძლად, თუმცა სერვანტესიც ხშირად იმეორებს გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, მაგრამ შოთასავით ვერ ახერხებს.

როგორც ავთანდილი არის მომღერალი, მუსიკოსი, მოოქსე და საუცხოო წერილების მწერავი **); როგორც შოთა ახასიეთებს თუ როგორი უნდა იყოს მიჯნური:

(ხანა 23) „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართეთა მზეობა

სიბრძნე, სიმდაბლე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, მძლეობა მეზობლთა მძლეობა. ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“.

დონკიხოტიც არა მარტო მსჯელობს, სცდილობს კიდევაც ასეთი მიჯნური იყოს, მაგრამ, სერვანტესის წყალობით, ყველაფერი სასაცილო გამოსდის უმეტეს შემთხვევაში და მხოლოდ ჩანართების მონაწილენი ახერხებენ „ვეფხის ტყაოსნური“ სილამაზით განახორციელონ ყველა აღნიშნული თვისება.

მაგ. კარდენიო — საუცხოვოდ მღერის,

ანტონიო — უკრავს,

ყველანი და — ხრიზოსტომი — სამაგალითო ლექსებსა და წერილებსა სწერენ. მაგრამ, თუ

(ხანა 840) „რა ესმოდის მღერა ყმისა (ავთანდილის), სმენად მხეცნი მოვიდიან;

ისმენდიან, გაჰყვირიდნან, რა ატირდის, ატირდიან...“ და თვით დონკიხოტის მღერაზე — ცხენები და ვირებიც ფრთხებიან; —

ერთ-ერთ ჩანართში (რომლის ფაბულა პირდაპირი განმეორებაა საბა-სულხან ორბელიანის ერთ-ერთ იგავ-არაკისა), — ქალბატონ კამილას მოსამსახურე ქალი ლეონელა არა მარტო თითონ ამბობს, მიჯნური უნდა იყოსო, —

ბრძენი, გაჭრილი ველად, სიყრმით საცხე და საიდუმლოების

დამცველი, ერთგული და სხ.,

არამედ აღმოსავლური „ანბანთ-ქების“ *) სისტემაზე აგებული კოდექსიც მოჰყავს საბუთად იგივე, რასაც სხვა და სხვა ადგილას ისე უხვად და მშვენიერად მოითხოვს შოთა რუსთაველი:

(გვ. 315 ფრ. თარგ. ან გვ. 232 დედანი)

„Agradecido, Bueno, Caballero, Dadivoso, Enamorado, Firme, Galardo, Honrado, Ilustri, Leal, Moze, Noble, Onestro, Principal, Quantioso, Rico, Sabio, Solo, Solicito, Secreto, Tacito, Verdadero, Zelato და სხვ.

ამ ცალკე მიჯნურის ერთნაირად დახასიათების გარდა, როგორც „ვ. ტ“-ში ისე „დ.-კ“-ში გადმოცემულია მრავალგვარი სიყვარული, მისი, ასე ვთქვათ, თეორია და პრაქტიკა და თუ მიჯნურის თვისებათა ერთნაირობა შეიძლება ჩაითვალოს აღმოსავლეთშიაც და დასავლეთშიაც „მოარულ“, ე. წ. თემა — კოდექსად, — სხვა და სხვა გვარი სიყვარულის თანაბრად შეხვედრა ორივე

**) ტარიელივით, ნესტანივით, ფატმანივით და სხ.

*) „ანბანთ ქება“ ბევრნაირია სპარსულ ლიტერატურაში და ქართულ „ვერცხლის ხანის“ მწერლობაშიაც.

ნაწარმოებში, არ შეიძლება არ ჩაითვალოს ზედმეტ ნათესაობის ნიშნად.

ავთანდილ-ტარიელისა, თინათინ-ნესტანისა, ფატმან-ჩანჩაგირ-უსენისა და სხვათა სიყვარული სულ სხვა და სხვანაირია; ისევე დონკიხოტისა, კარდენიოსი, ანსელმის, კამილა-ლეონელასი და სხვათა აგრეთვე სხვა და სხვანაირია, მაგრამ ყველა ჯურისა განმეორებული აქაც და იქაც.

ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვა-სიტყვითაა განმეორებული: აღწერილობანი, განცდანი, შედარებანი, შექმნილი მდგომარეობანი თუ თხრობის მსვლელობა. იმ ზომამდე, ხანდახან იფიქრებ: ერთი სწერდა, მეორე გადასწერდაო შეგვირდით, ან პაროდისა ჰქმნიდაო. (როგორც ერთ დროს ნესტორ კალანდაძე — ეშმაკი საქართველოში).

ერთ-ერთ ჩანართში, მაგ., გამოყვანილია ლუცინდა, რომლის სილამაზე არა მარტო შედარებულია, როგორც თინათინისა, — მზისა, მთვარისა და სხ.

სიტყვა-სიტყვითაცაა ნათქვამი; „თინათინ მზესა სწუბობდა და მზე კი თინათინობდა“ —

„dont l'eclat obscureissait celuide soleil“.

მისი თმები წმინდა ოქროს ჰგავდა არაბეთისაო (თინათინიც ხომ არაბია) და ერთი და იგივეობა იქამდის მიდის, რომ თინათინი ქართულად და ლიუცინდა — ისპანურად (გინდ ლათინურად) — ერთსა და იმავეს ნიშნავს, მზის ციმციმს.

ხშირად დონკიხოტი, ტარიელივით, თავის სატრფო ღულციენას (როგორც ის ნესტან-დარეჯანს) — სხვა ცნობად ქალებს ადარებს: დ. კ. — ქსარიფას, ტარიელი — ვისოს.

ან როდესაც „დ. კ.“ უბრალო მოსამსახურე გოგოს მიიღებს პრინცესად, მისი მიმართვა და აღერსი არაფრით ჩამოუვარდება — მსგავსებით — ავთანდილისა და ფატმანის აშოკობასა:

(ხანა 958) მიუწერა: „წავეკითხე შენი წიგნი ჩემი ქება, —

შენ მომასწარ, თვარე შენვან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება,

შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყვეტლად შენი ხლება შეყრა არის პირიანი, ორთავეა რადგან ნება“.

(გვ. 79 „დ. კ.“ დედანი)

„ნეტავ შემეძლოს, მაღალო და მშვენიერო ბანოვანო, გადანდა დაუსრულებელი წყალობისა, თქვენი სილამაზის ხილვით მონიჭებულისა“

ამ, შექმნილ მდგომარეობაზე ფიქრებიც ავთანდილისა და დონკიხოტის პარალელურია ხომა:

(ხანა 952) თინათინზე და ფატმანზე: „თქვა: „არ იცის გული ჩემი, ვინ მაშოკობს ვისსა ვისი რომე მიმიჩნს სამიჯნურო, რად ვამსგავსო მე მას მისი (ვისი?)“.

(გვ. 79 „დ. კ.“ დედანი)

„ფიცი რომ მივე და დავპირდი უბადლო ღულციენას ტობოზოდანა, ის მიშლის, — ერთად-ერთი ჩემს იდუმალ ფიქრთა ბანოვანი შენთან შეყრასა“ და სხ.

ისეთი აღმოსავლური გამოთქმებით ხომ, როგორც წამწამთ ჯარი; „გულს ლახვარი“; „ბაგე-ლალი, ბროლ-ფიქალი“; მზე და მთვარე ან მარგალიტი ობოლი, და სხვა ისეა აქრელებული ორთავე ნაწარმოები, თითქო ერთი ლექსიკონი-სიტყვარი. ჰქონოდათ გადამოილი ორთავე ავტორს, და, ნუ იფიქრებთ, ამისთანებით განისაზღვრებოდეს მსგავსებანი, რომელთა სიღრმე უფრო განუსაზღვრელია.

ორივე ნაწარმოებში ერთნაირი პატივისცემაა, მაგალითად, მეფისა თუ ხელმწიფისადმი: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის — მათნი სულნი ზეცას რბიან“, — საეალებულ ნორმაა დონკიხოტისთვისაც. (არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ „ხელმწიფე“, მაშინდელი წარმოდგენით



არის განხორციელება — სიმბოლო სამშობლოსი) — მაგრამ — ორთავენი, რუსთაველიც და საავედრაძე, ერთნაირადვე იმეორებენ მიჯნურის მაღალ მოვალეობასა და სიყვარულზე:

მიჯნურმა უნდა „დასთმოს წყრომა მეფეთაგან, მისი (მიჯნურის) ჰქონდეს შიში, კრძალვა“.

და ასეთი სიყვარულის აღწერისათვის საჭიროა „ბრძენი“ და არა უბრალო მომაკვდავიო.

ბრძენისაგან უმშვენიერესი მიჯნურის აღწერას, სერვანტესი თავის ავღებულს დონკიხოტს მხოლოდ დაამატებინებს: „ჩემი როსინანტიც არ უნდა დაავიწყდესო“.

საოცარი არ არის რომ ღმერთი, განგება, ბედი, სოფელი და სხ. ერთნაირად ხშირად, ერთნაირის ურთიერთ დამოკიდებულებაში და თვისებებით იხსენებიან ორივე პოემაში. — მთელი საშუალო საუკუნეებისათვის ეს დამახასიათებელი მოვლენაა *), — საოცარი ისაა, ორივე პოემის ავტორები თავშივე ერთნაირად აცხადებენ ხომ, ვითომ მხოლოდ მთარგმნელები არიან მაჰმადიანური ამბებისა, ერთი სპარსულიდან, მეორე — არაბულიდან და ორივენი კი ერთნაირად მასხარად იგდებენ და ყალბად აცხადებენ ყურანსა, ქითაბს და ემსახურებიან სულ სხვა რწმენასა და მორალს, ისევე მსგავსსა, როგორც ყველაფერი ზემონათქვამი.

ასევეა რწმენის *), ადამიანის სურვილების, ნებისყოფისა და გამძლეობის, თმენის სფეროში. სიყვარული; მეგობრობა; ერთგულება საზოგადოთ; მეფეთა და მიჯნურისა—განსაკუთრებით; ლექსთა წყობა-პოეზია; მეომრობა; ნადირობა; გმირობანი; ფილოსოფიური და სამეცნიერო შეხედულობანი; სიმართლისა **) და სამართლიანობის ძებნა; მონათა განთავისუფლება და სხ. და სხ., — ერთნაირად პოეზიებში ადგილს და ერთნაირად შეზავებული არიან ერთმანეთში აქაც და იქაც, მხოლოდ სხვა და სხვა ზომით ყურადღებისა:

თუ ერთში ერთი რომელიმე — მთავარი ხაზია, მეორეში სადმე ეპიზოდით არის მოყვანილი;

თუ პირველში გაკვრითაა ნათქვამი, მეორეში — უბრალო ჩანართია, ვსთქვათ, ან აფორიზმი.

მალ, გლოსად გამოთქმული; თუ რომელიმე ანდაზასავით მკვეთრად გადმოგვცემს მხოლოდ.

მეორეში მთელი გვერდები აქვს დათმობილი და ასე და ასე სხვა და სხვა ვარიაციებით. ბევრს არ ვიტყვი იმაზე, რომ ორივე პოემის გმირები ხშირად სტირიან, წყაროსავით ცრემლს აფრქვევენ და მდინარეთ, ზღვათ აყენებენ, მაგრამ ხელობა, ახუ სიგიჟე მთავარი გმირისა არა მარტო გავლენას ახდენს, არამედ სენივით ედება გონიერ ავთანდილს და პრაქტიკულ მონაგარიშე სანჩო-პანჩოს და თავიდან ბოლომდე უმოჩილებენ თავის „ჰეკიანურ“ მოქმედებას — ვითომ გადარეულს ტარიელს და მართლა გადარეულ დონკიხოტს, — ეს წითელი ხაზივითაა გატარებული ორივე შემთხვევაში და ხაზ-გასამელიც... მსგავსებისათვის.

„ავთანდილის ანდერძი, შერმაღინს; მისი ლოცვა ვარსკვლავებზე, თინათინის მოგონებაში და სხ. აგრედვე პოეზიებს ანალოგიებს „დონკიხოტის დარიგებაში სანჩო-პანჩოს“, როცა „გუბერნატორობაზედა“ ჰგზავნის, ან როცა მარტო რჩება და დულცინეას მზესა ფიცულობს.

*) ისიც მისაღებია საყურადღებოდ, რომ „ვეფ. ტყ.“ და „დონკიხოტის“ კომენტატორები ნეოპლატონიზმის გავლენას აწერენ ორივეს.

**) ერთგვარი ფიციც კი გვხვდება: „შენმან მზემან“ და „Par le soleil“.

**) „სიცრუე და ორგულობა აენებს სულსა, მერმე ხორცსა“-ცაო, ორივეს აზრია.

მაგრამ ადამიანი ადამიანსა ჰგავს ელემენტალური სხეულებრივი, სულიერი თუ გონებრივი თვისებებით, და, თუმცა „დიდი ძეს კაცით კაცმდე“, — გასაკვირველი არ არის მათ შორის მსგავსებათა პოვნაც. შეიძლება კაცმა იფიქროს: რა გასაკვირველია, ორ სარაინდო პოემაში (რადგან „დონკიხოტიც“ არსებითად სარაინდო პოემაა ხომა) ბევრი რამ ერთნაირი იყოს, რაც შეეხება თვით რაინდობას, მაგრამ თანაბრობა ყველა ელემენტებისა ამ ორი უკვდავი ლიტერატურული თხზულებისა, — აი, რა არის ჩამაფიქრებელი და ღირსი ძირთა ძიებისა.

ამრიგად რომ გავყვეთ შედარებასა და მსგავსებათ, ორივე წიგნის გადაწერა დაგვირდებოდა თითქმის მთლად პარალელურად, მხოლოდ ადგილების (ფურცლების, გვერდების ან სტრიქონების) შეცვლით თუ განააცვლებით მხოლოდ.

ეს შორს წავიყვანდა და ახლა სჯობს განსხვავებათაც მთლიანი დავაჯრჩხვინო, რომ სურათი უფრო მთლიანი დავაჯრჩხვინო.

ჯერ ერთი, ორგანვე ხმარებულია, ე. წ. მაგარი სიტყვები, მაგრამ დისპროპორცია მეტად დიდია: თუ „ვ. ტ.“-ში სულ ორჯერ-სამჯერაა ნათქვამი:

(ხანა 484) „მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქაღესა?“ (ამბობს ფარსადანი ნესტანზე).

(ხანა 487) „როსკიბო, ბოზო დაიცო, საქმრო რად მოაკვლევინე?“ (დავარი — ნესტანს).

(ხანა 1065) „მე გლახ ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი.“

კაცსა დასვრის უგულობა და ღიაცსა ბოზი ნაცი“. (ამბობს ფატმანი ჩაჩნაგირსა და თავის თავზე) და სულ ამ ორიოდვე გამოთქმით ამოიწურება „ვ. ტ.“-ის მაგარი ლექსიკონი და ეს შემთხვევებიც გამოწვეულია უაღრესად დრამატიული მომენტებით, საცა სახელმწიფოს ღალატი, სიკვდილი, სისხლის ღვრა არის გარეული, მაშინ როდესაც „დ. კ.“-ში ყოველ ნაბიჯზეა უშვარი, უშვარი სიტყვები, გამოთქმები, — ტლანქი და ადვილად ასაწყდენი. ორაზროვნობა ხომ იმდენია — შეგძლიანთ დააბრალოთ „ესპრი მალ ტურნე“-ობა, ფრანგები რომ იტყვიან.

თითქმის ერთნაირ დრამატიულ მდგომარეობიდან, — ლოტარიო და ავთანდილი — ავტორებს სულ სხვა და სხვანაირად გამოჰყავთ: შინაგანი ბრძოლაა აქაც და იქაც სიყვარულსა და მეგობრობის შუა არჩევანისა გამო. ავთანდილი გადისრება მეგობრობისაკენ; და, (ხანა 743) „ერთი, ორთა მგონებელი, ვარ საქმესა წა-საწყმედსა,

მეკვდე თავი არ მეწყალვის, სისხლი ჩემი ჩემსა ქედსა“. (ხანა 744) „სხვა მოყვარე თეალსა ჩემსა გაიციხულა, გაბასრულა“-ო,

რომ ამბობს ავთანდილი, — ეს ორგანიული ნაწილია „ვ. ტ.“-ის მთელი აღნაგობისა, რაკი რუსთაველი თავისი მადლიანი კალმით ლამაზად აზავებს სიყვარულსა და მეგობრობას, როცა შეჰყრის ერთად თავის გმირებს:

(ხანა 1381) „მას ღღეს ავთანდილ პატრონად ზის და ხელმწიფე ზენია;

მასთანა მჯდომსა ტარიელს ჰშვენიან სინაზენია; ნესტან-ჯარ ახლავს თინათინს, ვით მკვერტთა ამაზ-რენია —

ჰგავს თუ ცა მოდრკა ქვეყანად, შეყრილან ოთხნი ძხენია!“

და ტარიელი ეუბნება თინათინს: (ხანა 1380) „ქმარი შენი ძმა ჩემი, მწადს აგრეთვე თქვინი ღობა“-ო.

მაშინ როდესაც „დონკიხოტის“ ლოტარში ვადასკდეს სიყვარული, მეგობარ ანსელმს ღალატობს მია

ცოლ კამილასთან და, რაც უარესია, მთელი ეს ამბავი უადგილო-ადგილას არის ჩანართის სახით ჩაკვებებული სერვანტისის პოემაში, მთლიანობის დარღვევით.

შემდეგი განსხვავება, ასე რომა ვსთქვათ, უფრო ფსიქოლოგიურია: „ვეფხისტყაოსნის“ გმირები და ტიპები, მოქმედებით, სიტყვით, ნაკლით თუ შინაგანი დინამიზმით მოგვავიწყებენ რეალურ ცოცხალ ადამიანებს; მეტადრე ქალები და განსაკუთრებით ნესტან-დარეჯანი, რომლის ზრდა-განვითარებას ჰასაკისა და გარემოებათა მიხედვით, შინაგან სულიერ განცდათა ცვალებადობით, სიყვარულის ქართული ვაგებით და სუბლიმიაციამდე მიყვანით — ბადალი არა ჰყავს;

დონკიხოტში კი მოცემულნი არიან, უფრო სტატისტიკური ტიპები — გმირები, ხშირად კარიკატურული, ხშირად უკიდურეს დრამატიზმამდე მიყვანილი — მხოლოდ ჩანართებში. და თუ „გ. ტ.“-ი თავდება გამარჯვებით ცხოვრების ასპარეზზე ყველა დაბრკოლებათა გადალახვით, გმირთა და ნაწარმოების დაგვირგვინებით, — დონკიხოტი, ცხოვრების სინაღვივსთან შეჯახებული, მარცხდება, ილუზიებით შემოღობილი განაღვივდება და კვდება განკურნებული, მღვდლისაგან ნაზიარები და ქრისტიანულ, ვიწრო კათოლიკურ წილში დაბრუნებული.

ამ რიგად, მანძილი ორ ნაწარმოებს შორის დიდია, უზარმაზარი და მინცა ჰგვანან ერთმანეთს, როგორც სურათი და ნეგატივი, — ესაა გასაკვირველი.

„ვეფხისტყაოსნი“ არის გენიალური, ყველა თავის ნაწილებით მთლიანი; — და, — არა მარტო ლოლიკურად, მიზანშეწონილად აგებული, — არამედ უმაღლესი ნიჭითა და ჰარმონიული მიმდევრობით განვითარებული; ამბისა და მოქმედებების უებარი დინამიზმით, ღრმა და ფაქიზი გრძნობებისა არა მარტო გამოხატველი, — აღმძვრელიც; ცხოვრების ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის სისრულით შედლებული, პოეზიით სავსე პოემა — რომანი.

მაშინ როდესაც „დონ-კიხოტი“ იმდენადაა მთლიანი, რამდენადაც ერთი პიროვნების, — „მწუხარე სახის რაინდის“, — გარშემო ტრიალებს ამბავი, თორემ არსებითად გადაუბმელი, ხშირად შეუთანხმებელი ნაწილებისაგან და შემთხვევიდან — შემთხვევამდე მიმავალ მოგზაურობასა ჰგავს. ხანდახან, შედეგობამდე ამაღლებულ ჩანართებს არავითარი კავშირი არა აქვთ არც ლოლიკურად, არც ამბის მსვლელობით — თვით ნაწარმოებთან, და თუმცა გაერთიანებულია მსოფლმხედველობით, — აუარებელი სუსტი ადგილები აქვს მეტადრე მეორე ტომში და ნახევარი, რომელიც, უკვე პირველი ნახევარის კრიტიკის შემდეგ დაუწერია და ამიტომ განკლებით მდარეა. (როგორც „გ. ტ.“-ის „დამატებანი“ და „გაგრძელებანი“ — სხვა ავტორთაგან).

მაგრამ არსადაა არა მარტო „დონკიხოტში“, მსოფლიო ლიტერატურაში ისე ლამაზად, ფსიქოლოგიის ცვალებადობის ღრმა ცოდნით და გასაოცარის სიტყვებით, შეფერებულ ლექსთა მუსიკით გაღმოცემული — ქალის ზიკარული, რამდენადაც იგი იზრდება და მკლავდება ნესტან-დარეჯანის უბადლო პიროვნებაში.

იქნებ არ გახსოვთ, ნესტან-დარეჯანი პირველი უცხადებს სიყვარულს — ტარიელსა *) და ძალიან გაბედულ, ამაყ წერილსა სწერს:

(ხანა 292) „... ნუ დაიხვევ, ლომო წყალულისა:
მე შენი ვარ, ნუ მოკვდები, მაგრა ბნედა ცუდი მძულსა.
(293) ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა
გაგონია

*) როგორც თინათინი ავთანდილს და ფატმანიც მასვე.

სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია...

(294) შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მდომია
მაგრა აქამდის საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია...

(295) წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე
მზემან მეტი რაღა გიყოს, აჰა ბნელი გაგითენე.
მაგრამ წერილში ასეთი თამამი და ამაყი, პირისპირ შეხვედრისას, — მორცხვობით — ხმასაც ვერა სცემს, თავისავე დაბარებულს ტარიელსა. არც ქალურ ეშმაკობასაა მოკლებული:

(ხანა 298) ასმათ მითხრა: „მე მიბრძანა, ესე ვქნათო, ესე
სჯობდეს

ვინცა გნახოს, ჩემგან მისსა საუბარსა ვერა სცნობდეს;
ჩემად ნახვად მოვიდოდეს, შენ ვითამცა გაშიკობდეს;
დაცამვედრა, — ამირბარსა უთხარ ასრე ნამუსობდეს“. ხატაეთში საომრად გაგზავნის წინ კი ყველაფერში გამოუტყდება:

(ხანა 326) უბრძანა: „ძულან გეწყინა გაგზავნა უბა-
რისა

მზემან გაყრითა დაგაქნე, ვითა ყვავილი ბარისა...
მაგრა ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა.

(328) თუცა ჰმართებს დედა-კაცსა მამა-კაცის დიდი
კრძალვა,

მაგრა მეტი უარეა არა თქმა და ჭირთა მალვა:
მე თუ ზებირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იღუმალ „ვა“

328 ერთმანერთისა მას აქათ რაცა ორთავე ვიციოთა,
აწცა მიცოდი საშენოდ მითვე პირითა მტკიცითა;
ამას შევსჯერდი დილითა ზენარითა და ფიცითა!
გეცრუო, ღმერთმა მიწა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზი
ცეთა.

(329) წა, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე
ღმერთმან ჰქნას და გაგიმარჯვდეს, მორკმულმცა
ჩემკერძ ირე.

მაგრა რა ვქნა, კვლაცა ნახვა მამხვედობდეს შენი ვირე,
— გული მომეც გაუყრელად, ჩემი შენთვის დაიჭირე“. ნაომარს ტარიელს კი, ასე ვსთქვათ, უფრო ხელშესახებ ნიშნებზე სწერს სიყვარულისა:

(406) მისწერა: „ვნახე სიტურფე წყალ-ჯავარისა
შენისა;

ომ-გარდახდილი ჰშვენოდი, შენატევები ცხენისა
არ ავი მიჩანს მიზეზი ჩემისა ცრემლთა დენისა.
იგი მე მამეც რიდენი, რომელნი წელან გშვენოდეს,
რა მნახო, შენცა გიამოს, შენეულითა მშვენოდეს;
ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გაღავლენოდეს, —
ერთი ასეთი ცოცხალსა სხვა ღამე არ გაგთენოდეს“. მაგრამ, როცა ეჭვი შეუვიდა ლალატზე, ჩვენი ნაზი და მორცხვი ნესტანი სულ სხვა მრისხანებით ალაპარაკდება:

(ხანები 433-39) „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა ვეფხი
პირ-გამეხებულო,
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე-ალვა, ედემს
ნებულო;

ასმათმან დამსვა შორს გვარად გულსა მე ლახვარ-
ნებულო
მერმე წამოჯდა წარბ-შერქმით, გამწყრალო, გარის-
ნებულო.

მიბრძანა: „მიკვირს, რად მოხველ მშლელი პირისა
მტკიცისა,

გამწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა;
მაგრა ნაცვალსა პასუხსა მიგკემსო ზენა მიცისა!“
ტარიელი ვერ მიხვდარა რაშია საქმე და ნესტანი აგონებს:

„შენ არ იცი ხვარაზმასი საქმროდ ჩემად მოყვანება?
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება,
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება.



ღმერთმან ქმნას და დაგარჩინო ცუდად შენი ხელოვნება!

გახსოვს, ოდეს „ჰაი“ ჰზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა ჰბანდეს,

მკურნალნი და დასტაქარნი წამალსა-ყე მოგიტანდეს? მამაცისა სიცრუესა ნეტარ სხვანი რამცა ჰგვანდეს?! რადგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინ-ძი უფრო დაზიანდეს!

ამას ვბრძანებ: „ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა, ეგრეც მე მაქვს პატრონობა, უგზოდ ვლიდნენ თუნდა გზეთსა!

ეგე აგრე არ იქმნების, წა მომცდარხარ მოსაცეთსა, აზრნი შენნი შენვე გვანან მტყუანსა და შენ აგეთსა! ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო,

თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული ვაჰყო! სხვა ჩემებრივ ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო!“ და მაშინ ვე, — ტარიელი რომ დააჯერებს არ მი-ლაღატნაო, — მოლბება და განაზღება, ტარიელისავე სიტყვითა:

(449) „მე ლმობიერად მომიტება გამწყრალი, გამჭი-სებული;

ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირ-გავსებული; ახლოს დამისვა, დამიტება, აქამდის არ ღირსებული“.

და ეს თამამი, ამაყი ქალი, თავის ღირსებისა, ძალის და სილამაზის შეგნებულად გამომყენებელი, როგორ სინა-ზეს, სიფაქიზეს, სიყვარულის განყენებულ პლატონიურობას იჩენს, როცა ქაჯთავან შეპყრობილი, უმწეო და მორ-ჩილი ბედისა, იმედ-დაკარგული:

„აწ საყვარელსა მიუწერს, გულამოსკენილი მტირალი:

(ხანები 1150-1164) ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღეაწები,

ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონაწები, მე გული შენი ქალაღად გულსავე ჩემსა ვაწები. გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!

ჰედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია? რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.... უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია.

შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე, ჩემი მეთქვა, გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე;

აწ რა მესმა, შემოქმედი ვაღიდე და ღმერთსა ვჰმონე,

ჩემი ყველა აქანამდის ჭირი ლანსა შევაწონე. შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად... მომიგონებდე, გახსოვდე, მე შენთვის დაკარგულისად, ვზი მზარდელი სიყვარულისა, მის შენგან დახერგუ-ლისად.

სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების: ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიცა მას ეტე-რების; აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.

... ბეღმან გვიყო ყველაჰაი, ჩემო, რაცა დაგვემართა. და კვლავ:

(ხანა 1157-1164-მდე)

„... შენ მკვადრსა ვნახავ დაიწვი, ვითა აბედი კვე-სითა“)

მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისცა უმაგრესითა.

*) ფატმანსა სწერს: „მას მკვადრსა ვნახავ მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა“.

შენმან მზემან, უშენოსა არვის მოჰხედეს მთვარე შენი, შენმან მზემან, ვერვის მიჰხედეს, მოცაეიდნენ სამინი მხენი,

აქა თავსა გარდავიქცევე, ახლოს მახლაღენ დიდნი კლდენი!

სული ჩემი შეავედრე, ზეცით მომხედენ ნუთუ ფრთენი.

ღმერთსა შემევედრე ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,

ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა; მომცეს ფრთენი და აღეფრინდე, მივჰხედე, მას ჩემსა ნდომასა,

ღლისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა!

მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი განაღამცა მას იახლე, მისი ეტლი არ თუ წბილი! მუნა ვნახო, მასვე ვსახო, ვანმინათლო გული ჩრდილი თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდეს ტკბილი.

მე სიკვდილი აღარ მიმიძმს, შემოგვედრებ რადგან სულსა,

მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა, მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წყლუ-ლსა,

ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა.

რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა კმა საჩივარად, სცან სამრთალი მართალი გულისა გულსა მივა რად: შენთვის მოვკვდები, ვავხდები ყორანთა დასაყივარად, ვიდრე ცოცხალ-ვარ გეყოფი სატირლად და სატკივა-რად,

აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა, გაღმიკვეთია აღამი, ჩემო, ერთისა კიდისა;

ესე ლა დაგარჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა. რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შევი-დისა!“

არა, არა, ასეთ მიწვენილობის გულთა მხილავ წერი-ლებს ვერსად შეხვდებით მსოფლიო ლიტერატურაში, თუმცა სხვაცაა წარმატე თვით „ვ. ტ“-სა და ცოტა ნაკ-ლებ „დ. კ“-შიაც.

ამიტომ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ: თუმცა „ვ. ტ“-ი ღრმად ეროვნულია, ქართული, მაინც უფრო უნივერსა-ლურია, ვიდრე არა მარტო „დ. კ“-ი, ათასი სხვაცა და შოთა რუსთაველი არა მარტო ზეშთავონებულო, — მიწვენილიცაა*), მაშინ როდესაც სერვანტესი მხოლოდ აღმაფრენითაა აღჭურვილი და მიწვენილობა არა აქვს, რასაც ისეთი დიდი ადგილი ეთმობოდა მთელს ევროპაში, ამ ომის წინად.

თეოსოფიამ, ანთროპოსოფიამ „მიწვენილობის“ ძებ-ნამ, — ომის წინ, — თითქო დააბრუნა მატერიალისტუ-რი ევროპა აღმოსავლურ სულიერებასკენ ისევ და ორ-თეოს, პითაგორ, კრიშნა, ამირან, ქრისტეს და სხვებისაკენ აქმნეინა პირი. დღევანდელი უღეთო ომი შედეგა იდეალ-დაკარგულ მატერიალიზმისა. ძველი სამყარო ინგრევა და გვიანლოვდება, იმედი უნდა ვიქონიოთ, — ნაომევეს, — უფრო იდეალური ხანა, როცა „მიწვენილ-თა“ ხმას, ევროპამ რომ დაახშო, მეტი ადგილი ექნება დათმობილი. მაშინ რუსთაველესაც მეტი მკითხველი კი არა მარტო, მეტი გამგები და გამგონი აღმოუჩნდება.

რ. ბაბაშვილი

*) მიწვენილი Initié ძველი სიტყვა და ნიშნავს არა მარ-ტო გულთამხილავ, გულთმისან ადამიანს, არამედ ისეთს, რომელსაც აგრედვე ესმის მთელი ბუნებისა, ცხოველების და უსუსლო საგნების ენა და მიზანი არსებობისა. როგორც ვთქვით, ვაჟა-ფშაველას „გველის მკამელს“ და სხ.

თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ფ ე *)

მეფე თეიმურაზ პირველის ეპოქა ჯერ ნაკლებად გამოკვლეული და სადავო კითხვებით სავსე ეპოქაა, სადაც ჰარბადაა ქართველობის ტრალიკაც და გმირობაც, რომელიც თავისი მხრივ ერის სასოწარკვეთილ მდგომარეობიდან გამომდინარე თავგანწირვით აიხსნება. — მაშინ საქართველო სიკვდილს ებრძოდა, მისთვის შეგნებულათ განმზადილს, მაშინდელი ირან-ოსმალეთისაგან. ეს იცოდნენ ქართველმა მეფეებმა და მათი წერილები უცხო ქრისტიან ხელმწიფეებთან და პაპთან ამ გარემოებას მუდამ სისტემატიურად, დაჟინებით აღნიშნავდნენ: ითხოვდნენ დახმარებას, რათა არ მოისპოს ქართველობის ქრისტიანი ერი და ბაგრატიონთა სამეფო გვარიო. — ამიტომ დიდი ყურადღების ღირსია (აწ განსვენებული) ზურაბ ავალიშვილის საფუძვლიანი ნარკვევი „თეიმურაზ პირველი“, რომელიც მთელ ამ ეპოქას საკამათოდ სვამს და მდიდარი მასალით მის გაშუქებას ცდილობს. ავტორის დიდი დამსახურებაა ამ მნიშვნელოვანი ხანის ნიჭიერად დასურათება ევროპიელთა ლიტერატურის მასალებითაც, რომელთაც ქართულ მწერლობაში ჯერ ნაკლებად ან სულ არ იცნობდნენ. — კვლევა-ძიებისათვის გადაამწყვეტია პირვანდელი წყაროები: მიჩნეულ ხანის საბუთები თანამედროვე მატიაზე და მწერლობა და სხვა ამგვარი, ესაა მთავარი და პირვანდელი ფუძე, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს განსაკუთრებით მკვლევარი. ხოლო მგრძობინდელი ან მიმდევრო მწერლობა ძვირფასია როგორც დამხმარე და შემამოწმებელი მასალა, რომელიც პირვანდელ წყაროთა შევსებაში, გაგებაში და დაფასებაში დიდ სამსახურს გაგვიწევს. საკუთრივ ყოველ ამ მასალათ და საკუთრივ ყოველ ამ წყაროთაც კრიტიკული შესწავლა, შედარება და განხილვა სჭირდება, რომ თვითველ საბუთის შედარებით ფაი — ლირებულება გარკვეულ იქნეს: რა არის მათი მამოძრავებელი შინაგანი მოტივი და რა მიზანი აქვთ მათ, რა განწყობილებაში არიან ისინი დასმულ პრობლემასთან. ამით უნდა გამოიკვდეს მათი მიუღვამლობის და სანდობიანობის ხარისხიც, — წყარონი, უფრო კი ლიტერატურა ბ-ნ ზ. ავალიშვილისაგან ნახმარი, შემდეგია: ქართული, სომხური და სპარსული; ბატონიშვილი ვახუშტი, ბატონიშვილი თეიმურაზი, გორგიჯანიძე, არაქელ თავრიზელი, ისკანდერ მუნჯი და ზოგი ინგლისელების და ესპანელის იმ დროინდელი ჩანაწერები, რომელნიც მოკლენათა სარკეს ზოგ ხანებში სასურველად ასრულებენ, თუმც ჩვენი შესწავლით უპირატესობა დასმულ საკითხებში სულ სხვა საბუთებს ეკუთვნის, სახელდობრ მეფე თეიმურაზის მიწერ-მოწერას უცხოეთთან, რომლიდანაც ჰარბადაა დაცული მიწერ-მოწერა მოსკოვთან და გამოქვეყნებულიც რუსულ-ფრანგულად. ამიტომ ჩვენი აზრები ზოგ საკითხებზე ბევრად განსხვავდებიან ბ-ნ ზ. ავალიშვილის დებულებათაგან. აქ შევეხებით უმთავრეს პუნქტებს:

1. გვ. 42: „დედოფალნი და თეიმურაზის ორი შვილი აღექსანდრე და ლევან შაჰაბაზს 1614 წ. მძევლად და ტყვედ იმიტომ წაყვანა, რომ თვითონ თეიმურაზმა ირჩია მასთან არ წასულიყო... იმ დროინდელ სპარსეთში კი მძევლად წაყვანილი თავიდანვე განწირული იყო. ისეთ პოლიტიკას მისდევდა თეიმურაზი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის წარმოებულ ხანგრძლივ და საქართველომასთვის მრავალნაირად სახიფათო ბრძოლაში“.

2. გვ. 44: (დედის წამება და ძეთა გასაჭურისება)“
ესეც შედეგად ჩაითვლება მისი ოსმალეთთან დაკავშირებისა ისეთ დროს, როცა ოსმალებმა კინაღამ ხელმეორედ თავრიზ-არდებნოლი დაიპყრეს და სპარსეთი დროებით დიდ საშიშროებას განიცდიდა, კერძოდ 1625 წ. იგი (თეიმურაზი) სტუმარი იყო ოსმალეთისა ბათუმთან ახლო, გონიაში, შაჰაბაზისათვის ხელმიუწდომელი“.

საკიროა შევამჩნიოთ, რომ წყაროებშიაც მკაფიოდ აღნიშნული და ისედაც ცნობილია, რომ 1614 წ. შაჰაბაზს ოსმალეთთან ომი არ ჰქონია, ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ თურქთა შესევა ირანში მოხდა 1587 — 1590 წ. დაიკავეს საქართველო, ლურისტანი, თავრიზი და შირვან-კასპიის მხარე, ე. ი. გზები თურანისკენ. ომი განახლდა 1602 წ. და 21. 10.1603 წ. ურმიის ტბასთან ძლევამოსილად გაიმარჯვეს სპარსელებმა, რომელთა ჯარი ორი ინგლისელი ძმის ინციატივით და ქართველთა მეთაურობით ევროპიულად გადახალისებულ იყო. ინგლისელნია შერლეი, ქართველთაგან ყველაზე უძლიერესია ირანში შაჰის შემდეგ ალავერდი ბეგ-უნდილაძე.

ხოლო 1612 წ. ფორმალურად მოხდა ზავი, ე. წ. ნასუფაშას ზავი. აი, სწორედ იმიტომ, რომ შაჰაბაზმა მტერზე მოიცალა გამარჯვებოთ, სწორედ ამიტომ აღარ დაინდო ქართლ-კახეთი და ეხლა მას მრისხანებით, მზაკვრულად თავს დაესხა 1614 წელს. ომიანობის დროს კი მისი ძალები და ყურადღება მიმართულია დასავლეთით თურქებზე და ამათგან ამოძრავებულ და წაქეზებულ უზბეკებზე **) აღმოსავლეთში. ნასუფაშას ზავმა 1616 წ-მდე გასტანა, როდესაც ოსმალეთი თავრიზთან ისევ სასტიკად დამარცხდა და 1618 წ. იძულებული გახდა ირანს ისევ დაზავებოდა უარეს პირობებში ვიდრე წინად. ამის შემდეგ ოსმალთ კიდევ სცადეს თავიანთი ბედი, მაგრამ ამაოდ, მაგ. 1623 წელს. ჩვენთვის მთავარია, რომ 21. 6. 1626 წ. ისინი ბაღდადთან ისევ სასტიკად დამარცხდნენ ე. ი. თითქმის იმავე დროს, როცა მეფე თეიმურაზ 1-მა ბაზალეთთან ბრძოლა მოუგო დიდ მოურაგს. ირანთან ამ ომებში ოსმალეთი სარგებლობდა ყირიმის თათრებით, რომელთაც უსევდა ირანს კავკასიით, განსაკუთრებით შაჰ ზუნდა ბანდას დროს. მერმე კიდევ უზბეკებით, რომელნიც ოსმალთ წაქეზებით შეესივნენ ირანს და დაიკავეს მრავალი თვალსაჩინო ადგილები ხორასანსა და სხვა. ოსმალთ მიზანია: კასპიისაღმე მიწდომით თურანთან უშუალო კავშირის გაბმა. 3). ნამდვილი ვითარება ეს არის:

ფაქტია კიდევ, რომ ოსმალეთთან დაზავებულ შაჰაბაზი, განჯას მოსული, ოსმალეთთან ომის მომიზეზებით თეიმურაზ 1-ს მოთხოვნათ ურდვენს; თეიმურაზ 1-მა კი იცის, რომ ირანს ნამდვილად ოსმალეთთან ზავი აქვს (ბატ-ლი თეიმურაზ, მაგ.). კიდევ მეტი, თეიმურაზ მეფე სწორედ შაჰაბაზისაგან დევნით შეიქნა იძულებული იმერეთს გადასულიყო, სადაც მას შაჰმა მკვლელი დაადევნა. გურიაშიც არ მოუტყენეს. მერე სამცხეში

*) განსვენებულმა ზ. ავალიშვილმა სურვილი გამოთქვა ეს ნარკვევი დაბეჭდილიყო 1938 წელს, მაგრამ უფრ. „ახალ ივერია“-ში, რომელსაც ბ-ნ ა. ცომაია თავის შეგობრებთან ერთად სცემდა, ტენიკურ მიზეზთა გამო, ეს აღარ მოხერხდა.
**) უზბეკები და თურქები ერთი ენისა და მოდებისანი არიან.

(ცინკაიზენ ოსმალთა სახელმწიფო ისტორია, III, 590 შემდ. 664-673; IV, 62-65, — 78-118, (გერმანულად) იორგა, ოსმალეთის ისტორია, III, 439-40, — 452-455; (გერმანულად).
3. საიკს, სპარსეთის ისტორია, II, 172-183 (ინგლისურად).



იყო. თვით ოსმალეთში ის სულ გვიან გადავიდა. როგორც თვით ბ-ნი ზ. ავ-ლი ამბობს, 1624 წ. ის ჯერ კიდევ გზისაშენი, სადაც სულ 3 წელი დარჩა. მაგრამ ჯერ კიდევ 1618 წ. მეფე წერილსა და ელჩებს უგზავნი მისკოვის ცარს, მიხილს, დასავლეთ საქართველოდან. დასამდვილებით ვიცით, რომ მისი მგზავრობა სტამბოლსა და უკან დაბრუნება მოხდა ზამთარში არა უადრეს 1619—1621 წლისა, ძალიან მოგვიანებით. ხოლო მისი შეილები შაჰაბაზისაგან თვით ბ-ნი ზ. ავ-ლის თქმით, 1618 წ. დაიღუპნენ, თუ ეს ასეა თეიმურაზ 1-ის „თურქოფილური“ პოლიტიკა აქ გადამწყვეტი ვერ იქნებოდა.

თეიმურაზ 1-ის დედა, ქეთევან დედოფალი, შაჰაბაზის ციხეებში მიიტყუა სწორედ შეილებთან ერთად 1614 წ. ქეთევანი ვაჟყვა უნცროს შვილიშვილს ალექსანდრეს შაჰის დაქინებით მოთხოვნაზე. რა მიუვიდნენ ესენი, შაჰი საყვედურობს, ბალლი გამოგვგზავნია, ესლა უფროსი გამოიმგზავნეო. ქეთევან დედოფალი და მისი ქართული ამაღა ნოდარ ჯორჯაძით ჩუმად აფრთხილებენ თეიმურაზს, არას გზით აღარაგინ გაეგზავნა შაჰისათვის: მათ უკვე გაეგოთ შაჰის ბოროტი განზრახვა.

როცა უფროსი ძე ლევანიც ჩავიდა, ქეთევან დედოფალი მეტად გაოცდა. შაჰმა კი ესლა თვით თეიმურაზ მეფის მისვლა მოითხოვა, უნდა დავასაჩუქრო. გაფრთხილებები მეფეს არც ესლა არ მოკლებია.

თუ წყაროთ შევისწავლით, თუ კახ—დიდებულებთან თქმულ ქეთევანის სიტყვებს დავაკვირდებით, მის გამგზავრების წინ წარმოთქმულთ, თუ როგორის გაფრთხილებით, მუდარით, საყვედურობით აბარებს ის მეფეს, თავის ძეს, კახელთ და ეაჯება ერთგულად ყოფნას, გამკემთ ნუ აყოლინართ და სხვ., ცხადი იქნება, თვით ქეთევანი არას გზით არ იყო მოსურნე, თეიმურაზი შაჰაბასთან მისულოყო და ამაშია სწორედ ამ ქალის შეგნებული გმირობა: მან იცოდა, ცოცხალი ის ვეღარ დაბრუნდებოდა. მისი დედობრივი თავგანწირვის საზღაური იყო მისი ერთად ერთი ძის — მეფის, ვაღარჩენა. —

თვით ბ. ზ. ა-ლიც ეწინააღმდეგება თავისავე დებულებას, როცა ის გვ. 55 თვითვე ამბობს ქეთევანის უბედურობის სულ სხვა მიზეზსაც:

„შაჰაბაზის კარზე საუბარი იმაზე ჩამოვარდა, რომ აი, იქვე დამსწრე ქართველები გამახმადიანებულან, ხოლო მათი დედების გათათრება არ ხდება და რატომო. ეს იმიტომო, ეთქვა ერთს, დედოფალი არ თათრდება და არც ჩვენს დედებს უნდათო... ძალიან შესაძლებელია, რომ ქეთევანის მოკვლით სპარსეთის მთავრობას უნდოდა ისეთი პიროვნება მოსპობილიყო, რომლის სიმტკიცე იქვე სპარსეთში მყოფ მრავალ ქართველების გათათრებას აჩერებდა. მეფეთა და ხელმძღვანელთა ხალხის გათათრება მათთვის სახელმწიფო ე. ი. პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით იყო სასურველი და მას საჭიროდ სთვლიდნენ“. და სხ. და სხ. (არაქელის ცნობა).

მაშასადამე, არც ქეთევანის წამების მიზეზად შეიძლება იყოს მეფის ვითომდა „თურქოფილობა“. მაშინ ის უნდა ეწამებიათ 1618 წ. ბავშვებთან ერთად ან და 1620, 1621 წელს, როცა მეფე სულთანთანაა და არა 1624 წ.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქეთევან დედოფლის პიროვნებას ქართლ-კახეთისათვის გააჩვენებს შემდეგ მოვლენათა განვითარება:

კახეთი დიპლომატიურსა და პოლიტიკურ ურთიერთობაში იყო მოსკოვთან განსაკუთრებით კახეთის მეფე ალექსანდრე 2-ის დროს და სპარსეთი ცდილობდა ამ კავშირის ყოველი საშუალებით ჩაშლას. კახეთ-მოსკოვის შუა მიწერ-მოწერიდან სჩანს, რომ უკვე 30.3. 1602 წ. მიიღეს მოკვლევი ტერკის ვოევოდის ხილკოვის მოხსენება, რომ ამას 20.11.1601 წ. აცნობა ალაქსანდრე მეფემ, სპარსეთიდან ჩამოვიდა ჩემი ძე კონსტანტინე მრავალმ საჩუქრებით შაჰიდანო. შიკრიკს კი სიტყვიერად მოეხსენებია კიდევ, მეფე გამოზახუნდა და მისი ძე და-

ვით გამეფდაო, მეორე ძე გიორგი ირანში გაიქცა, მაგრამ დავითმა დაიჭირა და დააბრუნაო. რადგანაც ეს მოხსენება გარემოებათა თანამედროვე და საბუთიანი, ამიტომ მას უპირატესობა უნდა მიეცეს ვახუშტთან, რომელიც თითქმის 150 წლის შემდეგ აღწერს მათ და ეტყობა ბევრს რასმეზე თავშეკავებულად სდუმს.

საინტერესოა, რომ ეს მოხსენება ასტრახანში შეეყარა მეფე ალექსანდრე 2-ის ელჩს სულომანს, მოსკოვიდან შინ დაბრუნებულს, რუს ელჩთა თანხლებით. ის ისე გაბრაზდა, რომ ცარიც და მისი ელჩებიც ვინებით მოიხსენია, მიატოვა რუსები და დაიწინაურა, ცნობა კი ყალბად მიიჩნია.

1.7.1602 წ. რუსის ელჩი მიიღო მამა-შვილმა, ალექსანდრე და დავითმა ერთად. ორთავემ და დავითის ძემ თეიმურაზმა ჯვარზე მთხვევით შეფიცეს ცარს (ბორის გოდუნოვს) ერთგულება.

მეფე დავითი რუს ელჩთ ცუდათ ეპყრობოდა. რუსთა მოხსენებებით ცხადია, დავითი მოკვდა 21.10.1602 წ. იმეფა თითქმის ერთი წელი. ალექსანდრე 2-რე ისევ გამეფდა და 26.10.1602 წ. სწერს სუნჯას (იმეფრკავკასიაშია) ვოევოდას შირონოსოვს, თქვენს, რუს ელჩთ, გაზაფხულში გამოვებრუნებო. ეს გადატრიალებანი კახეთში მტკიცდება აგრეთვე ალექსანდრე მეორის ელჩის კირილე ეპისკოპოზის (სკანტოპულოს) განცხადებით ცართან მოსკოვში, რომელიც დაწვრილებით აღწერს მოვლენებს, რომელთა შეზავებით ზემო რუსულ მოხსენებებთან, მიმდინარეობა ჩვენ შემდეგნაირად გვეხატება.

ირანიდან ჩამოვიდა კონსტანტინე ბატონიშვილი მრავალი საჩუქრებით. დავით ბატონიშვილმა მიმძღაგრებით დაიკავა ტახტი მამისა და ძმის გიორგის დაპატიმრებით და ზოგ მოლალატეთა და მონიტრივეთა ჩავონებით, რომელნიც მას მამის და ძმის წინააღმდეგ აქეზებდნენ. მრავალნი დახოცა: 17 სარდალი (ოფიცერი) თავის მოკვებით. სხვანი კლდიდან უფსკრულში გადაჩეხვით, ზოგიც თვით ღვთის მშრომლის ტაძარში, ხოლო ხელი არ უხლია კონსტანტინესათვის, რომელთანაც ვანწყობილება კარგი უჩანს. ყოველივე ეს ხდება სპარსეთში მძევლად მივლინებული და იქედან ესლა დიდი საჩუქრებით დაბრუნებულ კონსტანტინეს ჩამოსვლასთან დაკავშირებით. კონსტანტინე სჩანს ხელის შემწყობ დავითის ძალმომრეობასა და გამეფებაში. დავითისაგან ცუდი მოპყრობა რუს ელჩისადმიც ამით ბუნებრივია და ვასაგები. ესაა შაჰაბაზის პირველი მცდელობა კონსტანტინეს გარეკით კახთ სამეფო სახლის ამოსაწყვეტად დავითის დაპირისპირებით მამასა-ძმაზე და აგრეთვე დიდ საჩუქრების უხვად გაცემით კახელობაზე.

ჩვენ არ ვიცით როგორ მოკვდა დავითი, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, ამავე საქმის მთავარი როლი თვით კონსტანტინეს დააკისრა შაჰმა 1605 წ. და მან ეს შეასრულა კიდევ: ხოლო რუს ვოევოდათა წერილები 23.6.1604 წ. ტერკიდან ამოწმებენ ამგვარსავე ხმებს და არაქელიც გვიმოწმებს, რომ კონსტანტინემ მხოლოდ მეორეჯერ შესძლო დავალების ასრულება, პირველად ვერაო; რუსულ საბუთთა ცნობით, ცხადია კონსტანტინეს 1604 წელსაც ჰქონდა მცდელობა, მაგრამ ვერას გამხდარა.

რუსთა არქივის ცნობით შაჰმა ალექსანდრე მე-2, მასთან მყოფი და ომში დიდად დამხმარე, მხოლოდ რუსის ელჩის ტატიშჩევის თხოვნით გაანთავისუფლა და შინ გაუშვა 1605 წ. თებერვალ-მარტში. მას ვითომც საპატიოდ გამოაყოლეს მისივე ძე კონსტანტინე, სპარსელი ჯარებით. 12 მარტს რუსის ელჩთ კახეთში აღდენცია უნდა ჰქონოლით მეფესთან და თხოვდნენ, აღდენციას არ დასწრებოდა არც კონსტანტინე, არც სხვა უცხო ელჩიო. დანიშნულ დროს კი კონსტანტინემ ჯარით დიკავა სააუდიენციო კარავი და რუსთ თვალის წინ ჩაიდინა მამისა და ძმის მკვლელობა.



ქართული პოლიტიკის დედა-აზრია 16-17 ს-ნის მიჯნაზე: ასტრახანის ხანატი რუსთაგან დაპყრობით კავკასიაზე მოახლოებული მესამე ძალის გამოყენება ირანოსმალეთისა და ყირიმ-კუმიტა (შამხალი) * საფრთხეთა წინააღმდეგ, რაც ეგუებოდა რუსთა ინტერესს: გაერღვიათ თურქ-თათართა ჯაჭვი ასტრახან-ყირიმ შუა სწორედ კივკასიასთან, რომლის ერები, ჩერქეზ-ლეკეთი და საქართველო იმავ მტერთან დაუცხრომელ ბრძოლაში იყვნენ. მოსკოვმა ბევრჯერ გამოგზავნა ჯარები კავკასიაზე, მაგრამ მისი დახმარება კახეთს მილიტარულად ნაკლებად გამოადგა, ხოლო პოლიტიკურად — კი ირანის მტრობა კახეთისადმი გააძლიერა, თავდასხმები გააძვირა. ამით კახეთის დაცემა მომზადდა.

ამ ვითარებაში სწორედ, ქეთევან დედოფალი ვახდა სპარსეთთან კახეთის ბრძოლის ნამდვილი სული და მეთაური.

12.3.1605 წ. მამა და ძმის მოკვლის შემდეგ მოლაპატე კონსტანტინე ბატონიშვილი შეეცადა თხოვნითა და დამუქრებით საკუთარი ძმის დავითის ქვრივის, ქეთევან დედოფლის ცოლად შერთვას, რადგან მეფე დავითისა, მეფე ალექსანდრე 2-რე და ბატონიშვილი გიორგის სიკვდილისა თუ მოკვლის შემდეგ კახეთში აღარავინ დარჩა, რომ ტახტზე უფლება ჰქონოდა ვარდა დედოფალ ქეთევანისა, რომლის ძე თეიმურაზი, მაშინ ბატონიშვილი, როგორც სჩანს სპარსეთის კარზე იყო გავზანდილი, ალბად 1602 წელს, მამის სიცოცხლისას, რადგან შემდეგ წლებში, უფრო 1605 წ. ის სპარსეთში გვხვდება. ქეთევან დედოფლის შერთვით კონსტანტინე ლამობდა კახეთის ტახტის საბოლოო დამკვიდრებას.

ქეთევანი საშინელ მდგომარეობაშია: მისი, დედის ერთა და იმელი თეიმურაზი მიველადაა შაჰაბასთან, რომლის სურვილია ქეთევანის მითხოვება კონსტანტინე მოლაპატეზე. ქეთევან დედოფალს აღმოაჩნდა საარაკო ხასიათის სიმტკიცე და მაღალზნეობა: მან გადაჭრით უარი განაცხადა იმ სიბინძურეზე. მერყევ კახთ დაემუქრა კიდევ და აპირებდა ქართლში გადასვლას; თვითონაც ხომ ქართლელი იყო, წული ამოთან ბაგრატიონ მუხრან ბატონისა და ნათესავი ქართლის მეფისა. კონსტანტინე მოლაპატე ძალას მიმართა და მისი დამორჩილება იარაღით დააპირა, მაგრამ მას ქეთევანის გარშემოკრებილმა ქართლებმა და კახელებმა გზა გადაუღობეს და მოლაპატე მოლაპატურად მოიკლა. ქეთევანი კახელობამ უმაღლვე მართველად დასვა. უფლებით ეხლა კახეთს აღვილად დაეპატრონებოდა ქართლი ე. ი. ორივე სამეფო უნდა გაერთიანებულიყო. ყოველ შემთხვევაში კახეთის ამბები შაჰისთვის დიდ გართულებათ მოასწავებდნენ, თუ ეს ენერჯიული და იდეებით სავსე ქალი დარჩებოდა ხანგრძლივად კახეთის სათავეში და სპარსული პოლიტიკის მტრად. ეს არის ისტორიაში იშვიათი მოვლენა: აქ მეფე ქალი იბრძვის ერთ და იმავე დროს: საკუთარ ქალურ პატიოსნებისა და თავმოყვარეობისათვის, თავის ერის ზნეობისა და წესის დაცვისათვის, საკუთარ ქვეყნის განთავისუფლებისათვის, და ერთბაშად მიზანსაც აღწევს: მან მაშინ კახეთიდან სპარსელები გარეკა. მას დიდად ხელი შეუწყო ქართლის მეფე, გიორგი მეათე-მ, ლორეს წართმევით სპარსეთზე გულგატეხილმა: ჯარი მიამგვლა და მტერზე გაამარჯვებია (არაქელი და საქართველოს პარიზელი ქრონიკა). გიორგი მეათე უკმაყოფილო იყო შაჰაბაზით, რომელმაც მას 1602 — 1604 წელში და აგრეთვე კახელ ალექსანდრე მეორეს ერევანზე დახმარება სთხოვა, მიიღო კიდევ და რადგან ქართველებმა ერევანი პირველმა აიღეს, შაჰი ამ ყოჩაღობას ასე უფასებს გიორგი მეათე-ს, რომ სთვლის მას საშიშრად, ართმევს ლორეს და მთლად ზერღუჯის არეს ბამბაკამდე; კახთ ბატონს კი

წაართვა კაცი (ზაქათალის მხარეზე). მეფე დიდი საყვედურით და მუდარით ედავა, მაგრამ არა გაუვიდა რა (მას ლორე 1601 წ. დაემორჩილებინა. ერისთავი კი სპარსეთში გაიქცა, გამახმადიანდა და შაჰს აქეზებდა, ე. ი. აქაც დილატი მუშაობდა).

ქართლ-კახეთის შეერთებული ძალა შაჰს ნაცადი ჰქონდა ერევანზე, ამიტომ ქართლ-კახეთის გაერთიანების ჩასაშლელად შაჰმა დათმობა ამჯობინა: სასწრაფოდ გამოისტუმრა კახეთში მეფედ მაშინ 16 (თუ 13) წლის თეიმურაზი დიდი საჩუქრებითა და პატივისცემით (ერთი მეტაფრასტით, თეიმურაზი თვით დედა-მისმა გამოთხოვა. ეს მეტაფრასტი ჩვენ არ გვინახავს და ეს გამოთხოვნა მიგვაჩნია წინასწარ მოლაპარაკებათა შედეგად). შაჰის პოლიტიკაა, არა აშკარად ომი ქართველობასთან, მეტადრე გაერთიანებულ ქართლ-კახეთის ძალებთან, ის ამას მუდამ ერიდებოდა; არამედ მზაკვეული მოხერხებით და ცბიერებით მისი წახდენა და სასტიკი შურის ძიება კონსტანტინე ბატონიშვილის მოკვლის გამო, ჯერ ხომ შვილი თეიმურაზი დედას (ქეთევანს) დაუპირისპირა და ეს იმით კახეთის მეთაურობას ჩამოაშორა.

ესლა შაჰის პირველი ცდაა ახლად გამეფებული თეიმურაზ 1-ლი ქართლის მეფე ლუარსაბ 2-ის (1605-1616 წ.) გადაპყრობის. თეიმურაზს მოუკვდა პირველი ცოლი ანა, მამია გურიელის წული, დედა იმ ორი ვაჟისა, ლევანისა და ალექსანდრისი. „ღარდის გასაქარვებლად“ დაქვრივებული თეიმურაზ 1-ლი შაჰმა სანადიროდ ირანში მიიპატიჟა, შავები ვახდა და ბოლოს გადაჭრით მოთხოვა, მეორე ცოლად ლუარსაბ 2-ის და შეერთო, ამით ჩემი ქვისლი შეიქნებოდა (ლუარსაბ 2-ის ერთი და შაჰაბაზს ჰყავდა ერთ ხანს ცოლად, შემდეგ კი გააჩუქა). თეიმურაზი დიდ უარზე იდგა, ქართული წესით ახლო ნათესავებში ქორწინება შეუძლებელიყო. შაჰს კი სწორედ მათი ქორწინება უნდოდა ქართლზე ზნე-წესთა გასახრწნელად და მეფეთ ლუარსაბ და თეიმურაზ შუა შუღლისა და მტრობის ჩამოსაგდებად. ეს ხერხი მას არ გამოუვიდა. ორივე მეფენი შეთანხმდნენ დაეთმოთ ძალისათვის და 1612 წ. მოხდა ჯვარისწერაც კახეთში. არავითარი შემთხვევა არ ყოფილა აქომამდე თეიმურაზ 1-ის რაიმე „თურქოფილობისა“. წინააღმდეგ, ის შაჰისთან მორჩილების და კარგ დამოკიდებულებაშიცაა. მაგრამ ესლა მის ძველ კარგ განწყობილებას და ძველს ნათესაურ კავშირს ქართლის მეფესთან, ზედ დაემატა მასთან მოყვრობაც. მათი წაკიდების ანგარიში წახდა, მაგრამ შაჰს აქ დაეხმარნენ ქართველები, სპარსეთში მყოფნი, თავიანთი ინტრიგით, დილატით. მათ შორის იყო აგრეთვე მთელი მაშინდელი საქართველოს უმტკიცესი, სულთი უძლიერესი მეზობელი გიორგი სააკაძე, რომელზედაც აქ სიტყვას ვერ გავაგრძელებთ. ეს მართლაც „დიდი მოურავი“ მთელი თავისი უარყოფით თვისებებთან უთოვოდ ამ ხანის უნიჭიერესი სარდალი იყო მთელს წინა აზიაში, ირან-ოსმალეთშიც. ისიც მსხვერპლი შეიქმნა ზოგ შურთან „დიდებულთა“ მეფესთან მახეზლობისა, რომელნიც მის დაღუპვას ლამობდნენ თუმცა (ანდა სწორედ მისთვის, რომ) იცოდნენ, რა დიდი ძალა იყო მაშინდელ საქართველოსათვის მეფისა და გიორგი სააკაძის შეთანხმებული, მეგობრული კავშირი. ზოგ „დიდებულთა“ შეჩენით მეფისგან საკუთარი ოჯახის შეურაცყოფამ, და მასზე მკვლელობის ცდამ აიძულეს გაბოროტებული სააკაძე შაჰსთან გაქცეულიყო. წყაროები აშკარად ამბობენ, რომ შაჰაბაზს მისი ერთგული ქართველები მოჰყვნენ განჯაში, მას არიგებდნენ და აქეზებდნენ საქართველოზე. მთავარი პიროვნება მათ შორის იყო გ. სააკაძე, ესლა მტრის ბანაკში გადასროლილი. განჯაში შაჰაბაზი დიდხანს იდგა და აქედან აწარმოებდა თავის ერთგული ქართველთა დახმარებით გამხრწნელ მუშაობას საჩუქრებით, დაპირებებით კახელებშიც და ქართლებშიც.

თავში, თეიმურაზ 1-სა და ქეთევან დედოფალს არ უნ-

* ყირიმის თათრობა (შავს ზღვაზე) და კუმიკნი (კასპის ზღვაზე) ხშირად ერთად მოქმედებდნენ კავკასიელთ წინააღმდეგ.

დღლით შაჰის მოთხოვნათა ასრულება ბევრების გაგზავნით, მაგრამ კახ-დიდებულებში აზრი გამტკიცეს პროპაგანდით, რომ გაეგზავნათ ჯერ უნკროსი ალექსანდრე და დედოფალი ქეთევანი და მერე კი ლევანიც გასწირეს. თავადობა უარზე იყო შემბოდა შაჰს და არწმუნებდა მეფეს მძევალთა უშიშროებას. ამან გამოიწვია დიდებული სიტყვა თქმული ქეთევანისაგან კახელ თავადებისადმი შაჰაბაზთან წასვლის წინ.

„მე თუმცა შევსწირავ თავსა ჩემსა და დავსდებ ცხოვრებასა ჩემსა სიყვარულისათვის მამულისა ჩემისა, მაგრამ ვითარცა მსმენიეს და უწყნი საქმენი შაჰაბაზისანი მეც და ჩემს შვილიშვილსაც (— აქ ლაპარაკია ალექსანდრეზე, უნკროსზე) ტყუილად და უბრალოთ დავკარგავთ. უფროს მიზეზითა და ვერაგობითა მამულისა ჩვენისა ორგულთათა, რომელნიც დღეს შაჰაბაზს ახლავენ. საქართველოს მამულიშვილნი, შაჰაბაზს ისინი არ მოასვენებენ, შაჰაბაზი ჩვენ არ გვინდობს, აღარ გამოგვიშვებს და არც კახეთში მოუსვლელო დადგება, ჩვენის დატყვევებით თქვენ უფრო ძალი მოგაკლდებათ და ქვეყანას წაახდინებთ“.

ეს მისი სიტყვები საუბედუროდ წინასწარმეტყველური აღმოჩნდნენ. კიდევ უფრო შესანიშნავია თავდადებულ დედოფლის მიერ სიტყვა იქვე, კახელთადმი. შეიძლება ეს სიტყვები ფორმით ნადვილი არ იყვნენ, დედა-აზრი, შინაარსი კი ქეთევანს ძალიან უდგება. კახთ დიდებულებმა აიძულეს მეფე თეიმურაზ 1 გაეგზავნა უფლისწული ალექსანდრე ქეთევან დედოფლით და შემდეგ შაჰის მოთხოვნით უფროსი ლევანიც. მეფეს უნდოდა ბრძოლა, თავადთ არა. ამათი საბუთია, დედოფალი ბრძენია და ზავს მოახერხებსო. ქეთევანი შაჰს მოაგონებს, ბევრჯერ დავიცვია ადერბეიჯანის ოსმალით შესევისაგან, ირანის მათი შეტევისაგან, საქართველოს დაცემა იქნება ირანის დაცემაცო. ამაოდ. ლევანის შემდგომ შაჰმა თვით მეფე თეიმურაზი 1-ც მოითხოვა. ცხადია, შაჰმა განგებ გამოაცალა ჯერ ქეთევან დედოფალი, სული, სიბრძნე და გულადობა კახეთისა. მდაბალ ხალხს, მწყევლებს კი საჩუქრებს ურიგებდა, ხალათებს და სხვა... „დიდებულნიც“ გადიბირა და მეფის გარემოს ომი აღარ უნდოდა.

დაახლოებით 19-20-დე წლის მეფე ლუარსაბ 2-ეს შეუთანხმდა დაახლოებით 25-27 წლის მეფე თეიმურაზ 1. მაგრამ ქართლშიაც იგივე ლალატი იყო შაჰის კაცებისაგან გამზადილი. ორივე მეფეს სურდა შებრძოლება.

„არამედ თვისთა სამეფოთაგანთა მამულისა ორგულთა და შინაგამცემელთა მიზეზითა დაუტევეს ბრძოლა და გადინიხნენ იგინი ყოვლითურთ სახელეულობითურთ მათით იმერეთს“ (თეიმურაზ ბატონიშვილი). სხვა წყაროებიც აღნიშნავენ ლალატს. ამგვარად გასწირეს 1614 წ. ქეთევანი, მხსნელი და განმათავისუფლებელი კახეთისა 1605 წ., ქართლ-კახეთი ორივე უმეფოდ დარჩა. შაჰმა შეისრულა წადილი: მთელი ქვეყანა ამოწყვიტა, ამოაგდო, სისხლად ანთხევია მისი საჩუქრები თვით მოლაღატეთაც. არ დაინდო არავინ და არაფერი ქართველობის მოსასპობად. არავითარი „თურქოფილობა“ რაიმე მიმხრობა ვისმესადმი შაჰის სამტროდ აქამომდე არც ერთ მეფისაგან არ ყოფილა. წინააღმდეგ ოსმალებიდან ყირიმისკენ გზად მიმავალი და ჩვენში შემოქრილი თათრობა 1609 წ. გასწყვიტეს კიდევ მეფე ლუარსაბის ბრძანებით რამოდენიმე ბოძოლამი. ისიც დამახასიათებელია, რომ შაჰმა განჯიდან პირველად თეიმურაზს შეუთვალა თურქებზე მივიღვარო ე. ი. შენზე არაო, რათა მეფე სამხედრო მზადებას არ შედგომოდა. თეიმურაზმა კი იცოდა, რომ მას თურქებთან ზავი ჰქონდა მაშინ და სწორედ ამ ტყუილმა შარმა კიდევ უფრო გააფრთხილა მეფის სახლობა. მოლაღატეთა ჩაგონებით შაჰმა კარგად იცოდა ქეთევანის მნიშვნელობა საქართველოსათვის. მას უნდოდა საქართველოს (ქართლ-კახეთის) დაპყრობა ქართველო-

ბის, მეტადრე ბაგრატიონთა მოსპობით. ამის არ დანახვა შეუძლებელია. უცხოც კი, ბროსსე, საქართველოს ისტორიის საუკეთესო მკვლევარ და ნამდვილი მკვლევარი, უი-რტსვილოს და ავისკალბსე უწოდებს () საჯაროდ, თავის ძეგლისებურ ნაშრომში, ინგლისელ ცნობილ პოლიტიკოსს და მეისტორიეს მაკოლეის, რადგანაც ამან შაჰაბაზის პოლიტიკის გამართლება სცადა.

ქეთევანმა და ლუარსაბ 2-რემ თავიანთი მსხვერპლობით ნაწილობრივ მაინც გადაარჩინეს ქართველობა. მათ უბედურებაში თეიმურაზ 1-ზე მეტი ბრალი ზოგ „დადებულთ“ მიუძღვით: ცნობილია, რომ ლუარსაბ 2-რემ ზოგ „დიდებულმა“ ჩამოუყვანეს შაჰს იმერეთიდან ფიცითა და თავდებობით, არა რა შეგვემთხვევაო. იმერლები და სხვებიც არ ურჩევდნენ, მაგრამ მან განაცხადა, ჩემი თავით ქვეყანა უნდა ვინსაო. თეიმურაზ 1-ი კი თავისუფალია სწორედ იმ ბრალდებიდან, რომელსაც მას ბ. ზ. ავალიშვილი უყენებს და რომელიც შაჰაბაზს მაშინ არ წამოუყენებია, რადგან თეიმურაზს მაშინ, 1605-1614 წ. არავითარი თურქოფილობა არ უწარმოებია, ირანის მტრობაზე მიმართული. ხოლო შვილები დაუღუპა შაჰმა მეფეს რამოდენიმე წლით ადრე ვიდრე თეიმურაზ 1-ი ოსმალებში სულთანთან გადავიდოდა, თვით შაჰიდან იძულებული, მკვლელთა დადევნებით, იმერეთი დაეტოვა, გურიაში, შემდეგ სამცხეში გადასულიყო. მხოლოდ შემდეგ ესტუმრა სულთანს, ნიადაგი მოსინჯა, ვერას ვახდა და ბრძოლით უკან გამობრუნდა ამალით, გზაზე მრავალჯერ თავს ესხმოდნენ კიდევცამასობაში კი შაჰმა ოლთისში დატოვებულ მის სახლობას ერევნის ხანი ემირ გუნა მიუსია წასატყვევად, მაგრამ გალახული და შერცხვენილი მოიგერიეს 1621 წ. დამდეგს (ნოდარ ჯორჯაძემ). სამაგიერო გადაუხადა მეფემ ამ ემირს მარაბდის ომში: სასიკვდილოდ დასტრა. ფაქტია, რომ თვით თეიმურაზი 1620 წ. ამქლანებს სურვილს, მოსინჯოს ნიადაგი ოსმალებთან, ვერარას აღწევს და შინ ბრუნდება.

1618 წ. ის წერილ-ელჩითა გაგზავნას იწყებს მოსკოვში, რაც შემდეგ 1661 წლამდე გრძელდება თითქმის. გურიაში ყოფნისას და ოსმალებთან დაბრუნებისასაც აპირებდა ზღვით, ყირიმზე, რუსეთში გამგზავრებას. აქ „თურქოფილობაზე“ ლაპარაკი მით უფრო შეუძლებელია, რომ ჩვენ ხელთა რამოდენიმე ათეული წერილების დედანი თუ თარგმანები, რუსეთის არქივში ნაპოვნი და ბროსესგან გამოქვეყნებული. ყველა ეს დოკუმენტები მჭერმეტყველურად ლაღადებენ მეფე თეიმურაზ 1-ის ორიენტაციაზე ევროპის სახელმწიფოებისკენ და არც ერთი არ ლაპარაკობს „თურქოფილობაზე“.

მეფეს ჰქონდა უმჭიდროესი და განუწყვეტელი დიპლომატიური კავშირი მხოლოდ მოსკოვთან, ნაწილობრივ დასავლეთ ევროპასთან, განსაკუთრებული ელჩობით, სადაც მან ორიენტში სახელგანთქმული მეცნიერი მირ ბაში გაგზავნა. ამის გარდა მეფემ თვით იმოგზაურა მოსკოვში და ინახულა იქ მოსკოვის ცარი ალექსი (1658-1659 წ.), ითხოვდა 30,000 მეომარს სრულიად საქართველოს აღსადგენად. მის მრავალ წერილებში მას განმეორებით და მრავალჯერ აქვს გამოთქმული თავისი შეხედულება და პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთის საქრისტიანოზე. თეიმურაზ 1-ის ვითომდა „თურქოფილობა“ ნახსენები აქვს მართალია ბროსეს და სწორედ მისგანა აქვს გაღლებული ეს ბ. ზ. ავალიშვილსაც, ალბად. მაგრამ ბროსე აქ დღდად შეცდა, რადგან მაშინ (1845-1850 წ.) მას არ ჰქონდა ხელთ მეფის ზემოხსენებული წერილები და დიპლომატიური მიწერ-მოწერა, რომელიც გამოვიდა 1861 წ., ამიტომ პირველად ბროსეს დაუჯერებლად მიაჩნდა თეიმურაზ 1-ის სტუმრობაც კი მოსკოვში ცართან, მაგრამ მან ეს თავის შეცდომა გაისწორა მიწერ-მოწერასთან გაცნობის შემდეგ.

მიკერძოებითა ამ საკითხში აგრეთვე ინგლისელი შე-



რლეი, რომელიც შაჰაბაზის სამსახურში იყო, მისგან დიდად დასაჩუქრებული და სრულიად მისი მადლიერი, მოწადინებული როგორმე მოეგო შაჰი და სპარსეთი ინგლისისათვის. ინგლისელთა ასეთმა მეგობრობამ კიდევ მეტად წაათამაშა შაჰ-აბაზი საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთთან მიწერ-მოწერაში ის თავისი კავშირით დასავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ძალიან იკვეხის კიდევ, რუსეთთან კი ძალიან მორიდებულია და შურს საქართველოზე იყრის. „თურქოფილობაზე“ მეფის მხრივ კიდევ მისთვის არ შეიძლება ფიქრი, რომ თავის ელჩთაგან მან აღრევე იცოდა, რომ სულთანს მას ვერ ან არ დაეხმარებოდა, რადგან მას ე. ი. სულთანს ირანთან ზავი ჰქონდა და ამის დარღვევა ასე ადვილად არ უნდოდა მწარე გამოცდილებათა გამო.

ეხლა გადავიდეთ უფრო საინტერესო პრობლემაზე: თეიმურაზის ვითომდა შერიგება შაჰაბაზთან და მისი ვითომდა მგზავრობა ირანში. ბ. ზ. ავ-ლის აზრით ეს თითქოს ფაქტია (გვ. 86), მისგან აღდგენილი იმ საბუთით, რომ თანამედროვე ინგლისურ წყაროში „თრების ხანი“ იხსნიება, შირაზში ერთ ნაღიმზე მეტად მოწყენილად მყოფი და კარგ მეომრად ცნობილი. ამაში ჩვენ ვერაზ გზით ვერ დავეთანხმებით სახელოვან მოაზროვნეს. ეს საბუთი არცაა საკმარისი, რომ ამ წყაროს დახმარებით თეიმურაზ 1-ის მოგზაურობა შაჰაბაზთან ირანში ფაქტად მივიჩნიოთ. მის ირანში ყოფნას 1628 წ. ვერც ეგებობით მივიღებთ, რადგან ყველა ქართული და უცხო წყაროები საწინააღმდეგოს გვაფიქრებინებს.

ყველაზე დალაგებით, ზედმიწევნით და დაწვრილებით მოგვიტხოვრებს თეიმურაზ 1-გან შაჰაბაზთან დაზავების მცდელობას ისკანდერი: ჯერ კიდევ 1625 წ. მეფეს შუამდგომლობდა შაჰსთან დავით უნდილაძე, ბახალეთის ბრძოლის შემდეგ კი (სააკაძის დამარცხება და ოსმალეთში გადახვეწა) მეფე წერილს სწერს დავით უნდილაძეს ქალაქში, უნდა შეურიგდეს შაჰს. (საერთო ინტერესია და დამახალგავებელია სხ. შორის საერთო მტრის, გიორგი სააკაძის, ყოფნა ოსმალეთში, სადაც მას შეეძლო დიდ მტრულ ძალად გადაქცეულიყო ირანისა და საქართველოსათვისაც). 1626 წ. მეფესა და დავით უნდილაძეს პირადი შეხვედრა კი ჰქონდათ. მეფემ ყოველივე მოინანია და ძალიან ცდილა შაჰის მოგებას. მეფის თხოვნით დავითმა მისწერა შაჰს მეფის მდგომარეობა და მორჩილება.

დავითის შუამდგომლობის წერილი და მეფის თხოვნა შაჰს ჩაბარდა, როცა ის ირანში დაბრუნდა ბაღდადზე ექსპედიციისას. ისკანდერის თქმით მეფე ბოდიშობდა, პატიებას ითხოვდა, მორჩილებას, ერთგულებას აღუთქვამდა; ვერ ვებედვია აქამომდე მომეწერა მტრობის გამო. დავითი ითხოვდა პატიების ფირმანს და მიიღო კიდევ, მაგრამ შაჰი მოითხოვდა — და ამას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება — საბოლოო პატიება შეიძლება მხოლოდ, როცა თეიმურაზი პირადად ჩემთან შეხლება და ყოველივეს მოინანიებს, თავის გულწრფელობით ეღიროს პატიებას ჩემთან პირადად შეხვედრისასო. ამ წერილით დავითი მოითხოვს პირადად მეფესთან შეხვედრას. შეხვდა. მეგობრული ბაასით მეფე დააჯერა და სპარსული სამოსი ჩააცვა.

ისკანდერი ამბობს, დაუღმა ე. ი. დავით უნდილაძემ იმ დღემამდე წი იხ იდ: ანამასე დეაჟმდრადამსი მითხრობდა და არსად, არც ერთ წყაროში არაა ერთი სიტყვა იმაზე, რომ თეიმურაზი ირანში ყოფილიყოს შაჰაბაზის სიცოცხლეში ე. ი. 1628-მდე. ისკანდერი ამას უთუოდ იტყვოდა, რომ ასეთი რამ მომხდარიყო. მთელი მისი მოთხრობა, კონტექსტი აუცილებელიე მოითხოვს მეფის მგზავრობის ხსენებას შაჰაბაზთან და ის ამას გვერდს ვერ

აუხვევდა, ეს რომ მართლაც ოდესმე მომხდარიყო. ეს მეტად სენსაციურიც იქნებოდა; მოსისხლე მტერი მეფე ეახლა განრისხებულ ბატონს, მძინვარე შაჰაბაზს, მოინანიო გულწრფელად და ეს ისკანდერს არ მოეხსენება? მაშინ უნდა იყოს მიზეზი, რატომ არ სთქვა ეს დიდი მოვლენა თავმოყვარე სპარსელმა ისტორიკოსმა. ასეთი მიზეზი არ არსებობს. გავიხსენოთ, რომ მთელს ირანში შაჰს თეიმურაზისთანა დიდი მეტოქე ვასალი არა ყოლია და მისი აგეთი დამორჩილება, შაჰსთან ხლება ისკანდერს გამოეტოვებინა?!

ეხლა დაუშვათ ერთი წუთით ბ. ზ. ავალი-ს აზრი, რომ მეფე ირანში წავიდა შაჰაბაზის სიცოცხლეში. მაშინვე ვხვდებით მრავალ წინააღმდეგობათ: რად არ ეახლა შაჰს, როცა ვიცით, რომ შაჰი მისგან სწორედ ამას მოითხოვდა და პირობადაც კი სვამდა. შაჰის მეორე პირობაა, მეფის გულწრფელი მონანიება მის, შაჰის, წინაშე. რაში გამოიხატა ეს მონანიება, თუ მეფე ირანში იყო, შირაზში ნადიმს დაესწრო თავჩაქინდრული და მერე შინ გამობრუნდა? ჩვენ ხომ ვიცით რა „გულწრფელ მონანიებას“ თხოულობს და გულისხმობს შაჰი მეფისაგან: რჯულის გამოცვლას, სულ მცირე.

ეხლა მივმართოთ ქართულ წყაროთ: არც ერთი ამათგანი ამას არამთუ არ ამბობს, არამედ არც გვაგონობინებს! არჩილ მეფე იყო სიძე მეფე თეიმურაზისა, ამის შვილი-შვილი, დათუნას წული, ქეთევან, ჰყავდა ცოლად. მას ზედ მიწევით უნაკლოდ აქვს აწერილი და გადმოცემული თავის სიმამრის მამის ყველა მოქმედებანი, ბედნიერიც და უბედურიც. მან იცოდა ყოველივე უშვალო წყაროდან, სიმამრის უახლოეს გარემოდან (არჩილიანი, მპ. 7):

„მეფის თეიმურაზის ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჯელთ ამბავი თვით მნახავთა და თანხახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა, არა ხობტა — არამედ მართალი, ვკითხავდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდეს“.

ასეთ წყაროს, ცხადია, დიდი ფასი აქვს. არჩილი უთუოდ იტყვოდა რასმეს ამ მგზავრობაზეც, რავეც ის ხშირად იხსენიებს ბევრ სხვა მგზავრობათ, ის რომ მართლაც მომხდარიყო.

კიდევ მეტი. ვთქვათ, რომ მეფე ირანში იყო შაჰაბაზის სიცოცხლეში, 1628 წ-დე. რა უნდა მომხდარიყო მაშინდელ გარემოებათა მიხედვით? დაუშვათ ის პატივით მიიღეს, დანაშაული აპატიეს და უფნებლად უკან დააბრუნეს. ეს ისეთი დიდი გამარჯვება იქნებოდა, რომ ამას არც თვით თეიმურაზი თავის ნაწიერებში, მეტადღრე ამც მისი სიძე არჩილი მეფე არას გზით მოუხსენიებდეს არ დატოვებდნენ. არჩილი იხსენიებს თეიმურაზის ყოველ ნაბიჯს უცხოეთში და აღწერს გადაჭარბებულად მიღების ზეიმს იქაც კი, სადაც, ვიცით ბევრი არაფერი გამოსულა. მით უფრო აღწერდა არჩილი ირანიდან თეიმურაზის უფნებლად მოსვლას, შინ დაბრუნებას, ამ მგზავრობას რომ ადგილი ჰქონოდა. ეხლა დაუშვათ, მეფე იყო ირანში და მას ნამოქმედარზე პასუხი მოთხოვეს და მოინანიეს, მაშინ მას უთუოდ რჯულს გამოაცვლევინებდნენ, სულ მცირე, შვილებსა და ჯარს მოსთხოვდნენ ბაღდადზე სალაშქროდ. ვერც ამას დამალავდნენ წყაროები. არამთუ შაჰაბაზი მას უფნებლად არ გამოუშვებდა, არამედ შაჰსეფისასაც კი, 1663 წ., ე. ი. 35 წელი შაჰაბაზის სიკვდილის შემდეგ, მას სასჯელი არ ააცდინეს, როცა ის შაჰს ეახლა ირანში, შეურაცყოფაც მიაყენეს, რჯულის გამოცვლაც მოსთხოვეს, ასტრაბადში გადახვეწეს და იმავე ხამთარში განუტევა სული სიკვდილის პირზე მიყვანილმა 74 წლისა თუ მეტის მოხუცმა. ეს არ დამალა და აღწერა არჩილმა, რად უნდა დაემალა მას სხვა მგზავრობა, რომელიც ყოველ შემთხვევაში ასე უბედურად არ იქნებოდა დამთავრებული, მას რომ ადგლი ჰქონოდა *). არ-

*) ქვევით ჩვენ კიდევ დავინახავთ, რომ არჩილი აშკარადაც ამბობს, რომ თეიმურაზ 1 ყანთან აღარ წავიდა.



ჩილს კიდევ რომ დაემალა თეიმურაზის მგზავრობა 1628 წ. მას არ დამალავდა არც სპარსელი ისკანდერი, არც სომეხი არაქელი და არც სხვები, მაგ. გორგიჯანიძე, რომელიც თეიმურაზს ყოველივეს უმჯდანებს.

ესლა დაფუბრუნდეთ ინგლისურ ცნობას „თრების ხანი“ ნაღიმზე, რაც თითქოს თეიმურაზ ხანს უნდა ნიშნავდეს. ის ნაღიმში ნახსენები აქვს აგრეთვე პარიზელ ქართულ ხელნაწერ ქრონიკასაც; სადაც გვ. 32 ნათქვამია, რომ ნაღიმს დაესწრო თეიმურაზ ხანი თავრიზისა, რომელიც იყო არა მეფე თეიმურაზ 1-ლი, არამედ სააკაძე. თავრიზის ხანს ირანში უდიდესი ადგილი ეჭირა როგორც დასავლეთის საზღვართა მცველს უძლიერეს მტრის, — ოსმალეთის წინააღმდეგ. ინგლისელიც უთუოდ ამ ხანს გულისხმობს და არა მეფეს. თორემ ის მას ასე მოკლედ არ მოიხსენიებდა, არამედ მას უფრო ვრცლად შეეხებოდა განმარტებით, ირანის სიდილის და გამარჯვების აღწერებით, მოდრეკილ, დამორჩილებულ ვასალზე.

აგრეთვე შეცდომად მიგვაჩნია პატივცემულ ბ. ზ. ავალი-ის დებულება (გვ. 93—94), რომ არჩილიანის ტაეპი 496,1): დამღურებულმა სიძემ ზურაბ ერისთავმა „თავი უფადარს მამწივნა ყაენთან წასვლის მდომელსა“ (ჩვენგან ნახმარ გამოცემაში ეს ადგილია 703) ისე უნდა გავიგოთ „რომ თეიმურაზს განზრახული ჰქონდა შაჰაბაზთან მისულიყო, ამას არჩილიც ამბობს“. ნამდვილად კი არჩილი ამას არსადარ ამბობს, რადგან არჩილს ყაენი არსად ერისთავობს დასახლებული არა ჰყავს. ეს ყაენი არცაა შაჰაბაზი. კიდევ რომ მართალი იყოს ბ. ზ. ავალის ეს დებულება, არჩილი აქ საბუთად არ გამოდგება, რადგან თვითვე არჩილი კატეგორიულად და ექვემდებარებად უარყოფს თეიმურაზის მაშინ ვითომდაც ირანში გამგზავრებას, ტაეპი 497(1) (704,1): „აღარ წავედ ყაენთან, ისევ ქართლსაგ მივუბრუნდით“. სხვა წყაროებიც ამტკიცებენ, რომ უთანხმოება მეფისა და მისი სიძის, ზურაბ ერისთავის შუა შაჰსეფის დროს მოხდა და არა შაჰაბაზისას, 2) ზურაბმა გაამეფა სვიმონი ქართლში და თეიმარიზ წავიდა კახეთს და ირანისკენ გაემგზავრა და უფადარს კი გაჩერდა, სადაც სპარსულ პოემას სთარგმნიდა და აქედან, უფადარიდან მუდარის წერილი მისწერა თავის სიძე ზურაბს: არაა წესი სიძემ გამწირო სიმამრო, სვიმონს რად მიემხრო. ზურაბმა მაშინ მოკლა სვიმონი, ამის თავი გაუგზავნა სიმამრს თეიმურაზს უფადარში მოპატივებით, მოდი ქართლი დაიუფლეო. თეიმურაზი ქართლში გაჩნდა და ესლა აგზავნის სიძე ზურაბს წუქეთზე (ლეკეთში). დაბრუნდა თუ არა გამარჯვებული ზურაბი, ის მეფემ ბოროტთა ჩაგონებით მოკლა. ეს ყოველივე აწერილია, როგორც მომხდარი შაჰსეფის დროს, 1629 წ. და არა შაჰაბაზის დროს (1628 წ.). არ მახსოვს არც ერთი წყარო, რომელიც ამ ამბავს შაჰაბაზის დროს აკუთვნებდეს.

დამოლოს რჩება კიდევ ერთი პრობლემა, სხვა მრავალთაშორის: ძმანი უნდილაძენი. დავით უნდილაძე „არჩილიანის“ გარდა მოხსენიებულია სხვა წყაროებშიც, მაგ. ვახუშტისაგანაც, იმამ ყული ხანი როგორც ამის ძმა. ეს სადაო არაა, მაგრამ ჩვენ სხვა-ნაირად გვეხატება თეიმურაზ მეფის ლაშქრობა დავით უნდილაძით ერთად არეზისაკენ ე. ი. არაქსამდე. ბ. ზ. ავალი-ი აკუთვნებს ინციტიკვას თეიმურაზ 1-ს, რომელმაც „იფქრა, შაჰაბაზის დრო წასულია, იწყება ახალი ხანა და ოსმალეთთან განახლებული ომი სპარსეთისათვის აწ საზარალო შეიქნებაო. მან ილაშქრა, და მოაოხრა განჯა-ყარაბაზის მხარე არეზის აქეთ“ და სვ. (გვ. 99-100). შაჰაბაზი მაშინ, 1632 წ., ხომ რამოდენიმე წლის მკვდარი იყო. ისპანში ძლიერდებოდა ხოსრო მირზა (შემდეგში როსტომ მეფე). წყაროებში ნათლადაა ნათქვამი უნდილაძის დიდ წყალობაში ყოფნა შაჰაბაზის დროს და მისდამი წყრომა შაჰსეფისა. ამის მიზეზად დასახლებულია,

როგორც თვით ბ. ზ. ავალიც ამბობს, იგივე ხოსრო მირზა. ამისა და უნდილაძეთა შორის განწყობილება თავიდანვე ცუდი სჩანს. ხოსრო მირზამ გაამეფა შაჰსეფი და ხოსრო გახდა მაშინ ირანში პირველი კაცი. უნდილაძენი ალბად საგანძობლად ჩაიჩრდილნენ. ყოველ შემთხვევაში ხოსრო მირზას ბანაკი და უნდილაძენი დაპირისპირებული არიან ერთი მეორეზე. განსაკუთრებით ცხადლივია ეს დავით უნდილაძის სახით.

ესლანდელი ჩვენი წყაროებით ცნობილი მცირე ინციტიკვანი (უაღვილო სიტყვა თუ შემჩნევა დავითისაგან) მიზეზი კი არაა, არამედ სიმპტომია კონფლიქტისა, რომელშიაც დაბოლოს მისი ძმა, იმამ ყული ხანიცაა გარეული. ხოსრო მირზას საწინააღმდეგოთ მათ ჰყავდათ მხოლოდ თეიმურაზ მეფე, მებრძოლი ძალა და ფაქტიური მეფეც. ხოსროს წინააღმდეგ დაპირისპირება ნიშნავდა შაჰსეფის წინააღმდეგ დაპირისპირებასაც. წყაროების ხელმეორედ ვადაკითხვამ ჩვენი წრმენა კიდევ უფრო გაამაგრა, რომ ინციტიკვა იმ ლაშქრობისა ძმათა უნდილაძეების უნდა იყოს, როგორც ისკანდერიც ამბობს და არა მეფე თეიმურაზ 1-ისა.

დავითი მეფეს ესლა და რალაც გეგმა მისცა, თორემ მეფეს არ დასჭირდებოდა მთელი იმერეთისა — სამეგრელო-გურიის ჯარების მიმხრობა მხოლოდ იმისათვის, რომ ყარაბაღი („არეზის აქეთ“ უმთავრესად ესაა) გადაეღახა. ამისთვის ქართლ-კახეთის ძალებიც კმაროდა წინადაც და მის შემდეგაც. აქ მეფეს უთუოდ სხვა ფართო გეგმაც უნდა ჰქონოდა, რომლის ნაწილი იყო მისი დიდი ჯარებით არეზზე მისვლა. არც მთელი დასავლეთ საქართველოს ჯარები გაჰყვებოდა მეფე — მთავრების თანხმობით თეიმურაზ 1-ს მხოლოდ ყარაბაღის დასარბევად, თუნდა კიდევ სხვა სახანოსაც (განჯა). არცაა საფიქრებელი, რომ მაშინ ქართლ-კახეთის მაყრობელი თეიმურაზ 1-ლი უბრალო რბევის მიზნით გაიმწავებდა შაჰსთან დამოკიდებულებას. ჯერ ხომ ის მეფე იყო და შემდეგბელი მაშინ ჯერ არავინ ჰყავდა.

ეგებობით ჩვენ აზრი უნდა გამოვთქვათ, რომ უნდილაძეთ მას რალაც გეგმა გაანდევს და ამ ლაშქრობაზე დაითანხმეს. ეს გეგმა ძალიან სერიოზული უნდა ყოფილიყო: მეფეს ალბად მისი შესრულება უფრო გააძლიერებდა და საღსარს მისცემდა სათანადოდ დაეჯილდოვებოდა მოკავშირე იმერლობაც; უნდილაძეთ კი მოუსპობდა უხერხულ მეტოქეთ ირანში. გეგმა გულისხმობდა მეფისაგან დიდ ძალთა არეზზე დაგროვებას და ცდას, რომ კიდევ რალაც მოხდებოდა, რომ ეს ძალები სამხედრო წესით გამოეყენებინათ. ხოლო ყარაბაღის სომეხთ კათალიკოსისაგან მეფის წაქეზება, საჩქაროდ ირანზე ილაშქრო, ეგების მთავარ მიზანს ამჟღავნებდეს, რომ მოსალოდნელი გარემოება ირანში უნდა მომხდარიყო და რა არ მოხდა, მეფე ჯარით უკან გამობრუნდა. რადგან შაჰმა იმამ ყული ხანი მთელი მისი ოჯახით, ვინც კი ხელთ იგდო, მოსპო და გაანადგურა, საფიქრებელია, რომ იმამ ყული ხანსაც უნდა ჰქონოდა ჩადენილი და გამზადილი გაცილებით უფრო დიდად მძიმე საქმე ვიდრე წყაროები გვიმჟღავნებენ (დავითის ლალატი და არ გაციემა მეფისაგან!). წყაროები სდუმან ნამდვილ ვითარებაზე. არც ირანის მთავრობა გაამჟღავნებდა მას ადვილად. შაჰის ამომწყვეტი ზომები შირაზის ხანის, იმამ ყულის ოჯახის და გვარისადმი (ქადყოფენ, რომ მას მაშინ თეიმურაზის ლაშქრობასთან რალაც დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა და რა რომ ის, და მისი გვარი ირანში მოსპეს, მეფე უკან გამობრუნდა, რადგან ირანიდან (კუდი ცნობა მოუვიდა, ანდა დათქმული რაიმე გარემოება ირანში აღარ მოხდა. აქ რომ დიდი ამბებია წყვილადში გახვეული, ცხადი ხდება იმითაც, რომ ხოსრო მირზა სპარსეთში გამოაცხადეს, ამ ამბების შემდეგ, ქართლის მეფედ და ის

დიდი ლაშქრით 1) შევიდა ორიოდე წლის შემდეგ ქალაქში და იმეფა, როგორც რომსტომ მეფემ, რომლის პოლიტიკური გეზი გარკვეული სპარსოფილური იყო.

უმთავრესი დამსახურება თეიმურაზ 1-ისა ისაა, რომ მან პირველმა გააძლიერა სამაჰმადიანო რკალი საქართველოს გარშემო და ხშირი ელჩობითა და მიწერ-მოწერით მჭიდრო კავშირი გააბა, როგორც სტამბოლთან ისე დასავლეთ ევროპასთან და რუსეთთან. მან პირადათ მოიარა სტამბოლი, ისპანი, მოსკოვი, სადაც მას თვისი ელჩებიც ჰყავდა. მეორე კიდეც ისაა, რომ მან შემოიკვდლა და გააერთიანა ქართლი და კახეთი თუნდაც მოკლე ხნით, და ამ დიდი იდეისთვის ბრძოლაში გაატარა თავის სიცოცხლე და შესწირა 1648 წ. თავისი ძე დათუნა, როს-

*) ირანის უძლიერესი პოტენტატი იმამკული-ხან და ბეგლარ-ბეგი დაუდხან შეილებია იმ ალავერდი-ბეგ უნდილაქესი, რომელმაც შაჰ აბაზის დროს ირანის გაძლიერებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა და რომელსაც უმუშევნიერესი მაუზოლეუმი აუგეს, რაც ითვლება ირანის შაჰთა აკლდამების თვალმარგალიტად. შაჰ სეფი-საგან ასეთი დამსახურებული ოჯახის მოსპობა-განადგურება გულისხმობს დიდ რაღაც მიზეზს. უნდა ვიცოდეთ, რომ იმამკული-ხანს დიდი ჯვალენა-მნიშვნელობა ჰქონდა ირანის შინა-პოლიტიკაში, დაუთხანს კიდეც სამხედრო ვითარებაშიც, როგორც აზერბაიჯანის ბეგლარ ბეგს, ე. ი. სამხედრო ხაზის მთავარსარდალს, გენერალ-გუბერნატორს ოსმალეთის წინააღმდეგ.

ტომ მეფესთან წაგებულ ბრძოლაში მოკლული. თეიმურაზი 1-ლი პირველი მეფეა, რომელმაც მე-15 საუკუნის შემდეგ პირველად თავის გარშემო შემოიკრიბა არა მარტო იმერეთი, სამეგრელო, გურია და სხ. ყველა ამათი სახელით მოქმედებდა ის უცხოეთ ქრისტიან სახელმწიფოებთან, ნამეტნავად მოსკოვთან ურთიერთობაში. ყველა ამათი წერილები დასტური იყო თეიმურაზის საქმეთა და პოლიტიკურ გეზისა. თეიმურაზმა მისცა და გადასჭრა უკვე მაშინ საქართველოს პოლიტიკის დედა აზრი მთელი სამასი წლით: თავის გამოხსნა აზია—ორიენტიდან, სამაჰმადიანოდან და მიყრდნობა ევროპის საქრისტიანოზე.

აღნიშნულ პრობლემათა საბოლოო გადაწყვეტამდე ჩვენ კიდეც შორსა ვართ, ვიდრე არ გაქვეყნდება და არ შევისწავლით სპარსულ-თურქულ ადგივთა სათანადო საბუთებს, რომელთაც შეუძლიათ სულ ახალი ნათელი მოფინონ თეიმურაზ 1-ის ხანას და გაცილებით მეტ აზრიანად და შინაარსით წარმოგვიდგინონ ამ შესანიშნავ მეფის დაუტყრომელი ენერჯია და უმდიდრესი თაოსნობა. მანამდე კი ბ. ზ. ავალიშვილის ნაწარმოები საუკეთესო სახელმძღვანელოდ დარჩება 17 საუკუნის გასაცნობად და შესასწავლად.

ბ. მარგველაშვილი.



ანსამბლი ცეკვის დროს



ცეკვა „ორთა ბრძოლა“



ანსამბლი ასრულებს ხორუმს ტუ რსულის

ეროვნული ერთობის საფუძვლები

შინ - აღმშენებლობისათვის

დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო პირველ რიგში უნდა შესდგომოდეს იმ ეროვნული საფუძვლების განმტკიცებას, რომელმაც ქართველობას თავისი ეროვნული სახე შეუნარჩუნა, თავისი ეროვნული ინდივიდუალობა გამოუქმნა და დაუცვა იგი უგრძესა და სისხლით ვანბანილ ისტორიულ გზაზე.

იმ ეროვნული საფუძვლებიდან, რომელსაც ჩვენს ისტორიულ წარსულში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, ერთი უკვე სავსებით მოშლილი და დანგრეული იყო.

ძველს ჩვენს ისტორიაში მეფე იყო გამოსახულება და ნიშანი ეროვნული ერთობისა, სიმბოლო და მატარებელი ერის უფლებისა. ეს მნიშვნელობა არ დაუკარგავს მას არც საქართველოს დანაწილებათა-ხანაში, როცა განცალკევებულ ქართულ სამეფოებს ბაგრატიონები მართავდნენ.

რუსეთმა ეს საფუძველი პირველადვე აღმოფხვრა და გაანიავა.

მეფესთან ერთად უწინ თუ თავდაზნაურობაც ერის ხელმძღვანელობას ეწეოდა, რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, მანაც დაჰკარგა ეს მნიშვნელობა და უბრალო წოდებად ქცეული ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ასპარეზს მოსწყდა ანუ როგორც ამბობს ერთი ისტორიკოსი, „ერის მესვეურობას ის უკვე ვერ სწევდა“.

სამეფოს აღდგენისათვის სისხლიანი ბრძოლა მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე ერის აღდგენისა და განთავისუფლებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. მაგრამ ყველა ეს ცდა დამარცხდა და თუმცა ქართულ აზროვნებაში კვლავ დარჩა სამეფოს იდეა ან სრულიად დამოუკიდებელი სახით, ან რუსეთთან ტრაქტატის აღდგენის საშუალებით, მაინც მას ახალ ხანაში ფართო ასპარეზი აღარ მოუპოვებია.

მაგრამ ერს არ შეეძლო უმეთაუროდ დარჩენა და ეს მეთაურობა მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან დაეკისრა თუ წილად ხვდა ილია ჭავჭავაძის თაობას, რომლის რიგებში თავს იყრიდა ახალი და საუკეთესო ძალები ქართველი ერის ყოველი წრიდან გამოსული.

შემდეგ ხანაში ეს მეთაურობა გადავიდა პარტიულ-პოლიტიკურ ხაზებზე და განაწილებულ იქნა პოლიტიკურ პარტიათა შორის, და დაბოლოს, რუსეთის რევოლუციის შედეგად, იგი დაიკისრა სოციალდემოკრატიამ, რომლის მესვეურობითაც უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ქართული ისტორიის სვებედი მიმდინარეობდა და ქართველი ერის თავგადასავალი იწერებოდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების უხუცესმა წევრმა სილიბისტრო ჯიბლაძემ ეს მოვლენა ასე დაახასიათა დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს, როდესაც იგი სახალის დარბაზში დებუტატებს მიესალმა:

„ნება მიბოძეთ მოგესალმოდეთ თქვენ! კეთილი იყოს თქვენი ფეხის შემოდგმა ამ თეთრ დარბაზში, სადაც ვინ იცის, რამდენი შავი საქმენი გაკეთებულა. კურთხეულ იყოს საფუძველი ამ ახალი სახელმწიფოებრივი შენობისა, რომლის ასაგებად თქვენ ბრძანდებით მოწოდებული. მეტად სერიოზულ მომენტში დაგვიკისრათ თქვენ მძიმე მოვალეობა. ჩვენ ვხედავთ, რა საშინელ რყევას და ნგრევას იწვევს არე-მარეში ეს აწყვეტილი მოძრაობა. ინგრევა სახელმწიფოები, ისპობა, თუმცა დრომოქმული, მაგრამ

ჯერ კიდევ ძლიევამოსილი წოდებები, ნაფოტივით იმსვრევა ტახტები ღვთის მიერ მირონცხებულთა. რა დაეკარგეთ ჩვენ და რა შევიძინეთ ამ საერთაშორისო ორომტრიალში? პასუხი მოკლეა: დაეკარგეთ ის, რის დაკარგვა და დამსხვრევა ყოველთვის შეადგენდა ჩვენი დემოკრატიის საოცნებო საგანს. წყევლა-კრულვით გადაუშვით (რუსეთის) მეფის თვითმპყრობელობა იმ უფსკრულში, რომლის პირამდე მან წამებული მშრომელი ხალხი მიიყვანა. მაგრამ ეს არ კმარა. (რუსეთის) თვითმპყრობელობის ნანგრევზე ხალხის თვითმპყრობელობის გამაგრება — აი ჩვენი მეორე იდეალი, სრულუფლებიანი დამფუძნებელი ყრილობა. ლოცვა-კურთხევით მოიგონებს მომავალი თაობა მადლიერი იმათი, ვინც გადაარჩინა პატარა ნავი მწარე ხვედრს და გამოიყვანა სამშვიდობოში ამ დიადი განძით — დამფუძნებელი კრებით. აწი, ბატონებო, თქვენ ხელს არის ბედი ამ ჩვენი ქარცეცხლში გამოტანილი ავლადიდებისა“...

მაშასადამე, თვით ხალხი ხდებოდა თავისი თავის პატრონი თავის წარმომადგენელთა სახით — დამფუძნებელი კრებით. ანუ როგორც უხუცესმა სილიბისტრო ჯიბლაძემ სთქვა: მყარდებოდა ხალხის თვითმპყრობელობა, საქართველოს რესპუბლიკის სახით.


დამფუძნებელი კრება კი შესდგებოდა შემდეგნაირად: 109 სოციალდემოკრატი; 8 ნაციონალ-დემოკრატი; 8 სოციალისტ-ფედერალისტი; 5 სოციალისტ-რევოლუციონერი. ესე იგი სოციალდემოკრატიულ პარტია ვახდა საქართველოს სახელმწიფოს მესვეური და მისი სვებედის პასუხისმგებელი, მისი გამარჯვებისა და მისი დაღუპვის პასუხისმგებელიც.

ქართული ეროვნული ერთობის და ეროვნული სახეობის მეორე საფუძველი — ეკლესია, რომელიც ძველად ქართულ სამეფოსთან ერთად და მასთან მჭიდრო კავშირით ქართველ ერს იცავდა და მისი ეროვნული ინდივიდუალობის მატარებელიც იყო; ქართული ეკლესია — ქართული რელიგიური ნაციონალიზმის მჭერმტყვევი გამომსახველი, რომელმაც უმძიმესი ბრძოლები გადაიტანა რუსეთის ბატონობის დროსაც და მრავალი მსხვერპლი გაიღო თავისუფლების დაცვისათვის, — რუსეთის რევოლუციის დაწყებისთანავე რევოლუციური გზით და დამოუკიდებელი ნაბიჯით, უფრო ადრე ვინემ ქართული სახელმწიფო, აღსდგა და გამოაცხადა თავისი თავის ავტოკეფალია, საეკლესიო თავისუფლება.

12 მარტს 1918 წელს საქართველოს ეპისკოპოსების, სამღვდლოების და ერისკაცთა წარმომადგენლების ყრილობამ მცხეთის ათორმეტთა მოციქულთა ტაძარში, ერთხმად დაადგინა: ამიერიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური (დამოუკიდებელი) მმართველობა აღდგენილად ჩაითვალოს!

მაგრამ დრო იყო სოციალისტური და ქართული ეკლესიის მნიშვნელობა იმ დროისათვის გაუგებარი.

ქართული ეკლესია, სახელმწიფოსაგან გამოყოფილი, დამოუკიდებელი იბრუნებდა იმ მნიშვნელობას, რომელიც მას მარად ახასიათებდა. ქართული ეკლესია იყო მებრძოლი ეროვნული ორგანიზაცია და მისი წმიდანები აგრეთვე ეროვნული გმირები (დავით და კონსტანტინე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული, ბიძინა, შალვა, ელიზბარ, ქეთევან წამებული, ლუასაბ მეფე და მრავალი სხვა); იგი იყო ერის დამცველი, მისი თავი-



სუფლების მებაიარახტრე, და ეს ბრძოლა მას არ დაუფდია არც მას შემდეგ, როცა თავისუფალი საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო და სამარადისოდ დარჩება ქართული ეკლესიის მთავარის მიერ ჩეკისტებისათვის ნაბრძანები: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული — სამშობლოს და მძორი თქვენი იყო ჯვალათებო, და რაც გინდათ ის უყავით“-ო.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით, 26 მაისს 1918 წელს, როგორც ვთქვით, თავისთავად გადასწყდა ეროვნული საკითხები, როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ და სოციალ-ეკონომიურ დარგში. ქართული ეროვნული ერთობის უძლიერესი და უმკვრივესი საფუძველი — ქართული ენა და კულტურა, დამოუკიდებლობის გამოცხადებით, თავისუფლდებოდა შემსუთავი არტახებისაგან, და მას სრული გაქანების ასპარეზი ეძლეოდა.

ახალმა საქართველომ მიიღო დიდი და განუსაზღვრელი მემკვიდრეობა, ეროვნული ერთობის უმტკიცესი, მკვიდრი საფუძველი, ქართული ერთობის ნებისყოფით შედღაღებული ეროვნული კულტურა, და ახალი მესვეურობის უნარზე იყო დამოკიდებული მისი ფართოდ განვითარება.

ის ეროვნული თუ სოციალ-ეკონომიური საკითხებიც, რომელთა გარშემო შეუჩერებელი ბრძოლა სწარმოებდა რუსეთის მიმართ, დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ქართველი ერის სასარგებლოდ გადაიჭრა.

მაშასადამე, საქართველოს რესპუბლიკის წინაშე იდგა საკითხი: ქართული სკოლის, ქართული სასამართლოს, ქართული ადმინისტრაციის, ქართული ჯარის, და საერთოდ ქართული სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნისა და მოწყობისა, ესე იგი, იდგა ნაციონალიზაციის, გაეროვნების საკითხი. ამასთანავე უნდა გადაწყვეტილიყო სოციალ-ეკონომიური თუ აგრარული საკითხი, როგორც ამას ერის ინტერესები მოითხოვდა.

საქართველო, რასაკვირველია, არ იყო სუფთა ფიციარი, რომელზეც მსურველს შეეძლო დაეხატა ის, რაც მას მოეპრიანებოდა. ქართველ ერს თანმოჰქონდა თავისი საკუთარი მემკვიდრეობა: — კულტურა, ზნეჩვეულება, ხასიათი და მსოფლმხედველობა როგორც სოციალურ ისე ეკონომიურ, როგორც მორალურს ისე ეთიურ არეში.

ჩვენ ვართ თანამოქმედი და მოწამე ახალი საქართველოს მშენებლობაში; დღეს რომ უკუვიციქობებით, ბევრი რამ არ მოგვწონს. შეიძლება ამ არმოწონებაში ან დაგმობაში ჩვენ დღეს მიუკერძოებლობაც ვერ გამოვიჩინოთ და სხვასაც თავზე მოვახვიოთ იგი. ამიტომ ამ ხანის გარჩევას ჩვენ ვერ შევუძლებით, მით უმეტეს, რომ ახალმა თაობებმა, ბოლშევიკების წყალობით, მის შესახებ ან არაფერი იციან ან იციან მეტად დამახინჯებულად და უკუღმართად. ამიტომ ჩვენ გადავსწყვიტეთ შეჩერდეთ მხოლოდ მოვლენათა აღნუსხვაზე და მათ განვითარებაზე. ჩვენ გვსურს მკითხველს მხოლოდ მასალა მივაწოდოთ და ამ მასალათა დალაგებაშიც ჩვენ შევეცადეთ მიუდგომელი ვყოფილიყავით.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი საკითხი იყო სახელმწიფოს დაარსებისათანავე ნაციონალიზაციის საკითხის ესე იგი დაწესებულებათა გაეროვნების საკითხის მოგვარება: გაბატონებული რუსული ენა უნდა შეეცვალა ქართულ ენას და ქართული ენა უნდა გამხდარიყო სახელმწიფო ენა.

ქართველი ერის ორგულნი თუ მტერნი დასცინოდნენ ქართულ ენას და მას სახელმწიფოებრივ თუ მეცნიერულ უნარიანობაზე უარს ეუბნებოდნენ; ამბობდნენ, ქართული ენა არც მეცნიერული და არც ადმინისტრაციული ენა არ არისო, და ამიტომ მას დამარცხებას უქადდენ. მაგრამ ეს ორგულნი თუ მტერნი შეპყრობილი იყვნენ ქართველი ერის ნიჭისა და შესაძლებლობათა სიმღვლილით და არ იცოდნენ, რაც იცოდა, მაგალითად, აკადემიკოსმა მარბმა და მრავალმა სხვამ, და მათ შორის ინგლისელმა უორდრომმა, რომელმაც ვეფხის ტყაოსანის ინგლისურ თარ-

გმანის წინასიტყვაობაში ქართული ენის სიმდიდრეს ქება მიუძღვნა და მარბმა — კი შემდეგი დასწერა:

„ქართულ ენას შეუძლია განყენებული აზროვნების მცნებანი სრულოვნებით და დაუზიანებლად გამოხატოს. როგორც აზიური ისე აგრეთვე ევროპიული ერთობილი ცხოვრების კულტურულ მოღვაწეობის ნაყოფი ქართულში ადვილად პოულობს შესატყვის გამოსახულებას. ამ ენას უპყრი მრავალი დამხმარე საშუალება, რათა ტექნიკისა და პრაქტიკულ მეცნიერებათა მიღწევანი გააეროვნულოს... ქართულმა ენამ აგრეთვე გაიმარჯვა არამც თუ მარტო არა ნაკლებად განვითარებულ კულტურულ ენაზე, რომელსაც თავისი ბინა აგრეთვე კავკასიაში ჰქონდა, არამედ თავისი გავრცელებით საზღვრებს იქით გადავიდა სამხრეთისაკენ და დასავლეთისაკენ, გაიმარჯვა სახელდობრ როგორც სომხური ენის წინააღმდეგ, ისე აგრეთვე წინააღმდეგ შეზობელ მსოფლიო ენებისა: ძველი ბერძნულისა, ძველი სპარსულისა, ბიზანტიურ-ბერძნულისა, ფეჰლევისა (საშუალო სპარსული), არაბულისა, ახალი სპარსულის, თურქულისა, რუსულისა. ქართული ენა ყოველთვის გამოვიდა გამარჯვებული ხშირად, ერთი შეხედვით, არათანასწორ ბრძოლაში“, და სხ. (1929 წ.).

რასაკვირველია, არა-მოკეთეს არ ვაპხარებია ქართული ენის გაბატონება და კარგად გვახსოვს ის იერიშები, რომელიც როგორც რუსებმა, ისე ბევრმა სხვამაც ქართული ენაზე მიიტანეს.

ცხადია, ერთბაშად ყველაფრის გაეროვნება არც ისე ადვილი იყო, როგორც ეს შეიძლება წარმოადგინოს ვინმემ; ამიტომ რუსული ადმინისტრაციული აპარატის ქართულ ნიადაგზე გადაყვანა იოლი არ იყო: რადგან ქართველ მოხელეთა რიცხვი, რუსული პოლიტიკის წყალობით, შედარებით მცირე იყო და ახალთა მომზადებას მოითხოვდა. ეს რეფორმა ერთის დაკვირით არ ხერხდებოდა, მით უმეტეს, რომ სკოლის, სამხედრო და საერთოდ ყველა დარგში ქართველი მუშაკები მრავლად საჭირო გახდნენ და საამისო თადარიგი კი მცირე იყო. ამ მხრივ მიმართული მუშაობაც აღფრთოვანებული იყო და მოწადინებული მრავალ ხარვეზთა შესავსებად.

გუბერნიების ფარგლებიდან სახელმწიფოებრივ წყობაზე გადასვლა რთულ მუშაობას მოითხოვდა, და სამინისტროების მოწყობა და ყოველგვარი სახელმწიფოებრივი აპარატის აგება ნაუცბათევეად საფრთხილოც იყო.

თვით სახელმწიფოს აშენებისა და განმტკიცების საქმეში ხელისუფლების სიმყარეს უეჭველად პირველი ადგილი უნდა მინიჭებოდა, და არც შეიძლებოდა ის გაორება დარჩენილიყო, რომელიც ამიერკავკასიის მთავრობისათვის დამახასიათებელი იყო.

საქართველოს რესპუბლიკის დასაწყისის პირველ ხანაში კი ერთი მხრივ არსებობდა საქართველოს მთავრობა, როგორც სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მატარებელი, და მეორე მხრივ კიდევ მუშათა, გლეხთა და სხვა ამგვარი საბჭოები, რომელნიც ნამდვილ ძალას წარმოადგენდნენ. ორი ხელისუფლების თანაარსებობა სახელმწიფოში შეუძლებელია, ან ერთი ან მეორე უნდა ბატონობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო მუდამ ტორტმანშია და ხელისუფლების კრიზისი კი — მუდმივი.

ხელისუფლების ერთიანობის საკითხი გადაიჭრა 8 ივნისს 1918 წელს რევოლუციურ ორგანიზაციათა სხდომაზე, ოდეს გამოტანილ იქმნა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამი იყო:

„განვიხილოთ რა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებით შექმნილი მდგომარეობა, კრება (რევოლუციური ორგანიზაციებისა) აღიარებს, რომ უპირველესი საჭიროება მომენტისა არის შექმნა ძლიერი მთავრობისა, რომელსაც შეეძლება შეაერთოს მთელი დემოკრატია და წინააღმდეგეს ყოველგვარ თავდასხმას, საიდანაც უნდა გამოდრიოდეს იგი, გარედან თუ შიგნიდან, რომელსაც მიზნად ექნება



ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დანგრევა და რევოლუციის მონაპოვართა წართმევა. არც რევოლუციონერ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ რეალური ძალა და ასრულებენ მართელობის ზოგიერთ ფუნქციებს; არც მთავრობას, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფოს ყველა ფუნქციები, მაგრამ საჭირო რეალური ძალა არ მოეპოვება — არ შეუძლიათ ცალ-ცალკე, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა. ამ ორი ელემენტების შეერთება ე. ი. რევოლუციონერი ორგანიზაციების შენახვა, როგორც მუშათა კლასის ხელმძღვანელი ორგანიზაციების, ხოლო ყველა შეიარაღებულ ძალის დემოკრატიულ მთავრობის ხელში გადაცემა, — წარმოადგენს ერთად ერთ სავალდებამო ძლიერი მთავრობის შესაქმნელად.

და ვინაიდან ნოე ჟორდანია იყო ამ რევოლუციური ორგანიზაციების ხელმძღვანელი და პატრონი, ამიტომ მთავრობის მეთაურობაც სწორედ მას დაეკისრა. 24 ივნისს 1918 წელს ნოე რამიშვილის მთავრობა გადადგა და ნოე ჟორდანიას მთავრობა შესდგა.

1917 წელს ნოემბერში შედგენილი „ეროვნული საბჭო“, 8 ოქტომბერს 1918 წელს „საქართველოს პარლამენტად“ იქმნა მონათლული. ამ „საქართველოს პარლამენტმა“ მიიღო 125 კანონზე მეტი, რომელიც აწესრიგებდა ადმინისტრაციას, გვარდიას, ერობას, გადასახადების სისტემას, სასამართლოს, რკინისგზას, ფინანსებს, სკოლას, მიწის საკითხს და სხვა და სხვა.

ამასთან საქართველოს პარლამენტმა გამოიმუშავა დებულებანი საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის, რაც თებერვალში მოხდა, და 1919 წლის 12 მარტს შესდგა მისი პირველი სხდომა, რომელმაც ერთხმად დაადასტურა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

21 მარტს 1919 წელს დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის თავჯდომარედ აირჩია ნოე ჟორდანია, რომელიც იქნებოდა „იმავე დროს უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა“.

დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა აქამდე გამოცემული კანონები და განაგრძო საკანონმდებლო მოღვაწეობა; ამასთანავე შეუდგა კონსტიტუციის გამომუშავებას, რაც მან დაასრულა და დაამტკიცა 21 თებერვალს 1921 წ., სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს ნატანჯ და ნაწამებ მიწაზე რუსის ჯარები ქართველთა წინააღმდეგ ომს აწარმოებდნენ.

საკანონმდებლო დაწესებულება აღჭურვილი იყო იმ უფლებებით, რაც საერთოდ იმ დემოკრატიულ ხანაში უმაღლეს სიკეთედ ითვლებოდა. წმინდა საკანონმდებლო უფლებათა გარდა, პარლამენტს ეკუთვნოდა ხელმძღვანელობა ჯარისა; მისივე უფლება იყო ომის და ზავის საკითხი, ხელშეკრულებათა დამტკიცება, ბიუჯეტის უფლება, კონტროლი და სხ. აშკარაა, პირველ რიგში წარმოდგენილი იყო უფართოესი დემოკრატიული საარჩევნო სისტემა: პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული, პროპორციული არჩევნები, რომელიც პარტიათა მოქმედებას ფართო უტევანს აძლევდა და აზრთა სხვადასხვაობას უკიდურესობამდე ფართო გასაქანს უხსნიდა. თუ რა კანაპოტით მიმდინარეობდა საკანონმდებლო მუშაობა, ეს უკმლოდ კნინად შეიძლება აღნუსხულ იქნეს.

რასაკვირველია: სკოლები გაქართულდა და ამით ქართულ კულტურულ განვითარებას ფართო ასპარეზი მიეცა. გამოცხადდა საყოველთაო სავალდებულო სწავლა და მოხდა სწავლის რიგის სრული გადახალისება: შეიქმნა ერთი მთლიანი წესი სწავლისა: პირველი სკოლა გადადიოდა მეორეზე და მეორედან უმაღლესზე. ესე იგი დაწესდა ერთიანი სკოლის პრინციპი. თუ 1915 წელს საქართველოში სკოლათა რიცხვი უდრიდა 864-ს, უკვე 1921 წლის დამდეგს მან 1924-ს მიადწია და მოსწავლეთა რიცხვი გაორკეცდა. ქართულ უნივერსიტეტის გარდა, რომელიც დაფუძნდა 14 იანვარს 1918 წელს, დაარსებულ იქმნა პო-

ლიტექნიკუმი, სახალხო უნივერსიტეტები, წიგნთსაცავები, სახალხო კლუბები და სხ.; განათლების სამინისტროსთან დაწესდა საგანგებო კომიტეტი სასკოლო მოღვაწეობისათვის.

გაქართულდა ობერა და ქართველმა თეატრმა. თავისუფლად ამოისუნთქა;

შეიქმნა სატანთვარჯიშო ორგანიზაცია „შევარდნი“, რომელიც დასაბამიდანვე ოთხიათას წევრს შეიცავდა. რუსული სასამართლო, რასაკვირველია, გაუქმებულად გამოცხადდა და სამართლის წარმოება ახალ ნიადაგზე გადავიდა. მოსამართლენი არჩეულ იქმნებოდნენ ხალხის მიერ; ისინი დამოუკიდებელნი და უცვლელნი უნდა ყოფილიყვნენ, და მათი გადაყენება მხოლოდ სასამართლოს შეეძლო. შემოღებულ იქმნა ნაფიცთა სამსჯავრო, პარლამენტი ირჩევდა სენატს, და მისი დანიშნულება იყო სამართლის წესიერი წარმოების მეთვალყურება და უმაღლესი სამსჯავროს მოვალეობა.

ძველად საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობა არ გააჩნდა, — არა ერთჯერ იყო ეს მოთხოვნილი, მაგრამ რუსეთის მთავრობა კავკასიას ამ რეფორმისათვის მომზადებულად არა სთვლიდა, მაგრამ მან თვითონ ჩასთვალა თავისი თავი მომზადებულად და რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის მთავრობის დროს შემოღებულ იქმნა ადგილობრივი თვითმართველობა; თვითმართველობის გამომხატველი იყო სამაზრო ერობა; შემდეგში მას დაერთო სათემო ერობა და ბოლოს თვით ერობათა კავშირი.

გაფართოებულ იქმნა ქალაქთა თვითმართველობა და ქალაქთა რიცხვი ხელოვნურად გაზრდილი. ამ თვითმართველობათ ეკისრებოდა ადგილობრივ საქართველთა საქმეების გაძლოლა როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურსა და სოციალურ დარგში.

სახალხო ჯანმრთელობის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა; გაიხსნა ახალი საავადმყოფოები, მოსასვენებელი სახლები, ერობებიც თავის მხრივ აფუძნებდნენ საავადმყოფოებს, აფთიაქებს, ვეტერინარულ წერტილებს და სხვ.

ფართო თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, სარწმუნოებისა.

ეკლესია გამოყოფილ იქმნა სახელმწიფოსაგან და დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწეოდა.

საქართველო, როგორც წარსულში, ესლაც მტრებისაგან გარემოცული, ვერ ასცდებოდა, ცხადია, ჯარის შექმნის აუცილებლობას, თუმცა ერთ დროს ოცნება სახალხო მილიციის შესახებ ფრიად გავრცელებული იყო და სამხედროდ, ეკონომიურად გაუმართლებელი სახალხო გვარდია არსებობდა, მასთან გვერდით დაარსდა პირველი ქართული ჯარიც და ქართული სამხედრო სკოლა.

ორი წელიწადი და ცხრა თვე, რომლის განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა არსებობდა, საკმაო დრო არაა იმისათვის, რომ ქვეყნის აღმშენებლობა მოესწროს და სახელმწიფო მტკიცედ დაემკვიდროს. ყველაფერი წამოწყების ვითარებაში იყო, და ამ ყველაფერიდან ზოგი დარგი ცხოვრებისა სწრაფად ვითარდებოდა, ზოგი ნელადა; ზოგი მეტისმეტად საჩქარო იყო გადასაწყვეტად, ზოგი კიდევ მოგვიანებას ითმენდა. დასაყოვნებელი არ იყო ამ დარგთა შორის, აშკარაა, მიწის საკითხი.

საქართველოს განსაკუთრებულად განიცდიდა მიწის სივიწროეს და ამისი მიზეზი არა ერთი იყო.

მეცხრამეტე საუკუნეში ქართველი ხალხის რიცხვმა იმატა, — ეს თავისთავად ავიწროებდა არსებულ სახანოსათვის მიწის რაოდენობას, მაგრამ იყო მეორე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც, რომელიც მიწის სიმცირეს მეტად საგრძნობადა ხდიდა. ქართული მიწის დიდი ნაწილი რუსეთის მთავრობასა და იმპერატორის ოჯახს ეკუთვნოდა. ეს ის მიწები იყო, რომელიც რუსეთმა წაართვა ქართველ მეფეებს და საერთოდ იმ არშერიგებულ ქართველობას, რომელიც რუსეთს ებრძოდა.

1917 წელს საქართველოს სახმარი ტერიტორიის სივრცე უდრიდა 6.058.000 ჰექტარს. აქედან 2.206.000 ჰექტარი რუსეთის მთავრობასა და ნიკოლოზ მეფის ოჯახს ეკუთვნოდა ესე იგი მთელი საქართველოს სახმარი მიწის 36 ნახევარი პროცენტი!

გაძარცვული ქვეყანა!

მორწყული და გაქვნილი ქართული სისხლით, ქართული მიწის 36,5% რუსეთს ჰქონდა მითვისებული! დანარჩენი 3.852.000 ჰექტარი განაწილებული იყო კერძო მესაკუთრეთა ხელში, და 1.876.869 გლეხი მხოლოდ 893.019 ჰექტარის პატრონი იყო. მაშასადამე, თვითვე გლეხზე საშუალოდ ნახევარი ჰექტარიც ძლივს მოდიოდა. ამის შემდეგ ადვილად გასაგებია, რომ ქართველი გლეხობა ასეთი სიხარულით მისდევდა იმ რევოლუციურ პარტიას, რომელიც მას მიწას აღუთქვამდა! მართალია, პარტიებს თავისებური პროგრამები ჰქონდათ მიწის საკითხის შესახებ, სოციალისტთა, ნაციონალიზატისა, მუნიციპალიზატისა და სხ., მაგრამ ამ „ლიზაციას“ ქართველი გლეხი არ დაგიდევდა, და როდესაც სინამდვილეში წამოიჭრა, რევოლუციის შემდეგ, მიწის გადაწყვეტის საკითხი, მან იგი კერძო საკუთრებად მოითხოვა. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ დაარღვია თავისი პარტიული დებულება, და დაადგინა მიწის კერძო საკუთრებად აღიარება.

ჯერ კიდევ „ოზაკომი“-ს დროს, 1917 წლის 16 მარტს დაარსებულ იქმნა „საადგილმამულო კომისია“ რომლის მოვალეობა იყო საიჯარო-სახანძრო მიწების დასამუშავებლად გლეხებზე გადაცემა, საუფლისწულო მამულების მოვლა და სხ. 21 ივლისს 1917 წ. იმავე „ოზაკომმა“ დაარსა საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო „საადგილმამულო კომიტეტები“, რომელთაც ჩაბარდათ სახელმწიფო მამულების მოვლა და მიწის რეფორმის გეგმის შემუშავება. შემდეგ, ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტის ძალით „სახანძრო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ და კერძო პირთა მამულები, განსაზღვრული ნორმის ზევით უნდა გადასცემოდა საადგილმამულო კომიტეტებს“. ამიერკავკასიის მთავრობამ დააწესა მიწათმოქმედების სამინისტრო, რომელსაც იმ არევის დროში ბევრი არაფერი გაუკეთებია. მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ და მისმა მინისტრმა ნოე ხომერიკმა (რომელიც შემდეგ ბოლშევიკებმა დახვრტეს) გაატარა მიწის რეფორმა. ხომერიკის კანონის მიხედვით, ყველა მიწა, რუსეთის მთავრობას, რუსეთის მეფის გვარს, ეკლესიას და მონასტრებს რომ ეკუთვნოდათ, ჩამორთმეულ იქმნა; ხოლო კერძო პირებს, რომელსაც განსაზღვრულ ნორმაზე მეტი ჰქონდათ, აგრეთვე ჩამორთმევა მიწა. ჩამორთმევა, რასაკვირველია, უსასყიდლო იყო. თვითვე კერძო პირს რჩებოდა კერძო საკუთრებად, ხარისხის მიხედვით, შეიდიდან თოთხმეტ დესიატინამდე (7,6 ჰექტარიდან 15,2 ჰექტარამდე) მიწა. ამ ჩამორთმეული მიწებისგან შესდგა ფონდი 3.900.000 ჰექტარი მიწისა. 1919 წლის 23 იანვარს კანონით მიწის ეს ფონდი უნდა განაწილებულიყო მშრომელთა შორის. გლეხი ვადაიხდიდა ამ მიწაში სულ მცირე საფასურს, რომელსაც უნდა დაეფარა მხოლოდ სარეფორმო ხარჯები.

ტყე, წყალი, საძოვარი გადაეცა ერობებს, რომელსაც მათი სარგებლობა გლეხებისათვის უნდა მოეგვარებინა.

უკვე 1921 წლის დამეგვარების მიწის რეფორმა თითქმის გატარებული იყო, და ამგვარად საქართველოში გლეხთა უმრავლესობა მიწით დაკმაყოფილებული შეიქმნებოდა. მშრომელი ხდებოდა პატრონი 7—14 დესიატინა მიწისა და ბატონი თავისი შრომის ნაყოფისა!

მოვიდა რუსეთი და ამ საქმეშიც ყველაფერი გადააყი-რავე: გლეხს ჩამოერთვა მიწა, დაწესდა კოლექტივი, კოლექტივის მონა გახდა გლეხი.

საქართველო როგორც განაპირა და საკოლონიოდ გან-

ზრახული მხარე რუსეთის მთავრობისაგან დანიშნულდი არ იყო სამეურნეო-სამრეწველო განვითარებისათვის. მრეწველობას დიდი დაბრკოლება ეღობებოდა და კაპიტალის სიმცირე კიდევ განსაკუთრებულ შეფერხებას წარმოადგენდა. მით უმეტეს არც რევოლუციამ გააბედნიერა ეკონომიკის ეს დარგი. პირველად ყოვლისა საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა მიწის გულის სიმდიდრე ერის ქონებად და მიუხედავად სოციალისტური მისწრაფებებისა, კერძო თაოსნობას სამეურნეო დარგში თავისუფლება მიანიჭა.

1920 წელს საქართველოში არსებობდა 2456 სამრეწველო დაწესებულება, 492 კერძო და 716 — სახელმწიფოსი, 1248 — ერობათა, ქალაქთა და კოოპერატივთა. ეს თავისთავად დიდი რიცხვი არსებობდა დიდი დამტეობის წარმოებას არ წარმოადგენს. მუშათა რიცხვი 50.000-ს უდრიდა, რაც საერთო მოსახლეობის რიცხვში თითქმის არაფერს წარმოადგენს. შემოდებულ იქმნა მუშათა კანონმდებლობა, კოლექტიური ხელშეკრულება, ტარიფების პალატა, პროფესიული კავშირები და სხ.

უცხოეთის კაპიტალს, შექმნილ ვითარებათა გამო დიდი სიხარულით რომ არ მოისწრაფოდა, მიეცა მუშაობის საშუალება და დაარსებულ იქმნა „იტალია-კავკასიური ბანკი“, „გერმანულ-კავკასიური ბანკი“ და სხვა სავაჭრო საზოგადოებანი; გაცემულ იქმნა ტყეპარჩელის კონცესია, დადებულ იქმნა სააბრეშუმო ხელშეკრულება და სხ. კავრცხანაში და ძანსულში გაგრძელდა მუშაობა და ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა ისევ დადგა ფეხზე.

1919 წლის 20 იანვარს მიღებულ იქმნა კანონი, რომლის ძალით უცხოეთში გასატანი საქონელის დამზადება — გატანა და უცხოეთიდან საქონელის შემოტანა მთავრობამ დაიკისრა, ხოლო 1919 წლის 2 აგვისტოს შავი ქვის (მარგანეცის) უცხოეთში გატანა ხაზინის მონობოლიად გამოცხადდა და ამისათვის შეიქმნა ჭიათურის საქესპორტო საზოგადოება, „ჩემო“. ვაჭრობა შიგნით იყო თავისუფალი და მისი განვითარების ხელისშესაწყობად დაარსებულ იქმნა ვაჭრობა-მრეწველობის პალატა, ფრანგულ-ქართული და გერმანულ-ქართული საზოგადოება.

დაფუძნებულ იქმნა სახელმწიფო ბანკი და დაიწყო ქართული ფულის ბეჭდვა: დაწესდა „უმაღლესი ეკონომიური საბჭო“ და უცხოეთს გაგზავნილ იქმნა ეკონომიური წარმომადგენლობა კონცესიების და სესხის მოსაწყობად. კონცესიები გაცემულ იქმნა და ლონდონში სესხიც მიღებული, მაგრამ მათი განაღდება საქართველოს აღარ დასცალდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში კოოპერატივებს, რომელიც ფართო ქსელით ვითარდებოდა. 1919 წელში, ისეთი ძლიერი და სწრაფი ნაბიჯით წავიდა იგი, რომ დაარსებულ იქმნა კოოპერატივთა ცენტრალური ბანკიც.

ერთი სიტყვით, დაიწყო საქართველოს შინაური აღორძინებისა, აღმშენებლობისა, და განვითარების საქმე. საქართველოს ხელისუფლება უძღვებოდა მას, როგორც ეს მას ესმოდა და გაეგებოდა, და მეტად რთულ საგარეო პირობებში ახორცილებდა და ცხოვრებაში ატარებდა იმ ზომებს, რომელთაც იგი საჭიროდ და მიზანშეწონილად სთვლიდა. აუცილებელი იყო დიდი და განუსაზღვრელი შრომის უნარი და ღვაწლი ახალი სახელმწიფოს შენების საქმეში. მით უმეტეს, როცა ამ შენებას გარეშე პირობებ ხელს არ უწყობდა, არამედ მიძიმედ აფერხებდა.

სავარეო პირობათა სიმძიმე გამომდინარეობდა ორი მიმართულებით: შინაური და გარეული მეზობლებისაგან, (მანლობელი კავკასიური და შორეული, — გარეშე მეზობლური), რომლებთანაც საქართველოს გარკვეული ურთიერთობა უნდა დაემყარებინა.

3. ნოზაქი

საქართველოს მორიგი საკითხები და ეკონომიური პერსპექტივები

წინა წერილში აღენიშნეთ ჩვენი მოსახლეობის სოფლად და ქალაქად დანაწილება და დავსძინეთ:

„ქართველი მოსახლეობის დანაწილება, მისი ბინადრობის მიხედვით, როდესაც სოფლად 77,7 პროცენტი მოსახლეობისა და ქალაქად — კი მხოლოდ 22,3 %, უკვე ცხადყოფს საქართველოს ეკონომიურ სტრუქტურას: იგი, უმთავრესად, სოფლის მეურნეობის მხარეა, ძალიან ნაკლებად განვითარებულ ქალაქის მოსახლეობით (პროფ. რიმოფევი)“.

„თუ სახეში იმასაც მივიღებთ, რომ 6042000 დესეტ. ფართობზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას შეადგენს, მხოლოდ 66,7 პროცენტი მეურნეობისათვის ვარგისად ცნობილი მიწები და 33,3 % კი უვარგისია, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს სოფლების ასეთი ძალზე დატვირთვა შეუძლებელია გამოწვეული და გამართლებული იყოს სალი ეკონომიური მოსაზრებით“.

ამ ჩვენს მაშინდელ მტკიცებას საგვებით ვიცავთ დღესაც და ვიტყვი, რომ ერთი დიდი ამოცანათაგანი, რომელიც ჩვენს წინაშე დგება, არის მიღება ზომებისა, რათა ეს ზედმეტად სოფლად შეჯგუფული ხალხი ვაცხრილოთ იყოს.

ეს ვაცხრილვა ორი გზით შეიძლება უფრო ადვილად მოხდეს: ნაწილი უნდა ჩაებას ე. წ. ქალაქურ წარმოება-მექარხნობაში, ნაწილი-კი გადასახლებული იყოს იმ თავისუფალ ფართობებზე, რომელიც ჩვენს საზღვრებში, ცოტათ თუ ბევრად, მაინც მოიპოება და ამჟამად ასეთის გულუხვობით რომ ურიგდება, ვინ იცის რა ხრიკებით, გადმოსახლებულ უცხოელებს...

შორს მომავალში-კი, ქართველების თანდათან გამრავლებასთან ერთად, ალბად, დადგება ხანა, როდესაც დაგვირდება სხვაგან, შორეულს ქვეყნებშიც ზედმეტი მოსახლეობის გადასახლება. სხვა ერები ავერ საუკუნეებია, რაც ამ გზას დაადგენ...

სკანდინავიის ზოგ სახელმწიფოში, მაგალითად, გასული მოსახლეობის რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე თავის სამშობლოში დარჩენილებისა. ასეთი გადასახლებით არ შეწყვეტილა მათი კავშირი სამშობლოსთან...

მიუხედავად იმისა, რომ მასიური გადასახლებისათვის ჩვენ ნაკლებად მოგვეპოვება თავისუფალი ფართობი, აქა-იქ, მაინც, მოინახება, ასეთი ადგილები, როგორც ბარში, ისე მთა-გორიან ადგილებში, მაგალითად, იქ სადაც დაქანება არ აღემატება 35 გრადუსს (მეტი წილი ჩვენი საძოვრებისა 50 გრადუსის დაქანებისა).

იტალიაში ამ მხრივ კარგი მიღწევანი მიიღეს ამ ბოლო დროს. იქ მთებში, 1800-2000 მეტრის სიმაღლეზე დაარსეს აგრონომიული სადგურები, სადაც ცდებენ აწარმოებენ შემოსავლიანი აგრიკულტურული წარმოებანი შემოიღონ და საუცხოვო შედეგებიც მიიღეს. ამავე სახელმწიფოში მოახდინეს ჰაობების დიდ სივრცეზე ამოშრობა, სადაც უკვე დასახლეს სოფლის მეურნენი და ინტენსიური მეურნეობა გააჩაღეს. ჩვენში ახალქალაქის მასრა შესამჩნევ შესაძლებლობას მოგვცემდა, რათა იქ, მაგალითად, ჩვენი მთიელები დაგვესახლებინა.

ვფიქრობთ, ეს ზომები მხოლოდ ნაწილობრივად დაკმაყოფილებდნენ ჩვენი სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ჩვენი ერთობ მცირე მამულიანი სოფლის მეურნე ვერ დააღწევს თავს ვაჭირებულ ცხოვრებიდან და

სიღარიბიდან, თუ პარალელურად სხვა ზომებზედაც არ ვიფიქრეთ.

ეს ხომ ნათელია, რომ შემდეგ იმისა, რაც ჩვენებური სოფლის მეურნეობა ფართოდ გადავა მექანიზაციაზე, და უამისოთ ხომ არც შეიძლება წარმოვიდგინოთ მეურნეობის ინტენსიფიკაცია, უფრო მწვავედ გამოჩნდება მიწების სივრცოვეც და ის ფაქტი, რომ რიცხობრივად გადამეტებულად გაზრდილ სოფლის მეურნეთ, სოფელში ბევრი გასაკეთებელი აღარა ექნებათ-რა.

თუ აღამიანი დააკვირდა ჩვენს ცხოვრებას, იგი დაინახავს რომ ამ მოვლენას, ე. ი. მიწების უკიდურესად სივიწროვეს, დღეს უკვე აქვს ადგილი ჩვენში და იგი დიდად აზარალებს მთლად ეროვნულ ეკონომიკას.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ რა შედეგი მოსდევს მეურნეობის მოდერნიზაციას და მექანიზაციას, საკმაო გავეცნოთ, მაგალითად, ამერიკულ ფერმათა პრაქტიკას.

ის მანქანები, რომელიც იქაურ ფერმებშია შემოღებული ისეთ დამხმარე ძალას უჩენენ ფერმერს, რომ უკანასკნელი, მარტოდ-მარტო, ახერხებს დამუშავებას, დათევას, მოსავლის აღებას და შინ შემოტანას, გასაყიდათ გატანას და ეს ისეთ ფერმაზე, რომელიც გადაჭიმულია 50-70 ჰექტარზე; ერთადერთი აღამიანი ახერხებს ყველა ამას, ისე რომ არც მუშის დაქირავება სჭირდება და არც ოჯახის წევრნი ეხმარებიან. ბევრი-ბევრი თუ ფერმერის ცოლი შინაურ ფრინველს გააჩენს. ქმარი მისაგან მხოლოდ მოითხოვს, რომ სახლს სუფთად მოუაროს, შეილები კარგად დაზარდოს და საქმელ-სასმელი დროზე დაუხვედროს საშუაოდან დაბრუნებულს. ასე ხდება ამერიკულ ფერმებში და ჩვენში-კი. სადაც კომლზე ძლიერია 3,8 დესეტინა მიწა მოდის, ამ მეურნეობით ექვსი სული იკვებება და ამ ექვს სულზე ხშირად სამი კაცი მოდის სრულსაკოვანი მომუშავე, აი სათავე ჩვენი ხალხის სიღარიბისა და ჩამორჩენისა...

როდესაც ვიძახით, რომ მოსახლეობის აქა-იქ გადასახლებით ვაცხრილებასთან ერთად, პარალელურად სხვა ზომებსაც უნდა მივმართოთ, სახეში გვაქვს ჩვენი სოფლის ჩაბმა ინდუსტრიაში.

ეს ჩაბმა შეიძლება მოხდეს ან მუშების იქ გადასახლებით, სადაც ქარხნები და ფაბრიკებია გაშენებული, ან, ნაწილობრივ, მათი ადგილობრივ დატოვება, სოფლებშივე, ევრედ წოდებულ მცირე ინდუსტრიის შემწეობით.

ამ გზასაც უცხოეთში დიდი ხანია დაადგენ. ჩვენთვის ასეთი საქმიანობა მით უფრო არის გაადვილებული, რომ საკმაოდ მდიდარნი ვართ „ეთერი ნახშირით“, ე. ი. ჰიდროლიკური ენერჯით, რომელიც უხვად მოგვცემს იავ ელექტრო-ძალას.

სპეციალისტების გამოკვლევით საქართველოს წყლის ენერჯის სიმდიდრით ერთი უპირველესი ალაგთავანი უპირავს მთელს მსოფლიოში.

ჩვენებურ მდინარეთ თან მოაქვთ 14 მილიონი ცხენის ძალა, რაც აღემატება ჰიდროლიკურ ენერჯის მარაგებს: შევიცარიის, იაპონიის, გერმანიის, ისპანიის, იტალიის, საფრანგეთის და სხვათა.

საქართველოში თითო კვადრატულ კილომეტრზე მოდის-250 ცხენის ძალა წყლის ენერჯისა, მაშინ როდესაც იტალიაში მხოლოდ 27 ცხენ-ძალა, ნორვეგიაში 38 ცხ. ძ., ამერიკის ჩრდილო შტატებში 7,6 და ისპანიაში 21 ცხ. ძ.



(იხ. ს. ს. რ. გრუზი). თეთრი ნახშირით ეს ამოდენათ მოცემული ენერგია, არამც თუ დაგვიკმაყოფილებს დიდ ინდუსტრიის მოთხოვნილებებს, არამედ სოფელსაც უზუნაღუნა დაუნაწილებს ელექტროს ძალას, რითაც სოფლის მოსახლეობა ადვილად ამუშავებს მცირე ძალოვან მანქანებს და ეს მას გაუჩინებს ზედმეტ შემოსავალსაც. ვისაც ასეთი საქმიანობა ევროპიელ გლეხკაცობისა დაუთვლიერებია, ისინი მოწმობენ, რომ გლეხს სრულებით არ უშლის ხელსა, მას შემდეგ, როდესაც მან თავლა ან ბაკი დახვეჭა, მივიდეს თავის მანქანებთან და დაიწყოს ქსოვა ნახი აბრეშუმის არშიებისა და ლეჩაქ-ბონდებისა, ან გამოიყვანოს წვრილმანი და რთული მექანიკური ნაწილები, მაგალითად, მესათობის წარმოებაში.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის პროფესიებად დაყოფვის გაცნობას თუ მოვიხილოთ, უნდა აქაც სინანულით აღვნიშნოთ, რომ არ მოგვეპოვება ამისათვის საკმაო მასალა.

მაგალითად, საქარხნო მუშების ერთობლივი რიცხვიც კი არ არის აშკარად ნაჩვენები. ბოლშევიკი კომისარი შ. ელიავა ერთ თავის მოხსენებაში 120.000 მუშას ასახელებს, ზოგს მუშების რიცხვი ორას ათასამდე აყავს: არც ის ვიცით დანამდვილებით რამდენი მუშა სხვა რესპუბლიკებიდან და შიდა რუსეთიდან ჩვენში განგებ გამოწვეულები.

ყველა წინანდელ აღწერილობიდან კი ვიცით, რომ დიდი უმრავლესობა მუშებისა ყოველთვის ქართველები იყვნენ. შეგვჩნა თუ არა ეს პირველობა დღესაც, ამისი არა ვიცით რა. ბოლშევიკების თვალში მათ ქარხნებს წმინდა ეკონომიური ფუნქციების გარდა, დაკისრებული აქვს პარტიულ-პოლიტიკური ამოცანებიც.

მთავარი იდეოლოგიური დასაყრდნობი. ძალა ბოლშევიკებისა მათი მუშების კადრია. ამიტომაც რომ, სადაც კი საოკუპაციოთ მოვლენ ხოლმე, სისწრაფით იქ ახალ ქარხნებს ხსნიან და გაბოლშევიკებულ მუშების რიცხვს ამრავლებენ.

მოკლეთ, მათ ქარხნებს, არსებითად, ის როლი აქვთ დაკისრებული, რაც რუსულ ცარიზმის დროს ჰქონდათ რუსის ყაზარმებსა. ამიტომ ჩვენშიც რუსებმა პირველს შემოსვლასთან ერთად იწყეს ყაზარმების შენება და შიგნი შიგნიანი სალდათების დასახლება...

ყოველ შემთხვევაში არსებული მასალების მიხედვით შესაძლოა, მხოლოდ ერთგვარი დაახლოებით, ასე წარმოვიდგინოთ ჩვენი მოსახლეობის პროფესიებით დანაწილება. კვლავ ვიმეორებთ, რომ ეს დანაწილება არამც თუ ას პროცენტით სწორი არ იქნება, არამედ თვით ყველა პროფესიების დასახლება და ცალ-ცალკე ჩამოთვლაც ჩვენთვის მიუწოდებელია... აი რა სურათი გვეხატება პროფესიების შესახებ — 1926 წლისათვის.

ამ წელს სოფლის მოსახლეობა იყო 2072494, ხოლო ქალაქებისა — 594.000 სული. საგანგებოთ მოხდენილ აღწერით (მოხსენება ჟენიასი 1925 წელს) აღმოჩენილა, რომ სოფლის მოსახლეობაში 49.000 ოჯახიდან ჩამბული იყო შინამრეწველობაში 100.000 სული და მათი წლიური ნაწარმოები შეფასებულა 7.618.000 მანეთად.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შინა-მრეწველნი უფრო უიწაწყლო ოჯახებს ეკუთვნოდნენ, თუმცა შიგა და შიგ, სულ მცირე მამულიანი გლეხებიც ურევია.

რაც შეეხება ქალაქებში მოხინადრეთ, მათი საკმაოდ დიდი ნაწილი მუშა-ხელოსნები არიან. ამათ მოსდევნენ ლიბერალური პროფესიები და მოხელენი.

როდესაც შ. ელიავა მუშების რიცხვად 120.000 სულს უჩვენებს, მეორე მისი კოლეგა მოწმობს, რომ საეპრო დაწესებულებათა რიცხვი 11 ათასამდე აღიოდა. ამ ჩვენებით იგულისხმება, რომ ვაქართა რიცხვიც იგივე იქნებოდა.

თუ თითო საეპროზე ზედი-ზედ ვიანგარიშებთ ორ-ორ ნოქარს, (ზოგს სულ არა ჰყავდა ნოქარი, ზოგს-კი 3—5-მდეც ეყოლებოდა) ნოქრების რიცხვს მივიღებთ 22.000.

ასეთის არა ზუსტის მანიპულაციით მიღებული ციფრები ასე დაგვიხატავენ პროფესიებად დანაწილებას 1926 წლისათვის:

ქალაქ ადგილებში:

პროფესიები:	მათი რიცხვი:	მათი ოჯახის რიცხვი:
1. მუშები და ხელოსნები	160.000	180.000
2. ვაჭრები ყველა კატეგ.	11.000	33.000
3. ნოქრები	22.000	22.000
4. ლიბ. პროფ., მოხ. და სხვ.	66.000	100.000
ჯამი = 259		335.000

სულ მოქალაქენი = 594.000

სოფლებში:

რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას (202494), თუ მათში გამოვყოფთ 100.000 სულს შინა მრეწველობას რომ მისდევნენ, ვნახავთ, რომ 1926 წ.

სოფლად იყო:

- 1. შინამრეწველობაში ჩამბულნი = 100.000
- 2. მიწის მომუშავე მეურ. ოჯახობითვე = 1.972.494

სულ სოფლად = 2.072.494

გარდა ამნაირ ზერელე ცნობებისა თბილისელი ბოლშევიკები თავის მოხსენებებში გვიმტკიცებენ, რომ არსებობს „მთელი არმია“ (ცელაია არმია) 125 ათას სული-საგან შემდგარი, რომელნიც პროფესიონალურ კავშირებში მსახურობენ, როგორც მუშები და მოსამსახურეები. ვფიქრობთ, რომ ესენი ჩათვლილი და დანაწილებულნი უნდა იყვნენ იმ კატეგორიების შორის, რომელნიც შეიცავენ სოფლის მოსახლეობას და ქალაქების მუშა-ხელოსნებს და ნოქრებს. რომ ერთგვარი წარმოდგენა გვეჩინდეს რამდენად მიზანშეწონილად ხდება ჩვენში პროფესიების გაყოფა, შევადაროთ შვეიცარიის სამ-ჯგუფად დანაწილებულ პროფესიების რაოდენობანი საქართველოს ამგვარივე დაყოფას. ეს უკანასკნელი ჩვენს მიერ არის გამოანგარიშებული მიხედვით იმავე 1926 წლის აღწერისა.

თავის თავად ცხადია ეს მიღებული ჯამიც მხოლოდ ერთგვარი მიახლოება იქნება ჩვენში არსებულ სინამდვილისა:

ერთგვანნი:	პროფესიები:		
	აგრაკულ-ტურა:	შინამრეწველობა:	სხვა პროფესიები:
1. შვეიცარია. მოდიოდა ათას სულზედ 1900 წელს = 443	127	430	
2. საქართ. 1926 წელს = 740	35	225	

ამ გამოანგარიშებამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენში, სულ ცოტა, 800 ათასი მოსახლეობა ზედმეტად აწევს საქართველოს სოფელსა. — ეს რაოდენობა

რომ გამოვაკლოთ დღევანდელ სოფლის მოსახლეობას და დავანაწილოთ დანარჩენ პროფესიებს შორის, მივიღებდით ასეთ ცხრილს:

პროფესიები:	საქართველო- ში უნდა იყოს შვეიცარიის სა- ზომით:	სინამდვი- ლეში იყო 1926 წელს.
1. სოფლის მეურნეობა	1175000	1972.494
2. შინა-მრეწველობა	333250	100.000
3. ყველა დანარ. პროფ.	1158023	594.000

ზემოთ საუბარად წარმოდგენილი პროფესიების სტატისტიკა გვიჩვენებს იმ სოციალურ სტრუქტურას, რომლითაც ჩვენი ქვეყანა უძღვება საქმიანობას და წარმოებას. თვით ეს წარმოება-კი ორ მთავარ დარგად იყოფა:

- ა). საქარხნო-საფაბრიკო, რომელსაც შემოკლებით ქალაქური ინდუსტრია ვუწოდებთ, თუმცა შეიძლება, რომ ზოგიერთი მათგანი სოფელშიც იყოს მოწყობილი, და
- ბ). სასოფლო მეურნეობა.

საჭიროა აქ ერთ გარემოებას მივაქციოთ ჩვენი ყურადღება. როდესაც ვამბობთ, რომ 800 ათას სულამდე ზედმეტად აწევს (შვეიცარიასთან შედარებით) საქართველოს სოფელსა, საჭიროა ანგარიში გავუწიოთ იმ გარდამავალ და აწეულ ხანის ამბებს, რომელსაც ვანიცდის ჩვენი ერი რუსეთის რევოლუციის დაწყებიდან. ნათქვამია — „ზოგი ქირი მარგებელია“ და სწორედ რომ სასარგებლოდ მიგვაჩნია ჩვენი ხალხის ამ დროში სოფლად მოზღვაება: ამით მან უფრო ადვილად გადიტანა რევოლუციის და ომების დროის კრიზისები, რაც ასეთის სიმძიმით დააწვა გაპროლეტარულ მუშათა კლასს და იქნებ ხელიც შეუწყო უკანასკნელის ნაციონალურ გადაგვარებას...

ა). ქალაქური ინდუსტრია.

ამ დარგის სადღეისოთ დახასიათებისათვის ჩვენ ხელთ არის, როგორც მასალა, თბილისში 1936 წელს გამოცემული წიგნაკი „გრუნინსკაია ს. ს. რ“. მიუხედავად მისი „საპროპაგანდო“ ხასიათისა, ჩვენ შიგ მანც ვაპოვებთ სასარგებლო ცნობებს...

წიგნაკის შესავალში ავტორი ა. ილუშინი, ასე ახასიათებს იმას, რაც რუსეთის 112 წლის ბატონობის დროს მოუტანია საქართველოსათვის:

„კოლონიალური პოლიტიკა რუსეთის კაპიტალიზმისა, ხელოვნურის ზომებით და განგებ აჩერებდა დაბალ დონეზე საქართველოს საწარმოო ძალებსა“ ...

„ეს იმპერიალისტური კაპიტალიზმის ცდილობდა განაპირა პროვინციები გარდაეჭმნა მხოლოდ და მხოლოდ ნედლი მასალის დამამუშავებელ რაიონებათ, რომელთა სიმდიდრეს იგი სავსებით თავისთვის იყენებდა“ ...

ეს, რასაკვირველია, მართალია, როგორც მართალია ისიც, რომ, თუმცა ამ უკანასკნელ წლებში თითქო ბევრი რამ არის გაკეთებული ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეთა გამოყენებაში, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, ისევე რუსეთისა და ბოლშევიკების იმპერიალიზმის ინტერესებისათვის.

რასაკვირველია, შორიდან ძნელია გამოჩვენება იმისი, თუ რამდენად რაციონალურად არის ასრულებული ქარხნებ-ფაბრიკების გეგმები და ნაშენობანი, მანქანების ღირსებანი და სხვა. ყველა ამისი შეფასება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ადგილობრივი და აქედან ჩასული ჩვენი სპეციალისტები თავისუფლად და ერთად მოახდენენ შესწავლას, რაც იქ, ადგილზე, გაკეთებულა. მანამ ეს მოხდებოდეს ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმ წარმოებათა მშრალი სიის წარმოდგენით რაც დღეს საქართველოში არსებობს.

დავიწყეთ მძიმე წარმოებიდან.

ბ. საელექტრო ნაკვებობა.

ჰიდრო სადგურები:

- 1) ზემო-აგვალა უდრის 37 ათას კილოუატს; 2) რიონ-ჰესი უდრის 48 ათას კვტ. 3) აბჰესი; 4) ალაზნისჰესი; 5) აჭარისწყლის ჰიდრო სადგური (1936 წელს უნდა დამთავრებულიყო) უდრის 16.000 კვტ. 6) შენდება სუხუმის ჰიდროგესი უდრის 19 ათას კვტ. 7) ხრამხედ, 1934 წ.

დაწყებული ჰიდრო სადგური. მისი სიძლიერე პირველს პერიოდში უნდა იყოს 90 ათასი კვტ. 8) სდგებოდა გეგმა ნამახვანის ჰიდროსადგურისა (ქუთაისზედ 20 კილომეტრით დაშორებული) უდრის 250 ათას კვტ. ამ სადგურის აშენება 1942 წელს უნდა დამთავრებულიყო... გარდა ამისა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში აშენებულია კიდევ მცირე ძალოვანი ჰიდრო სადგურები, რიცხვით 10—12 რაიონალური ჰიდრო სადგურები შეჯგუფებული და ერთმანერთზე გადაბმულები არიან, ზემო ავჭალისა და რიონის ჰიდრო სადგურები გადასცემენ ენერგიას ქიათურის და ტყიბულის მაღაროებსაც.

ბ. შავი ქვის წარმოება:

დაწყებული 1928 წლიდან, რვა წლის განმავლობაში, ე. ი. 1936 წლის ბოლომდე, ამ მრეწველობაზე დახარჯული ყოფილა 60 მილიონი მანეთი.

1.) მოხდა მექანიზაცია წარმოებისა. ეტყობა სისრულეში მოყვანილია ის გეგმები, რომელიც ჯერ კიდევ 90-ან წლებიდან იყენენ ვათვალისწინებულნი.

დამთავრებულია რგანის დაკიდული კანატის გზა 5 კილომეტრის მანძილზე. ეს გზა შესძლებს ყოველ წლივ გადახილოს 610 ათასი ტონა მარგანეცი; გაუმჯობესებულია მთელი რიგი სარეცი ფაბრიკებისა. 1935 წლიდან ამუშავებულია ერთი ახალი ფაბრიკა, რომელიც იძლევა არა ნაკლებ 150 ათას ტონა გამდიდრებულ შავ-ქვას.

თვით მაღაროებიც გაუმჯობესებულია ტექნიკური, თუ სხვა მოწყობილობით, ყველა ამ ზომების მიღებით შესაძლებელი გახდა თვალ-საჩინოდ მატება გამოღებული მარგანეცისა:

წლები:	მარგანეცის გა- მოღება	(ათას ტონ- ებით)
1909 — 1913	634	„ „
1925	120	„ „
1927 — 28	120	„ „
1932	643	„ „
1935	1716	„ „
1936	2100	„ „

1936 წელს გამოღებული შავი ქვიდან 1400 ათასი ტონა მაღალ ხარისხოვანი დადგაო. თუმცა ბოლშევიკების ხელში დიდი ნაწილი ქართული მარგანეცისა იგზავნება რუსეთის მეტალურგიულ ქარხნებში, მისი ექსპორტი მსოფლიო ბაზარზედაც ეხლაც დიდ როლს თამაშობს. ვა-ვისხენოთ რომ 1913 წლის ექსპორტი უდრიდა არა ნაკლებ 50 პროცენტს მსოფლიო ექსპორტის მაშტაბში. 1913 წელს საქართველოს და ინდოეთის ექსპორტები მსოფ-ლიო ბაზარზე ასეთი იყო:

ქვეყანა:	გატანილი იყო (ფუთო- ბით)	პროცენტი მსოფლიო ექსპორტისა
1. საქართვე.	69,1 მილ. ფუთი	53 %
2. ინდოეთი	47,9 „ „	38 %

საქართველოს მარგანეცის ექსპორტიდან მიდიოდა დი-დი ომის წინა წლებში:

- გერმანიაში = 43 %
- ინგლისში = 23 „
- ბელგიაში = 13 „

მარტო ქიათურის რაიონის მარაგი შავი-ქვისა ნაანგა-რიშვია 161,5 მილიონი ტონი. როგორც ვიცით, მარგა-ნეცი აღმოჩენილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

2) 1933 წლიდან შორაპანში ამუშავებულია, „ჯულე-ლის“ სახელობის ფერო-მარგანეცის ქარხანა. 1936 წლი-სათვის ემზადებოდნენ სამი ღუმელის მაგივრად — ექვსი



დაედგათ. „ახალი ელექტრო ლუმენების დადგმით ჩვენი ფერო-მარგანეცის ქარხანა უძლიერეს წარმოებად გაიზარდება მთელ მსოფლიო მარგანეცში“, ირწმუნებიან ბოლშევიკები... 1935 წელს მიღებული ყოფილა 25 ათასი ტონი ფერო-გადადუღებანი. 1937 წლისათვის-კი უკვე 100 ათას ტონას ელოდნენ.

მომავალში ამ ქარხნებში მოხდება სხვა ლითონების გადადუღებაც;

3) როგორც ეს საყოველთაოდ არის ცნობილი, ქართული მარგანეცის ერთი დიდი სიმდიდრე — ეს მისი პიროქსინია.

შეიძლება ითქვას, შავი-ქვის ეს იშვიათი მადანი ისეთის სიუხვით და შემადგენლობის იშვიათის სიმდიდრით არის მოცემული ჭიათურის რაიონში, რომ ამ მხრივ მთელს დედამიწის ზურგზე საქართველოს პირველი ალაგი უჭირავს. იგი სწორედ ოქროს ფასად იყიდება საერთაშორისო ბაზარზე.

და აი ეხლა ამას მიემატა კიდევ ფერო-მარგანეცის ქარხანა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ჩვეულებრივი, იაფად ღირებული მადანის მაგრერად, გასასყიდად მოვაშალოთ უფრო დიდი ღირებულობის, ნახევრად გადაშუშავებული პროდუქტი, ფერო-მარგანეცისა და სხვა ლითონთა გადადუღების სახით.

ბ. ქვა-ნახშირის წარმოება:

1) ტყიბულის ნახშირი:

უკანასკნელი გამოკვლევანი ამ ნახშირის მარაგს აღრიცხავენ 86 მილიონ ტონათ. აქედან საწარმოო ნახშირი მოდის 47 მილიონი ტონი. მალარობში შემოღებულია მექანიკური და ელექტრონული დადგმები, უახლოეს წლებში ნავარაუდევია, ამოღება, ყოველ წლივ; ერთი მილიონი ტონა ნახშირისა.

შესწავლილია სლანცების ფენები. მათი მარაგი, დაახლოვებით, უდრის 91 მილიონ ტონს. ცნობილია, რომ სლანცების გამოყენება ხდება ალუმინის წარმოებისათვის.

2) ტყვარჩელის ნახშირის გეოლოგიური მარაგი, უდრის, დაახლოვებით, 110 მილიონ ტონს, საწარმოო-კი 55 მილიონ ტონსა. აქა იქ მოპოვებული არის 100 მილიონ ტონის სლანცების მარაგი. გვემანი რაოდენობა ტყვარჩელის მადნეულობის ჩვეულებრივი ნახშირისა აღრიცხულია 1.200 ათასი ტონი.

3) ოჩემჩირეში ამ ნახშირის ექსპორტისათვის დაწყებულია ნავთსადგურის აგება. რკინის გზა გაყვანილია 33,5 კმ.-ის მანძილზე — ოჩემჩირიდან ვიდრე ქვეზანამდე. ტყვარჩელის მალარობის ირგვლივ უკვე 12 ათასი კაცი მუშაობს.

4) ახალციხის და ბორჯომის შუა აღმოჩენილია ნახშირის ახალი საბადოები. 180 მილიონი ტონი. ამ რიცხვში საწარმოო 100 მილიონი ტონია.

5) ყველა არსებულ ნახშირიან ადგილებიდან იმედი აქვთ, მომავალში, ყოველ წლივ ამოიღონ ხოლმე 2,5 მილიონი ტონი.

დ) ნავთის საწმენდი წარმოება:

1) ბათუმში აგებულია მთელი რიგი ნავთის საწმენდი ქარხნებისა; ისინი ერთად იძლევიან 100 მილიონი მანეთის პროდუქციას.

2) ბაქო-ბათუმის ახალი ნავთსადენი სიგრძით 823 კილომეტრია. ნანაგარიშევია, რომ ძველ ნავთსადენთან ერთად გადაქაჩებული იქნება ყოველ წლივ 2,5 მილიონი ტონი ნავთი.

3) სრულწოდ საიმედოა, რომ საქართველოში მოკლე ხანში დაიწყება ნავთის ამოღების წარმოებაც, — საკუთარი წყაროებიდან. ამჟამად ეს წყაროები აღმოჩენილი

არიან: შირაქში, მირზაანში, ჩათმაში და სხვაგან. სპეციალისტების მოწმობით, გათვალისწინებული გეგმები რომ დროზე ყოფილიყო სისრულეში მოყვანილი, უნდა დაედგათ 1937 წლისათვის 20 ბურღილი, რომელნიც 200.000 ტონა ნავთის ამოიღებდა (წერ. ინჟ. ი. ყიფშიძისა, გაზ. „კომუნისტში“).

ლითონთა ამოღების წარმოება:

ამ ლითონთა სია სკკაოდ მდიდარია. ღირსია ყურადღებისა აღმოჩენა ოქროსი, ზემოსვანეთში და ინგურზე.

1) არამეტალური ნივთიერებანი:

1) აქ შედის: ბარიტი, ანდეზიტი, სხვა და სხვა ხარისხის თიხები, ტალკი, ლიტოგრაფიური ქვა, გლაუბერის მარილი, მინერალური საღებავნი, ბიტუმი, მარმალისო, საღმშენებლო მასალები და სხვა.

2) ქუთაისში აშენებული და გაფართოებულია ბარიტის წისკილი.

3) მანქანების ქარხნები:

1) მანქანების გასაკეთებელი ქარხნები აგებულია ბათუმში, თბილისში. იქ ამზადებენ იარაღ-მანქანებს შემდეგი წარმოებებისათვის: ჩაისა, აბრეშუმის, ლვინოსნობის, საქსოვის.

2) თბილისის ქარხნები ზედმეტად ამზადებენ: ლურსმანს, ელექტრო აპარატების ზოგიერთ ნაწილებს, რკინეულის, ფართედ მოსახმარ ნივთიულებს.

3) თბილისის ავტორემონტის ქარხანას შეუძლია ყოველ წლივ შეაკეთოს ექვსი ათასამდე ავტომობილის ნაწილი.

თბილისშივე არსებობს თუჯისა და ფოლადის თაბახების გამოყვანი ქარხანა. იქვე კეთდება წყალსადენის ლულები და სხვა...

ზ) ქიმიური წარმოება ახლად იდგამს ფეხსა (თუჯის კომბინატი, პერმანგანი, სააფთიაქო პროდ. და სხვა.

თ) საამშენებლო მასალების წარმოება: აგურხანები, ცემენტის ქარხნები, მარმალისოს გათლა და სხვა.

ცემენტის წლიური პროდუქცია უდრის 300 ათას ტონსა.

ხე-ტყის წარმოებისათვის:

1. ტყით დაფარული არე ჩვენი უდრის 2,4 მილიონ ჰექტარს. აქედან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფონდი არის 1,5 მილიონი ჰექტარი. ჩვენი ტყეები ყოველთვის უწყალოდ იჩენებოდა, უგეგმოდ და უპატრონოდ... პროფესორი ქურდიანი სატყეო მეურნეობისათვის გამოსაყენებლ სივრცეს 1.646.160 ჰექტარს ვეჩვენებს, საიდანაც 420.000 ჰექტარი უკვე გაჩეხილი და დაუფარავია. საქართველოს ტყეები შეიცავენ 300 სხვადასხვა ჯიშს. მათ შორის მოიპოვება ისეთი იშვიათი ჯიშები, როგორც „პრობკის“ ხე (ქუთაისის და ზუგდიდის რაიონებში); ევკალიპტი (შავი ზღვის სანაპიროებზე) მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის გამოსაყენებელი, ავიოწარმოებისათვის და სხვა.

ამჟამად ხდება, თუმცა ძალიან ნელი ტემპით, მექანიზაცია ხე-ტყის მასალის დამუშავებაში. დიდი მომავალი უდევს წინ ტყეების მოხმარებას ქალაქის მრეწველობაში.

2. 1935 წლიდან ქ. თბილისში ამუშავებულია ქალაქის ფაბრიკა. იგი იძლევა 2700 ტონა ქალაქსა. 1936 წელს ინგურზე უნდა ამუშავებულიყო ცელულოზის და ქალაქის კომბინატი, რომელსაც მომავალში შეუძლიან მოგვცეს 24 ათასი ტონი ქალაქი, ხოლო პირველს წლებში კი 11700 ტონი. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი წარმოებანი ეკუთვნიან ე. წ. მძიმე ინდუსტრიის ციკლს.

გადავიდეთ ეხლა სუბუქ წარმოებაზე: **სუბუქი წარმოება.**



უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ წარმოებისათვის ყველა საჭირო ნედლი მასალა უხვად მოიპოვება საქართველოში.

1. აბრეშუმის წარმოება 1935 წელს ავიდა 178 ათას კილოგრამ გრეთაზე; 1936 წლისათვის ნავარაუდები იყო 217,4 ათასი კილოგრამი გრეთის მიღება.

2. აბრეშუმის სახვევი ფაბრიკები არსებობენ: ქუთაისში, ოზურგეთში, თელავში, სამტრედიაში.

3. მატყლისა და ბამბის საკმაოდ ძლიერი მარაგები გზას უხსნის ჩვენში მაულის ფაბრიკაციას. 1936 წლისათვის ეს პროდუქცია უდრიდა 1393 ათას მეტრსა. თბილისის მაულის ქარხანა იძლევა 1,6 მილიონ მეტრ შალსა; ქუთაისისა ნავარაუდებია 434 ათას მეტრისათვის. ამავე დროს იწყება ტრიკოტაჟების წარმოებაც.

4. სამკერვალო წარმოება ოთხი ფაბრიკისა; თითო-თითო ქუთაისისა და ბათუმში.

5. საგალანტერო წარმოება, — იძლევა ყოველ წლივ 4 მილიონ მანეთის პროდუქციას.

6. ტყავისა და ჩექმების წარმოებაში, 1936 წელს გამოყვანილი იყო 135 ათასი და 148 ათასი ცალი წვრილი ტყავი.

ჩექმების ქარხანაში წლიურად უშვებენ 1.158 ათას წყვილ ჩექმას. ამის გარდა თბილისშივე დაიწყეს შენება ახალი საჩექმო ქარხნისა, რომელსაც შეეძლება წლიურად დაამზადოს 6 მილიონი წყვილი.

7. ქუთაისში შენდება შუშის ფაბრიკა, რომელიც შესძლებს გამოუშვას 25 მილიონი ცალი ბოთლი.

8. განზრახვაა ქუთაისში ააგონ მუსიკალურ ინსტრუმენტების ქარხანა, რომელიც წლიურად დაამზადებს სამ ათას პიანინოს. ამისათვის გამოყენებული იქმნება რეზონანსის მიმკეში ჯიშის მუხები, ბორჯომისა და ბაღდადის ტყეებიდან.

ქამა-კვების მრეწველობა:

1935 წელს იყო დამზადებული:

1. პაპროსი — 5.500 ათასი ცალი.

2. კონსერვი — 21.700 ათასი ქილა.

3. ჩაი — 3.166 ტონი.

5. ღვინის დაყენება; კონიაკის, შამპანიურის გაკეთება და სხვა.

6. მანდარინების კონსერვები.

7. შაქრის ქარხანა დაბა აგარაში. დღეში უნდა დამუშავოს 10 ათასი ცენტნერი.

8) წისქვილების კომბინატი ტფილისში: ფქვეს დღეში 250 ტონა ხორბალს.

ამავე სიძლიერის წისქვილი ფოთშიც შენდება.

9. გარდა ამისა შენდება და ზოგი ამწებულია კიდევ ქარხნები: მარგარინისა, საკანდიტერო საქონლისა, ლულისა და კარაქ-ყველისა.

10. საშინაო პროდუქცია. მისი ღირებულობა (1926—27 წლების ფასებში) 90 მილიონ მანეთამდე აღის.

მთელი ეს სია, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, რასაკვირველია, ვერ მოვგვცემს წარმოდგენას ჩვენი ინდუსტრიის იმ გაქანებაზე, რომელიც იქ სინამდვილეშია მოცემული. ნათქვამია, — თევზი წყალში არ დაფასდება.

ყოველ შემთხვევაში ერთი დასკვნის გამოტანა — კი შეგვიძლია. სულ პირველად ის, რომ ყოფილა ცდა დღევანდელ საქართველოშიც, რათა ადგილობრივი ნედლი მასალა უხვად გამოეყენებინათ წარმოებაში. მაგალითად, ე. წ. მსუბუქი ინდუსტრია ამაზე არის აშენებული და ეს თავმდება იმისი, რომ ჩვენ ქარხნებ-ფაბრიკებს არ დააკლდებათ შინვე მოყვანილი და დაგროვილი ყოველგვარი ნედლი მასალა.

დიდად საგულისხმოა, რომ ამაში ჩვენ არ ვყოფილვართ დამოკიდებულნი უცხოელ ქვეყნებზე.

გარდა ამისა ყურადღებასვე იწვევს მსხვილი ინდუსტრიის მიზან შეწონილად შემოღება. ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რომ მანქანების გაკეთება და სარემონტო ქარხნები მხოლოდ იმდენად არის მოწყობილი, რამდენადაც ეს, დღეს დღეობით ჩვენებურ მსუბუქ წარმოებას სჭირდება.

ეს უკანასკნელი ინდუსტრია იმითაც ყოფილა უზრუნველყოფილი, რომ მას არ სჭირდება საჭირო მანქანების უთუოდ უცხოეთიდან დაბარება. ღირსია ყურადღებისა დამზადება ჩვენშივე ნახევრად დამუშავებულ პროდუქტებისა, რაც ფერო-მარგანეცის ქარხანაში სწარმოებს.

ჩვენებური პატარა, თავში მაინც, ინდუსტრია ვერ დაისახავს პრეტენზიას ეხლავე უცხოეთისათვისაც დაამზადოს რთული მანქანები. თუმცა პატარა შვეიცარიაში ამგვარ წარმოებასაც დიდი ალაგი უკავია.

უცხოეთი დიდად დაინტერესებული იქნება საქართველოდან გაიტანოს ჩვენი ნედლი მასალა, მეტადრე ისეთი, რომელიც სხვაგან იშვიათად მოიძებნება. ცხადია ეს მასალა ჩვენ უნდა ვეცადოთ, სულ პირველად, ჩვენშივე იყოს გადამამუშავებული. დიდ როლს ითამაშებს ჩვენი დიდი სიმდიდრე — თეთრი ნახშირი. მას ჩვენ მოვიხმართ შინ, ჩვენივე ინდუსტრიისათვის, და თანაც შევძლებთ იგი გავყიდოთ იქ, სადაც იაფი ელექტრო ძალა აკლიათ. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ საფრანგეთს შვეიცარიაც უგზავნის ამგვარ ენერჯიას...

ამით შევწყვეტთ ქალაქურ ინდუსტრიაზე ლაპარაკს და გადავალთ სასოფლო მეურნეობის, ამ გვარადვე, სქემატიურად, აღწერაზე...

გიორგი შურული



ჯგუფური ცეკვა



ანსამბლი ასრულებს ლეკვას

ან ი მ უ ს ი მ პ ე რ ა ნ დ ი

რენატო ცუკარელი იტალიელი მეცნიერია. მისი შრომა: „აზია და ევროპა“ პირველად 1939 წ. გამოიცა და ითარგმნა შემდეგ გერმანულად დრ. გელენის მიერ. ამ წიგნში, როგორც თვითონ ავტორი ამბობს თავის წინასიტყვაობაში, პირველადაა გარჩეული მთლიანად აზია-ევროპის ურთიერთობათა განვითარების პროცესი და გარჩეულია იგი კრიტიკული თვალსაზრისით. ამ მხრივ ეს თხზულება თავისთავად დიდ ინტერესს იწვევს; ავტორი ბევრ ისეთ დასკვნას აკეთებს, რომელიც ჩვენთვის არც დამაჯერებელია და არც მაინცდამაინც მისაღები, მაგრამ მეტად ორიგინალური და მიმზიდველი, ასეთი მცირე ტანის თხზულებაში ამგვარი დიდი საკითხის მოთავსება და გადაჭრა იოლი საქმე არაა და ავტორი მას საგანგებო მოკლე თქმითა, სხარტული ფორმულებითა და ისტორიის მცოდნეთათვის გასაგები მოჭრილი სიტყვით მსჯელობს, რა არის აზია და რა არის ევროპა, რას წარმოადგენს თითოეული მათგანი, — რა მიუცია თითოეულს კაცობრიობისათვის, — ამას არა ერთი მეცნიერი და მკვლევარი შეხებია, მაგრამ სრული მოცულობით ევროპა-აზიის ურთიერთობის საკითხი ჯერ მგონი ცუკარელის მეტს არავის გაურჩევია. ამ მხრივაც ეს ცდა თუ ნაყოფიერი არაა, მეტად წარმატაბი მაინც არის, ავტორს შემოფარგლული აქვს აზიისა და ევროპის ურთიერთობის პროცესი არსებითად ისტორიის განვითარების მხრივ, ანუ ისტორიულად და არ ეხება მეტისმეტად საინტერესო სხვა საკითხებს, როგორცაა კულტურისა, ტექნიკის, მეურნეობის და სხ.

თუ რა არის აზია და რაა ევროპა, — ავტორი ამის განმარტებას წინასწარ არ იძლევა და აღვითქვამს, რომ თვით შრომის შინაარსიდან გაირკვევა მათი არსებობა, წინასწარი შეხედულება გასარჩევ საკითხზე არა მქონია, გვაჯერებს ავტორი, მხოლოდ ისტორიული მასალის ანალიზშია მოგვცა საშუალება ამათუბი დასკვნას მივდომოდითო. ავტორს ეს თავისი თხზულება უკვე ადრე დაუშუშავებია და მის დასკვნებზე შემდეგ მომხდარ ისტორიულ მოვლენებს გავლენა არა ჰქონია. უკანასკნელ ხანაში დატრიალებულმა ამბებმა განამტკიცა მხოლოდ მისი შეხედულება ანუ როგორც თვითონ ამბობს: რასიული პრინციპი არის არსებითი მამოძრავებელი ნიადაგი ისტორიის განვითარებისათვის; გერმანელობასა და რომაელობას, როგორც პარალელურ ძალებს ამაში მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდაო. როდესაც იგი რასიულობაზე ლაპარაკობს, მას მხედველობაში არა აქვს ანტიემპირიზმი, რომელიც ყალბადაა გაგებული, ვინაიდან ამ სიტყვის მაგირად, ეხლანდელი აზრით, უნდა იხმარებოდეს ანტიებრაელიზმი ანუ ანტიებრაელობა. ეს იმიტომ, რომ სემიტები არაბებიც არიან, და როდესაც ანტიემპირიზმზე ლაპარაკია, ამაში არაბებიც იგულისხმებიან, წინა დიდი კულტურის ხალხი, რომელთანაც არიულ რასას ანგარიში ჰქონდა წარსულშიო.

ადამიანურ ღირებულებათა და საუკეთესო არიულ ტრადიციათა აღდგენა მოხდა გერმანულ და რომაულ ადამიანთა მიერ და მომავალი ხანა ამით იქნება აღბეჭდილიო, გვარწმუნებს ავტორი, ამიტომ უმნიშვნელოა საკითხი ანტიებრაელობისა ანუ საერთაშორისო ებრაელობისა, რომლის ადვილი ისტორიის ფურცლის ნაპირზეაო. ავტორი არ მალავს თავის მოსაზრებას, რომ ხშირად მისი დასკვნები ოროთოდოქსულ ისტორიულ კრიტიკას ეწინააღმდეგება, მაგრამ ყველა ჩემი დასკვნა დასაბუთებულიაო და კრიტიკის მოსურნეთაც მიეგებება. ამით ჩემი შრომის მიზანი მიღწეული იქნებაო, ამბობს ავტორი, ვინაიდან ეს გამოიწვევს იმ ორგანიზმის შექ-

მნას, რომელსაც მიზნად დაესახება ამ საკითხთა კომპლექსის როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ დარგში საფუძვლიანად განხილვაო. ამით ასრულებს ცუკარელი თავის წინასიტყვაობას და გადადის აზიისა და ევროპის ურთიერთობათა ისტორიული ფაქტორების განვითარების პროცესზე.

პირველი თავი მიეკუთვნება სულ უუძველეს ხანას ანუ წინა-ირანულ ორიენტის სახელმწიფოებს. წინა-აზია და ხშირად ხმელთა-შუა-ზღვის აფრიკა მრავალ და დიდ ისტორიულ მოვლენათა ასპარეზი იყო და მას შესამჩნევი მნიშვნელობა ჰქონდა აზიისა და ევროპის ურთიერთობისათვის. პირველი დიდი სახელმწიფოები სემიტურ ხალხებს და სხვა უცნობ ხალხებს ეკუთვნოდნენ. ელამიტები იყვნენ, ჯერ კიდევ უცნობი რასის, უუძველესი და პირველი კულტურის ხალხი წინააზიაში. სუმერები, რომელთა წარმოშობა აგრეთვე უცნობია, ათასწლოვანი ბრძოლის შემდეგ სემიტებს დამორჩილდნენ, შეერივნენ და ქვეყანას კულტურის დაუფასებელი ღირებულებანი მზითვად დაუტოვეს. ჰეტიტებმა (ნეთებმა) დაიპყრეს სამხრეთი და ფარაონებს სირიას ედავებოდნენ. მიტანელებმა, რომელთა რასიულობა აგრეთვე გაურკვეველია, დაიპყრეს მთელი ჩრდილო მესოპოტამია. ათი საუკუნის განმავლობაში ბატონობდნენ სემიტი ხალხები წინა-აზიაში, სანამ არიელები არ შემოიჭრნენ. არიელები შეესივნენ პირველად დრავიდულ ინდოეთს და შემდეგში ცნობილ ახანემნიდურ სპარსეთს დაახლოებით ქრისტეს წინ მეორე ათასეული წლის პირველ ნახევარში. სანამ არ დაარსდა სპარსული სახელმწიფო, არც ერთ ხალხს არ შესძლებია იმოდენა ტანისა და ძლიერების სახელმწიფო შეექმნათ, რომელიც სემიტურ სახელმწიფოებს შეეძარბოდეს. სემიტური სახელმწიფოები იყვნენ: ბაბილონური, ასირიული და ფინიკიელითა თასილოკრატული სახელმწიფოები. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ფარაონული ეგვიპტე, თუმცა ეგვიპტური კულტურა უფრო ხამიტურია და არა სემიტური. სემიტურ სახელმწიფოთა დაარსებასა და გაფართოებასთან პარალელურად აზიის კონტინენტის მოპირდაპირედ მდებარე შორეულ მხარეში — ჩინეთში წარმოიშვა და განვითარდა ჩინეთის კულტურა და პოლიტიკური ძლიერება. ჩინეთის კულტურა ისე მომწიფდა, რომ მასზე არავითარი მნიშვნელოვანი გავლენა არც წინა-აზიური და არც ევროპიული კულტურას არა ჰქონია. ევროპაში ამ დროს არავითარი ხანგრძლივი პოლიტიკური ბატონობა არ დამყარებულა, ვინაიდან ხალხთა ხეტიალი ხდებოდა. არიული დაპყრობის პირველი შედეგია მიკენული კულტურის აღმოცენება უკვე არსებულ აეგეურ და მინოსულ კულტურათა ნიადაგზე. მიკენის კულტურის ხალხებმა შეუტეს წინა-აზიას და ამის შედეგად დაემხო ხეთთა სახელმწიფო, დაარსდა ფილისტერთა, მაგრამ ამ შეტევისას არ წარმოუშვა ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელსაც სემიტურ სახელმწიფოებთან მეტოქეობა შესძლებოდა.

დასკვნა: მრავალ ასეულ წელთა განმავლობაში წინა-აზიაში იყვნენ ხალხები, რომელნიც თავისი კულტურით, სიმდიდრით, იარაღით და ბატონობით უუძლიერესნი იყვნენ, ხმელთაშუა ზღვის ნაპირით იმ ევროპის წინააღმდეგ იდგნენ, რომელსაც თუმცა კულტურული ცენტრები გააჩნდა, მაგრამ არა სახელმწიფოებრივი არსება, რათა მათთვის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გაწევა შესძლებოდა.

ევროპა არასოდეს დაპყრობილი არა ყოფილა, ამაში პირველი საფუძველი აზიისაგან დამოუკიდებელი ევროპისა. ამაშია მსოფლიო ისტორიის აზრიც, რა არის ამის

მიზეზი? მართალია: სემიტურმა და ხამიტურმა ხალხებმა უმადლეს ძლიერებას მიაღწიეს, მაგრამ მათ არ გააჩნდათ მთავარი, რაც პოლიტიკურ უდიდეს გაქანებას იძლევა; არ გააჩნდათ „ანიმუს იმპერანდი“! და აი ამ მცენებაში ვეჯახებით სრულიად ახალ შეხედულებას, რომელიც იმპერიალიზმის ახსნას ახალ საფუძველს აძლევს. ავტორი არ იძლევა ამ მცენების გარკვევას, იგი ირკვევა თვით ისტორიული ანალიზიდან და ჩვენც მას უნდა გავსდითო. გარეგნულად, ეს ანიმუს იმპერანდი დაკავშირებულია სამოქალაქო ორგანიზაციის უმადლეს განვითარებასთან, საკმაოდ მაღალ სახალხო სიმდიდრესთან. შესაფერის მილიტარულ ძალასთან და ყველაზე უფრო კიდევ მით, რომ სახელმწიფოს არსებობა, როგორც ეთიური ღირებულებაა გამართლებული.

სემიტები და ხამიტები ჰვლობდნენ პირველ სამ ფაქტორს, მაგრამ ეთიური ელემენტი მათთვის უცნობი იყო. მათ შექმნეს უზარმაზარი სახელმწიფოები, ვეებერთელა იმპერიები, მაგრამ სემიტებისა და ხამიტების გაფართოება და განვრცობა მხოლოდ ტერიტორიული ხასიათისა იყო. ეს იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ ანიმუს იმპერანდი, ისინი არ იყვნენ მატარებელი ნებისყოფისა და ძლიერების აზრისა. ვაღმა ქვეყნების ანუ ზღვის ვადაღმა ქვეყნების დაპყრობა მხოლოდ ისეთ ხალხს შეუძლია, რომელიც ნებისყოფის მატარებელია; რომელსაც თავდასხმის ხალისი აქვს; რომელიც აღსავსეა სიცოცხლის ძალით, რომელიც ბუნებით მეომარია, და არა ქონებისათვის მებრძოლი. და ვინაიდან ეს ანიმუს იმპერანდი სემიტებსა და ხამიტებს არ გააჩნდათ, ამიტომ მათ ვერც დაიპყრეს ევროპა.

დასკვნა: ომებით, დამონებით, სავაჭრო ურთიერთობებით და კოლონიზაციით ეგვიპტეს ხამიტებმა და მცირე აზიის სემიტებმა, განსაკუთრებით ასირიელებმა და ფინიკიელებმა გახადეს ჩრდილო აფრიკა და ქვეყნები, ირანის პლატოსა, ხმელთაშუაზღვისა, შაგი ზღვისა და არაბეთის უდაბნოს შორის, უზარმაზარ ასპარეზად, რომელზეც შემდეგში აზიისა და ევროპის მოწინააღმდეგე ძალთა დაჯახება ხდებოდა, ასეთი იყო ანტიკური წინა-ირანული აღმოსავლეთის კაცობრიობის ისტორია.

ირანი. ჩვენ წელთაღრიცხვამდე ორიათას ხუთასი წლის წინ ევროპის ჩრდილო თუ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილიდან დაძრული ხალხები, არიელები ინდოეთს შეესვენენ. ამ შესევისა და შერევის ნიადაგზე წარმოიშვა ინდო-გერმანული რასა, რომელსაც მოკლედ ეხლა არიულ რასას უწოდებენ. ირანელები წმინდა არიელები არიან.

ინდოეთში დარჩენილი ხალხები გადაგვარდნენ, ადგილობრივი გავლენის წყალობით და დაპყარგეს არიული სული. არიელები, რომელნიც ყველა ადამიანთა შორის, ყველაზე მეტად დაჯილდოებული არიან თანდაყოლილი გმირული ავანტურისა და დაპყრობის სულით, ინდოეთში დამახინჯდნენ. მათ დაპყარგეს ბრძოლის სული, ავანტურის, ფათერაკების უნარი, დაპყრობის ხალისი. თუმცა ინდოეთის კულტურა უეჭველია არიულ დაოს ატარებს, ესე იგი, რაც არის კაცობრიობის შემოქმედების უმადლესი მიღწევა, თუ მაინც ინდოეთმა ვერ შეინარჩუნა სხეულებრივი და სულელებრივი ქმედობა, გემოვნება და სინარული მოქმედებისა, ბრძოლისა, თანდაყოლილი მორბობა და უნარიანობა პოლიტიკური ბატონობის ორგანიზაციისა, მოკლედ, ყველა ეს სიკეთე, რაც არიელებს ახასიათებს, ამის შედეგი იყო ის, რომ არიელობამ აღმოსავლეთისაკენ წინ ველარ წაიწია და კავშირი არიული ევროპისა და ინდოეთში მყოფ არიულ წინა საგუშაგოსთან გასწყდა. ინდოეთი მიეყრდნო უფრო ჩინეთსა და იაპონიას და ამგვარად ევროპისა და აზიის ურთიერთობაში უცხო დარჩა.

სულ სხვა ადგილი უჭირავს ირანს, წმინდა არიელ ხალხთა სახელმწიფოს. ირანელებში მოსჩანს ყველა არი-

ული თვისება და პირველი დიდი ირანული სახელმწიფო იყო ახაემენიდების იმპერია. ახაემენიდების მამოძრავებელი იყო დამპყრობელი სული, მისი გამომწვევი ანიმუს იმპერანდი. ირანისა და სემიტური ხალხების დატაკება აუცილებელი იყო და ამის შედეგად წინააზრიაში ირანი გაბატონდა. ირანელები არ სთქვეფდნენ და არ სრესავდნენ დაპყრობილ ხალხებს; ირანი უტოვებდა მათ თავის ინდივიდულობას, სარწმუნოებას, ზნეჩვეულებებს, ამაში გამოისახება ირანული სულის დამახასიათებელი ეთიური შეხედულება. ყველა დაპყრობილი ხალხი ერთ მთლიან, ორგანიზებულ წესრიგში შედიოდა. სპარსული იმპერიის ამ მმართველობათა ორგანიზაციაში გამოისახებოდა ეთიური მოთხოვნისება უნივერსალური წესრიგისა, და ეს წესრიგი იყო გადამწყვეტი იდეალი ირანული იმპერიალიზმისა.

ირანის ისტორია სავსეა სემიტურ და თურანულ ხალხებთან ბრძოლებით. ეს იყო ირანის მისია, არიელობის დაცვა, და ამით ევროპის დაცვა. ირანი დაპყრობილ იქმნა შემდეგში სემიტური არაბებისაგან და გამაჰმადინებულიც, მაგრამ ირანულმა კულტურამ დიდი გავლენა მოიპოვა არაბებზე და შიიტისმის მიღებით ირანის ხალხმა თავისი ინდივიდუალობა დაიცვა. შემდეგში კიდევ ირანელები ბატონობდნენ არსებითად ხალიფატის შემოვებით, მეორე მხრივ მუდმივი ომია ირანისა თურქ-მონღოლურ მსოფლიოსთან. ათასწლოვანია ეს ამბავი. პირველად გაბატონდნენ ირანში პართელები არშაკიდების დინასტიის სახელით; ეს დინასტია ოთხ საუკუნეზე მეტი იყო იქ. პართელები თურანული ხალხი იყო, მაგრამ ახაემენიდების დროიდან გაირანელებული. ეს დინასტია ებრძოდა რომს და იუდეას, შიპსს, საცურსს, ველთა ხალხებს. ესე იგი, პართული დინასტია არშაკიდებისა ირანსა და მის კულტურას იცავდნენ. მაგრამ ირანელები პართელებს მაინც უცხოვლებად სთვლიდნენ და აჯანყების მერმე იგი შესცვალა წმინდა სპარსულმა დინასტიამ, სასანიდების ტახტმა. სასანიდები მუდმივ ბრძოლას აწარმოებდნენ ეგვიპტელების წინააღმდეგ აღმოსავლეთით, შემდეგ კი არაბულმა გაბატონებამ შესწყვიტა ეს მუდმივი ბრძოლა. არაბებს კიდევ ირანში გაბატონება გაუადვილდათ ვინაიდან ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში სასანიდები დაქანკული იყვნენ.

ერთი მეორეს მოსდევნენ თურქები, მერმე მონღოლები, და შემდეგ თემურ ლენგი, და ბოლოს ისევ ეროვნული ირანული დინასტია საფავიდებისა. ყველა ამ ისტორიულ ამბავში ირანის კულტურა ჩამორჩენილ დამპყრობელზე უდიდეს გავლენას აწდენდა და მათ ირანიზაციას ხელს უწყობდა. ხუთი საუკუნის განმავლობაში ბატონობდნენ ირანში თურანელები, დწყებული დაზნევილებით და თემურით გათავებული, საფავიდების ეროვნული დინასტიით ფეხზე დამდგარი ირანი იფურჩქნება და არიელობას ფართო ასპარეზი ეძლევა.

იმ მოვლენით, რომ თურქებმა ანატოლიაში მოიკალოთეს, გაჩნდა დასავლეთითაც თურანი; საფავიდები მათ წინააღმდეგ საუკუნოებრივ ბრძოლას ეწეოდნენ; შიიტისმი — ირანული ეროვნული რელიგია, და სუნთისმი — პანარაბულ-თურქული — ერთმანეთს ებრძოდა. ამგვარად ირანი საუკუნეთა განმავლობაში იცავდა ევროპას აზიისაგან.

საფავიდების დამხობის შემდეგ გაბატონდნენ ავღანელები, მაგრამ გაირანებულმა თურქმა ხადირ — შაჰმა გაანთავისუფლა ქვეყანა, სანამ შემდეგ ისევ თურანული ბარბაროსის, ყაჯარების დინასტია არ გამეფდა. ირანი იცავდა თავის თავს, ხალხს, თავის არიელობას, იგი ამით იცავდა არიულ ევროპასაც.

მართალია, დარიუსის და ქსერქსის ვალაშქრებაც საბერძნეთის წინააღმდეგ იყო, მაგრამ ეს არ შეიძლება ჩავთვალოთ ევროპის წინააღმდეგ ბრძოლად, რადგან ირანის ისტორიის მიზანი ეს არ იყო, არამედ იგი გამოწ-



ვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმ მხედრული ფანატური სულით, რომელიცაა არიული, ეს იყო რაინდული სული ომისა.

ირანის ახანემენდიური იმპერია დაემხო ალექსანდრე მაკედონელთან ომში. ეს იყო მეორე შეტაკება ევროპისა აზიასთან, და ირანის ბრძოლამ გვიჩვენა, თუ რა დიდი წინააღმდეგობითი ძალის იყო ირანელთა ისტორიული ინდივიდუალობა. ალექსანდრე თვით შეიპყრო ირანის კულტურამ და იცავდა იგი მას თურანისაგან.

სელევკიდთა იმპერიის ნგრევის შემდეგ ირანი ებრძვის რომს. ირანელი პართები, სასანიდები ომებს მისდევდნენ რომის წინააღმდეგ, და შემდეგში რომის მემკვიდრის ბიზანტიის წინააღმდეგ.

აზიაში ირანი იყო არიელობის დამცველი და ეს უფლება სავსებით ირანს ეკუთვნოდა. რომისა და ირანის ბრძოლის მიზეზი იყო ის დამახასიათებელი, მეომარი სული, რომელიც თვით არიელებს ერთმანეთს აჯახებდა. ირანს თავისი ამოცანა ევროპის დაცვისა გაეგებოდა. ირანის ტახტზე მჯდომი მონღოლი ევროპიელ ჯვაროსნებს დახმარებას აღუთქვამდა და ირანელი შაჰ-აბასი ევროპას წინადადებას აძლევდა პოლიტიკური კოალიცია მოეწყოთ ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ. მას შემდეგ როცა ყაჯართა დინასტიის საუკუნის ბატონობის მერმე, ირანი დასუსტდა და იოლად გასაგლეჯი გახდა, გადაგვარებული ევროპიელების წარმომადგენლები ყვავებოდა დაეისვენენ მას, ამ უუძველეს არიულ ქვეყანას, თითქოს მოვიდა ირანის აღსასრული, მაგრამ ძველმა არიულმა სულმა ისევ გაიღვიძა უკანასკნელი მეფის რიზანის დროს.

საბერძნეთი და ალექსანდრეს იმპერია. ძველმა საბერძნეთმა მსოფლიოს განათლება მისცა და თავისი დიდი ნიჭით კულტურის ბერკეტი შეიქმნა, მაგრამ ძველი ბერძნები არ იყვნენ დაჯილდოვებული პოლიტიკური უნარიანობით და მათ ერთი მთლიანი სახელმწიფოც კი ვერ შექმნეს. ზოგიერთ ბერძნულ სახელმწიფოებს ჰქონდათ განვრცობის საშუალება, მაგრამ იგი იყო მხოლოდ ვაჭრული კოლონიზაცია; ანიმუს იმპერანდი მათ არ ახასიათებდა, ვინაიდან ამას არავითარი კავშირი არა აქვს სავაჭრო ინტერესებზე დამყარებულ მილიტარულ ძლიერებასთან. დიდი კულტურა, გარდამეტებით განვითარებული პოლიტიკური იდეოლოგია, კარგი მილიტარული დანაწესები და ისტორიული შეუძლებლობა ბერძნებისა; შეექმნათ ერთიანი სახელმწიფო და პირიქით, საბედისწერო პოლიტიკური პარტიკულიარიზმი — ამით ისინი მოკლებული იყვნენ მსოფლიო ბატონობის უნარს. ამის მიზეზი უნდა იყოს ის მოვლენა, რომ საბერძნეთის ისტორიას აკლია ეთიური მცნებანი. ამას ემატება რასიული საფუძველიც. ხალხის ძირა (ქვემოდ, დაბლად მყოფი) კასტები და რასები დემოკრატიული რეჟიმის წყალობით გავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ მოღვაწეებზე და მათ გაქანებას უკვეცავდნენ.

პირველი ხალხი, რომელსაც აზია შეხვდა და დაეტაკა იყო ბერძნების ხალხი და ესეც პოლიტიკურად უუნარიანო იყო. სპარსელების ბრძოლა ბერძენთა წინააღმდეგ უნაყოფოდ დასრულდა, რადგან სპარსელები თავის ზურგს ძლიერ დაშორებული იყვნენ და დიდი ტექნიკური დაბრკოლებანი ჰქონდათ გადასალახნი. ბერძნულმა იარაღმა სახელი გაითქვა, მაგრამ მას ბერძენთა პოლიტიკურ ცხოვრებაში პოზიტიური ღირებულება არ მისცემია, რადგან ლაღატი გამყიდველობა და გამცემლობა ჩვეულებრივი იყო და სპარსეთის მეფეს უიარაღოდ და მხოლოდ ოქროთი შეეძლო ბერძენთა დაპყრობა. მაგრამ ერთი დიდი ნაყოფი გამოიღო ამ ომებმა; ბერძნული კულტურის უმშვენიერესად აყვავება. ამგვარად აზიასა და ევროპის ურთიერთობის საქმეში სპარსელებისა და ბერძნების ომს დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია, სამაგიეროდ ალექსანდრე მაკედონელის ომებმა დიდი გადა-

წყვეტი როლი ითამაშა, მაგრამ მაკედონელის ღვაწლი არ არის ბერძნეთა პოლიტიკური ღვაწლი.

ალექსანდრე მაკედონელის ეპიური ხანა დაპყრობათა არის უუდიდესი, ადამიანის ხელით შექმნილი ძველი ისტორიისა, არა ჩვეულებრივი ისტორიული ძლიერების გამოხატულება, ალექსანდრეს საქმენი საემპირიო გაუფგებარი დარჩება თუ მას ანიმუს იმპერანდის თვალთ არ გავშინჯავთ. მაკედონელის ანიმუს იმპერანდი მოსჩანს თავისთავად მის პირადულ ინტუიციამში, რომელიც მასში როგორც სასწაული პირველად ქმნილებად წარმოიშვა და არა მისი ტომის განვითარების პროცესში და ნებისყოფის სინტეზში მართალია, მაშის, ფილიპეს მოღვაწეობამ მას, შეილს, მოუშადა მორალური ნიადაგი მსოფლიოს დაპყრობისათვის, მაგრამ ალექსანდრეს გარეშე არასოდეს არ შეეძლო ბალკანეთის ამ პატარა ხალხს, მაკედონელებს, გაბატონებულყო, და ამისი საუკეთესო დამამტკიცებელი ისაა, რომ მისი ნადრევი სიკვდილის შემდეგ, ამ ხალხმა ვერ შეინარჩუნა ბატონობა, თუ ჩვენ ამ მოვლენას რომის ამბებს შევადარებთ, სჩანს, რომ რომში რასის ნებისყოფა მუდმივი იყო იმ დიდ ადამიანთა გამო, რომელთაც რომის ისტორია იძლეოდა.

ალექსანდრე მაკედონელის ანიმუს იმპერანდი არ იყო ბერძნული პოლიტიკური სულის გამომამჟღავნებელი, ვინაიდან ამ დიდ დამპყრობელში ღვიოდა არა მისი ხალხის, მაკედონელთა ტომის ნებისყოფა, არამედ თვით მისი საკუთარი, არაჩვეულებრივი პიროვნობა და ის ხალხიც, მაკედონელთა ტომი, რომელიც ალექსანდრეს იარაღის გული იყო, არ იყო აღზრდილი ბერძნული დემოკრატიის ნიადაგზე, სადაც ვაჭრები და დემოგოგები ბატონობდნენ, არამედ იყო ხალხი მთისა, მაგარი და გამძლე, პოლიტიკურად ავტოკრატიული რეჟიმით ბატონად მომზადებული.

საბერძნეთმა ვერ გაუგო ალექსანდრეს და არ უყვარდა იგი. ალექსანდრე — კი დაეყრდნო ბერძნულ გენიას და იარაღით, ბერძნული კულტურა მთელს მაშინდელ მსოფლიოს მოსდო. ამ მხრივ ალექსანდრე ბერძენად შეიძლება დავსახოთ, და არა იმ საბუთის ძალით, რომ იგი იყო ვითომ ბერძნული პოლიტიკური ქმედობის გამომსახველი.

ალექსანდრეს ესმოდა, რომ საბერძნეთისათვის და ევროპისათვის საშიში იყო არა არიული ირანი, რომელიც მან თვითონ შეითვისა, არამედ სემიტური მსოფლიო. ალექსანდრემ დაიპყრო დასუსტებული ირანი ახანემენიდებისა და თვით აილო თავის თავზე ამოცანა ბრძოლისა სემიტურ და ხამიტურ ხალხთა წინააღმდეგ. ალექსანდრეს სურდა აგრეთვე არაბთა და კართაგოს დამხობა, მაგრამ უდროოდ სიკვდილმა მოუსწრო მას, ხოლო მისი იმპერიის დანაწილებულმა სახელმწიფოებმა ეს ამოცანა ვერ შეასრულეს. ალექსანდრეს უდიდესი დამსახურებაა ის, რომ მან პირველმა აღძრა საერთო ევროპიული თავდაცვისა აზიის წინააღმდეგ და მარტო ეს საკმარისია, მან რომ უკვდავების სახელი ატაროს.

ჰელენიზმით გამოიხატება არა მარტო ბერძნული აზროვნებისა და კულტურის გავრცელება აღმოსავლეთში, ალექსანდრეს იმპერიაში და მის მემკვიდრე სახელმწიფოებში, არამედ ის განვითარებაც, რომელიც როგორც ხელოვნების, ისე აზროვნების დარგში, წარმოიშვა აღმოსავლეთის მიდღარ კულტურულ ცხოვრებასთან შეხების შედეგად. აღმოსავლეთის მსოფლიოს მრავალსაუკუნოვანმა სულიერმა დოვლათმა ამით გზა მოაპოვა დასავლეთის კულტურისაკენ და მას ნაწილობრივ შეეთქვიფა.

კაცობრიობის ისტორიაში ჰელენიზმი უუდიდესი მოვლენაა. ჩვენ აქ ვეხებით ჰელენიზმს მხოლოდ როგორც პოლიტიკურ სახეობას ანუ როგორც იგი გამოიხატა ევრედწოდებულ ჰელენისტურ სახელმწიფოებში.

შევეხებით ორ მოვლენას, რომელსაც უდავო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: კულტურული გავლენა

ჰელინიზმისა ქრისტიანობაზე და მაჰმადიანობაზე. ქრისტიანობას ჰელინიზმი დაეხმარა მით, რომ ბერძნული ენის საშუალებით იგი გავრცელდა და მაჰმადიანობას კი შეუსუსტა სემიტური და ამის შედეგად აზიური ხასიათი.

ჰელინიზმის პოლიტიკურ ისტორიაში ჩვენ საქმე გვაქვს პტოლემეის (ეგვიპტე), სელევკიდის (წინააზია) სახელმწიფოსთან, ბახტრიასთან (ცენტრალაზია) და ინდოეთთან. მაკედონელთა დაპყრობის ნიადაგზე წარმოშობილი ბახტრია მუდმივ იბრძოდა თურანის მსოფლიოსთან, ხოლო ინდოეთის არიელობამ, სასწაულებრივად მაკედონური გავლენით, ხანდრაგუპტას მეოხებით თავისი ზრდა ჰპოვა და ასოკას დროს მაურიეროს დინასტიით გაფურჩქვნას მიაღწია: ასოკას იმპერია ისე მჭიდრო კავშირში იყო ბერძნულ მსოფლიოსთან, რომ მის პტოლემეულებს ეძღვნებოდა. შემდეგში, როცა ბახტრია პართიებისა და სელევკიდების ჰელენისტურ ბატონთა წრეს მიაიღებოდა შიპ-ის ხელში ჩაგარდა, მაკედონურმა დამპყრობელმა სულმა მიმართა ინდოეთის დაპყრობას და დაარსა ბერძნულ-ჰინდოური სახელმწიფო მენანდერ-ისა; როცა ეს სახელმწიფო იუპო შიპ-მა დაიპყრო, ეს ახალი ბატონები ჰელენისტური კულტურის გავლენაში მოხვდნენ და კანისტა-ს დინასტია მენანდერ-ის მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს, რაც წინა-საეუროპო იყო ჰელენიზმისა ცენტრალ აღმოსავლეთში. ამ შუა-აღმოსავლეთში ჰელინიზმმა არიელობა გააღვიძა, მაკედონურმა იმპერიალიზმმა წარმოშვა ინდოეთის, ასოკას დროის სულიერი იმპერიალიზმი, რაც ბუდიზმის გავრცელებაში გამოიხატა.

ხელოვნების დარგში ინდო-ბერძნული ხელოვნება და განსაკუთრებით ხელოვნება განდარა-სი იყო განუზომელი ღირებულებისა და საფუძვრებელია, იქნებ ჰელასის ხელოვნებმა აჩუქეს აზიას ბუდისას სახე. აპოლონისებური ღმერთი, რომელიც ბუდისას პრიმიტიულ ძეგლს ახლავს არის სიმბოლიურად მზიარული ჰარმონია, რომელიც ევროპულმა არიელობამ ინდოეთის არიელობას ჰელინიზმის საშუალებით მიუძღვნა.

საშუალო საუკუნეთა ჰელინიზმის პოლიტიკური სისუსტე, რაც სამი საუკუნის შემდეგ პტოლემეებისა და სელევკიდების სახელმწიფოთა დამხობით დასრულდა, გამოიხატებოდა ფართო გადასახლებით და ეს იყო შედეგი ალექსანდრეს ლაშქრობისა; ყველგან ბერძნებმა თან მიიტანეს მათ სისხლში და ხორცში გამჯდარი დემაგოგობა და კინკლაობა; ამასთან მეტად განვითარდა ვაჭრობა, რომელმაც, როგორც წინააღმდეგ ბერძნები გაიტაცა და ამით დავიწყებულ იქნა მაკედონელის მკაცრი და ამჟამად იმპერიალისტური მისწრაფება.

პტოლემეური ეგვიპტე მთლიანად იყო და საგრძობლად გაჰელინიზებული და ამასთან მას არ ჰყავდნენ საშიში მეზობლები; სელევკიდების სახელმწიფოს დიდი ფართობი ჰქონდა, მასში შემავალი ხალხები და სახელმწიფოები დაუწყებელი იყვნენ, ხოლო ბერძნული ბატონობა და კულტურა ძალიან უნდა გავტარებინათ. მათ ჰქონდათ მუდმივი ბრძოლა, პართიებთან და სემიტებთან წინააღმდეგობაში დაუმარცხდათ. თანდაყოლილი და გადაუღალავი უფნარიანობა, უნიკობა ბერძნული ელემენტის ბატონობის საქმეში, ორივე სახელმწიფოს დამხობის მიზეზი იყო. რომს უნდა აეღო მათი მემკვიდრეობა და ზრდაში მყოფ ევროპის მტკიცე და უფნარიანი თავდაცვის ორგანიზმი შეექმნა — ევროპისა აზიის წინააღმდეგ.

დიალოგების სახელმწიფოებს ერთი დამსახურება მაინც აქვთ: შესაძლებელ ფარგლებში, სანამ რომის ძლიერება დამკვიდრდებოდა, მათ შეაჩერეს, შეაფერხეს სემიტური და ხამიტური მსოფლიო და იყვნენ მატარებელი ბერძნული კულტურისა.

რომი. საუკუნეთა განმავლობაში ევროპის დამოუკიდებლობას საფრთხე მოელოდა, და არა ინდოეთიდან და ჩინეთიდან, კიდევ ნაკლებ ირანისაგან, რომელიც პირი-

ქით ევროპა-აზიის წონასწორობის განსაკუთრებულ ელემენტს წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სემიტური მსოფლიოსაგან და ამას გარდა თურანულიაგან. ორივე წარმოადგენდა საფრთხეს არა მარტო ევროპისათვის, არამედ მრავალჯერ აზიის სხვა კულტურის წრეებისათვისაც.

ორჯერ გამოისახა ისტორიაში ანიმუს იმპერანდი, პირველად ახაემენიდთა და მეორედ ალექსანდრე მაკედონელის ქმედობაში, მაგრამ არა ისეთი სისრულით და სისავსით როგორც რომში, ვინაიდან როგორც ახაემენიდთა, ისე მაკედონელთა სახელმწიფოს აკლდა სახელმწიფოებრივი სიმტკიცე, კანონი და დისციპლინა, ამიტომ იმ ხანაში ევროპის დამოუკიდებლობის საკითხი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. თუმცა ირანმა სემიტური მსოფლიოს დაპყრობით ევროპის დამოუკიდებლობას დიდი სამსახური გაუწია, მისი გეოგრაფიული სიშორე ხელის შემშლელი იყო სემიტურ მსოფლიოსა და ევროპის შუა პოლიტიკური ჯგებირის აგებისათვის; ალექსანდრე მაკედონელი მალე გარდაიცვალა და მისი მემკვიდრეები კი უფნარო იყვნენ მისი საქმე გაეგრძელებინათ.

ისტორიის ასპარეზზე გამოდის რომი წმინდა და სრულყოფანი ანიმუს იმპერანდით, რომელიც პირველად გამოქვავდა რომის მიერ იტალიის დაპყრობით და მსოფლიო მნიშვნელობის საკითხის წამოჭრით: დაცვა ევროპის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. ეს დამოუკიდებლობა იყო უცილობელი წინასწარი პირობა მსოფლიო ისტორიის შემდგომი განვითარებისათვის და იგი უნდა დაცულიყო განაბული საფრთხისაგან: სემიტური და თურანული საშიშროებისაგან. რომმა დასცა სემიტური ძლიერება კართავოსი, დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაზე, მოსპო ჰელინიზური პოლიტიკური ქაოსი, იბრძოლა სემიტისმის წინააღმდეგ აზიაში, აწარმოა ომები იმ სივრცის განსამტკიცებლად და დასაცავად, რომელიც როგორც დაცვის ჯგებირი აზიასა და ევროპის შორის იმყოფებოდა (მიტრიდატული, არმენული და პართული ომები).

თუ ანიმუს იმპერანდის ამოცანაა და მას მიეკუთვნება ნიჭი მყარი საძირკველი ჩაუდოს და მიმართულება მისცეს ისტორიას, საუკეთესო საბუთი ამისათვის არის რომის ომები კართავოს წინააღმდეგ. ქალაქმა რომმა დაიწყო ვაფართოება და იტალიის შემოკრება, აქ უკვე ისახება რომაული რასის ანიმუს იმპერანდი, რომელიც ეს ამბავი გამოიწვია, ხოლო შემდეგ იწყება მსოფლიო პოლიტიკა რომისა, რაც გვიჩვენებს ამ ანიმუსს — იმ სიმყარესა და სიმტკიცეს და მასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს. მსოფლიო ისტორიის ამ უძლიერესი ფაქტორის ვათქვეფამ არიული რომის ნებისყოფაში რომი მიიყვანა კართავოს ომთან და ანიმუს იმპერანდი რომისა იყო წამყვანი ვარსკვლავი ამ უზარმაზარი შებმის ყველა საფეხურზე.

ვინც ფიქრობს, რომ ეს პუნიური ომები გამოწვეული იყო უმთავრესად სავაჭრო ან სხვა დაბალი ინტერესებით, იგი ამით მხედველობიდან უშვებს ამ ბრძოლის ისტორიულ მნიშვნელობას; მას არ ესმის, რომ მსოფლიო პოლიტიკის დაწყებისას რომს სურდა ომი და ეძებდა ომს. რომმა მიიღო ეს ომი ზღვის ვალმა, და ამაში გამოიხატება ანიმუს იმპერანდის ტიპური დახასიათებაც, ვინაიდან ამგვარი ზღვის-ვალმა ომების უფარი სემიტურ ხალხებს არ ვაჩანდათ. არამც თუ შინაგანი არსის ნიშნები, არამედ პირველად ყოვლისა მიზნის დასახვა თვითონ პუნიური ომებისა გვიჩვენებს რომის მოქმედებით მოცემულ ანიმუს იმპერანდის. რომს რომ ანიმუს იმპერანდის მაგივრად სავაჭრო მიზნები ჰქონდა, მას უფრო იოლად განახორციელებდა ხმელთაშუა ზღვის მდიდარ აღმოსავლეთ მხარეებში, სადაც არავის არ შეეძლო აართავოს — ოდნავ წინააღმდეგობის გაწევა, ამ აღმოსავლეთ მხარეში სემიტური საშიშროება ჯერ კიდევ არ არსებობდა, კართავო



კი იყო ძლიერი და თავისთავში აერთიანებდა ყველა სემიტურ არსებით ნიშანს და განსაკუთრებით ნეგატიური ხასიათისას. კართაგოში იქმნებოდა სწრაფად ზრდაში მყოფი საფრთხე, რომელიც ევროპის წინააღმდეგ იყო მიმართული. კართაგოს პლუტოკრატების დამარცხებით რომმა გადააქცია ხმელთაშუაზღვა რომაულ შუაზღვად, და ამით, ისტორიაში პირველად, იგი გახდა ევროპის კუთვნილებად, დარჩნენ სემიტურ ძალათა კერანი, ახლო აღმოსავლეთში, რომელნიც აზია-ევროპის ურთიერთობისათვის უმთავრესი მნიშვნელობისა იყვნენ და სადაც იყო აგრეთვე შესაძლებლობა თურანული სივრცის შექმნისა. ომი კართაგოსთან ჯერ დასრულებული არ იყო, როცა რომმა თავისი დამპყრობელი იარაღი იქით მიმართა, თავისი რასის ანიმუს იმპერანდის მეოხებით. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ამ შემთხვევაში სავაჭრო ექსპანსიის მიზეზებს ჰქონდა გავლენა, მაგრამ ნამდვილად მათ ძლიერ მცირე მნიშვნელობა ჰქონდათ. რომი უნდა გამხდარიყო ბატონი იმ მსოფლიოში, სადაც მაგნეზიასთან სელევციდების სახელმწიფო დაამხო, ევროპის ბერძნების ყალბი თავისუფლება მოსპო და ეგვიპტეში პტოლემეების მემკვიდრე შეიქმნა.

რომი უკვე მემკვიდრეა ალექსანდრე მაკედონელისა და ჰელენიზმისა. მას შემდეგ რაც რომაელებმა უნივერსალური მნიშვნელობის ბერძნული კულტურის სიკეთენი შეითვისეს, მათ უფრო ღრმად შეიგრძნეს ვინემ თვით ბერძნებმა ამ კულტურის ევროპული მნიშვნელობა და არამც თუ საჭიროება მისი დაცვისა, არამედ მომავალი ევროპისათვის მისგან ბერკეტად გადაქცევა. ჰელენიზმისა და ევროპის დაცვა რომმა მოაწყო პოლიტიკურ ნიადაგზე მით, რომ მან ალექსანდრეს მემკვიდრე სახელმწიფოთა პარტიკულარიზმის მაგივრად შექმნა განსაცვიფრებელი მთლიანობა იმპერიისა.

ეს ბრძოლა სემიტური ქვეყნების წინააღმდეგ რომმა ორი მიმართულებით აწარმოა, ერთი მხრივ ესაა ფოლადისებური და შეუსწვეტილი ბატონობა სემიტომზმზე, მდინარე ევფრატოსა და ხმელთაშუაზღვის შორის მდებარე სივრცეზე; განსაკუთრებით სანაპირო ქვეყნებში; და მეორე მხრივ დაპყრობა შორეულ და ნაკლებად ჰელენისტურ სემიტური ცენტრებისა მესოპოტამიაში. მრავალი ომი გადაიხდა რომმა ამ თავისი მსოფლიო მისიის აღსრულებისათვის, მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე იყო ექვს საუკუნოვანი ომები ირანთან.

ირანისა და რომის ისტორიული მიხენები არ იყო ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ბუნებისა, პირიქით, არსებითად მზგავსი, და იგი გამოიხატებოდა არიული ევროპის დაცვაში, აზიური არიულობის შენარჩუნებაში საერთო სემიტური საფრთხის წინაშე. და თუ ირანსა და რომს შორის ასეთი ხანგრძლივი ომები მიმდინარეობდა, ეს შემთხვევითი ხასიათისა და გარდამავალი მნიშვნელობისა იყო. ამ კონფლიქტის საფუძველი იქაა, რომ ორივე დიდი იმპერია თავის სამხედრო განვითარებაში ერთსა და იმავე ასპარეზზე ერთმანეთს დაეჯახნენ, — დასაპყრობად ამ სემიტური სივრცისა, ამასთან დავიწყებულ არ უნდა იქმნას, რომ ირანში პართთა დინასტია არმაკიდებისა ბატონობდა, ესე იგი ირანს ხელმძღვანელობდა თურანული რასა, რომელსაც არ შეეძლო აეგვო ირანის არიულობის ისტორიული ამოცანა. მაგრამ როცა ეს უცხო დინასტია ირანის ეროვნულმა, სასანიდების დინასტიამ შესცვალა, ბრძოლა რომთან უფრო გამწარებით გაგრძელდა.

სასანიდები იბრძოდნენ მთელი თავისი ძალებით ირანული კულტურის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, და მათ თან დაჰყვათ აგრეთვე პართთა მემკვიდრეობა: სიძულვილი რომის წინააღმდეგ, რომელსაც ისტორიული არსებით არც ერთ ამ ხალხში ფესვები არ მოუღვია. შემდეგმა ისტორიულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ მათი ისტორიული მიზანი ერთი და იგივე იყო. ამით შეიძლება დამტკიცდეს, რომ მრავალსაუკუნოვან ბრძოლას ირანსა

და რომს შორის არსებითად მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. რომის ანტიკური ისტორია სრულდება კეისარული ტახტის ბიზანტიაში გადატანით, და სწორედ ეს ამბავი, რომელიც ნაკლებადაა შეფასებული, გვიჩვენებს რომის ღვაწლის არსებით აზრს.

რომაული ღვაწლის არსებითი მხარე გამოისახება ევროპული კულტურისათვის პოლიტიკური წინასწარი პირობების შექმნით, ამ კულტურის დაცვითა და შენახვით; კონსტანტინე დიდის გადაწყვეტილება აღმოსავლეთ რომის სახელმწიფო, ბიზანტია, დაემყარებინა, ამ ამოცანას ემსახურებოდა. რომს აღმოსავლეთზე არ შეძლო უარი ეთქვა; და დასავლეთის რომი თავისი ისტორიული მისიით გადაარჩა მით, რომ მან მიიღო ქრისტიანობა, შეითვისა და გადააქცია იგი ევროპული კულტურის საფუძველად, მიიღო და შეითვისა ჩრდილოეთიდან მოწოდებული გერმანული ხალხები, რადგან სჯეროდა რომს, მომავალში ეს გერმანული სამყარო მსოფლიო ისტორიის მატარებელად გარდაიქცეოდა.

რომაელობის, გერმანელობის და ქრისტიანობის გაერთიანების შემდეგ შეიქმნა ახალი ევროპის საფუძველი და რომს ამის მერმე შეეძლო გარდაცვალება. ანტიკური რომისათვის დარჩა ეხლა ერთად ერთი ამოცანა, არამარტო როგორც სულიერი ღირებულება, არამედ როგორც მქმედი პოლიტიკური ძალა და მილიტარული ძლიერება, ყოფილიყო ახალი ევროპის დამცველი ყოველნაირი აზიური საფრთხის წინაშე. ამ მიზნით უკანასკნელად გადაფრინდა რომის არწივი ევროპის განაპირა მხარეში, სადაც მან ათ საუკუნეზე მეტი დაცივა ახლად შექმნილი ევროპა, — ეს დამცველი იყო რომაული აღმოსავლეთი სახელმწიფო — ბიზანტია.

რომაული აღმოსავლეთის იმპერია. ბიზანტია და მისი დედაქალაქი ბიზანსი, შემდეგ კონსტანტინოპოლი, საუკეთესო და მოხერხებული ადგილი იყო ჯებირის შესაქმნელად აზიის წინააღმდეგ ახალი ევროპის დასაცავად. თუმცა ბიზანტიური იმპერიის დაწესებულებანი ბერძნული და ორიენტალური იყვნენ, ისინი წარმოიშვნენ მაინც წმინდა რომაული პოლიტიკური აზროვნებიდან. კონსტანტინოპოლი ომებს აწარმოებს აზიის წინააღმდეგ და ამით ანხორციელებს რომის ამოცანებს, იგი არის რომაული ნებისყოფის მატარებელი და გამტარებელი. რასაკვირველია, ბერძნული ხასიათი დავისა, კინკლაობისა ბევრად უშლიდა ხელს ბიზანტიის სიმტკიცეს, მაგრამ მან მაინც გაუძლო მრავალწლოვან ომებს არაბების, სელჯუკების და სხვათა წინააღმდეგ. ბრძოლა არაბებისა და თურქთა წინააღმდეგ — ამ აღმოსავლეთი ევროპის რომის უუდიდეს ღვაწლს წარმოადგენს. სასანიდებთან ბრძოლა იმავე შემთხვევითი ხასიათისა იყო, როგორც ეს იტალიის რომსა და ირანს შორის. სემიტებთან ბრძოლათ ბიზანტია ასრულებდა ევროპულ მისიას, თურანულ მსოფლიოსთანაც ჰქონდა მას გამწარებული ომები: ავარებლებთან, ჰუნგრებთან, პეჩენეგებთან, ბულღარებთან და სხ. რომელნიც როგორც თურქებიც აზიის შუაგულიდან მოილტვოდნენ. ბიზანტია იყო ის ზღურბლი, რომელსაც ყველა სემიტური და თურანული ქვეყანა ეხეთქებოდა; ის ხალხები, რომელთა მოწინააღმდეგეა და მოქცევიანება შეუძლებელი იყო, ჰუნგრები და ავარები, საბოლოოდ ამ ბრძოლაში დაემხენენ, ხოლო ჰუნგრები გაქრისტიანდნენ და მიიღეს ევროპული კულტურა, ბოლღარები კიდევ ჯერ გასლავიანდნენ და მერმე ევროპას შეეთვისნენ.

ბიზანტიამ გასწია დიდი რელიგიური და კულტურული მისიის მოღვაწეობა, რის შედეგაც, მეცხრე საუკუნედან, აღმოსავლეთი ევროპის სლავიანური კულტურა ბიზანტიურ ბეჭედს ატარებს.

ბრძოლა არაბთა ისლამის და შემდეგ თურქთა წინააღმდეგ მრავალ ასწლოვანი დაცვა ევროპისა აზიის თავდასხმის წინააღმდეგ. სემიტომზმის გავლით და აღდგომა ისლამის წიაღში შეხვდა ურთიერთ ბრძოლაში დაქან-

ცულ ირანსა და ბიზანტიას, სწორედ ეს მოვლენა, რომ სემიტური ისლამის წინააღმდეგ ბრძოლაში ირანი დაპყრობილ იქმნა არაბების მიერ და ბიზანტიამ კი დაჰკარგა სირია, მესოპოტამია და ეგვიპტე, გვიჩვენებს, რომ ბიზანტიისა და ირანის ჭიდილი იყო ისტორიის მოწინააღმდეგე უაზრობა, უმიზნობა, რომელმაც ასე დიდი ხნის განმავლობაში ვახყო ორივე არიული მხარე: ირანისა და ევროპისა. ბიზანტიამ რომ ამოიღწა სამფლობელოები დაჰკარგა, ეს ნიშნავდა იმ ნაგებობის დარღვევას, რაც მაკედონელის მიერ ათასი წლის უკან შექმნილი იყო. ჰელენიზმის გავრცელება სემიტურ ქვეყნებში ხომ თავდასხმითი ფაზა იყო ევროპის დაცვისათვის. სირია, მესოპოტამია და ეგვიპტე ჰერაკლიუსმა ველარ დაუნარჩუნა ბიზანტიას და მის სიკვდილთან ერთად თავდება ბიზანტიური ისტორიის პირველი პერიოდი. აქედან იწყება ბიზანტიის მიერ ისტორიის არსებითი ამოცანის აღსრულება: დაცვა ევროპისა აზიის წინააღმდეგ. ევროპის გადარჩენა არაბთა შემოსევისაგან უფრო ნაკლებათა ღვაწლი ფრანგების ანტიისლამური ბრძოლისა პუატიესთან, და უფრო მეტია იგი, ეს ბიზანტიელების ბრძოლა მცირე აზიაში. ფრანგებმა შეაჩერეს პირველი ტალღა ისლამისა, ბიზანტიამ კი ვეებერთელა ტალღათა რიგებს შორის, უკანასკნელიც. ბასილ პირველის, რომანუს ლეკაპენუს-ის, ნიკეფორის ფოკას, ბასილი მეორეს და სხვათა ომებით არაბთა წინააღმდეგ, განთავისუფლდა მათგან არა მარტო მცირე აზია და არმენია, არამედ შეტევით მერმე კიდევ მესოპოტამია და სირია, ეს ძველი ბიზანტიური სამფლობელოებიც, სამას წელზე მეტი გაგრძელდა ეს ბრძოლა და ბიზანტიამ რომის-დაგვარად ღირსეულად აღასრულა ამოცანა არიული ევროპის დაცვისა სემიტური თავდასხმითი ხალხის წინააღმდეგ.

სულ სხვაგვარად წარიმართა ბრძოლა, ოთხი საუკუნის ომი, თურანის წინააღმდეგ. აზიის სტეპების ბარბაროსული თურანი, თურქ-სელჯუკების სახით და, ორი საუკუნის შემდეგ თურქ-ოსმალების სახით, ევროპას მოაწვა. მაგრამ ეს არაჩვეულებრივი სიფიცხე აზიის ახალი თავდასხმისა ევროპის წინააღმდეგ საკმარისი არ იყო ბიზანტიის დასამზობად.

ბიზანტიის იმპერიის დაცემა გამოწვეულია ორი რიგი მოვლენით, რომელიც ერთმანეთთან გადაკავშირებულია: რღვევა იმპერიისა და თავდაცვაში უცხო ელემენტების ჩარევა და მოხმარება. რამოდენიმე წლის განმავლობაში სელჯუკებმა დაიპყრეს არმენია, დამარცხეს ბიზანტიის იმპერატორი რომანუს დიოგენეს მანციკერტთან და გამოვლოჯეს ბიზანტიას მცირე აზიის სამფლობელოები. ამით გადაუტყდა ბიზანტიას სახელმწიფო ხერხემალი, მას დაეკარგა არა მარტო სტრატეგიული მდგომარეობა, არამედ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი, ცხოვრების ძალთა წყაროებიც. ბიზანტიის ამ რღვევამ, რომელიც დამჯარდა ბერძენთა თანდაყოლილ პოლიტიკურ-უზუნობათა თანდათან გავრცელებით, ხელი შეუწყო და შეამსუბუქა მეორე, ზემოაღნიშნული მოვლენის გამოჩენამ: უცხო ელემენტები ჩაერივნენ ბიზანტიის ბრძოლაში თურქთა წინააღმდეგ: ჯვაროსნები და საზღვაო რესპუბლიკები: პიზა, გენუა, ვენეტიკი (ვენეცია). არც ერთს ამას პოზიტიური მნიშვნელობა არა ჰქონია ბრძოლის საბოლოო შედეგისათვის; ჯვაროსნებს არ ასულდგმულებდა ანიმუს იმპერანდი; მართალია ისინი აღფრთოვანებული იყვნენ რელიგიური მოტივებით, მაგრამ მალე ჰარბად გამომქვლივდა მიწის შექების სურვილები. საზღვაო რესპუბლიკები კი ვაჭრობით იყვნენ გატაცებული. ჯვაროსნებმა დაიკავეს მცირე აზიის მიწები, დაარსეს სახელმწიფოები იქ, და ამით გამოიწვიეს თურანულ ძალთა უძლიერესი შემოჭრება, რისი შედეგიც ჯვაროსანთა გადარეკა იყო. საზღვაო რესპუბლიკებმა, და განსაკუთრებით ვენეციამ, რომელმაც კონსტანტინოპოლი ხელთ იგდო 1204 წელს, ვერ შესძლო ბიზანტიის მაგიერობის გაწევა

და როცა ბიზანტია კვლავ აღსდგა 1261 წელს, იგი უკვე ძალამიღებული იყო, მაგრამ მაინც გაუძლო ოსმალთურქებს 1456 წლამდე. ევროპა მას ვერ (არ) დაეხმარა, და ბიზანტია დაემხო. შედეგი ის იყო, რომ თურქები შემოიჭრნენ ევროპაში, დაიკავეს ბალკანეთი ვენამდე და ოთხი საუკუნის განმავლობაში ბატონობდნენ აქ თურანის შვილები.

არაბები და ისლამი. ისლამური მოძრაობა, რომელსაც არაბებმა საფუძველი ჩაუყარეს, ევროპისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენდა, ეს იყო უკანასკნელი თავდასხმა სემიტუზმისა არიელობაზე. დღესაც არაბული ისლამი გამოხატავს სემიტურ მოვლენას, მაგრამ ამ სემიტუზმში არაბულ ქვეყანას ისტორიულად ერთგვარი ღირებულება მაინც მიენიჭება. არაბულმა ტომებმა ერთის დაკვირით გამოიჩინეს უნარი და ძალა მსოფლიო-ისტორიული მოვლენების შექმნისა ისეთი მოცულობით, რომ არც ერთს სემიტურ ხალხს წარსულში ასეთი გაქანება არა ჰქონია. ჰქონდათ არაბებს ანიმუს იმპერანდი? გარეგანი არსებითი ნიშანი ანიმუს იმპერანდის გასრულოვნებისა, როგორც ეს რომში ვიხილეთ, არის ევროპისა და აზიის ცალ-ცალკედ დამოუკიდებლობის შენახვის საჭიროება უმაღლესი პოლიტიკური ძალის განვითარების ნიადაგზე, ეს დაცვა დამოუკიდებლობისა არის ისტორიის უნივერსალური მოთხოვნა უფუძველესი დროიდან. არაბებმა რომ ევროპას შეუტყეს, ამის გამო მათ, საესებით უარი არ ეთქმის ანიმუს იმპერანდიზე, რადგან არაბებმა სხვა პოზიტიური ამოცანებიც შეასრულეს. არაბულ დაპყრობას საფუძველად არა ჰქონდა მხოლოდ განვითარებული სახელმწიფო ფორმის თვისებები, საკმაო ფინანსიური ძალა და სრულოვნებით გამოქვიდილი დამკვირვლი სამხედრო ძალა, რომელიც წინასწარი მატერიალური პირობა ანიმუს იმპერანდის ისტორიულ ყველა განხორციელებისათვის. მაგრამ ეს იყო მხოლოდ არაბთა ლაშქრობის დასაწყისში და ამით იგი ჰგავს მონღოლთა ლაშქრობის წამოწყებასაც.

ვისაც სურს არაბთა მოძრაობის ნამდვილი ნიადაგი ჰეშიმირიტად გაიგოს, მან უფუძველეს არ უნდა ჰყოს ის შეხედულება, რომელიც ისლამის მოვლენაში ხედავს ბოგანოთა, უქონელთა აჯანყებას მდიდართა წინააღმდეგ, პირველად ბედუინების აჯანყებას მდიდარ ვაჭრების წინააღმდეგ, შემდეგ კი მთელი არაბეთის აჯანყებას დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ. მაგრამ ისლამის გამოცანა არ შეიძლება აიხსნას მარტო არაბ ბედუინთა სიბატაკით, არამედ იმ დაუფასებელი თვისებებით, რომელიც ამ სიღარიბემ წარმოშვა; ესაა დაუფერებელი სიმხნევე, სიმტკიცე, რომელიც უდაბნოს ამ ნომადებს, როგორც ერთადერთ სემიტურ ტომს სწორედ ამ სიღარიბის ნიადაგზე სავსებით შერჩა. მათ იცოდნენ მხოლოდ იარაღითა და არა ვაჭრობით მოგება, ჰქონდათ განსაკუთრებული სახელისა და პატივის გრძნობა, განუსაზღვრელი და დაუმორჩილებელი სიამაყე, წარჩინებულება თავისი ტომისა და გაუტყნელი მხედრული სული, ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, იყო დაპყრობის, ლაშქრობათა მიზეზიც. ამგვარად არაბთა ხალხმა მიაღწია მსოფლიო ისტორიის მწვერვალებს და ამნაირად იგი არიულ კაცობრიობასთან ახლოს დგას, ვინემ სხვა რომელიმე სემიტური კაცობრიობის ხალხი, ფულის მოგებით გაფუჭებული, თუ არამედ არ შეიძლება მიენიჭოს ანიმუს იმპერანდი იმ მანით, როგორც ეს სხვა ხალხებმა დაიმიკვიდრეს, ერთი მაინც ცხადია, რომ არაბთა ხალხის მხედრულ სულში განვითარდა ნებისყოფა, რომელიც მიძინებული იყო, სანამ მას მეთაური არ გაუჩნდა. ეს იყო ნებისყოფა, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ერთეულთა შემთხვევით ინტერესებს და გამოხატავს ნამდვილად ხალხის შინაგან ძალას, ნებისყოფა, რომელიც ანიმუს იმპერანდი-ისთან ახლოს სდგას. არაბულმა ხალხმა ნამდვილ ანიმუს იმპერანდი-ის საფუძველზე ადამიანთა ისტორიაში თავისი წარუშლელი კვალი დასტოვა.



თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა არაბობას ევროპა-აზიის ურთიერთობაში, ამის გაგება მაშინაა შესაძლებელი, როცა არაბობის ღირებულება ისლამში გარკვეული იქნება და განმარტებული. იმ მოვლენის განზე დატოვებით, რომ არაბობამ ევროპაზე უდიდესი გავლენა იქონია კულტურის დარგში, ისლამს, როგორც კულტურის გამავრცელებელს მთელს მაშინ ცნობილ მსოფლიოში არაჩვეულებრივი მნიშვნელობა მიეწერება. ის როლი, რომელიც არაბულმა მსოფლიომ ამ კულტურის შექმნასა და გავრცელებაში ითამაშა, გამოძვინარეობს არა ისლამის სარწმუნოების შინაარსიდან, რომელიც თავისთავად ღარიბია, არამედ იმ ახალი ისტორიული ძალიდან, რომელსაც არაბობა წარმოადგენდა ამ უუძველესი კულტურის ასპარეზზე, აზიისა და ევროპის ურთიერთობისათვის ძალიერათი მეორის შემცვლები მოვლენაა. პირველად, ახალ ძალთა გავლენას მხოლოდ განვითარების დასაწყისში ჰქონდა ადგილი; ისლამური კულტურის განვითარებამ შემდეგში მოგვცა საკუთარი დალი, მეორედ, განვითარების პროცესში მოხდა არაბთა მოსახლეობის გავრცელება, მუსულმანური კულტურის განვითარება ცენტრალ აზიაში პირველ ფორმას წარმოადგენს. უეჭველია, არაბთა ჭაბუკმა დამპყრობელმა ძალამ ფიცი თავდასხმით დაიპყრო ირანის მრავალ საუკუნოვანი სახელმწიფო შენობა, მაგრამ მას მოჰყვა სპარსთა შემომქმედი ენერჯის აღორძინება, რამაც სპარსული ისლამი გამოიწვია, რომელიც თავისი საკუთარი გზით წავიდა. ირანელ არიელთა ხელში ისლამი გადაიქცა, როგორც რელიგია, საუკეთესო იარაღად პრიმიტიულ ხალხებზე, თურქებსა და მონღოლებზე, გავლენის მოსახდენად. თურქთა და მონღოლთა მიერ ისლამის მიღებით შესაძლებელი გახდა მუსულმანური კულტურის სპარსული შტოს ცენტრალ-აზიაში გავრცელება, ინდოეთში შექრა და ჩინეთამდე მიღწევა. ამის გამო ამ შორეულმა მხარემ ისლამის საშუალებით აზიისა და ევროპის ურთიერთობაზე გავლენა მოიგო. ამ დიდ ისტორიულ პროცესში ისლამი თამაშობს ორმაგ როლს; 1) ერთი მხრივ მისი გავლენა არაპირდაპირია ცენტრალ და შუა აზიაში გავრცელებით, როგორც წინ იყო აღნიშნული, 2) მეორე მხრივ, ეს გავლენა პირდაპირია წინააზიაში და ჩრდილო აფრიკაში. მესამეობაში, სირიაში, ეგვიპტეში, მალტების მხარეში ისლამის გავრცელების ნამდვილი ისტორიული ღირებულებაა ის, რომ ამ ქვეყნებში საბოლოოდ არაბები დამკვიდრდნენ და აქ გაშალა ფრთები მუსულმანურმა კულტურამ. არაბული ომებიდან ევროპა დაუზიანებელი გამოვიდა, და ამის შემდეგ არაბებს შეეძლოთ იმ ამოცანის ასრულება, რომელსაც კენაც მათ ანიჭეს იმპერანდი მოუწოდებდა; მათ გავლენაში მოეჭვა ის უზარმაზარი სიერცე აზიისა, რომელიც ათასი წლების განმავლობაში ომის ასპარეზი იყო. ეს მხარე ხმელთაშუაზღვის ნაპირიდან — ცენტრალ აზიამდე არაბებმა დაუბრუნეს აზიის ისტორიას და ამგვარად დამოუკიდებელი აზია დამოუკიდებელ ევროპასთან კულტურას გავლენათა ურთიერთ გაცვლის ნაყოფიერ პროცესში შევიდა.

ამ შემთხვევაში სხვა იყო თურქულ-ოსმალური ისლამის მიმართულება, რომელიც არა-არაბული იყო. ამიტომ როცა ოსმალეთის ეს დიდი იმპერია დაიშალა, არაბები ბუნებრივად აღსდგნენ და გამოვიდნენ ამ ნანგრევებიდან, და თუმცა მას წინ დახვდა მტრული ევროპა, რომელსაც დავიწყებული აქვს არიული ტრადიციები, არაბები, ეს კეთილშობილი და დიდი ხალხი, დღეს მაინც ისევ იბრძვიან თავისი დამოუკიდებლობისათვის ინგლისის წინააღმდეგ.

თურანი, მონღოლთა და თურქთა დაპყრობანი. თურანი შეიცავს იმ სხვადასხვა სტეპების მომთაბარე ხალხებს, რომელნიც კასპიის ზღვიდან მანჯურიამდე ბუნების სასტიკ პირობებში ცხოვრობდნენ. ამ პირობებმა იქ აღამიანი გააკაჟა და მას განუვითარა მეტროპოლი მხედრული

ლი სული. და ვინაიდან მიწა მათი უნაყოფოა მწირი, ამიტომ ისინი ყოველთვის ჰლახავდნენ უმპასინძლო თავის სამშობლოს საზღვრებს და ესეოდნენ აზიისა და ევროპის უფრო მაღალ კულტურულ ორგანიზმებს. თურანებს ეკუთვნის თურქული და მონღოლური ხალხები და მათი შორეული მონათესავენი, ან კიდევ მათგარი ცხოვრების მატარებელი (პართები), რომელიც წარსულში მსოფლიოს მოვლენათა წინაშე პასუხისმგებელი იყვნენ. ორი ათას წელზე მეტ ხანში თურანი ეწეოდა დამპყრობელ ომებს; მათ მიადწიეს ჩინეთის შორეულ ტახტს, ირანს, ინდოეთს, ბიზანტიას; მათმა რისხვამ შესძრა ყვითელი ზღვის და ინგლისის ნაპირები. ეს თურანული საფრთხე მუდმივი იყო ევროპისათვის.

ორი ათასი წლის განმავლობაში ირანი ებრძოდა ამ თურანულ მსოფლიოს და იცავდა არიელობას თვით აზიაში. მიუხედავად პართელთა, ევტალიტთა, დაზავილთა, სელჯუთა, ხვარაზმელთა, ჩინგის-ხანის და თემურის მონღოლთა, ოსმალთა და ყაჯართა თავდასხმებისა და დაპყრობისა არიულმა ირანმა შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, დაიცვა წონასწორობა, მას რომ მისიად ეკისრა, და ხშირად სტეპებიდან შემოჭრილი დამპყრობელი ბრწყინვალე ირანულ თავადებად გადააქცია.

მეხუთე საუკუნეში ჰუნებისა და მეცამეტე საუკუნეში მონღოლების შემოჭრა ევროპაში ევროპიულ კულტურას მოსპობით დაემუქრა, მაგრამ ორივე საშინელი თავდასხმა საკვირველად უცბად გაქრა. თითქმის ერთნაირად მოხდა ორივე ამბავი. ჰუნთა მეთაური ატტილა მინციოსთან მოტრიალდა და პანონიაში დაბრუნდა; ლიგნიციმ გამარჯვებულმა მონღოლებმა დასტოვეს ევროპა და გაემუჩნენ ყარაყორუმს, რათა ახალი ყაენი აერჩიათ. ამ ორივე მოვლენას შეიძლება ის საერთო მიზეზი აქვს, რომ აზიური და ევროპიული ისტორიის არე, საისტორიო სიერცე სხვადასხვა და თურანელებისათვის უცხო; ევროპა ისე მიმზიდველი არ იყო, როგორც ნაცნობი აზია და მათ ჩინეთი და სპარსეთი ერჩინათ, სადაც მოკალათდნენ კიდევ არც მეხუთე და არც მეცამეტე საუკუნეში თურანელთა უუუქცევა არ მიეწერება ევროპის დახვედრას, მის მიერ გაწეულ სათანადო წინააღმდეგობას. თურანის შემოჭრანი ევროპიულ არემი: ჰუნები, ავაგები, ბულღარები, უნგრელები, ხაზარები, პეჩენეგები, კუმანები და სხ., მრავალი საუკუნის მანძილზე არყევდნენ და ანგრევდნენ ევროპიულ სახელმწიფოებს და ითხოვდნენ მათგან დიდძალ ბრძოლას. უბედურება იქნებოდა ევროპისათვის, რომ აქ შემოჭრილი თურანული ელემენტები, უნგრელები და ბულღარები, ევროპიული კულტურის მიერ მოთვინიერებული არ ყოფილიყვნენ. ისინი უნდა უუუქცეულიყვნენ, ან დამარცხებულთა კულტურა მიეღოთ, — ევროპის ისტორიული სტრუქტურა თურანის ხალხებს ამ კატეგორიული გადაწყვეტილების წინაშე აყენებდა. სწორედ ეს მოვლენა გვიჩვენებს, რომ ევროპისა და აზიის ურთიერთობის ისტორიაში თურანს დიდი მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშანია.

ევროპიული ისტორიის ათასწლოვანი ხანა დასრულდა თურანის ნამდვილი შემოტევით არა პირდაპირ ევროპის საზღვარზე, არამედ მცირე აზიიდან; საიდანაც ოსმალური ძალა შემდეგ ევროპასაც მოაწვა. ეს მოვლენა დანარჩენ თურანულ შემოსევისაგან მით განსხვავდება, რომ იგი არც გამჭრალა, დამარცხებულთა მიერ ასიმილაციას არც დაქვემდებარებია, და არც უუუქცეულა, მაგრამ განსახილველია ჯერ ჩინგის-ხანის ამბავი.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც თურანულმა მსოფლიომ ნამდვილი ანიმუს იმპერანდი გამოიჩინა, იყო სწორედ ჩინგის-ხანის მეოხებით, ეს იყო აგრეთვე ერთადერთი შემთხვევა, როდესაც აზიისა და ევროპის ურთიერთობის განვითარებაში ნამდვილი გავლენის საკითხი დაისვა.

ჩინგისხანი, ეს განსაკვირვებელი აღამიანი, რომელ-

საც ერთმა ისტორიკოსმა, ყველაზე უუდიდესი ნებისყოფის ადამიანი უწოდა, და რომლის სიკვდილს იტალიელი მარკო პოლო დიდ დანაკლისად სთვლიდა, ეს დიდი დამპყრობელი და მპყრობელი ასულდგმულებული იყო ანიმუს იმპერიანდით. მეცამეტე საუკუნის მონღოლური იმპერიალიზმი გაგებული არ უნდა იყოს, ვით ჩვეულებრივი ვადმოლახვა თურანის საზღვრებისა, როგორც ეს ხდებოდა ძველად საუკუნეთა განმავლობაში. მონღოლთა ლაშქრობა არ იყო აღვირახსნილ ჰორდათა ანუ ურდოების შემოსევა. თვით დასაწყისი ამ ლაშქრობისა განსხვავდება დანარჩენებისაგან გარკვეული და შეგნებული ნებისყოფით. იგი იყო გამობატული ჩინგის-ხანის უძლიერესი პიროვნებით. აზიის სტეპების ეს ბარბაროსი, რომელმაც წერაკითხვაც კი არ იცოდა, ედარება თავისი სიდიდით არისტოტელის მოწაფეს, ალექსანდრე მაკედონელს, მაგრამ შესძლო მან ხანგრძლივი პოლიტიკური შენობა აეგო? პასუხი უარყოფითია. ამის მიზეზი იქაა, რომ მონღოლურ ხალხს არამც თუ არ გააჩნდა დამოუკიდებელი კულტურის ფორმები, არამედ მას უნარიც არა ჰქონდა მაღალი კულტურა შეეთვისებინა; ამიტომ მონღოლები აუცილებელი ორგანიზატორული მუშაობისათვის მიმართავდნენ უდიდურების, მათი ნათესავი ტომის, შესამჩნევ კულტურას, რომელთა თანამშრომლობა ნდობით შეიძლებოდა მიეღოთ. დამოუკიდებელი კულტურის უქონლობა სახელმწიფრო იყო მონღოლთა მიერ შექმნილი იმპერიებისათვის. ისინი გულგრილად ეპყრობოდნენ როგორც სხვა რელიგიას, ისე კულტურას. თურანული მსოფლიოს ამ შინაგანმა ნაკლმა იძულებით გამოიწვია ჩინგის-ხანის პოლიტიკური ანაგებობის ნაკლიც. ჩინგის-ხანმა შექმნა იარაღით უსასტიკესი დისციპლინა, მაგრამ სახელმწიფოსა და ხალხის გაერთიანებება არ მოხდა, რადგან საკუთარი კულტურა არ არსებობდა და საკუთარი მორალური კანონი ეთიურ საფუძველს ვერ მისცემდა იმ მსოფლიო მისიას და მასთან დაკავშირებულ ისტორიულ ამოცანას ვერ გადასწყვეტდა, როგორც ეს მოხდა რომში. აქ მონღოლთა რასის სიკეთენი კი არ თამაშობდნენ როლს, არამედ გარეგანი, იძულებითი ზომანი, რომლითაც ეს რასა ჩინგის-ხანის ხელში დამპყრობელ იარაღად გადაიქცა.

ნამდვილი ისტორიული ამოცანა თურანული მსოფლიოსი, მასში რომ ჩახგის-ხანის ანიმუს იმპერიანდის გამოძახილი ეპოვნა, იქნებოდა აგება დიდი და მტკიცე ცენტრალ-აზიური სახელმწიფოებრივი შენობისა. ჩინგის ხანის მიზანი იყო არა კულტურულ ხალხზე ბატონობა ნომადებისა, არამედ ყველა მოხეტიალე თურქულ-მონღოლურ ხალხთა გაერთიანება თავის კვერთხის ქვეშ და ამას შეაღო მან თვითონ თავისი ძალა, მაშინ როცა მისმა გენერლებმა დიდი და ფართო დაპყრობანი მოახდინეს ჩინგის-ხანმა შექმნა უზარმაზარი პოლიტიკური შენობა ნომადური კერძო უფლების ნიადაგზე, რომლის მიხედვით სახელმწიფო პიროვნული საკუთრებაა მეთაურისა ან მისი ოჯახისა, იმპერიის აგებისათვის ეს პრინციპი გამოუსადეგარი და მისი გატარებით ჩინგის-ხანმა თვითონ გადასწყვიტა თავისი ნომადების ბედი. გუიუჯი შეეცადა იმპერიის რღვევა შეეჩერებინა, მაგრამ ამაღო. იმპერია დანაწილდა, და თუმცა ბრწყინვალე იყვნენ მპყრობელი მონღოლნი სპარსეთში თუ ჩინეთში, მაინც მათი ბატონობა ამ ხალხთა ათასწლოვან ისტორიაში მხოლოდ ეპიზოდი იყო.

იმპერიის დასუსტებასა და დაშლას თან მოჰყვა ისლამის სარწმუნოების გამარჯვება, აქედან წარმოიშვა მერმე თემურ-ლენგი, რომელმაც კიდევ ერთჯერ ააცახცახა მსოფლიო, მაგრამ მისი იდეალია ყურანის სარწმუნოების ნიადაგზე მონღოლური სახელმწიფოს შექმნა; აქედან სჩანს, რომ ჩინგის-ხანისა და გუიუჯის იდეალი: შექმნათ წმინდა თურანული სახელმწიფო და მხოლოდ თურანული, უკვე აღარ არსებობდა. ამით გაჰქრა მხოლო-

დინი იმისა, რომ თურანს შესძლებოდა წამყვანი როლის თამაში აზიისა და ევროპის შორის ურთიერთობაში. მაინც ერთი საუკუნის განმავლობაში ჰყვარდა ვაჭრობა და კულტურული გაცვლა-გამოცვლა ჩინგის-ხანის იმპერიის დროს ამ ორი მსოფლიოს შორის.

ოსმალო-თურქთა ლაშქრობა იყო უკანასკნელი დიდი თურანული ძალების დაჭიმვა. მისი შედეგი იყო ევროპის ერთი ნაწილის დაპყრობაც, თურქების შინაგანი ისტორიული ნაკლია და კერძოდ ოსმალებისაც, უეჭველია, საკუთარი, მაღალი კულტურის უქონლობა და მისი შექმნის უნიჭობაც, როგორც ეს საერთოდ ნაკლია ყველა თურანული ხალხისა.

თურანმა მეთერთმეტე საუკუნიდან გადალახა მის წინააღმდეგ მრავალ საუკუნოვანი აღმართული ზღუდენი და შემოიჭრა აზიისა და ევროპის დაახლოებისა და შეჯახების მუდმივ-სპარეზზე, წინა-აზიისში.

თურანს ეკუთვნოდნენ ლაზნეგები, სელჯუკები, ხვარაზმ-შაჰები, მონღოლები ჩინგის-ყაენისა, ჰულაგუსი და თემურისა. თურანელებიდან წარმოიშვნენ პირველად ეგვიპტელი მამულუკები და ოტომანები, ანუ ოსმალოები. მრავალსაუკუნეთა ბრძოლის შედეგად თურქები დამკვიდრდნენ მცირე აზიაში, რის შედეგადაც ბიზანტიაც დაემხო. მეთორმეტე საუკუნეში მცირე აზიას ფლობდნენ სელჯუკები; მონღოლური ქარიშხლის შემდეგ სელჯუკების ადგილი იოლად დაიკავეს ოსმალებმა. მცირე აზია გადაიქცა თურქულ ქვეყნად და ამას ხელი შეუწყო ორმა მოვლენამ. პირველად ყოვლისა თვით ამ ქვეყნის გეოგრაფიულმა ვითარებამ, რომელიც თურანული აკლიმიტაზიციისათვის არაჩვეულებრივად შესაფერია და ადვილად შესათვისებელი. მეორე მოვლენაა ის ერთადერთი განსაცვიფრებელი ფაქტი, რომ თურქები ამ დასაპყრობ ქვეყანაში ვახდნენ მატარებელნი ირანულ-ისლამური წარმოშობის ახალგაზრდა კულტურისა, რომელიც სელჯუკებმა თან მოიტანეს. ეს კულტურა იყო თავისთავად არამც თუ მდიდარი, არამედ გაფართოებისა და გაზრდის შემძლეც იმ ელემენტების საშუალებით, რომელნიც სირიისა და განსაკუთრებით ბიზანტიის წარმოშობისა იყვნენ, ამგვარი კულტურა, რომლის თესლი ოსმალებმა სელჯუკებისაგან სამეშვედროდ მიიღეს, ცხადია, როგორც უეჭველი სპარსული წარმოშობისა, არ იყო დამპყრობ ოსმალთა საკუთარი შემოქმედების ნაყოფი.

გეოგრაფიული ვითარება მცირე აზიისა, თურქთა თანდაყოლილი მილიტარული სიკეთენი, მათი დისციპლინის გრძნობა და აქ უკვე არსებული კულტურა — ეს იყო საფუძველი მაგარი თურქული მცირე აზიის შექმნისათვის. ეს უკანასკნელი გახდა მალე ისტორიულ რეალობად, ერთადერთ რეალობად, რომელზეც ოსმალური სახელმწიფოს შენობა დაშენდა. ოსმალებმა მიიღეს პოლიტიკური მემკვიდრეობა რომაული კონსტანტინოპოლისა და კონსტანტინოპოლი გადაიქცა სტამბულად; ოსმალები გახდნენ არაბების მაგივრად დროშის მატარებელი ხმელთაშუაზღვის ისლამისა. ნამდვილი მიზეზი ოსმალური სახელმწიფოს წარმოშობისა, ანატოლიურ-თურქული სნეულებისა, იყო თვით ევროპა მას შემდეგ, რაც მას თავის ისტორიაში პოლიტიკური მთლიანობისა და ერთიანობის საფუძველი მოეშალა. ამ გადაგვარებულმა ევროპამ ალაღ-ბედზე მიაგლო ბიზანტია, და საშუალება მისცა ოსმალებს იგი დაეღწეათ და ამგვარად, რომის მიერ შექმნილი ევროპის ჯებირი მოეშალათ. ევროპაში გამეფებულმა პარტიკულიარიზმმა ხელი შეუწყო ოსმალოებს ევროპაშიც შემოჭრილიყვნენ. მალე ევროპამ ოსმალებით, თავისი ეგოისტური პოლიტიკის წყალობით, ევროპის არეში შეიყვანა. შემდეგ როცა ოსმალეთის იმპერიის რღვევის პროცესი დაიწყო და ამით გამოჩნდა მისი წარმოშობის ისტორიული აბსურდი, ევროპის სახელმწიფოებმა მწარე დავა გამართეს მისი ნაწილების გაყოფისათვის. ამ დავამ ხელი შეუშალა ბალკანეთის ერების აღდგენას.



და დაბოლოს როცა ოსმალეთის იმპერია თავისი საკუთარი რღვევის შედეგად, და არა ევროპის დამსახურებით, ევროპის სხეულიდან ამოგდებულ იქნა, უცბად შეიქმნა ახალი ფაქტი, აქამდე უცნობი და მიანც ცოცხალი და სიცოცხლის უნარიანი: მცირე-აზიური თურქეთი. და როცა საეკეო ანგლიკანური იდეალიზმის შედეგად ამ ახალი თურქეთის წინააღმდეგ საბერძნეთი ბრძოლაში იქმნა გაყვანილი და მერმე ცინიკურად მიტოვებული, ევროპამ ამით მხოლოდ თავი შეივრცხინა. ახალ თურქეთს, მცირე-აზიურ თურქეთს ეხლა აქვს საშუალება საუკეთესო ფაქტორი გახდეს აზიისა და ევროპის ურთიერთობათა განვითარებაში. ძველი სატახტო ქალაქის (სტამბოლის) უარყოფით და ხალიფატის მოსპობით, რომელმაც გამოიწვია თურქეთის აღორძინება, მოიშორა მან წარსულის მიწვი ტვირთი.

რუსეთი. რუსეთის შესახებ სამი გარკვეული შეხედულება არსებობს: 1) რუსეთი ეკუთვნის ევროპას, 2) რუსეთი ეკუთვნის აზიას, 3) რუსეთი არ ეკუთვნის არც ევროპას, არც აზიას, არამედ აქვს მას თვითმყოფი, დამოუკიდებელი ისტორიული მნიშვნელობა, ხოლო დასკვნას არ აკეთებენ, რომ იგი უარყოფითი ხასიათისა არის. იმ ისტორიკოსებისათვის, რომელნიც რუსეთს ევროპის შემადგენელ ნაწილად სთვლიან, რუსეთის არივლობა კარგი საბუთი იქნებოდა, რუსები რომ ევროპიული ფინონომის მატარებლად გამოეცხადებინათ, თუ დაამტკიცებდნენ, რომ რუსეთის ისტორიული განვითარება მის არიულ წარმოშობასთან ნამდვილად შეფარდებული თუ შეხმატკბილებული იყო. მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. ევროპის წარმოშობის პროცესი როგორც ისტორიულად მთლიანი სივრცისა, ყოველ შემთხვევაში თავის არსებით მიდრეკილებაში, იყო მარტოდმარტო დეაწლი ევროპიული არივლობის ორი, პოლიტიკური სიცოცხლით აღსავსე, ხალხისაგან: გერმანული და რომაულ-იტალიური, ანუ უკეთესად, უკანასკნელის პირველზე გადაწერვით. უფრო გვიან, ის რაც ამ ორი ხალხის ჯგუფის მოქმედების არა პირდაპირ შედეგად მოგვცა, იყო აუცილებელი ხაყოფი მათი თანამშრომლობისა და მათი წინანდელი შემოქმედებითი სიძლიერისა. მხოლოდ და მხოლოდ როგორც ამ შემოქმედების ნაყოფს შეეძლო სლავიანურ მსოფლიოს, რომელსაც დასაწყისში არაგითარი მონაწილეობა არ მიუღია და არიულ შემოქმედებაში სულ დიდი ადგილის მოთხოვნა შეუძლია, ისტორიულად ევროპიულ სივრცეში შესვლა. ამ გზით ზოგიერთმა სლავიანურმა ხალხმა (პოლონელები, ჩეხები), მეტად თუ ნაკლებად, სხვადასხვა განვითარების განმავლობაში მონაწილეობა მიიღო და განდა მოსარგებლე გერმანული გამკვლევი დეაწლისა და მოზიარე რომის უდიდესი ფაქტორისა — დასავლეთის ქრისტიანობისა. ეს სლავიანები დაექვემდებარნენ ევროპის ასიმილაციურ პროცესს, მაგრამ სულ სხვა იყო რუსული ისტორია, სადაც ევროპას გადაწყვეტი ვავლენა არა ჰქონია, და თუ ასეთი ვავლენა სადმე იყო, ისიც არა საკმაოდ, ამის მიზეზი იყო არა მარტო რუსების საცხოვრებელი ადგილების სიშორე ევროპის კულტურის ცენტრებისაგან, არამედ ისიც, რომ რუსებს არა ჰქონდათ ცხადათ გარკვეული საზღვარი, რომელიც ამ საცხოვრებელ ადგილებს აღმოსავლეთის წინააღმდეგ განამტკიცებდა.

თავისთავად ცხადია, და სხვა სლავიანური ხალხების ისტორია გვიჩვენებს, რომ ევროპული კულტურის შედეგანი ვადატანისათვის და დანერგვისათვის როგორც წინასწარი პირობა საჭიროა, რომ წინ ან თანადროულად ამ კულტურის მიმდებმა ხალხმა ენერჯიულად რედუქციის დაწოლა განიცადოს, რომელიც აუცილებელია შემდეგი განვითარებისათვის განსაზღვრული მიმართულების მისაცემად. ვინაიდან მტკიცე და ერთნაირი ჩრდილო-აზიური ორგანიზმი არ არსებობდა, რომელიც აღმოსავლეთში გრდემლის როლს ითამაშებდა სლავიანური ხალ-

ხებისათვის, არ იყო საზღვარზე დაბმა; ამან შედეგად მოიტანა ის, რომ ევროპიული კულტურის მისწრაფებასა და ცდას აკლდა გრდემლი, რომელზეც მასალა გარკვეული ფორმებით უნდა გამოეყვანილიყო. სლავიანური მსოფლიო რუსეთისა დარჩა ამიტომ იმ არსება-მოკლებულ ფორმაში, რომელსაც ტურგენევი ძალიან ზედამოჭრილად გაზის-ფორმა უწოდა. ამიტომ რუსეთმა, რომელსაც დიდი სიშორის გამო, რომის სინათლე არ მიუღია, (აღმოსავლეთის ქრისტიანობას აკლია ისტორიული ღირებულებანი ლათინურ სულიერ სიკეთეთა) ის მოვლენაც კი საკმაოდ ვერ გამოიყენა, ვერ ისარგებლა მით, რომ სკანდინავებმა, რიურიკმა და მისმა რაზმელებმა, მას საშუალება მისცეს ისეთი ისტორიული სტრუქტურა მოეპოვებინათ, რომლითაც მათი თანამონაწილეობა ევროპიული სივრცის ცხოვრებაში შესაძლებელი გახდებოდა. თითქმის სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რუსეთმა თავისი სახელი „რუსი“ სწორედ ამ ხალხისაგან, სკანდინაველებისაგან მიიღო. სახედისწერო იყო ქაოტიურ სლავიანური მსოფლიოსთვის გერმანული ამ ვავლენის მალე გადავარდნა. მერყევი და უმიზნო ისტორიის ორმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც სკანდინავური სისხლი სლავიანურ სისხლს შეერია, და რუსეთს დააცხრა მონღოლური ქარიშხალი.

მეცამეტე საუკუნის მონღოლური იმპერიალიზმი რუსეთის მიმართ უარყოფითი ფორმით გამოიხატა. მას რომ გამოეწვია ერთნაირი, მთლიანი ჩრდილო-აზიური პოლიტიკური ორგანიზმის შექმნა, მაშინ რუსეთს დაბოლოს შეეძლო ჰქონებოდა მისი ისტორიული განვითარებისათვის ასე საჭირო აღმოსავლეთის საზღვარი. ევროპისაგან რუსეთის იზოლიაციისათვის მონღოლთა დაპყრობასა და ოქროს ურდოს ბატონობას და აგრეთვე ვითომ მონღოლური მონობის სამინელებას და სიმწარეს, დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია და ეს მნიშვნელობა გადაჭარბებულია. ერთი მხრივ მართალია ის, რომ მონღოლურმა ბატონობამ ევროპას პრაქტიკულად რუსეთზე ვავლენის საშუალება მოუსპო, მაგრამ მანამდისაც, ხომ უეჭველია, რომ ამ ვავლენისათვის რამოდენიმე საუკუნემ უნაყოფოდ ჩაიარა. და როცა მონღოლების ბატონობისაგან განთავისუფლდა რუსეთი, არა თავისი მოქმედებით, არამედ თვით მონღოლთა სახელმწიფოს რღვევის შედეგად, რუსეთი დარჩა თავის პირისპირ მარტოდ. იგი არ იყო ევროპა, რადგან ევროპის პირველი განვითარების პროცესების დროს იგი განზე იდგა და არ შეეძლო ევროპის ისტორიულ მსვლელობაში შესულიყო. ამის მიზეზი იყო ის, რომ რუსეთს აკლდა აღმოსავლეთიდან ჯებირი, რომელიც მისი „რედუქციისათვის“ აუცილებელი იყო და მეორე მხრივ თვითონ ევროპა იყო დაქუცმაცებული, და მას არ შეეძლო ახე შორის ემოქმედნა. მხოლოდ გერმანულმა ორდენებმა ვადასდგეს ეს ნაბიჯი, მაგრამ მას ხანგრძლივი ნაყოფი არ გამოუღია.

ევროპისაგან მოჭრილი, ეს მერყევი და დაუბმელი ქვეყანა არც აზია იყო. როცა ლაპარაკია „აზიურ“ — რუსეთზე უარყოფით აზრით, ანუ როცა რუსების უუნარობას მაღალი სახელმწიფოებრივი ფორმის შექმნაში, როგორც მონღოლურ შემკვიდრებობას ასახელებენ, ამით ერთმანეთში ურევენ აზიასა და თურანს; თურანის პოლიტიკურ უნიჭობას აზიურ მოვლენად სახავენ, — ეს დიდი შეცდომაა. მეორე შეცდომა ისაა, თითქო მონღოლების წყალობით რუსები დაბალ საფეხურზე დარჩნენ და ჩამორჩნენ, პირიქით, რუსები მონღოლებმა კი არ დააყენეს უმდაბლეს საფეხურზე, არამედ თვით ეს პრიმიტიული მდგომარეობა აიხსნება სწორედ მით, როგორც მონღოლებთანაც იყო, რომ მათ ჰქონდათ შინაგანი ნაკლი დამოუკიდებელ ისტორიულ ღირებულებებზე, რომელნიც სახელმწიფოს ცხოვრებას აესებენ და მას ნამდვილი ეთიურ მნიშვნელობას ანიჭებენ. როცა ოქროს ურდოს ბატონობა რუსეთზე ვაპქრა, რუსეთი, რომელიც არც ევ-



რობასა და არც აზიას წარმოადგენდა, თავისთავთნ მარტოდ დარჩა და მონღოლური შენობის დამხობის შემდეგ ღამიწყო აზიაში გაფართოება და მხოლოდ რამოდენიმე საუკუნის მანძილზე უზარმაზარი ფართობი დაიკავა. მაგრამ ამ წმინდა გეოგრაფიულ გაფართოებასა და განვრცობას პოზიტიური ისტორიული მნიშვნელობა არა ჰქონია. ამას არ შეეძლო რუსეთის გეოპოლიტიკური გადაბმა აზიურ სივრცეზე, ვინაიდან ეს გაფართოება გვიან მოხდა და მას ნაყოფის მოცემა ჯერ არ შეეძლო, და ეს ფართობი კიდევ „გარეშე სივრცე“ იყო დიდი — აზიური — კულტურისათვის. აზიის ამ დიდი კულტურის შეხებაში გამოიწვია მხოლოდ საბედისწერო კონფლიქტები. აზიაში რუსეთის წინსვლა რომ ისტორიულად უნაყოფო იყო, სხანს თვით ამ წინსვლის წარმოშობის ისტორიიდან. მას სავსებით აკლდა ანიმუსი.

რუსეთი შეიძლება განხილულ იქნას როგორც მსხვერპლი ამ გაფართოებისა, რადგან მასში მოსხანს უმთავრესად მხოლოდ ნეგატიური გავლენის განმეორება ჩრდილო-აზიის იმ ისტორიულ-სიცალიერისა, რომლის გამო რუსეთის ევროპიული რედუქცია თავის დროზე შეუძლებელი შეიქმნა. მონღოლური ორგანიზმის დაშლის შემდეგ ამ ცარიელმა სივრცემ შეიტყუა უფორმო და მერყევი სლავიანური მსოფლიო თავის ქარტეხილში. ამ დიდმა სივრცეებმა, არავის — ქვეყანამ, ვერ განიცადა ვერც ისტორიული და ვერც ხალხური რუსიფიკაცია. რუსეთის გაფართოება აღმოსავლეთისაკენ იყო, მისთვის გამანადგურებელი შედეგებისა, გაბერვა ცუდად გარკვეულ ისტორიულ ჩარჩოებისა და ამის შედეგად კიდევ შემდეგში მომსაობი რყევა მისი ნაგებობისა. პეტრე დიდის მიერ რუსეთის ეგრედწოდებული გაევროპიზაციის ცდა ფუჭი და ამაო იყო, რადგან რუსეთი როგორც ევროპისათვის, ისე აზიისათვის სრულიად უცხო იყო და ერთ კაცს, არც მცირე ფენას არ შეეძლო ეს ქვეყანა ევროპისათვის დაეკავშირებინა, რომლის ცხოვრებაში მას წარსულში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ერთადერთი შედეგი პეტრე დიდისა და მის შემკვიდრეთა მოღვაწეობისა იყო მხოლოდ ის, რომ რუსეთმა მიიღო უფლება სხვა დანარჩენ დიდ სახელმწიფოთა წრეში შესულიყო და იქ, წმინდა მატერიალურ ინტერესებისათვის მეტოქეობაში მონაწილეობა მიეღო, — ეს კი იყო იმ ევროპის გამოსახულება, რომელმაც თავისი დიდი ერთიანობით ტრადიცია დაივიწყა. ამგვარად, რუსეთმა მონაწილეობა მიიღო ევროპის არა პოზიტიურ განვითარების ხანაში, არამედ პირიქით, მის უღრმეს დამახინჯების დროს და ამ სიმახინჯეს მან შემდეგშიც ვასდია. ამიტომ რუსეთის აზიურ პოლიტიკას ახასიათებს იგივე დამახინჯებული ევროპიული მიზნები, რომელიც საღ ისტორიულ შეხედულებას სავსებით ეწინააღმდეგება.

აზიაში, ვინაიდან რუსეთს სასარგებლო მდგომარეობა ჰქონდა, მან სცადა საერთაშორისო მნიშვნელობის საქმე გაეკეთებინა და ამით თავისი უნარიანობა დაემტკიცებინა; სწორედ აქ აღმოჩნდა, რომ თავისი შინაგანი ისტორიული ნაკლის გამო, რუსეთმა იმ სიმაღლემდეც კი ვერ აიწვია, რომელზეც უნამორჩენილესი ევროპიული რომელიმე კუთხეა. ამიტომ მის აზიურ საქმიანობას ნაყოფი არ გამოუღია. 1905 წლის დამარცხებამ გამოამყუაუნა უძლეველი სახელის მატარებელი რუსეთის უსუსურობა. რუსეთმა ვერ შეძლო ვერც თავისი საკუთარი ძალით, ვერც სხვისი დახმარებით ხანგრძლივი და ნამდვილი დეკავშირება მოეწყო ევროპული ან აზიური კულტურის წრებთან. რუსეთმა სცადა რამოდენჯერმე სლავიანური ორთოდოქსული ქრისტიანობა გადაეჭვია საერთო ისტორიული მნიშვნელობის იარაღად; რუსეთს არ გააჩნდა სრულებით პოლიტიკური ნებისყოფა, რომელიც შინაგანი პოლიტიკური აუცილებლობის ცხოვრების კანონს წმინდადგენს; რუსეთმა სცადა რამოდენჯერმე სლავიანების მეთაურობა, მაგრამ მას ამ საქმეში საგრძნობი წი-

ლი არ უძევს, ვინაიდან რუსები, მიუხედავად იმისა რომ მრავალრიცხოვანი არიან, არ არიან სლავიანური მსოფლიოს ტიპიური წარმომადგენელი, არამედ არიან ყველა სლავიანურ ხალხზე უფრო უფორმო ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც თავისი პრიმიტივობის პირველადი მდგომარეობიდან ჯერ კიდევ არ გამოსულა, რადგან მას ევროპიული ზემოქმედი და გამოქმედი კულტურის გავლენა აკლდა. მაგრამ ამის მიუხედავად მაინც რუსის ხალხი ერთი მხრივ იბრძვის ცხარედ და ამაოდ თავისი შინაგანი კანონის შესაქმნელად. ამ უნაყოფობამ წარმოშვა მასში მოჩვენებითი იდეალები. უკანასკნელი შედეგი ამ ბრძოლისა არის ბოლშევიზმი. ეს არ არის „რუსეთი“, ეს არ არის არც რუსეთის ავადმყოფური გამოსახულება, არამედ უმთავრესად გამოსახულება რუსული მუდმივი სნეულობისა; ეს რუსული მუდმივი ავადმყოფობაა: პოლიტიკური უუნარიანობა, უნიჭობა. ამიტომ რუსეთი ვახდა სათამაშო სავანი ებრაელების ხელში, რომელმაც ბოლშევიზმი მიაწვია მას, როგორც სამკურნალო საშუალებას, როგორც წამალი ამ შემკვიდრებობით სნეულების მოსარჩენად, ჩვენ აქ ვხედავთ ხალხის ტრაგედიას, რომელმაც ებრაელების მიერ მიწოდებული კანონი თავისად გაიხადა და მასში თავისებური ღირებულება დაინახა, და ამას გარდა შეეცადა ეს კანონი იმ ათასწლოვანი მსოფლიოსათვის ანუ ევროპისათვის თავზე მოეხვია, რომლის ისტორია მას არ შეეხებია. მას შემდეგ რაც ეს მიზანი მიუღწეველი გახდა, მაშინ რუსეთმა სცადა აზიის სახელით გამოსულიყო და მისი ინტერესების დამცველობა დაეკისრებინა; ოცი წლის პოლიტიკური, რევოლუციური, დიპლომატიური და კულტურულიც-კი, ყოველი მოქმედება ამ მისწრაფებათა დამამტკიცებელია. აზიაშიც ყოველმა ამ ცდამ ფუჭად ჩაუარა, რადგან აქ საქმე ეხებოდა არა ისტორიულ მისიას, რომლისათვისაც რუსეთი სრულიად უფარვისი იყო, არამედ განსაზღვრული მიზნის მიღწევას, ესე იგი აღმოსავლეთის საშუალებით დასავლეთის დამარცხებას. არც იმ ნაბიჯს მოჰყოლია გამარჯვება, რომლითაც ერთსადაიმაც დროს ინტერნაციონალურ-ბოლშევიკურ დოქტრინას გადააბეს ვიწრო ნაციონალური ინსტიკტი და ამავე დროს აწარმოებს ცარისტული იმპერიალიზმის მტაცებლურ; უხეშ პოლიტიკას. ასეთია რუსეთის ხალხი! არიული ხალხი, რომელსაც არ გააჩნია არიული ადამიანის მთავარი სიკეთენი, არ იცის თავისთავზე ბატონობა და ზომიერება, და ამიტომ ევროპულ ხალხების კულტურული მუშაობიდან გამორჩენილია. ხალხი, რომელსაც დამოუკიდებელი, თვითმყოფი ნებისყოფა არა აქვს, და ამის გამო არ შეუძლია მაღალი სახელმწიფოებრივი შენობის შექმნა; ხალხი მრავალრიცხოვანი, რომლის ძალა უუზარმაზარ გეოპოლიტიკურ სივრცეში იბნევა და იკარგება, ხალხი მუდმივ ამღელვარებული, ალაქოთით გატაცებული, რომელიც იოლად ებრაელთა მსხვერპლი გახდა და მასიურ ტრაგედიას დაუბოლოებლად იტანს. იგია მოწამე აზიური და ევროპული ისტორიის შემქმნელ ხანათა წინაშე, მასში მას შინაგანად მონაწილეობის მიღება არ შეეძლო და ამიტომ ხან ერთისაკენ მიისწრაფვის, ხან მეორესაკენ, რათა ან ერთს ან მეორეს გადაეხადოს, და როცა ამ მიზანს ვერ აღწევს, სიძულვილით ივსება. აქედან გამომდინარეობს მისი საერთოდ ნეგატიური გავლენა აზიისა და ევროპის ურთიერთობათა განვითარებაზე.

ევროპის შეჭრა აზიაში. აზიური კონტინენტი მრავალ საუკუნეთა გასწრივ კომპლექსს წარმოადგენდა, რომელიც შინაგანად მრავალმხროვანი და არაერთიანი იყო, ხანდახან მხოლოდ რომელიმე ერთ ნაწილში გაერთიანებული, — მაგრამ როგორც ისტორიული სახეობა მხოლოდ ევროპის წინააღმდეგ ჩნდებოდა. ევროპა კი თავისი ისტორიის უმაღლეს წუთებში და თავის საუკეთესო ძალთა მოქმედებაში ერთიან ტენდენციას გვაჩვენებდა.



ნებდა. ეს ტენდენცია ამ ერთნაირობისა და ერთიანობისადმი იყო არიული ხალხური ერთიანობის გამოსახულება. — აზიური კომპლექსის მრავალი სხვადასხვა ნაწილი, როგორც სემიტური ისე თურანული, ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით ევროპასთან ურთიერთობას ამყარებდა, მაშინ როცა აზიის სხვა ნაწილები, როგორც მაგალითად იაპონია, ჩინეთი ან ინდოეთი უკანასკნელ საუკუნემდე ამ ურთიერთობაში არაავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ.

მრავალ საუკუნეთა ისტორიის კრიტიკული განათება გვიმტკიცებს, რომ ურთიერთ დამოუკიდებლობა გაუერთებელი აზიური კომპლექსისა და გაერთიებული ევროპისა თითოეული შემდგომი განვითარების პროცესისათვის წინასწარი პირობა იყო; ამ მიმართულებით ილწოდნენ მსოფლიოს საუკეთესო პოლიტიკური ძალები; ამიტომ მე-16 საუკუნედან აზიაში ევროპის შეჭრით, რომლის შედეგად ევროპის მიერ აზიის სრული დამონება მოხდა, ამ ორი კონტინენტის, აზიისა და ევროპის წინასწარობა დაირღვა, რომლის არსებობა ორივეს დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი პირობა იყო. თავისთავად ცხადია, ეს შეჭრა იყო ნამომქმედარი დაბალ ძალებისა, ისტორიის მოწინააღმდეგე ძალებისა და ამიტომ იგი განწირულია.

ოცი საუკუნის განმავლობაში ევროპის ამოცანა იყო თავისი არსებობით კონტინენტალური წინასწარობა დაცვა და ევროპის დამოუკიდებლობა აზიის ზოგიერთ თავდამსხმელთაგან შეენარჩუნებინა. თუ ჩვენ ანიმუს იმპერანდის განვიხილავთ როგორც პოლიტიკური ნებისყოფის გამოსახულებას, რომელიც შემთხვევით მიზნებს არ მისდევს და მხოლოდ მსოფლიო ისტორიის მოთხოვნილებებს ასრულებს, ცხადია, რომ ევროპის მიერ აზიის დაპყრობას არაავითარი ასეთი იმპულსი არა ჰქონდა. ეს იყო გამოწვეული მხოლოდ ვაჭრული და ეკონომიური ინტერესების მიერ, ყველა მისწრაფებათა შორის დაბალი და შემთხვევითი, ეს ნებისყოფა რომ არიული და ევროპიული ყოფილიყო, ასეთ უაზრობას არ ჩაიდნდა. მაგრამ ასეთი ნებისყოფა არა ჰქონდა იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ერთიანი ევროპის დანგრევის შემდეგ წარმოიშვნენ. ამ ხალხებსა, რომელთაც დაივიწყეს ევროპის ერთიანობის ტრადიციის მალაღი ღირებულებანი, არ შეეძლოთ დაპყრობისაგან იმპერია შეექმნათ, რომელსაც თავისი გამართლება და ეთიური შინაარსი ექნებოდა. მათ გადაიტანეს დაპყრობილებზე პოლიტიკური სიმანხიჯეთა სნეულებანი და გამოიწვიეს დავა და ომი, რომელშიც ხალხები სისხლსა ღვრიდნენ. მაგრამ მაინც უნდა ითქვას მიუკერძოებლად, რომ აზიის დამპყრობელებს ჰქონდათ ფათერაკის, ავანტურის ხალისი, ნებისყოფის სიმტკიცე და მმართველობის უნარი. მათ შორის იყვნენ მეთაური კაცები და კლასები, რომელნიც არაჩვეულებრივ ვაჭრებებაში განმტკიცდნენ და განსაკუთრებული უნარობით წამოიწივნენ. გარედან შეხედვით, არც მათ მიერ შექმნილ პოლიტიკურ შენობას აკლდა სიდიადე. მართალია: ევროპა როგორც მთლიანი ამ დაპყრობაში მონაწილეობას არ ღებულობდა. აზიურ მსოფლიოს არ შეეძლო თავიდან აეცილა ეს უბედურება არა მარტო იმის გამო, რომ ევროპულ სახელმწიფოებს დიდი ტექნიკური უპირატესობანი ჰქონდათ, არამედ იმიტომაც, რომ აზიური ქვეყნები ერთი მეორესაგან მეტად დაშორებული იყვნენ, რათა ერთი პირით წინააღმდეგობა გაეწიათ და აზიის დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ, და ამგვარად, ორივე კონტინენტის — ევროპისა და აზიის — დამოუკიდებლობა ეხსნათ. მხოლოდ იაპონიამ გადაიჩინა თავი. იაპონიის არსებობა ამტკიცებს, რომ ევროპიელთა მიერ აზიის დაპყობა არ შეიძლება გამართლებულ იქმნას, და ეს დაპყრობა შეჭველია მხოლოდ ტექნიკური უპირატესობის შედეგია. ტექნიკის განვითარების უნარ

რი არიული ხალხების უმაღლესი გამოსახვა, მაგრამ როცა ეს წინსვლა თვითმიზნად იქცა, მაშინ იგი მხოლოდ მატერიალური უპირატესობის ფაქტორი შეიქმნა, ისე როგორც ეს ძველად სემიტურს ახასიათებდა, რომელიც მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ისტორიულად ნეგატიური მომქმედი ძალა იყო. მაგრამ ევროპიელთა მიერ გამოჩენილი ტექნიკური უპირატესობა იყო საჭოქმანო, რადგან იგი მოისპობოდა მალე, როგორც კი დაპყრობილი იმავ საშუალებას ხელთ ჩაიგდება, რომელზეც ევროპიული თვითონ ეყრდნობოდა ევროპის შეჭრას აზიაში ის შედეგი ჰქონდა, რომ დაირღვა ნაყოფიერი ისტორიული წინასწარობა, რომელიც წინასწარი პირობა იყო ორივე მსოფლიოს, აზიისა და ევროპის ურთიერთ დამოუკიდებლობისათვის. ამ დაპყრობას შედეგად ჰქონდა მჭიდრო შეხება ევროპულ მსოფლიოსა და შუა და შორეულ აღმოსავლეთის, ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის კულტურათა შორის, რომელნიც აქამდე შორს იდგნენ. ამ კონტაქტს, რომელსაც კაცობრიობა საუკუნეთა მანძილზე უტყდოდა. შედეგად ამ ორი მსოფლიოს (ევროპისა და აზიის) სრული დამოუკიდებლობის ატმოსფეროში უმაღლესი კულტურის მიღწევათა გამოწვევა. მაგრამ ევროპის სისულელის გამო ეს ასე არ მოხდა. ევროპამ თვითონ განადგურა მათი განხორციელების შესაძლებლობანი.

ევროპის აღდგენა და აზიის აღორძინება. ზემოთხსენებულთან ორი მთავარი დასკვნა გამოგვაქვს: 1. აზიის დამორჩილება ევროპის გავლენის ქვეშ არის ისტორიის აზრის საწინააღმდეგო, მაშასადამე, ანტიისტორიული, 2. ეს დამორჩილება მოახდინეს იმ ძალებმა, რომელნიც თავის მხრივ ანტიისტორიული და არახანგრძლივი იყვნენ, ვინაიდან ისინი ყალბი მიმართულებით მოქმედებდნენ. აქედან კიდევ დასკვნა: საჭიროა აზიაში ევროპიული ბატონობის დამხობა და გაჭრობა იმ განხრწილი ელემენტებისაგან შემდგარი ორგანიზმისა, რომელმაც ევროპას თავის საუკეთესო ძალების დამწყობება დაამორა.

დღეს ევროპა თანდათან იბრუნებს თავის კეთილშობილ და წმინდა არიულ სახეს და ეს ხდება ისევ დასავლეთის არიელობის ძირითადი ძალების მიერ: გერმანული და რომაული კულტურით. იტალია და გერმანია მოწოდებულია აღადგინოს ევროპიული, წმინდა არიული კულტურა, ესე იგი, მაშასადამე, საუკეთესო აზრით, არისტოკრატიული, ავტორიტეტზე დაყარებული. პოლიტიკური კულტურა, რომელიც სარგებლობის პრინციპებს არ მისდევს, აი ამ არიულ პრინციპზე აგებული გერმანია და იტალია, ზავით თუ ომით, შესცვლის ევროპას, ადრე თუ გვიან, დაუბრუნებს მას წმინდა არიელობას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანია დაანგრევს სხვა დიდ ეროვნულ ერთეულებსა და სახელმწიფოებს. ეს სისულელე იქნებოდა, პირიქით, ამ ორგანიზმთა არსებობა აუცილებელია, მაგრამ იქ ზედაპირზე ამოტივტივდება რომაულ-გერმანული არსება. ევროპიული ცხოვრების ყველა სამწუხარო დანაწევრი პოლიტიკურ, სოციალურ თუ სულიერ დარგში დაიქცივიან, და მათ ნიადაგზე წმინდა არიული შეიქმნება. ამ საფუძველზე ევროპა მოიპოვებს თავის ერთიან სახესა და ღირსებას და ერთიანობა შეიქმნება გერმანიის ან იტალიის მიერ არა ერების დაპყრობით, არამედ ბუნებრივი გავლენით. ამასთან დაკავშირებით აზია განთავისუფლდება იმ სახელმწიფოთა ბატონობისაგან, რომელნიც აქამდე ფსევდო-ევროპის, ცრუ-ევროპის წარმომადგენლები იყვნენ.

აზიის განთავისუფლება უდიდესი მოვლენა იქნება ჩვენს ეპოქაში, რადგან ის ძალები, რომელთაც აზიის დაპყრობა მოახდინეს, მიიწვიენ დაქცივისკენ, დაღუპვისკენ, ვინაიდან მათ აკლიათ ისტორიული სასიცოცხლო ძალა, ევროპის ტრადიციული ძალა. გერმანიასა და იტალიას ამ მოვლენით აზიაში, რომელთაც არაფერი


აჩნდათ, არც არაფერი დაეკარგებათ. შორეულსა და ცენტრალ აზიას მოაწყობს იაპონია, ხალხი, რომლის ისტორიული ქმედობა მრავალსაუუნეთა ცხოვრებაში არისტოკრატიული და მხედროული ულით იყო გაყენებული, მაშასადამე, უმადლესი „ანიუს იმპერანდით“, რომელიც სხვა არც ერთ არა-არი-ხალხს ასე მკვეთრად არ გამოუხატავს.

პროვინციის გავრცელებას აღმოსავლეთ და ცენტრალ აზიაში ბოლო მოეღება და თურანული ხალხი, იაპონიის მოქმედებით გამოცოცხლებულნი, აღრუსეთის „შემცირებას“ გამოიწვევენ, რაც ჩვენი თ უფრო დასავლეთის საქმეა. ჩინეთს იაპონია დაუნებს მის ნამდვილსა და საკუთარ ისტორიას და კავდება კვლავ ჩინური კულტურა. ინდოეთის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ არიული ელემენტების მის სათავეში მოქცევით. ირანი, თავისი დამოუკიდებლობის მოპოების შემდეგ, ისევ გახდება წონასწორობისა და კულტურის შემქმნელი, უძველესი არიული ტრადიციის გამაგრებელი არაბული მსოფლიოც დაიბრუნებს თავისი ცხოვრების ღირსებას და იქნება დამაკავშირებელი სხვადასხვა კულტურათა ძველ ისტორიულ ასპარეზზე; ახალი თურქეთიც ითამაშებს დერეფნულ როლს აზიასა და ევროპას შორის. არც ისე შორეულ დროში, და ევროპა, ერთი მეორეს გვერდით, თითოული, მტკიცე ნიჟარაზე აგებული იქნება; ორივე თავისი გარეგანი ფორმებით გამოხატავს თავის შინაგან და არსებით სტრუქტურას ნათლად და მკვეთრად; ძველი და ახალი გზანი შეიყრებიან, და ამასთან თითოული მათგანი თავის სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს. — ათასწლოვან მოვლენათა რგოლის ბოლოში შეიქმნებიან აუცილებელი პირობანი, ისე რომ ორივე მსოფლიოსი, აზიისა და ევროპის, ძალები სავსებით ამოქმედდებიან და მომავალში ახალ მიზნებს დაისახავენ. ეს ის იდეაა, რომელიც ევროპამ და აზიამ ისტორიულ განხრევებიდან გადაარჩინა. ეს იქნება

იდეა, რომელიც პოლიტიკას -მისტიურ ღირებულებას მიანიჭებს; რომელიც ხალხებს ვახდის არა თავისი კერძო კეთილი ცხოვრების, არამედ ადამიანური განვითარების შემქმნელად, და ამისათვის ამ ხალხებს დაუმკვიდრებს იმ წესრიგს, რომელიც განლაგებული იქნება ღირებულებათა მიხედვით და მისცემს დისციპლინას, რომელიც ავტორიტეტის აღიარებას მოითხოვს; იდეა, დაბოლოს, რომელსაც ყველა დაექვემდებარება, — რასის ნებისყოფა; რომელიც აგრეთვე სახელმწიფოს ნებისყოფაა. ეს კანონი არის რომის მსოფლიო კანონი. ამ კანონზე დაშენდა რომის იმპერია, ეს იყო მისი სული. ამ რომაული კანონით ნახელმძღვანელები, დასავლეთის არიულობის შემქმნელი ორივე ხალხი, გერმანული და იტალიური, იპოვნის ძალას, რათა ევროპა კვლავ აღაშენოს და დაიცვას. ამავ კანონით გახდება აზია თავისუფალი და ერთ დღეს მოხდება ევროპული და აზიური კულტურის სინთეზი, რომელიც სამარადისო სინამდვილე იქნება.

ასეთი საინტერესოა რენატო ცუკარელის მსოფლიო-ისტორიული ახალიზი და სინთეზი, ბევრი რამ არის აქ სადავო, ბევრი მეტად ჩამაფიქრებელი დებულება, ბევრი მართალი და რადგან ჩვენ სიტყვა ისედაც გავვიგრძე-ლდა, ამიტომ მოკლედ მოგსჯით; ჩვენი შეხედულებით კი ავტორს მეტად აბსტრაქტულად აქვს მსოფლიო ისტორია წარმოდგენილი და ხელოვნური კონსტრუქციით იგი მეტად ვიწრო ჩარჩოებში აყენებს მას, — მისი კრიტიკული მეთოდი, დამყარებული ანიმუს იმპერანდიზე, — კიდევ საჭოქმანოა და საეჭვოც, მაგრამ ჩვენ გვსურდა ქართველი მკითხველისათვის, რომელიც ოდესმე მსოფლიო ისტორიით დაინტერესებულა, გაგვეცნო ეს სრულიად ახალი განჭვრეტა წარსულისა და ამიტომ შევეცადეთ მნიშვნელოვანი რაიმე დებულება მხედველობიდან არ დაგვკარგოდა. ისტორიის მოყვარულნი და დამფასებელნი თვითონვე გაერკვევიან ამ ახალ მსოფლმხედველობაში.

ბ. ვარლანი



თბილისი — ჩვენი დედაქალაქი

სტუჟანე კასრაძე

ბ ა ჯ ა დ ო

ბაჯადოს ნაწერებში იბეჭდება უცვლელად. როგორც სჩანს, ეს ახალგაზრდა კაცი, ღირსი ყურადღებისა, იცნობდა და სცნოვრობდა იმ პირებთან ერთად, რომელთა ზოგიერთი თავგადასავალი, ნაამბობია „თარი-არალე“-ს პირველსა და მეორე წიგნში.

შეზარბოშებული ვიყავით, როდესაც გვეწვია თომა ფერეული. მისი მოსვლა გაგვხარდა. მას იამა ჩვენი სიხარული და მოღიშარი გვთხოვდა დაგბრძანებულიყავით, — უნდა მოგახსენოთ მძებო, რომ ჩვენს გულში სიყვარულის მეტი არაფერი არ არის და რასაც ჩავდივართ; ყველაფერს სიყვარულით! —

ასე დაიწყო თამადამ თომას სადღეგრძელო; თამადა კარგად ღაპარაკობდა, თამადა კარგად გრძნობდა, კარგად ხედავდა და ყოველი მისი სიტყვა იყო გამომხმაურება ჩვენი გრძნობის.

თამადა იყო ჩვენი ტიტე, მაღალი, ფერმკრთალი, ჩაღრმავებული თვალებითა და მღელვარე თმიანი, რომელსაც მოჰყვებოდა სიტყვის მაღლი და სწყალობდა წყობილი სიტყვა.

ღანარჩენები ვიყავით მისი მეგობრები, ისეთივე ოცისა, თუ ცოტა მეტი წლის ჭაბუკები, როგორც ტიტე: ალიკო, ქერა და ოდნავ ბეცი, დამცინავი, რომელსაც ყოველ გარემოებასა და ვითარებაში შეეძლო აღმოეჩინა სასაცილო რამ და არ იცოდა, როდის დაიწყებდა სიცილს. ნიკა, ნაკლებ-მეტყველი მხატვარი და დასასრულ, მე, ბაჯადო.

ჩემი მეგობრები თვალად საამური იყვნენ. როდესაც ტიტე ღაპარაკობდა, თომას ვთხოვეთ, როგორც უფროსი კაცი, დამჯდარი ყოფილიყო, ხოლო ჩვენ ფეხზე ვიდექით და ისე შევსვით მისი სადღეგრძელო.

შემდეგ ვიმღერეთ. სიმღერებს იწყებდა თომა თავისი ტკბილი ხმით და მე არ ვიცი, ამ ადამიანებს სად გააჩნდათ ამდენი კეთილი, მომხიბლავი გრძნობა, ასე რომ მკლავდებოდა მათ ხმეში. მე განცვიფრება გამოვაცხადე, თანაც დავსძინე:

— მე კი, თქვენს ბაჯადოს, მეგობრებო, დღეს მართლად მიყვარს ქვეყნიერება და ამისი საბუთი მაქვს — მე არ ვსტყუოდი.

ზამთრის დღე მალე ილევა და უთუოდ მიმწუხრი იწყებოდა, რადგან ნამეტარი ჩამობნელდა და სამიკიტნოს მსახურმა, ღვინოსთან ერთად მოგვიტანა ანთებული ჭრაქი, რომელიც დაიდგა ჩვენს გვერდით, მათალ კასრზე. ჭრაქის შუქმა კიდევ ახალი განწყობილება შექმნა და ჩვენ უზომოდ გაგვხარდა.

— აი, ბაჯადო! — სთქვა ნიკამ — როგორ არ მიყვარდეს ქვეყნიერება; ქვეყნიერებაზე არსებობს აი, ეს — ნიკამ სამიკიტნოს თვალი მოავლო — ქვეყნიერებაზე არსებობს აგრეთვე ფიროსმანი, საწყალი ნიკალა ფიროსმანი! —

— ვაშა ნიკა! ყოჩაღ, ყოჩაღ! — თამადამ ბრძანა:

— ჩვენ გეახლებით დიდი ადამიანის, საწყალი ნიკალა ფიროსმანის სადღეგრძელოს — უთუოდ რაღაც საერთო იყო ჩვენს სამიკიტნოში შექცევასა და ფიროსმანის მხატვრობას შორის.

მე რამდენჯერმე მინახავს და ხანგრძლივად ვმდგარვარ ფიროსმანის ტილოების წინაშე; ვხედავ, ნახელოვნვია სადაც, უბრალოდ; სჭარბობს შავი ფერები, საზოგადოდ მუქი; ადამიანის სახეებიც როგორღაც დაბურულია და მე, მათ მნახველს, მუდამ ამვსია სული და გული წუხილით, მხოლოდ არ ვიცი, იმის გამო ხდებოდა ეს, რომ მე ვერ

ვწვდებოდი მხატვარს, თუ პირიქით, მხატვარი თვს წუხნდა და მე მივწვდი.

ყოველშემთხვევაში, რაკი ნიკამ ფიროსმანი ასხენ ჩვენ უთუოდ მთვრალეები ვართ. მაგრამ ჯერ კიდევ იცნენა და ვაგონება.

თომა ფერეულს მეტად ტკბილი ხმა ჰქონდა და მაიციოდა ადამიანის თვალებში ჩახედვა. ბევრმა იცის ასე, მაგრამ უმრავლესობა, თვალებში რაღაცას დაეძებს, ზვერაგვს შიშველ სულსა და ეს არ არის სასიამოვნო. თომა არაფერს დაეძებდა; ჩახედავდა ნათელი, თითქო თბილი თვალებით; ასე ჩამხედა თომამ თვალებში და მითხრა:

— არის ბაჯადო შენში რაღაც ისეთი, რაც ადამიანის ყურადღებას იპყრობს და აჯადოებს, ჰო ჩემო ბაჯადო!

ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი; თუმცა შექება ძალიან მიამა, მე სიცილი არ შემეიწყევტია და თითქოს ჩვეულებრივი კარგი სიტყვა მითხრეს და მე მათთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმეცეს, ისე უპასუხე:

— გამაღობ თომა, დიდათ გამაღობ! მაქვს იმედი თქვენში მეგობრობის.

საბოლოოდ აივსო ჩემი სული სიხარულით და როდესაც მორიგი სუფრული წამოიწყეს (თუმცა ბიჭებს ერჩიათ ბობოქრობა — იძულებული იყვნენ ემღერათ დაბალი ხმით, რადგან თომა ასე მოითხოვდა) ნიკა ვადმოიხარა ჩემსკენ და კვლავ ჩამოავლო ფიროსმანზე ღაპარაკი.

კასრის თავზე ელაგა ხელადით ღვინოები, ჭიქები და საჭმელი. ჩვენს ირგვლივ სიბნელეში ეწყო ღვინით სავსე კასრები და რუმბები; ჭრაქი ოდნავ ანათებდა ჩვენს სახეებს, ანათებდა ცოტაოდენ არეს და ჩვენ ვიცოდით, რომ ესა სამიკიტნოს საწყობი და ჩვენ აქ გვიჩვენია; სამიკიტნო მეტად ნათელია, იქ იციან ჩვენ რომ აქ ვართ და პატივს გვცემენ.

— ფიროსმანი, ადამიანსა და გარემოს წარმოგვიდგენს არა მარტო ისე — ამბობდა ნიკა — როგორც ისინი არიან ცოცხალნი, არამედ წარმოგვიდგენს მათ, ამავე დროს მკვდარსა! აბა! ადამიანები ჰგვანან აგრეთვე სათამაშოებს და მხატვარს ისინი შეჰყურებენ მკვდარი თვალებით. ფიროსმანი დიდი მწუხარე ადამიანია! ის ყველაფერს ხედავს! შემდეგ ჩვენც ვხედავთ! —

აღფრთოვანებულ ახალგაზრდა კაცისათვის, ადვილია მეგობრის აზრს დაეთანხმოს. მე აღფრთოვანებული ვარ და ნიკას ვეთანხმები. ეს ნიკამ უნდა იცოდეს. ვარდა ამისა, ნიკა დღეს ტფილისიდან ჩამოვიდა და ეს სუფრა მისი პატერისადმი გამომხატულებაა.

მე გულწრფელი ვარ, არაფერს დაუმალავ მეგობრებს, მაგრამ არიან მეტად სათუთი მოვლენები, რომელნიც ჩემს სულს ნეტარებით ავსებენ და რომელთა გამჟღავნება, რაღაც ალლო მიკარანახებს, წაართმევდა მათ სულხელეცესეც უნდა იცოდეს ნიკამ!

არ ვიცი ასეთი სიტყვებით მიხვდა ნიკა ჩემს განწყობილებას, თუ მე გულახდილობით ყველაფერი წამომცდა. მხოლოდ ნიკა წამით დამაკვირდა და მე მომეჩვენა, რომ ჩემში მან ისეთი რამ აღმოაჩინა, რაც თავისთვის ინატრა. ამის შემდეგ ნიკა ამბობდა:

— ნუთუ დავიჯერო, არ აღმოჩნდება ამ ქვეყნად, ამდენ მშვენიერ გოგონებში ერთი, რომელსაც მე შეუყვარდები? — ნიკა ამბობდა ვნებიანად.

თომა ფერეული კიდევ მღეროდა და უთუოდ ჩვენი საუბარიც ესმოდა. მან სთქვა, რომ ყველაფერი, რასაც ხედავს და ისმენს, არის მშვენიერი!

— რომ იცოდე ნიკა, რა აბდალი ხარ ასე რომ ბორგავ! — თომამ ნიკას ქოჩორში ხელი ჩაავლო და ხელათვე გაუშვა; შემდეგ დასძინა: — მომხიბლავი ხარ ბიჭებო, მომხიბლავი! — მე ვიმეორებ:

— რა თქმა უნდა მომხიბლავი! და ყველაზე უკეთესი ხაროთ თქვენ, ძვირფასო თომა ფერეულთა — მერე ვეუბნები ნიკას:

— მე მაინც მიიჩვენია ნიკა, მკვდრები მიცქეროდნენ ცოცხალი თვალებით, ვიდრე ცოცხლები მკვდარი თვალებით! არის საგნები, რომელიც არ უნდა ითქვას; შეიძლება მართალი იყოს, მაინც არ უნდა ითქვას! არა, არა, ეს ენება ფიროსმანს; ნიკალა ფიროსმანი საწყალი და დიადი აღამიანია, მას შეუძლია ყველაფერი გვიბრძანოს! —

იქნებ იმ წუთში მე ვერ განმეგრატა მიზეზი ასეთი სიტყვებისა, მხოლოდ ვხედავდი მეგობრებს აღსავსეს ნებისყოფით, რომელნიც ჰბორგავდნენ სიცოცხლის ძალით; როგორც მწიფე ხეილი, ისე უჭვივოდათ სანებები; თვალები ავსოდათ სიცოცხლის ნიჭით, როგორც მინახავს ახალგაზრდა, ველური შველი, დაფეთებული რომ გარბის! ყოველა ამან მათქმევინა რაც ვსთქვი. მაგრამ უმთავრესად ჩემი სული იმის გამო აჯახყდა, რომ არ შემეძლო ასეთი რამ დამეშვა იმ თვალებისათვის, რომელნიც რამდენიმე კვირაა მე მუდამ მასხოვდა და რომელთაც დაეჭირათ ჩემი გული და მთლად არსება.

ჩიტო, საშა გოჩიძის დაი. უწინ ის სცხოვრობდა ბათუმში, მე მას არ ვიცნობდი და არ შემეძლო მანვ ფიქრი. ეს შეიძლება ისეთი იყოს, რომ აღამიანები არ ვფიქრობთ, აღამიანებს არ გვახსოვს თუ გვაქვს თვალები.

ამას წინად, ნავთსადგურის სამმართველოში, სადაც მე ვმსახურობდი, თანამშრომლებმა სთქვეს, რომ საშა გოჩიძის წლის თავი იყო და მთხოვეს მათთან ერთად წავსულიყავ. საშა გოჩიძე, ახალგაზრდა მხედარი იყო რუსეთთან ბრძოლაში დაღუპული.

წვიმდა. ცივი ქარი ჰქროდა. მე ვიცოდი, რომ ბათუმიდან ჩამოსულია გოჩიძის დაი, ამბობდნენ რომ ის ლამაზია. მაგრამ მე ვერ წარმოვიდგენდი, თუ ის იმდენად მშვენიერი იყო. არაფერი მინახავს ისეთი მომხიბლავი. დღემისთან ერთად, ის იჯდა ნონ-დაფენილ ტახტზე, თავთ ადგათ ხელებ დალიავებული ქალარა მამა, გარს ერტყათ ქალები და მამაკაცები და სულ-ყველა სტიროდა.

თუმცა ჩიტო სტიროდა და უხვად ჩამოსდიოდა ცრემლები, მე მაინც მომეჩვენა, რომ ის ჰგავდა გაზაფხულის შემოღამებს, რომელიც სავსეა სულხელებითა და მოლურჯო ჰაერით. აგრეთვე სავსეა ჰაბუკ ხმებით, რომელნიც უმღერიან შემოღამებს.

არ ვიცი შეიძლება თუ არა ასეთი შედარება, მხოლოდ მე მის შემხედვარეს ასეთი რამ წარმომიდგა და თავბრულ დამესხა.

ჩიტოსთან ახლოს მე შეენიშნე მანანა ფერეულის ქალი, ისიც მტრალი და მშვენიერი, მაგრამ ჩიტო, ჩიტო!

მე ცრემლები ყელთ მომეზინა. კიდევ კარგი, დარბაზი მრავალი მოსამძიმრე ერთბაშად შემოვიდა და ჩვენ აურობა დავტოვეთ. ამის შემდეგ სულის სიმშვიდე წართვა. რამდენჯერმე შეეხვდი ჩიტოს და საბაბი მომეცა მივსალმობოდი; იგი მუდამ მიპასუხებდა ოდნავი ღიმილით და მის თვალებში ჰკრთოდა რალაც ალერსი, მაგრამ შესაძლებელია მე ეს მომიჩვენებოდა, რადგან ის იყო მეტად ზრდილი და უთუოდ ყოველ ნაცნობს ასე ესალმებოდა. მე კი, არავითარი განსაკუთრებული ღირსება არ გამახნდა, რომ მითი შემძლებოდა ამ ქალის მოხიბლვა.

„ღირსება? გაჩუმდი ბაჯადო, გაჩუმდი!“ და მე ვცდილობდი გამეჩუმებია ჩემი გული და სული, რადგან მე ვიყავი ერთი იმ მრავალ სტუდენტთაგანი, რომელნიც უნივერსიტეტში ირიცხებოდნენ, ხოლო იმ ხანად მსახურობდნენ სხვა-დასხვა დაწესებულებებში და ხელფასად, ქალაქის მილიონებთან ერთად ლებულობდნენ ცოტათოდენ ულუფას (პაიოკ). ტარანსა, თუთუნსა და ფქვილს არც უნივერსიტეტში სწავლა მინდოდა, რადგან გულის

ნადებად ის მქონდა, რომ გამეკეთებია რალაც დიდი და ისიც ერთბაშად, ხოლო როგორ, ან რა დარგში, მე ეს არ ვიცოდი.

განა ეს ღირსებაა? რამდენი იყო ახალგაზრდა ჩვენს ქალაქში გაცილებით ნიჭიერი და მშვენიებით სავსე. მე არ შემეძლო მქონოდა არაფითარი იმედი და გულისწუხილით ვნატრობდი ვყოფილიყავ გაცილებით უმჯობესი!

ტიტემ, რომელიც მე მიყვარს, რომელიც მგოსანია და ჩიტოს ახლობელი ნათესავი, ბევრჯერ ჩამომიგლო ჩიტოზე საუბარი. ერთი სთქვა, თითქოს ჩიტოს ეკითხა: თუ რას ვაკეთებ მე, ბაჯადო, ამ ქვეყნად და საზოგადოდ რას წარმოვადგენ? მერე სთქვა, რომ ჩიტო ჩემს ამბებს ხშირად ჰკითხულობს და ჩემს ხსენებაშია! ამაზედ, ტიტე ასეთ ნაირად ამბობდა: ეს რალაც საეჭვოა! ასეთი საუბარი მე მაკრთობდა და ვცდილობდი სიტყვა სხვაზე ვადამეტანა, რადგან ჩემი მეგობარი პოეტია; იქნებ იგონებდა, იქნებ მაშინვედა რაიმეს და ვებრალებოდი. ვფიქრობდი:

„შორს სიბრაალული, ჩემო ტიტე! შენი ნათესავი ქალი მეტის-მეტად მშვენიერია, იმდენად მშვენიერი, რომ მის მოგონებაზე წარმოდგებიან გრძნობები, რომელნიც ადამიანში ჰზუდობენ იქვე, სადაც ცრემლები. მე ერთი სურვილი მაქვს მხოლოდ, რომ ის ქალი იყოს ბედნიერი! ჩვენ კი, ვისაუბროთ ტიტე პოეზიაზე“.

ვსაუბრობდით დაუსრულებლივ. დღეს ნიკა ჩამოვიდა ტფილისიდან. სამიკიტნოში რომ მივიდიოდით, ტიტემ დამიმართხნელა, მას ჰქონდა ცოტათი ჩახლუჩილი ხმა და როგორც იცოდა ჩქარი, რალაც ზედიზედ ლაპარაკი, გამოდიოდა თითქოს ჩურჩულებდა, მითხრა:

— ბიჭო, დაპატიებულნი ხარ! გვაპატიეობს ჩიტო; ვიქნებით მხოლოდ ახალგაზრდები; რამდენჯერმე გამიმეორა: თუ დემერთი გწამს, უარი არ სთქვას, აუცილებლად მოიყვანო! წამოხვალ ბაჯადო, ხომ აპ? — და უეცრად, რა დავრწმუნდი, რომ ტიტე არ ხუმრობდა, მე ვიგრძენი ნეტარება. ყოჩაღ ტიტე, ყოჩაღ! სუფრა ისე ჩაატარა, რომ ამის შესახებ ვადაკრული სიტყვა არ წამოსცდენია. გათავდა ჩვენი პატარა ნაღიმი. თუმცა ზამთარი ჯერ კიდევ არ დალეულიყო, გარედ იდგა მშვიდი ღამე, საკმაოდ თბილი. მე არ შემეძლო სახლში წასვლა და დამინება; მინდოდა მოძრაობა და ამიტომ დავიძახე:

— მეგობრებო, მოდი ნუ წავალთ სახლში, არამედ ყველანი ერთად წავიდეთ თომა ფერეულთან კარავში! — ყველას გაეხარა. მხოლოდ ნიკას არ შეეძლო წამოსვლა: ვიყიდეთ ღვინოები.

ალეკო და მე, ჩვენ შინიდან წავიღეთ სანადირო თოფები. ძაღლები არ წავგვიყვანია; რადგან თომას, კარავში ჰყავდა უმველებელი მურა და იქნებ მას, არ ეგუებია ისინი.

ჩვენ მივიდიოდით ორი-სამი დღით. სამსახურში დაკლება არ იყო საფრთხილო. გზაზედ, ერთი ჩემი პარტიული ამხანაგი შემხვდა. მას ჩემთან დიდი საქმე ჰქონდა, მაგრამ შემეტყო ნაღვინარი ვიყავ და დათანხმდა, სამი დღის შემდეგ მომლაპარაკებოდა.

როგორმე უნდა გამეტანა სამი დღე. მეოთხე დღეს, მე ვნახავდი ჩიტოს.

თომა ფერეული, რამდენიმე წელიწადია სცხოვრობდა განმარტოებით, უბრალო ფიცრულ კარავში მდ. ფიჩორის პირად. იმის მეტი იქ არავინ სცხოვრობდა. ადგილი იყო უნაბურთი, ნახევრად ველური, ხოლო თვით თომა, საკმაოდ განათლებული, მშვენიერად აღზრდილი და აღამიანებთან ურთიერთობაში სწორედ მომხიბლავი.

ჩვენ უნდა გავგველო ტბა, რომელსაც მდინარე ფიჩორი, ორიდღე კილომეტრის მოშორებით ერთვოდა. როდესაც ლეილში ჩავსხედით და ტბას შეუღდექით, მე მივხვდი, რომ არ შემეძლია გაჩუმება; ან ჩიტოზე საუბარი უნდა მესმოდეს, ან მესმის ისეთი რამ, რაც ჩიტოსა ჰგავს და მას მაგონებს.



— აა, ჩემს ბაჯალოს სალამი! —
იონა თავაძე საგანგებო კომისიის თავმჯდომარე იყო ჩვენს ქალაქში, მან ჩემი განცხადება ნახა:

— სტუდენტთა დღე — სთქვა მან — ფულები შემოგკლებიათ! —

— დიახ, ამხანაგო თავმჯდომარე
იონა თავაძე უთუოდ სალაპარაკოდ იყო განწყობილი:
— ბაჯალო, ბაჯალო, ნეტავ შენ ყველაფერს ისე ხედავდე როგორც მე, მაშინ თავს დაანებებდი ყოველგვარ ჩერჩებობას —

— მე ისე ვხედავ, როგორც თქვენ ამხანაგო იონა; დღეს მაგალითად წვიმს და ავი დარია! —

იონამ გაიცინა:

— ცივანი ხარ — მერე უხუმრად სთქვა — შენ იცი თუ არა, რომ ისტორიის ბორბალს ჩხირ-კედელაობით ვერ გააჩერებ! აყობსართ ერთი — მეორეს და არ ვინდათ ჩაუფიქრდეთ იმას, თუ რა ხდება! იცი შენ რამდენია ამ ქვეყნად ისეთი, რომელიც თავის სიცოცხლეში არაფერს აკეთებს და სხვისი ნაოფლარით სცხოვრობს! მერე, სამართლიანია ევა? და შენ როცა გვებრძვი, იცი თუ არა, რომ იმათ საქმეს აკეთებ! კარგია განა ეს?! — ძლივს დავახწიე თავი იონა თავაძეს და როდესაც ტიტეს გადავეცი ჩვენი საუბარი, მე და ტიტე შევთანხმდით, რომ არ არის კარგი ადამიანი სცხოვრობდეს სხვისი ნაოფლარით, რომ ეს სისაძაგლეა და მათ ჩვენ არ ვვხმარებთ, ხოლო თუ გვიწევს ბრძოლა, ამაში დამნაშავეა თვით იონა თავაძე და მისი ამხანაგები, რომელთაც ისურვის საქართველოში რუსის ჯარების შემოყვანა.

საუბარი სწარმოებდა ვანო უთნელიძის სამხატვრო სახელოსნოში, სადაც ახალგაზრდა მხატვრები აკეთებდნენ აგიტ-პროპის პლაკატებს. ნიკაც აქ იყო; იონა თავაძის სიტყვებზე ნიკა დაფიქრდა და სთქვა: იონა თავაძე გულწრფელი კაცია!

და ყველა საუბარი, რომელსაც მე ვისმენდი, რომელშიაც ვმონაწილეობდი და აგრეთვე სხვა ურთიერთობა ადამიანებთან ამჟამად, ჩემის მხრივ იყო ისეთი, რომელიც მე მსურდა მალე დაბოლავებულიყო, რათა კვლავ გადამეინჯა ჩემი სულიერი საუხუჯენი და დავმტკბარიყავი მითი.

მე არ მახსოვს როგორ ჩამოვართვი ხელი ჩიტოს. მას ჰქონდა ფუნთუშა ხელები. არც ის მახსოვს რა ვსთქვი ისეთი, რომ მან მიპასუხა:

— მე ვიცოდი, რომ თქვენ კარგად ფიქრობდით ჩემზე — ჩვენ უღიმოდით ერთი-მეორეს და სულ ახლოს ვიჯვდით. ტიტე და ორი ქალიშვილი, მეორე ოთახში სუფრას ჰშლიდნენ. ისინი ჩვენ არ გვესმოდა.

უმეტესად ჩვენ ვიყავით მღუშარე, მხოლოდ ხანდახან მე ვამბობდი ისეთ რამეს, რაც მეჰფერის არა ფხიზელს, არამედ მთვრალს; შესაძლებელია მე არაფერსაც არ ვამბობდი, მხოლოდ ვგრძნობდი, ვფიქრობდი და ჩიტოს ეს ესმოდა:

— ღმერთო, ჩიტო თქვენი თვალები, კბილები, წამწამები! —

არ მახსოვს როგორ მოხდა, ჩიტოს მკლავებში ხელი ჩავავლე და როდესაც მან თვალები მიწაბა დაუწყებ ტუჩებში კოცნა. ჩიტო მომეკრა მკერდით.

— ჩიტო, გენაცვალე, იცი რა?! —

— რა იყო გენაცვალე... —

მაგრამ არაფერიც არ იყო, მე მინდოდა დავრწმუნებულიყავ მხოლოდ თუ რა მომდის! ვირევი, თუ ეს მართლა ჩიტოა, რომელსაც მე შემიძლია ვკოცნიდე და ის ნებას მართავს. მე მას ვკოცნიდი. დრო-გამოშვებით, ჩვენ როგორც ძილში მყოფი ადამიანები, ისე ვბუტბუტებდით რაღაც სიტყვებს.

კარზე დავგვიკაქუნეს: სუფრა გაშლილია, მობრძანდით! —

განა მე მინდოდა სადილი? არც ჩიტოს! მაგრამ მე უნ-

და მცოდნოდა, რომ ჩიტო დიასახლისია და მისმა მეგობრებმა მას ხათრი დასდევს და ამდენ ხანს თავი შეიწუხეს. ჩიტო ლაპარაკობდა ოდნავ დაღლილი და ისეთი რამ ერია მის კილოში, რაიც ერთობ მეკუთვნოდა მე; ეს იყო გულითადი მონდობა, რამაც მისდამი მაღლობის გრძნობით ამავესო. „გმადლობ, გმადლობ ჩიტო!“ — ვფიქრობდი მე. კიდევ ვფიქრობდი: „მაპატიე რომ მიყვარხარ!“, თუმცა მგონი, არ იყო საჭირო ასე მეფიქრა, რადგან ჩიტომ, როგორც ლაპარაკობდა მხოლოდ ჩემთვის, ისეთივე კილოთი, სარკის წინ თმები გაისწორა და თავისი აღფრთოვანებული თვალები შემავლო და შეაჩერა. მე თავი ვერ შევიკავე და ისევე დაუწყე კოცნა.

სუფრაზე ჩვენ, ხშირად შევსცქეროდით ერთმანეთს (მე და ჩიტო) მე ვგრძნობდი მისდამი რაღაც სიბრალულისდაგვარს, რომ მან ჩემთვის ბევრი გაიღო და უდიდესი სურვილი იყო ჩემი, რათა ის ბედნიერი ყოფილიყო.

ტიტემ ერთ საღღევრძელოში, რომელიც ინდოელი პოეტი ასხენა. პოეტი დაახლოებით ასე გამოითქმოდა: „ქალო, მე შენ გკოცნიდი და განცვიფრებული დავრჩი, თუ ამდენი სიტკბოება, როგორ თავსდებოდა ამ პატარა სურთში!“

ასეთი რამ, მეც შემეძლო მეთქვა, მაგრამ ჩემი სული იმდენად მდიდარი იყო, რომ არ მეკადრებოდა, არც სხვის გრძნობათა მიმატება, არც ჩემთა გამოჩენა.

ყოფილ ვაჟთა გიმნაზიაში დაარსდა სტუდენტთა დღის მომწყობი კომისია. იქ იყვნენ ყველა ჩვენი ნაცნობები. იყო აგრეთვე დარბაისელი ლევან ფერეული, რომელიც დიდ აღფრთოვანებას არ იჩენდა, მაგრამ ვიცოდით, ბავშვივით გაიქცეოდა და შეასრულებდა, თუ რაიმე დაევალებოდა, იყვნენ ქალებიც. ჩიტო და მანანა მოვიდნენ ერთად.

როდესაც ისინი დარბაზში შემოვიდნენ, მე გულმა ძგერა მიმატა და თუმცა მთელი ყურადღება ჩიტოსაკენ მქონდა მიპყრობილი, შევნიშნე, რომ ვანო უთნელიძეს, მართალია ლაპარაკი არ შეუწყვეტია, მაგრამ მის ხმაში გამოკრთა რაღაც ახალი, მახუტური სიხარული.

ჩიტო და მანანა იყვნენ მშვენიერი; ისინი მორცხვად იღიმოდნენ და მათი თვალები გამოსცემდნენ ელვარებას, ხოლო ქალწულებრივ ბავეთა შორის უკრთოდათ უხადლო კბილები. მათ შემხედვარეს გუნება ეცვლებოდა და ებადებოდა სურვილი დიდი საქმეების კეთების. როდესაც ისინი მოგვიანლოვდნენ, მე ვთქვი, რომ ბავშვებისა და პატარა გოგონების ადგილი აქ არ არის! მანანა იქნებოდა 16 წლის, ჩიტო 19-ის. ეს ენებოდა მანანას; იგი მომიახლოვდა ერთობ მოლიმარი (მისი მოძრაობა იყო ცინცხალი წყაროსებური, მორთოლავი და მრავალფეროვანი) მკლავზე ჩამომეკიდა და მითხრა: მართალია მე, ბაჯადო, ბოროტი ვარ, მაგრამ ერთიც იქნება ამის გამო დავისჯები! —

მანანას სახეზე აღმური ასდიოდა, მაგრამ რა!, მას ესეც ჰშვენოდა; იგი იყო მუდამ მშვენიერი; აგრეთვე ჩიტო, მანანა იქაურობას ცოტა მოვამორე და გულწრფელად უთხარი:

— თქვენ რომ შემოდით ორივენი მანანა, ასე გვეგონა შემოიტანეთ შარავანდელი — მანანამ გაიღიმა, თუმცა ის მუდამ იღიმოდა:

— ჰმ, ბაჯადო! — სთქვა მან და ამ „ჰმ, ბაჯადოთი“ მე მივხვდი, რომ მან იცოდა.

მოვიდა ვანო უთნელიძე და მანანა მას დარჩა. ვანოს, მშვენიერ ბავშვის ელფერს აძლედა მოკლე, დაუვარცხნელი თმა, ხალი ჰქონდა ლოყანზე და ოდნავ ენა ებმოდა. ვანო და მანანა ძლიერ დამეგობრებული იყვნენ და მათი ერთად დანახვა იყო საამური.

— ამ რივად, ამხანაგებო, გადასაწყვეტია, შეასრულოს თუ არა ხორომ ეროვნული ჰიმნი! — სხდომა დაიწყო. ჩიტო იჯდა ჩემს პირდაპირ. მე ვსთქვი:

— უდავოთ! უნდა შეასრულოს! თუ ხელისუფლება



შესდგა და ჩვენ დავინახეთ, მან ვილაცას თავი მძიმედ, დიდის პატივისცემით დაუკრა და ხოროდან გამოვიდა პატარა, 10 წლის გოგონა. ის იყო იქვენი დაი.

მე ძლიერ მიყვარს მერცხალი, მაგრამ ეს პატარა გოგონა, გაშალა თუ არა თავისი პაწია ხელები, მერცხალზე უფრო საყვარელი შეიქნა. ჰგავდა კი მერცხალს;

მას ეცვა ძველებურად: გრძელი, შავი ტანთსაცმელი რომელსაც წინ, სარტყლიდან დაბლა, მიჰყვებოდა ორი მოლურჯო თავისუფალი არშია. მკლავები დაფარული. ცალს მაჯაზე უკრთოდა ოქროს ძეწკვი. თავს არა ეხურა, მაგრამ მისი წაბლისფერი დალაღები მოძრაობისას არ კი; მხოლოდ ქაბუკის მიმოხერა ამ ჟამად იყო არა ლაღი და გიჟური როგორც დასაწყისში, არამედ დარბაისური.

რა მათ ცეკვა დაასრულეს, ძმამ თავის პაწია დას ხელზე გამბორა, შემდეგ საზოგადოებას ორივემ მადლი გადაუხადა და ისინი კულისებში მიიმალენ.

ამდენხანს სულგაკმედილი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ერთბაშად იხუვლა. ჰსურდათ განმეორებით ენახათ ცეკვა, რიღ-ხანს დაჟინებით ითხოვდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა და-ძმა მეორეთ არ იცეკვებდა და საზოგადოებამ იწყო დაშლა.

ყველაზედ ბოლოს მომწყობნი წავედით.

ავდარი იყო, თუმცა არ სცივოდა. მე ჩიტო მიმყავდა. აქ იყვნენ ლევანი და მანანა, ვანო, ტიტე და ალიკო.

— ჩუმად თქვე დასაწყევტელებო! — დროვამოშვებით იძახდა ლევანი, რადგან ჩვენი ხმები ნამეტარი იყო ამ მძინარ ქუჩებში იღვა წუმპეები, ჩვენ ვბტოდით, ეს იწვევდა სიცოცხლს.

ძლიერ მსურდა გამეგო, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩიტოზე ჩემმა მეგობარმა, მაგრამ ამ სურვილისა მე თვით მცხვენიოდა, ხომ ვერ გავამჟღავნებდი! ჩიტომ დრო იპოვა და მკითხა:

— ნიკა შენი მეგობარია, ბაჯადო! —

— ო, რა თქმა უნდა — უპასუხე მე და საჩქაროთ — სხვა საგანზე დავიწყე საუბარი, რადგან მომეჩვენა თითქოს, ჩემს მიმართ უნდა ჩაედინათ რაღაც სულიერი ქველმოქმედება და ეს გამოდიოდა ჩემი დასჯა უღირსი ცნობისმოყვარეობისა და სულმოკლეობის გამო.

გვიან დაებრუნდი სახლში.

ბევრი ვიანგარიშე და ჩემი გამოანგარიშებით მანამ იქნებ სძინებოდა, მხოლოდ ბაბი, ჩემი დაი... ზოდ ფხიზლობდა. ამიტომ შევედი თუ არა ჩემს ირასში, ხელათვე დის ოთახს მივადექი და კარზე დაუკაკუნე.

ოთახიდან მამა გამოვიდა. მე ეს მამა და მამას ნიშნის მოგებით ვკითხე:

— როგორ გუნებაზე ბრძანდება ქალბატონი? —

მე უფლისხმობდი ჩემს გამარჯვებას, ის ყველამ იცნო ბოლოს და ბოლოს და ქალბატონი ჩემი დაა, ბრძანდებოდა მეტად უხერხულ მდგომარეობაში. მამამ მიპასუხა:

— სადაა შეილო შენი დაი! —

— რა...! —

მამა დაღონებული, თუ შეშინებული იყო და სრულდებით არ ხუმრობდა. მე დის ოთახის კარები გავღე და როდესაც მამამ მომადანა: ჩემამ დაატუსადა! და კილა რაოაცს მელაპარაკებოდა, ოთახში ელექტრო ავანთე.

რა უცნაურობაა! დის ლოგინში, ისეთივე თმინი ქალი იწვა, როგორც ბაბი, ვინ იყო, მე ის ვერ ვიცანი და უნებურად წამოვიძახე:

— უკაცრავად, მაპატიეთ! — შემდეგ ამ ქალის სახე ჩემს ცნობიერებაში ბუნდოვნად აღსდგა და მე შევეკითხე იმავე განცვიფრებული კილოთი:

— თქვენ ბრძანდებით ბაბის შემცვლელი?! —

მე ვიანგარიშე ასე: უბედურება მომხდარია და როდესაც ხუმრობა შესაძლებელია, შემთხვევა არ უნდა გაუშვა. ქალს არ სურდა გაღიმებოდა, მაგრამ გავლიმა:

— შე უბედურო ბაჯადო — მომიგო მან — არასოდ არ დაჰკვიანდები! სულ ასეთი უნდა დარჩე? —

ოთახში მამაც შემოსულიყო და მან სთქვა, მხოლოდ ვერ შევატყვე: გაჯავრებით თუ დაცინვით:

— თუ არ დაჰკვიანდება იყოს, ხეალ ნახავს თავის სეირს... —

ეხლა კი ვიცანი მწოლიარე სტუმარი ქალი. ის იყო ჩემი დის კარგი მეგობარი. გიმნაზია ერთად დაასრულეს ხშირად იყო ჩვენსას. მე მასთან ძალიან თამამი ვიყავი.

ის მეძახდა: უგნურ ბაჯადოს!, მაგრამ ჩემს ხუმრობაზე მუდამ გულწრფელად იცინოდა და მე ვიცოდი, მას ჰქონდა კარგი გული. ის გათხოვდა. ამ ჟამად მგონი არალეგლურად სცხოვრობდა. მისი ქმარიც ამგვარადვე.

— სალამი ქალბატონო ოლია — მივესალმე მე ერთი ამისხენით რა მოხდა, რაშია საქმე?! საქმე ამის ხან მამა შეველოდა ოლიას, ხან ოლია მამას.

ოლია გვწვეოდა, როდესაც მამა და ბაბი სახლი გამოსულიყვნენ. ოლია სახლში დაეტოვებიათ. რწები სალამოდან დაბრუნებულიყვნენ და ბაბის და მოესწრო, მოსულყივნენ ჩეკისტები. ოლია ამბობდა:

— სახლი გავვიჩხრიკეს —

— წაიღეს რამე?! —

— წაიღეს შვილო, წაიღეს! —

— რა წაიღეს?! —

ჩემს ჩამოძახილზე მამა მიხვდა რასაც ვეკითხისამზარეულოს კედელში ინახებოდა მამანა... ორმოციოდე ვაზნა.

— არა! მამშვიდებს მამა. წაელოთ ცოტათი ხელთნაწერი და ედიკოს სურათი. ედიკო ჩემი ძმამა, ძველი მეომარი. მამა ამბობს:

— ძალიან იძიეს სად ცხოვრობს, რას შერევა ამადიო! რომ ვაიგეს ტფილისშია, მისამართი არ ჩვენ უპასუხეთ, რომ წერილებს არ იწერება ერთი არ ვიცით. წაიყვანეს ბაბი და შენ დაგვიბოძა დილას ჩეკაში გამოცხადდე —